საქარ... ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბაღახში ®
№10 10-16 მარტი ფასი 1,50 ლარი
www.tbiliselebi.ge



როგორ გადაიხადეს ელენა სატინემ და ტაისონ რიტერმა ფლორიდაში, ოკეანის სანაპიროზე, ულამაზესი ქორწილი და ვინ შეკერა ელენას საქორწილო კაბა გვ. 22

გვ. 2 რა შემთხვევაში ბეზრდება და უინტერესო ხდება „პირველი ვიცე-მის საქართველოსთვის“ ურთიერთობა და რატომ ეჭვიანობს ის შეყვარებულთან ყველაფერზე

გვ. 75 ვინ ჰყავს მინებებული სალომე არშბას და როდის აღმოჩნდა ის საჭირო დროს საჭირო ადგილას

GINO PARADISE
ჯინო ფერედაისი გვ. 15



რა თამამ ექსპერიმენტზე არ ამბობს უარს მარინე მიზანდარი და როგორი ქალების შურდა მას გვ. 14



გვ. 18 როგორ იძიებს შურს ლალი მოროშკინა „მიჩხიკინე“ ადამიანებზე და ჰყავს თუ არა მას მუდამ მიზანში ამოღებული „მსხვერპლი“



რა უნიკალური ქართული იარაღი აღმოჩნდა ჰოლანდიაში მოღვაწე მესაჭურვლე გოჩა ლაღიძის ხელში გვ. 47



გვ. 19 რას წარმოადგენდა მზეო გოგოჭურისთვის ვახუშტი კოტეტიშვილი ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგ

მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# რა შემთხვევაში ბეზრდება და უინტერესო ხდება „პირველი ვიცე-მის საქართველოსთვის“ ურთიერთობა და რატომ ეჭვიანობს ის შეყვარებულთან ყველაფერზე



**საშინლად ეჭვიანი ვარ – მოძრავზე, რამოძრავზე, გოგოზე, ბიჭზე, დაქალია, მაკაცია, ელაპარაკება, ურეკავს, დედა, მამა – ყველაფერზე ვეჭვიანობ**

*როგორც იცით, ცოტა ხნის წინ სამოდ-ლო სააგენტო „იმიჯ-ცენტრმა“ მორიგი ლამაზის კონკურსი ჩაატარა და „მის ქართველო“ და „ვიცე-მის საქართველ-ც“ გამოავლინა. „მის საქართველოს“ – ა ზუბაშვილს ჩვენი მკითხველი უკვე იც-ობს, „პირველი ვიცე-მის საქართველო“ კი წლის **ელენ გამყრელიძე** გახდა, რომ-ლიც უკვე რამდენიმე წელია, გადაცემა ღბლიან ბორბალში“ მუშაობს – თავისი ამაზი ღიმილით ხიბლავს მონაწილეებსაც ა მაყურებელსაც.*

**ელენ გამყრელიძე**: რადგან აქამდე სა-რთველოს მოქალაქე არ ვიყავი, უნივერსი-ეტში ჩაბარებას ვერ ვახერხებდი. მოსკოვში ავიბადე, 5 წლამდე იქ ვცხოვრობდი ოჯახ-ან ერთად და შემდეგ გადმოვედით საქართ-ელოში. მაგრამ, ახლა უკვე საქართველოს ოქალაქე ვარ და წელს ვემზადები გამოცდ-ბის ჩასაბარებლად. იმედია, ჩავაბარებ ჟურ-ალისტიკის ფაკულტეტზე. თან, ტელევიზია-ი ვმუშაობ და შეიძლება, ეს ყველაფერი სა-ომავლოდ გამომადგეს.

**– როგორ დაიწყე ტელევიზიაში მუშაო-ა?**

– 15 წლის ვიყავი, როდესაც „ვა ბანკში“ ოვხვდი. ჯერ ქასთინგზე მივედი და რომ ავილიმე, გიორგი ხაბურძანიამ მითხრა: ღიმ-ლიც ასეთი უნდაო. მაშინვე ჩამსვეს ძირით-დში მე-19 ნომრით, ისეთი ბედნიერი ვიყავი, არმოიდგინე, ქასთინგზე 2 000-მდე გოგონა ყო. მგონი, მხოლოდ მე და ჩემი დაქალი ვიყავით არასრულწლოვნები, რომლებიც ძი-რითადში ჩაგვსვეს. შემდეგ უკვე იცოდნენ, „იღბლიანი ბორბლისთვის“ როგორი გოგონე-ბი სჭირდებოდათ და პირდაპირ აგვარჩიეს.

**– ღიმილი გახდა შენი სავიზიტო ბარა-თი?**

– კი, ღიმილი. თუკი რაიმე წარმატებისთ-ვის მიმიღწევია, ყველაფერს ჩემს ღიმილს ვუ-მადლი. ამიტომაც, სულ „სმაილი“ მაქვს სა-ხეზე. „იღბლიან ბორბალში“ ყოფნა ძალიან მომწონს, ყველას ვიცნობ, ძალიან კარგი გა-რემოა. პრინციპში, იქ გავიზარდე, ყველაფე-რი ამ წრეში ვისწავლე. შორენასა და ვანოზე ხომ, საერთოდ, ჭკუა მეკეტება. შორენა უსაყვარლესი ადამიანია, სასწაული გოგოა, ყველაზე კეთილი, ძალიან სუფთა და წმინდა. ვანიკოზეც ვგიჟდები, უსაყვარლესი პიროვნებაა. ცუდ ხასიათზე რომ ხარ, პოზიტიურად გმუხტავს.

**– იღბლიანი ხარ?**

– ალბათ, ვარ. რადგან, ბავშვობიდან მოყოლებული, სერიოზული დაბრკოლებები არ მქონია. ისე ხდება, რომ საბოლოოდ, ყველაფერს ძალიან მარტივად ვაღწევ.

**– როდის დაიწყე მოდელობა?**

– 14-15 წლის ასაკში დავიწყე. ოღონდ, იცი, როგორ? „ფეშენ-ვიქის“ ერთ სეზონზე გავიდოდი, მეორეზე – აღარ გავიდოდი და ასე შემდეგ. ისეთ თანხას იხდიდნენ, რომ 5-6 დღის დაკარგვა ნამდვილად არ მიღირდა. ანუ, დავიწყებდი მოდელობას, მერე თავს დავანებებდი, ქასთინგებზე ხან დავდიოდი, ხან – არა. ახლა გადავწყვიტე, სერიოზულად მოვეკიდო ამ საქმეს. 18 წლისას, „ელიტზე“ გამოსვლა შემომთავაზეს, მაგრამ მიმაჩნდა, რომ უკვე დიდი ვიყავი, ამიტომ, უარი ვთქვი. „მის საქართველოზე“ ჩემი სურვილით მივედი. ბავშვობიდან მაინტერესებდა და მინდოდა მონაწილეობის მიღება. მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო თავს ვიკავებდი. წელს კი გადავწყვიტე, მივსულიყავი. ქასთინგზე იმის შიში არ მქონია, რომ არ ამირჩევენ. ზოგადად, არ მაქვს იმის შიში, რომ სადმე არ ამირჩევენ. ახლაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ხუთეულში მოვხვდებოდი. თუმცა, იმიტომ კი არა, რომ კონკურენცია არ იყო. სადაც ვიცი, რომ წინსვლა, წარმატება არ მექნება, იქ არასდროს გავალ, არ მივიღებ მონაწილეობას. მაგალითად, „ელიტში“ ვერ ვხედავდი ჩემს თავს. არ მაქვს ისეთი გარეგნობა, რომ ამ კონკურსზე „გამექაჩა“. სამაგიეროდ, „მის საქართველოზე“ ვიცოდი, რომ ხუთეულში მოვხვდებოდი.

**– როგორი რეაქცია გქონდა, როცა „პირველი ვიცე-მის საქართველო“ გახდი?**

– თამამად გეტყვი, რომ ბოლოს სულ ვამბობდი: ან მე უნდა მოვიგო, ან ანამ-მეთქი. ეს არავის სწყინდა, რადგან ყველას თავისი ფავორიტი ჰყავდა. პირველი „ვიცეები“ რომ დაასახელეს, ანას შევხედე – ფერი დაკარგა, გაშრა. მივხვდი, რომ ანა იყო გამარჯვებული. ისე ინერვიულა, შოკში იყო, ვერ ლაპარაკობდა. მეც, რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა ამ ტიტულის მიღება, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ შოკში ვიყავი. ერთი რამ ნამდვილად ვიცი: საქართველოშიც და საერთაშორისო ასპარეზზეც მაქსიმუმს გავაკეთებ.

**– აპირებ სამოდელო კარიერის გაგრძელებას?**

– აუცილებლად გავაგრძელებ. უცხოეთიდანაც მაქვს შემოთავაზებები. მხოლოდ, საქართველოში რომ ვიყო მოდელი, არ მინდა. აქ ფულს ვერ ვიშოვი. ამიტომ, ჩემს ინტერესებშიც შედის უცხოეთში გამგზავრება.

**– დაახლოებით, 5 წელია, მუშაობ და შენი შემოსავალი გაქვს.**

– პირველი ხელფასი რომ ავიღე, იმის მერე ოჯახში ფული არავისთვის გამომირთმევია. იყო სხვადასხვა შემოთავაზება: იმას ის მოჰყვა, ამას – ეს. თვითონ გადაცემაც საკმაოდ დიდ რეკლამას მიკეთებს. რაც ჩემი ხელფასი მაქვს, მას მერე, დამოუკიდებლად ვცხოვრობ. თუ ფული არ მაქვს, სარკის წინ ვდგავარ და ვემზადები, როგორ ვუთხრა დედას: დედა, ფული მომეცი. მერე ეს ფული აუცილებლად უნდა დავუბრუნო, სხვანაირად არ შემიძლია. მირჩევნია, ვინმეს ვესესხო, ვიდრე ოჯახში ვთქვა: ფული მინდა-მეთქი.

**– როგორ ატარებ თავისუფალ დროს?**

– კლუბები, ღამის ცხოვრება, ხმაურიანი ადგილები არ მიყვარს. უფრო კარაოკე მომწონს და მოყვარულის დონეზე ვმღერი. დაძაბული, ჩახუთული სიტუაციები არ მიყვარს. წყნარად, მეგობრებთან ერთად მიყვარს ყოფნა, თან ერთმანეთის ხმა რომ გესმის.

**– როგორც ვიცი, შეყვარებული ხარ. სად გაიცანით ერთმანეთი და როგორ შეძლო, რომ შენთვის თავი შეეყვარებინა?**

– საერთო მეგობრისგან გავიცანი. თავიდან არც მომეწონა, ვფიქრობდი, ჩემგან განსხვავებული პიროვნებაა და ერთმანეთს ვერასდროს გავუგებთ-მეთქი. ბევრჯერ მითქვამს: მე და შენ ერთად – რა სისულელეა... რადგან არ იყო ჩემი ტიპაჟი. მაგრამ მერე, ურთიერთობაში ვერ ვხვდებოდი, ასე რატომ ვფიქრობდი. ახლა მიმაჩნია, რომ ჩემნაირია და კარგადაც ვუგებთ ერთმანეთს. მე საკმაოდ თავდაჯერებული ვარ და თუ ბიჭიც თავდაჯერებული არ არის, იმასთან ვერ ვიქნები. ეს კი ძალიან თავდაჯერებულია. ანუ, ბიჭი, უპირველეს ყოვლისა, თავდაჯერებული უნდა იყოს და კიდევ, გოგონას ზედ არ უნდა გადაჰყვეს. მე ვინც თან გადამყოლია, მის მიმართ, გარკვეული დროის შემდეგ, ინტერესი დამიკარგავს. ანუ, ყველაფერი უნდა იყოს – სიყვარული, ყურადღება, მესიჯები, მაგრამ ზომიერების ფარგლებში. არ არის აუცილებელი, მთელი დღის განმავლობაში ტელეფონზე იყოს ჩამოკიდებული და გაკონტროლებდეს. დღის რაღაც მომენტში თუ არ გირეკავს, პირიქით ფიქრობ: სად არის, რატომ არ რეკავს? მის გრძნობებში დარწმუნებული ვარ და რადგან არ რეკავს, არ ვფიქრობ, რომ არ ვუყვარვარ. დღის განმავლობაში, ამ მხრივ, მისგან რაღაც უნდა გაკლდეს, რომ არ მოგბეზრდეს. ისე, მე საშინლად ეჭვიანი ვარ – ისიც არის, მაგრამ არ იმჩნევს. ყველაფერზე, მოძრავზე, არამოძრავზე, გოგოზე, ბიჭზე, დაქალია, ძმაკაცია, ელაპარაკება, ურეკავს, დედა, მამა – ყველაფერზე ვეჭვიანობ. რა ლამაზი ჩიტია... ამაზეც ვეჭვიანობ. მას კი ამაზე ეცინება და სპეციალურად სხვადასხვა სახელს მეძახის, ვითომ შეეშალა: თინი, როგორ ხარ? ნინო, რას შვრები? ვიცი, რომ ხუმრობს, მაგრამ მაინც ნერვები მეშლება. ყურადღებიანიც ვარ, მაგრამ, რაღაც თუ არ მომწონს, ანუ, თუ ურთიერთობას წერტილს დავუსვამ, იმას აღარ აღვადგენ.

**– ალბათ, ამისთვის სერიოზული მიზეზი უნდა გქონდეს.**

– კი. თუმცა, რომ ამბობენ: შეყვარებულს ღალატს არ ვაპატიებო, მე ვფიქრობ, საყვარელ ადამიანს ერთხელ ყველაფერს აპატიებ. მეც რომ დავდგე ფაქტის წინაშე, ალბათ, გადავდგამ ამ ნაბიჯს და ერთხელ ვაპატიებ. მაგრამ, შეიძლება, ღალატი არაფერ შუაში არ იყოს და ვთქვა: არ მინდა – იქ დამთავრდება ყველაფერი. ჩვენს ურთიერთობას არ ვგულისხმობ. ჩვენ ყველაფერი რიგზე გვაქვს, ზოგადად ვამბობ.

**– დაქორწინებასაც ხომ არ გეგმავთ?**

– ჯერ არა, ამ თემაზე არც გვისაუბრია. ახლა კარიერაზე ვარ გადართული. ამ ეტაპზე ჩემი პირადი ცხოვრება კარიერის განვითარებას ხელს არ შეუშლის, მერე რა იქნება, არ ვიცი. უცხოეთში რომ წავიდე, თანახმაა, არ არის წინააღმდეგი.

**ნათია უტიაშვილი**

# გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

## უნივერსიტეტის კოდი – 143

## აცხადებს მიღებას:

**ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი**

ტურიზმი

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები)

**სამართლის ფაკულტეტი**

სამართალი

**სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

ჟურნალისტიკა

ფსიქოლოგია

კინო-ტელეოპერატორი (პროფესიული პროგრამა)

**ჩვენთან მიღებული განათლება თქვენი მყარი კაპიტალია!**





გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს ჩვენი საზოგადოებისთვის მისაღები ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო იდეებითა და პრინციპებით. უნივერსიტეტის ამოცანაა სტუდენტს მისცეს შრომის ბაზარზე ორიენტირებული ისეთი ცოდნა და განათლება, რომელიც შემდგომში მისი ცხოვრებისეული წარმატებისა და წინსვლის მყარი საფუძველი იქნება! – გიორგი მათიაშვილი (უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი).

*2013-2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი მოხვდა საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების ათეულში აბიტურიენტთა მოთხოვნისა და ვაკანტური ადგილების დაკომპლექტების მიხედვით.*



**გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში თქვენ გელით:**

* კომფორტული გარემო და კეთილგანწყობილი ატმოსფერო, აკადემიური დისციპლინა
* უნივერსიტეტის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს უახლესი ნორმატივების მიხედვით აღჭურვილ აუდიტორიებს, კაბინეტებს, ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს იმიტირებული სასამართლო დარბაზი, კრიმინალისტიკის ლაბორატორია; სასწავლო ბანკი და ტურისტული სააგენტო, რადიო და ტელელაბორატორიები
* საერთაშორისო კონტაქტები და უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან პარტნიორული ურთიერთობები
* უნივერსიტეტი მონაწილეობს ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ TEMPUS-ის პროგრამაში
* მაღალი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებელთა გუნდი
* სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა
* მრავალფეროვანი და საინტერესო სტუდენტური ცხოვრება

**უნივერსიტეტი დაინტერესებულ სტუდენტებს სთავაზობს ერთობლივ ქართულ-ბრიტანულ საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას ბირმინგემის კოლეჯთან ერთად. პროგრამის კურსდამთავრებულები მიიღებენ საერთაშორისო დიპლომს, რომლის მიხედვითაც მიენიჭებათ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.**



**უახლესი საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლების თანამედროვე მეთოდები და ინოვაციური მიდგომები – გააკეთეთ არჩევანი გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტზე!**





**სტუდენტთა უფასო ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ავტობუსები.**

**ღია კარის დღე 15 მარტს, 12 საათზე! უნივერსიტეტის ავტობუსები მოგემსახურებათ ცოტნე დადიანის №39-დან**

**მისამართი: თბილისი, სამღერეთის ქ№ 5**
**საკონტაქტო ინფორმაცია:**
**ტელ/ფაქსი: (995-32) 224 65 91; 266 15 12**
**ელ-ფოსტა: info@gttu.edu.ge**
**ვებ გვერდი: www.gttu.edu.ge**

# „ილუზიონისტი“

## ანუ განმმუხტველები

თუმცა **გასულ კვირას** (სამწუხაროდ, მიმდინარეშიც) **მთელი მსოფლიოს შეშფოთებული ყურადღება ყირიმისკენ იყო მიმართული**, ქართველი **საზოგადოების ერთგვარი განმუხტვა: ერთი მხრივ, მავანმა მსახიობმა** (ოღონდ ისაა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში: „მსახიობი“ ფრიად ხმამაღლაა ნათქვამი) **ორალური სექსის ხსენებით სცადა**, მავანმა **ჟურნალისტმა კი სარძევე ჯირკვლების ათამაშებით;** ხოლო მეორე მხრივ, **ხალხის რჩეულმა ბ-ნმა ხაჩიძემ – ცოცხალი ექსპერიმენტით**.

საქმე ის გახლავთ, რომ **გასულ კვირას ხალხის რჩეულმავე ვახტანგ ხმალაძემ საზოგადოებას წინა ხელისუფლების მიერ არჩევნების გაყალბების მეთოდი გაუმხილა**: კერძოდ, თითქოს **„კოკა-კოლა“ მარკირების სითხეს აუვნებელყოფს**, რამაც **მის კოლეგა გოგა ხაჩიძეს ექსპერიმენტის ჩატარების გზით ოპონენტის ბრალდების გაუვნებელყოფის იდეა გაუღვიძა**.

გაუღვიძა და გადაწყვეტილებაც უმალ სისრულეში მოიყვანა: **მარკირების სითხით, სანათითა და „კოკა-კოლით“ შეიარაღებულმა** ბ-ნმა **ხაჩიძემ ვიდეოჩანაწერში თითზე ჯერ მარკირების სითხე დაისხურა**, შემდეგ **თითზე დაინათა** (როგორც ნამდვილ ილუზიონისტს შეჰფეროდა), ბოლოს კი, **იგივე თითი „კოკა-კოლით“ სავსე ჭიქაში მოითავსა** (ზედაც, „ნაციონალური“ სიტყვა მოგვცა, რომ ხელები სუფთა ჰქონდა). თუმცა, **მისი ექსპერიმენტის თანახმად, „კოკა-კოლამ“ მარკირების სითხე მის თითს ვერ მოაშორა.**

ბუნებრივია, **ექსპერიმენტი მთლად ისეთი სიზუსტითაც არ ჩატარებულა, მის შედეგს წყალგაუსვლელის ეფექტი ჰქონდეს**, თუმცა ბუნებრივად **გააჩინა კითხვა: საიდან მოიპოვა რიგითმა დეპუტატმა მარკირების სითხე?!** ოღონდ ხალხის რჩეულს ამ კითხვაზე პასუხი აღარ გაუცია.

ასეა თუ ისე, ბ-ნი **ხაჩიძე დარწმუნებულია**, რომ ბ-ნი **ხმალაძე ერთხელ და სამუდამოდ ამხილა**, მაგრამ, **თუ გავიხსენებთ, რამდენი იწვალა** (ექსპერიმენტის ჩატარება მაქვს მხედველობაში), **არ ჯობდა, პირდაპირ ეთქვა, ის ოხერი არჩევნები როგორ ყალბდებოდა** (ხელის დასველებაც კი არ მოუწევდა)?!

# ერთი რუსულენოვანი = რუსეთის ჯარს

## შენ რომ ჩემთვის ავტონომია არ გიჩუქებიაო

**რაკი მოვლენები ისე განვითარდა** (რა თქმა უნდა, განა თავისით, რუსული სახელმწიფოს ძალისხმევით), რომ, თუნდაც, **ერთი რუსულენოვანი უდრის მთელი რუსეთის შეიარაღებულ ძალებს** (არა მხოლოდ საქართველოში, უკრაინაშიც სწორედ რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებების დაცვის ეგიდით მოქმედებს რფ-ს არმია), **სავსებით ლოგიკურია, იფიქრო, რაკი შენი მოქალაქე რუსულენოვანი ან რუსეთის მოქალაქეობის მქონეა,** ეს ნიშნავს, რომ, **ადრე თუ გვიან, მის „დასაცავად“ რუსული ჯარი თავს დაგესხმება** ან **თავზე დაუსხმელად გაიძულებს, დათმო ტერიტორია, სადაც აი, ის რუსულენოვნები ცხოვრობენ**.



იმ მიზეზით, რომ **6 მარტს ყირიმის უკრაინული ავტონომიის პარლამენტმა უკრაინის შემადგენლობიდან გასვლის გადაწყვეტილება მიიღო**, თუკი **16 მარტს დანიშნულ რეფერენდუმზე ყირიმელები** (რომლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ეთნიკური რუსია) **ამ გადაწყვეტილებას დაუჭერენ მხარს** (და რომ დაუჭერენ, რაკი მოსახლეობის უმრავლესობა რუსია, დღესავით ნათელია), მაგალითად, **კანადამ გასულ კვირას ქვეყნის ტერიტორიის დატოვება მოსთხოვა 9 რუს სამხედრო მოსამსახურეს**.

ამ ფაქტზე **ჯერჯერობით რეაქცია არ ჰქონია რუსულ დიპლომატიას,** თუმცა ისიც **ცხადია, რომ ევროპას გაცილებით ჭაკად აქვს საქმე** (მხოლოდ გერმანიაში რუსეთის მოქალაქეების რიცხვი მილიონს აღწევს), როგორც ის, რომ **ეთნიკურმა რუსებმა მოსიარულე ნაღმების დატვირთვა შეიძინეს** (არასდროს იცი, როდის „აფეთქდება“), რადგან, როგორც ჩანს, ამიერიდან და ყოველთვის: **ერთი ეთნიკური რუსი, არც მეტი, არც ნაკლები, უდრის რფ-ს მილიონიან არმიას – მოქმედს** პრინციპით: **შენ რომ ჩემთვის ავტონომია არ გიჩუქებიაო?!**

# მარაქაში გარეულები

## მესამე „ოსეთი“ – გამომუშავებით




შესაძლოა, იმიტომ რომ **მარაქაში გაერიონ**, ან იქნებ, **მეტად წრფელი მოტივებით,** თუმცა, **სულაც, იმ მიზეზით, რომ ვალში არიან, უკრაინის ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ხარკოვის ოსური დიასპორაც ჩაება.** ჯერჯერობით ჩაბმა მხოლოდ **იმით გამოიხატა, რომ ხარკოვში მცხოვრებ ოსებს თავიანთ თავზე აუღიათ საბჭოთა კავშირის გმირის, ენვერ ახსაროვის ძეგლის დაცვა.**

ოღონდ **მათი „საქმენი საგმირონი“ არც მთლად ამით ამოიწურება**. როგორც **ხარკოვის ოსური კულტურის ცენტრ „ალანიის“ პრეზიდენტი აცხადებს, მანამდე ხარკოველ ოს აქტივისტებს დაუცავთ ლენინის ძეგლიც და ადმინისტრაციის შენობაც.**

ხოლო **ოსური დიასპორის პრეზიდენტ ვინმე ახსარბეკ კოჩიევს უბრძანებია, რომ არც გმირების ძეგლების ხელყოფას დაუშვებენ** და **მიტინგსაც ჩაატარებენ, რომლებზეც ხელმოწერებს მოაგროვებენ და პრ. პუტინს სთხოვენ, დაეხმაროს ქალაქის მცხოვრებთა დაცვაში.**

იმის გათვალისწინებით, რომ **ყველაზე უკეთ ჩვენ მოგვეხსენება, რით სრულდება ხოლმე ასეთი ოსურ-სეპარატისტული მიმართვები**, არც ის არის გამორიცხული, **რფ-მ ამაგი კიდევ ერთხელ დაუფასოს და ხარკოვის ოსურ დიასპორას ხელი მესამე „ოსეთსაც“ გამოაკვრევინოს.**

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




განყოფილებები
პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ადევნებულები

რაკი ისე მოხდა, რომ **თვით იულია ლატინინაც** (თვით, ვინაიდან აქამომდე თავს პრ. პუტინს დაუძინებელ მტრად გვაჩვენებდა) **და რუსეთის მწერალთა კავშირიც იზიარებენ კრემლის სურვილებს ყირიმის ჩაჯიბვის მიმართულებით**, გასაკვირი აღარ უნდა ყოფილიყო, რომ **ტანზე ჩვენებური სეპარატისტებიც შემოიხევდნენ.**



**ასეც მოიქცნენ** (ლამის ერთმანეთს გადაასწრეს): ერთი მხრივ, **აფხაზეთის სამედიცინო-სანიტარული ბატალიონის ვეტერანებმა მოითხოვეს, ჩართონ ყირიმის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში**. ზედაც, დაამატეს, რომ **72-ნი არიან და 1992-1993 წლების ომის დიდი გამოცდილებით გამდიდრებულებიც.** რაც მთავარია, **ირწმუნებიან, რომ აღჭურვილნი არიან სამედიცინო დანიშნულების საშუალებებითაც, სპეციალური ტრანსპორტითაც და სრულ მზადყოფნაში მყოფნი შეძახილს ელოდებიან.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ **აფხაზეთის ტერიტორიიდან სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად პაციენტები ენგურს გადმოღმა გადმოჰყავთ**, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: **ყირიმში წასვლამდე იქნებ საკუთარი ავადმყოფებისთვის მიეხედათ?!**

მეორე მხრივ, **აქტივობით აფხაზ სეპარატისტებს არც ჩვენებური ოსი სეპარატისტები ჩამორჩებიან**. მედიკოსებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ **„იუჟნაია ოსეტიას“ „თავდაცვის სამინისტრომ“ განაცხადა, რომ მზად არის ყირიმში სამხედრო ძალით მიეშველოს ამღიარებელ რფ-ს!**

თუმცა აფხაზი სეპარატისტები მაინც ერთი ნაბიჯით წინ უსწრებენ: **მათ ვლადიმირ პუტინი წელს მშვიდობის ნობელის პრემიაზე წარადგინეს** (იმიტომ რომ **ემტრედებათ**)!



ჩვენ არ ვიცით, **რა თავში იხლის რფ ზემოხსენებულთა მიერ შეთავაზებულ დახმარებას** (თუმცა ერთგულების სადემონსტრაციოდ მშვენიერი შესაძლებლობაა), რადგან, როგორც უახლესი ისტორიის პრაქტიკა მოწმობს, **მათი სიმამაცე მხოლოდ რუსული ტანკების უკან ვლინდება.**

# „ვემსახურებით რფ-ს“!

# პავლე – იულიად

მართალია, **ერთ დროს იგი ჩვენი გულმხურვალე გულშემატკივარი იყო და რუსულ აგრესიას ლამის ჩვენზე გააფრთებით გმობდა** (და მერე რა, რომ, **მოარული ხმებით, ამ საქმეს მთლად უანგაროდ არ სჩადიოდა** და მის გულმხურვალობას ოკეანისგაღმური **„მწვანეების“ სუნიც ასდიოდაო?!)**, მაგრამ ისე მოხდა, რომ **პავლე სავლედ გადაიქცა** და რუსმა ჟურნალისტმა **იულია ლატინინამ განაცხადა: დიახაც რომ, ყირიმი რუსეთის შემადგენლობაში უნდა შედიოდესო** (აჭარაა, რუსეთის არც ერთი პოლიტიკური ფრთა არ უჩივის მადას).

**უნდა შედიოდეს, რაკი მოსახლეობას ასე უნდაო** – ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ჩვენმა ცხინვალის რეგიონმაც და აფხაზეთმაც რეფერენდუმებით გამოხატეს თავიათნი სიყვარული რფ-ისადმი, სრულიად გაუგებარია, ლოგიკურად იბადება კითხვა: ისინი რატომღა დაგვიჩაგრა პატ. ლატინინამ?!.

დაგვიჩაგრა თუ არა, **ამხანაგი ლატინინა თავის მოსაზრებებს მცირეოდენი განგარიშებითაც ამყარებს**: „აი, მაგალითად, **ოლიმპიადის ჩატარება 50 მილიარდი დოლარი დაჯდა**. წარმოვიდგინოთ, რომ ამ **50-დან 30 უკრაინას გადაეცა იმ პირობით, რომ ის ყირიმში რეფერენდუმს ჩაატარებდა ნახევარკუნძულის რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით, დარჩენილი 20 მილიარდი კი ამ რეფერენდუმის ჩატარებას მოხმარდებოდა**. ფალსიფიცირება და პოლიტიკური პიარი. რატომაც არა?! როგორც თავის დროზე ჟოზეფ დე მესტრიმ თქვა, **სახელმწიფოები მიღწევად მიიჩნევენ იმას, რაც ჩვეულებრივი ადამიანისთვის დანაშაულად აღიქმება.“**

რაც მთავარია, იგი დასძენს: **„უკრაინას ხელისუფლება არ ჰყავს, ის რეალურადაა დასუსტებული, ამ მომენტის გამოყენება და ერთი ნაგლეჯის წართმევა კარგი საქმე იქნება.“**

**ჩვენი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს,** რომელთა თანამოაზრეც ერთ დროს იყო კიდეც ზემოხსენებული ლატინინა, **ჯერჯერობით არ შეუფასებიათ იულიას ასე ერთი ხელის მოსმით სავლედ გარდასახვა,** თუმცა უკვე ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ, **თუ წარმოშობით ჩრდილოეთიდანაა, კუზიანს სამარეც ვერ გაასწორებს** – იმის გათვალისწინებით, რომ მეორე უბედურებაა, იქ მისი ჩაყვანა რომ, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

გვერდები მოამზადა
**ნინო ხაჩიძემ**

# ქობანების ლაციცში
# ანუ შეხვედრა ზღვაში

თუკი ყირიმში განლაგებული **რფ-ს შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტი მზადყოფნაშია მოყვანილი,** გავრცელებული ინფორმაციით, **შავი ზღვისკენ აშშ-ის სამხედრო ხომალდები მოემართებიან**. ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **ორთავ მხარეს ბირთვული შეიარაღებაც აქვს** და მათი **შეხვედრაც შავ ზღვაში იგეგმება**, უნდა გამოვტყდეთ, რომ **დიდად სასიამოვნო არ არის, ბირთვულქობანებიანი რაკეტების, მაინცდამაინც, ჩვენს ყურისძირში ლაციცი** (მაშინ, როდესაც ამ დედამიწაზე ზღვებისა და ოკეანეების ცვენაა).



სასიამოვნოა თუ გარდაუვალი, **ძნელია, არ დაეთანხმო** საპარლამენტო უმცირესობის წევრ ბ-ნ **წიკლაურს, რომ „საქართველოსგან განსხვავებით, უკრაინასთან მიმართებაში დასავლეთის რეაქცია უფრო სწრაფი იყო“**. თუმცა, მეორე მხრივ, **ის სიჩანტე იმასაც ნიშნავს, რომ იმდროინდელ ხელისუფლებას დასავლეთი მთლად ჯეროვნადაც „ნე უვაჟალ“.**

მეორე მხრივ, **ისიც საქმეა, თუ ახლა მაინც ირეაგირებს არა მხოლოდ სწრაფად, ადეკვატურადაც,** რადგან, თუმცა ბ-ნ ვაშაძეს ჰგონია, რომ რუსის ჯარი აქ აღარ დგას, **ვაი რომ, ისევ დგას და მერე რარიგ მრავალრიცხოვანი?!**

როგორც უნდა იყოს, ბ-ნი **წიკლაური მხოლოდ არსებული ვითარების შეფასებას არ დასჯერდა** და **რჩევებიც მოგვაშველა** (ჩვენ რა – დასავლელებს მიაშველა). მომყავს ციტატა: **„მიმაჩნია, რომ ამ პროცესში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული „ნატო“. „ნატოს“ მეტი აქტიურობა სჭირდება** (მიხვდებოდა ამდენს თავისით, ბ-ნ წიკლაურს რომ არ შეეხსენებინა?!).“

შესაბამისად, **ჩვენებური ხალხის რჩეული,** არც მეტი, არც ნაკლები, **ასკვნის: „ალიანსის საბრძოლო ძალები მზადყოფნაში უნდა იყვნენ მოყვანილი!“** ჩვენ, ბუნებრივია, არ ვიცით, **გაიზიარებს თუ არა „ნატოს“ სარდლობა ნუგზარ წიკლაურის რჩევა-მოწოდებებს, არც ის, „პარადს“ ვინ უხელმძღვანელებს** –, თუმცა ვიცით, **თუ** ბ-ნი წიკლაურის თანამოაზრე ბ-ნ **ბარამიძეს ვერწმუნებით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს უკრაინაში იწვევენ და გამოცდილების გაზიარებას სთხოვენ** (ნეტავ რომელის: როგორ დავმარცხდით ომში?!).“ მეტიც, დეპუტატმა **დაგვამუნათა** (ჩვენ რა, მთავრობა): **„თავი კი არ უნდა მოიკატუნო რომ არ გეომებიან, უნდა იომო, ძმაო** (აი, ძმაო-ალემაოო, რომ ეთქვა, მე რომ მკითხოთ, უფრო დამაჯერებელი იქნებოდა).“

თუ **ჩვენს დე-ფაქტო რუკას დავხედავთ** და **2008 წლის ცოცხალ შთაბეჭდილებებსაც გავიხსენებთ,** დამეთანხმებით, **ზემომოყვანილი მოწოდება ცოტა უხერხულად მოსასმენია** და თითქოს ბუნებრივად **ითხოვს პასუხს** (ინტონაციაში ჩვენს ხალხის რჩეულს დავესესხები): **„მერე გეომა, ძმაო, დაგიშალა ვინმემ?!“**


**ნდობის ტელეფონი**
**ინფიმი**
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**მართალია, რუსეთის პრეტენზიები ყირიმზე (გარდა პოლიტიკური მოტივაციისა, რომ უკრაინის რეალური დამოუკიდებლობის შემთხვევაში შავი ზღვის ფლოტის დასაყენებელი ადგილი აღარ რჩება), არაოფიციალურად, ძირითადად, ხრუშჩოვის მიერ 1954 წელს უკრაინისთვის ამ ნახევარკუნძულის ჩუქებას უკავშირება. თუმცა, მეორე მხრივ, ის ინფორმაციაც გავრცელდა, რომ ყირიმის ავტონომიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში, მასზე პრეტენზიას თურქეთი განაცხადებს. როგორ მოხვდა ყირიმის ნახევარკუნძული თავის დროზე მეფის რუსეთის შემადგენლობაში და რა მოხდა ამ ტერიტორიაზე? – ამ ისტორიულ ექსკურსს ისტორიკოსი ვახტანგ გურული ჩაგვიტარებს.**

# რატომ უწოდებენ სინამდვილეში მონღოლების შთამომავლებს ყირიმელ თათრებს და აქვს თუ არა დღევანდელ თურქეთს ყირიმის ნახევარკუნძულზე პრეტენზიის გაცხადების უფლება

**– ის კი ვიცით, როგორ მოხვდა ყირიმი უკრაინის შემადგენლობაში, მაგრამ როგორ გახდა ის რუსეთის ნაწილი და იქნება თუ არა სამართლიანი თურქეთის პრეტენზია?**

– მეცხრე საუკუნეში შეიქმნა ძველი რუსეთის სახელმწიფო, რომელსაც ეწოდებოდა კიევის რუსეთი, საიდანაც იწყება აღმოსავლეთ სლავების – რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების – სახელმწიფოებრიობის ისტორია. თუმცა მაშინ აღმოსავლეთ სლავები არ იყოფოდნენ რუსებად, უკრაინელებად და ბელორუსებად. მატიანემ ასეთი ცნებები არ იცის. მემატიანე ასახელებს 12 სლავურ ტომს და, თუ ამ 12 სლავური ტომის განსახლების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს, დაახლოებით, ემთხვევა რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიებს. კიევის რუსეთის შემადგენლობაში არასდროს ყოფილა ყირიმის ნახევარკუნძული, ისევე, როგორც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორია, უფრო მეტიც, არც დნეპრის ქვემო წელი. კიევის რუსეთი მეცამეტე საუკუნის 20-40-იან წლებში დაიპყრეს მონღოლებმა. მათ ტერიტორია მდინარე დუნაიდან დაწყებული ციმბირში, მდინარე ირტიშამდე, გააერთიანეს „ოქროს ურდოში“. მასში შედიოდა მთელი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი, ყირიმის ნახევარკუნძული, რუსეთი, ჩრდილოკავკასიაც, შუა აზიის ნაწილი და ციმბირის ნაწილიც, როგორც გითხარით, მდინარე ირტიშამდე. მაგრამ „ოქროს ურდომ“ დიდხანს ვერ იარსება და მეთხუთმეტე საუკუნეში ის დაიშალა ყირიმის, ასტრახანისა და ყაზანის სახანოებად. იყო კიდევ ერთი სახანო – ურალის გადაღმა, მას ციმბირის სახანო ეწოდებოდა.



მონღოლების უღლის გადაგდების შემდეგ, შეიქმნა მეორე რუსული სახელმწიფო ცენტრით მოსკოვში. კიევის გარშემო ახალი რუსული სახელმწიფო აღარ შექმნილა, იმიტომ რომ, ის ტერიტორია გავერანებული იყო, მონღოლებმა ნაცარტუტად აქციეს

**– როგორც ვხედავ, მონღოლებს ყველაზე მეტი პრეტენზია უნდა ჰქონდეთ ამ ტერიტორიაზე.**

– მონღოლების „ოქროს ურდოს“ ტერიტორია ვრცელდებოდა რუსულ ქალაქ ნოვგოროდამდე, ლადოგის ტბამდე, დასავლეთით – უნგრეთ-პოლონეთის საზღვრებამდე, ჩრდილოეთით – ბალტიისპირეთის საზღვრებამდე. მონღოლების უღლის გადაგდების შემდეგ შეიქმნა მეორე რუსული სახელმწიფო ცენტრით მოსკოვში.

**– ისევ კიევის გარშემო რატომ ვერ აღორძინდა?**

– მონღოლების გადაგდების შემდეგ, კიევის გარშემო ახალი რუსული სახელმწიფო აღარ შექმნილა, იმიტომ რომ, ის ტერიტორია გავერანებული იყო, მონღოლებმა ნაცარტუტად აქციეს. ამიტომ კიევიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მონღოლებისგან შედარებით დაცულ ტერიტორიაზე, მოსკოვის გარშემო დაიწყო ახალი რუსული სახელმწიფოს შექმნა, თუმცა დინასტია იგივე იყო – რიურიკების. მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეები ეს არის მოსკოვის რუსეთის გაძლიერების პერიოდი. ასე მოვიდა მეთექვსმეტე საუკუნე – რუსეთის ცნობილი მეფის, ივანე მრისხანის, ეპოქა. ივანე მრისხანემ 1552 წელს დაიპყრო და გააუქმა ყაზანის სახანო, შემდეგ დაიპყრო და გააუქმა ასტრახანის სახანო, მაგრამ ყირიმის სახანოს გაუქმება და შეერთება ვერ შეძლო.

**– ვინ შეადგენდა ყირიმის სახანოს მოსახლეობას?**

– ძველი რუსები იქ არ ცხოვრობდნენ. როგორც ასტრახანისა და ყაზანის, ისე ყირიმის სახანოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იყვნენ მონღოლები. ისინი იყვნენ და დღესაც არიან დიდი მონღოლების შთამომავლები, მაგრამ მონღოლებს მემატიანე რუსეთში უწოდებდა „თათრებს“; მეტიც, სადაც რუსი მემატიანე იყენებს სიტყვა „თათარს“, სინამდვილეში ეს არის მონღოლი. მონღოლების ერთ-ერთ ტომს რქმევია „თათარი“, რაც შემდეგ განაზოგადა რუსულმა მატიანემ. იმდენად ძლიერი იყო ყირიმის სახანო, რომ პოლონეთის სახელმწიფოს ებრძოდა, როგორც თანასწორს და ძალიან დიდ პრობლემას უქმნიდა. უფრო დიდ პრობლემას უქმნიდა მოსკოვის რუსეთს: ყირიმის ხანი რამდენჯერმე მოსკოვამდეც მივიდა და მოსკოვის გარეუბნები გადაწვა. მას ჰყავდა უძლიერესი ცხენოსანი ჯარი: ერთი პერიოდი ყირიმის ხანს შეეძლო 100 000-120 000 ცხენოსანი ჯარი შეეკრიბა. ასე რომ, ყირიმის ხანს გართულებული ურთიერთობა ჰქონდა პოლონეთთან და მოსკოვის რუსეთთანაც. სწორედ იმ პერიოდში მდინარე დნეპრზე, სადაც დღეს ქალაქი ზაპოროჟიეა, ჩამოყალიბება დაიწყო ახალმა ძალამ – კაზაკობამ. ძირითადად, ისინი იყვნენ რუსეთიდან გაქცეული გლეხები. კაზაკები არ ყოფილან მხვნელ-მთესველი ხალხი, ისინი იყვნენ მეომრები, რომლებიც ძარცვა-გლეჯით ირჩენდნენ თავს. მათ ძალიან ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ ყირიმის სახანოსთან. ფაქტობრივად, კაზაკები გადაეფარნენ რუსეთს, რადგან ყირიმის ხანს მუდმივად ეშინოდა იმის, რომ, თუ დაიძვრებოდა რუსეთისკენ, კაზაკები მის სახანოს აიკლებდნენ. კაზაკებმა ნაწილობრივ პოლონელებიც გადაარჩინეს. მაგრამ, როგორც არ გაძლიერდა მოსკოვის რუსეთი, ყირიმს მაინც ვერაფერი დააკლო.

**– რატომ იყო ყირიმის სახანო ასეთი უძლეველი?**

– ძალიან დიდი ტერიტორია ჰქონდა, ამიტომ რომ, როგორც კი რუსეთის ჯარი დაიძვრებოდა, მაშინვე სტეპს გადაწვავდნენ ყირიმელები და კვამლისგან შეწუხებული რუსის ჯარი წინ ვეღარ მიიწევდა. ბოლოს, ყირიმს სერიოზულად შეუტიეს მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს, თავდაპირველად, მცირეწლოვანი პეტრე პირველის დამ და მისმა ფავორიტმა ვასილ გოლიცინმა, თუმცა ეს ლაშქრობა ჩაიშალა. არადა, წელიწადი არ გავიდოდა ყირიმელებს ორ-სამჯერ არ ელაშქრათ პოლონეთსა და რუსეთზე. შეუფერხებლად მიდიოდნენ ტულამდე. მოგვიანებით, პეტრე პირველმაც ილაშქრა ყირიმის სახანოზე, როდესაც შავიზღვისპირეთში ფეხის მოკიდება გადაწყვიტა.

**– მხოლოდ რუსეთი ცდილობდა ყირიმის სახანოს ხელში ჩაგდებას? რას აკეთებდა ამ დროს ოსმალეთის იმპერია, ანუ თურქეთი?**

– როდესაც ოსმალეთის იმპერია, თურქეთი გაძლიერდა, ყირიმის ხანი გახდა ოსმალეთის სულთნის ვასალი, შინაურ საქმეებში ის დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, მაგრამ აღიარებდა ოსმალეთის სულთნის უზენაესობას. თუმცა ეს მაინც არაფერს ნიშნავდა, რადგან ყირიმის ხანი დამოუკიდებლად განაგებდა ქვეყანას. ასე რომ, როდესაც პეტრე პირველმა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის დაუფლებისთვის დაიწყო ზრუნვა, ბრძოლა დაიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, უშუალოდ ყირიმს პეტრემ ვერ შეუტია, მას აინტერესებდა აზოვის ციხე-სიმაგრე, სადაც დონი ჩაედინება აზოვის ზღვაში და 1700 წლის ზავით აზოვი დარჩა კიდეც რუსეთს. ეს იყო წარმატების მაქსიმუმი. პეტრემ ვერ შეძლო ყირიმის სახანოს ლიკვიდაცია, თუმცა ეს მისი გეგმა არც ყოფილა. მას მაშინ აინტერესებდა გასასვლელი ბალტიის ზღვაზე, სადაც უნდა დაემარცხებინა შვედეთი და შავი ზღვა მისთვის მეორეხარისხოვანი იყო. თუმცა შვედეთთან ომის დროს, რომელიც 21 წელს გაგრძელდა, პეტრემ სცადა შავიზღვისპირეთში დასავლეთიდან შეჭრა, მაგრამ ეს კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ამდენად, მისი ეს მცდელობაც მარცხით დასრულდა და პეტრეს ყირიმის სახანოს დაპყრობის მცდელობა აღარ ჰქონია. პეტრეს გარდაცვალების შემდეგ რუსეთში სახელმწიფოებრივი ცხოვრების კრიზისი დაიწყო, რაც გრძელდებოდა მანამ, სანამ რუსეთის იმპერატორი არ გახდა ეკატერინე მეორე. მან სერიოზულად სცადა შავიზღვისპირეთში ფეხის მოკიდება, მაგრამ ეს უკვე იყო ბრძოლა არა ყირიმის სახანოს, არამედ – თურქეთის წინააღმდეგ, რადგან ყირიმის ხანი ოსმალეთის სულთნის ვასალი იყო.

1768-1774 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი, რომლის მთავარი ფრონტი გადიოდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთზე და არა ყირიმის სახანოს ტერიტორიაზე, ყირიმიდან დასავლეთით. რუსეთმა თურქეთი დაამარცხა და თურქეთმა დათმო პოზიციები: 1774 წელს, რუსეთ-თურქეთის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, ყირიმის სახანო გამოცხადდა დამოუკიდებლად, ანუ მიიღო იგივე სტატუსი, რაც ჰქონდა თურქეთის ვასლად გახდომამდე. ეს თურქეთისთვის დიდი დარტყმა იყო, რადგან რუსეთის მომავალი ბრძოლა ყირიმის სახანოსთან აღარ ნიშნავდა ომს თურქეთის წინააღმდეგ, ეს ნიშნავდა ომს ყირიმის ხანთან, რომელიც რუსეთთან მარტო რჩებოდა.

**– თურქეთი ვერ მიეშველებოდა ყირიმის სახანოს ამ ზავის შემდეგ რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში?**

– თურქეთში კარგად გაიაზრეს, რომ ყირიმის სახანო გაიწირა და 1787 წელს თურქეთმა ყირიმის უკან დაბრუნება მოითხოვა, რაზეც რუსეთმა უარი განაცხადა და დაიწყო რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი. თურქეთი სასტიკად დამარცხდა და 1791 წლის იასის ზავით, თურქეთმა ყირიმის სახანო რუსეთის ტერიტორიად ცნო. ამის შემდეგ უკვე რუსეთმა ამ ტერიტორიების ათვისება დაიწყო და მთელ შავიზღვისპირეთს ოფიციალურად ეწოდა მალოროსია. აქ აღმოცენდა ქალაქები: ეკატერინოსლავი, ხერსონი, ნიკოლაევი, ეკატერინოდარი, ოდესა და სევასტოპოლიც ამ პერიოდში იქცა დიდ ქალაქად. ეს ტერიტორია იყო რუსეთის ტერიტორია, სანამ რუსეთის იმპერია არ აღესრულა. შემდეგაც ის იყო რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში, მაგრამ მოხდა ასეთი მოულოდნელი რამ: სტალინის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის პირველი პირი გახდა ნიკიტა ხრუშჩოვი. სხვათა შორის, მასზე ამბობდნენ, რომ უკრაინელი იყო. ის და-

(გაგრძელება მე-9 გვერდზე)

# სუხიშვილის უნივერსიტეტი

## გიწვევთ სასწავლებლად 2014-2015 სასწავლო წელს

## გააკეთე სწორი არჩევანი, შემოხაზე 058

* უნივერსიტეტი ფუნქციონირებს გორში და თბილისში.
* უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია სპეციალისტების მომზადების მაღალი დონის პირობებით.
* უნივერსიტეტს მიღებული აქვს ევროპული განათლების ხარისხის ნიშანი და ევროპული განათლების ლაურეატის მედალი. რექტორი არჩეულია ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების რექტორთა კლუბის წევრად.
* სტუდენტები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ სემესტრულ გამოცდებს, მიეცემათ სტიპენდია, სოციალურად დაუცველებს კი შეღავათი – 10-15 პროცენტი.
* ქველმოქმედების მიზნით, უნივერსიტეტში უფასოდ ფუნქციონირებს სოციალურად დაუცველი აბიტურიენტების მომზადების კურსები ყველა პროგრამით.
* სურვილის შემთხვევაში, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, სტაჟირება გაიარონ უნივერსიტეტთან დამეგობრებულ უცხოეთის უნივერსიტეტებში: ინგლისში, უკრაინაში, ესპანეთში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სომხეთში.

მისამართი: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილი 9.
ტელეფონები: 0(370) 27-05-57; 0 (370) 27 -24-08; 0 32 2 51 94 95; 0 32 2 22 50 62; თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქუჩა 9ა (ყოფილი ჯიქიას ქუჩა).
e-mail: sukhishvili.university@yahoo.com
web: www.sukhishvilebi.edu.ge
facebook:www.facebook.com/sukhishviliUni

## საბაკალავრო პროგრამა

| | საბაკალავრო პროგრამა | ადგილების რაოდენობა | სწავლის საფასური | | არჩევითი საგნები |
|---|---|---|---|---|---|
| | | | გორი | თბილისი | |
| 1 | ბიზნესის ადმინისტრირება | 90 | 2 250 | 2 750 | ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა; |
| 2 | საჯარო მმართველობა | 80 | 2 250 | 2 750 | ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა; |
| 3 | საერთაშორისო ურთიერთობები | 70 | 2 250 | 2 750 | ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა; |
| 4 | ტურიზმი | 120 | 2 250 | 2 750 | ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა, მათემატიკა; |
| 5 | ეკოლოგია | 15 | 2 000 | 2 000 | ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია; |
| 6 | ფარმაცია | 15 | 2 000 | 2 000 | ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა; |
| 7 | სასურსათო ტექნოლოგიები | 15 | 1 800 | 2 000 | ისტორია, ქიმია, ბიოლოგია; |
| 8 | საინფორმაციო ტექნოლოგიები | 20 | 2 000 | 2 500 | ისტორია, მათემატიკა; |
| 9 | აგრონომია | 15 | 1 800 | 1 800 | ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია; |
| 10 | სატყეო საქმე | 15 | 1 800 | 2 000 | ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია; |
| 11 | ინგლისური ფილოლოგია | 15 | 2 200 | 2 500 | ისტორია, ლიტერატურა. |

* უცხოელებისათვის, ვინც არ ფლობს ქართულ ენას, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ქართული ენის შესწავლის პროგრამა.

# ალექსიშვილის კლინიკა

## ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – ეს იმ ჩივილების არასრული სიაა, რომელიც თან ახლავს ბუასილს, რომელიც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მასიურ დაავადებად იქცა. თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. თუმცა ხშირ შემთხვევაში ეფექტი დროებითია, რადგან ოპერაცია ვერ ახერხებს დაავადების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზის კუჭ-ნაწლავის პრობლემის მოწესრიგებას. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება. მკურნალობის ამ კომპლექსური გზით, კლინიკაში უამრავ იმედგადაწურულ, საოპერაციოდ განწირულ პაციენტს უმოკლეს ვადაში უბრუნებენ სიცოცხლის ხალისს.**

**დავით ჯანიკაშვილი,** *45 წლის, მათემატიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი.*

– პირდაპირ შემიძლია, გითხრათ – ეს სასწაულია. ორი წლის წინ ოპერაცია გავიკეთე, მაგრამ მალე ჩივილები ისევ განმიმეორდა. მანამდე 15 წელი მაწუხებდა ეს პრობლემა და როგორ არ ვიმკურნალე. ამ კლინიკაში კი ერთი ხელის მოსმით, მსუბუქად და სწრაფად მომიგვარეს ეს ურთულესი პრობლემა. ქალბატონო მანანა, ქედს ვიხრი თქვენი ფასდაუდებელი ცოდნის წინაშე. ღმერთმა გაგაძლიეროთ, ამინ!

**დოდო დონდუა,** *42 წლის, კერძო ბიზნესი:*

– ათენიდან ახლახან ჩამოვედი. იქ ვმუშაობ უკვე მრავალი წელია, სიმძიმეების აწევა მიხდება და, როგორც ჩანს, ესეც ცუდად მოქმედებს. მე სამკურნალოდ არ მოვსულვარ ქალბატონ მანანასთან, გასაცნობად და მადლობის სათქმელად მოვედი ჩემი და ჩემსავით იქ ჩასული ქართველების სახელით. ამ ორი თვის წინ ძალიან ცუდად ვიყავი. ძლიერი სისხლდენა მქონდა, ჰემოგლობინი დამეწია. საოპერაციოდ მამზადებდნენ. ჩემი ოჯახის წევრებმა აქედან გამომიგზავნეს მანანა ექიმის წამლები და ათენში ჩავიტარე მკურნალობა. ასე, ჩემსავით, იქ ბევრმა იმკურნალა არა მარტო ბუასილზე და ყველამ საუცხოო შედეგი მიიღო. არ შემეძლო, მადლობის გარეშე წავსულიყავი თბილისიდან.

**ჯემალ ფარქოსაძე,** *51 წლის, ხარაგაული, მძღოლი:*

– დიდი ხანია, ბუასილი მაწუხებს. შოფერი კაცი ვარ და ვერ მოვიცალე, რომ მიმეხედა. მაგრამ ასეთი საშინელი ტკივილები არასდროს მქონია, რა აღარ ვიკეთე – აფთიაქის წამლები, მალამოები, შინაურული „მაზები“, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, შედეგი არ მქონდა. ქალბატონ მანანასთან ბევრმა ჩემიანმა მოირჩინა თავი და მეც მოვედი. ქალბატონმა მანანამ დანიშნულება



მომცა და მითხრა, თუ გინდა, მწვავე ტკივილი დღესვე მოგიხსნა, ერთი ნემსი გამაკეთებინეო. ისე კაი დაგემართოს, როგორც მე იმავე საღამოს მოვისვენე. მკურნალობით ძალიან კმაყოფილი ვარ.

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

**თამუნა ნიჟარაძე**

**კავშირ „საფარის“ შეთავაზებით საკანონმდებლო ინიციატივა მომზადდა, რაც, ერთი მხრივ, კანონმდებლობაში გაუპატიურების უფრო ზუსტ განმარტებას გულისხმობს და მოძალადეების ადეკვატურ დასჯაში დაეხმარება მართლმსაჯულებას; მეორე მხრივ კი, გადაკიდების, როგორც დანაშაულის, სავსებით ახალ დეფინიციას გვთავაზობს, რაც მოქალაქეებს აბეზრებისგან თავის დაცვის საშუალებას მიანიჭებს. უფრო დაწვრილებით საკანონმდებლო ინიციატივებს კავშირ „საფარის“ აღმასრულებელი დირექტორი ბაია პატარაია განგვიმარტავს.**

# რას ნიშნავს გადაკიდება და როგორ დაისჯებიან ადამიანები, რომლებიც სხვა ადამიანებს გამუდმებით დევნიან და თავს აბეზრებენ

**– რა არის თქვენი ორგანიზაციის საკანონმდებლო ინიციატივების არსი?**

– ჩვენს საკანონმდებლო ინიციატივას ორი მიმართულება აქვს: ერთი ნაწილი ეხება სქესობრივ დანაშაულებს, მეორე – გადაკიდებას, რაც არ არის სქესობრივი დანაშაული და ამიტომ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავში მოხვდა, მაგრამ შინაარსობრივად ეს არის ნოვაცია.

სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის ის თავი, რომელიც ეხება სქესობრივ დანაშაულს, შევადარეთ საბჭოთა კავშირის დროს მოქმედი კოდექსის ანალოგიურ თავს და აღმოვაჩინეთ, რომ მინიმალური ცვლილებებია შესული. ანუ რეალურად ამ თავზე თითქმის არავის უმუშავია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ამიტომ იქ არის ძალიან უცნაური მუხლები და ტერმინები, რომლებიც ცნობილია მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცისთვის, იმ ქვეყნებისთვის, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სისხლის სამართლის მნიშვნელოვანი რეფორმა არ გატარებულა. ევროპისა და ამერიკის სამართლებრივი სისტემები საერთოდ არ იცნობენ ასეთ ტერმინებს.

**– კერძოდ, რას გულისხმობთ?**

– მაგალითად: მამათმავლობის, გაუკუღმართებული სექსუალური იძულებითი კავშირის ცნებები. ეს დანაშაულებრივი ქმედებები ცალ-ცალკეა დაყოფილი. მაგალითად, საერთოდ არ არის გაუპატიურების, როგორც დანაშაულის, აღწერა. შინაარსით მიხვდები, რომ გაუპატიურება იგულისხმება. თანაც, გაუპატიურებად ითვლება მხოლოდ მამაკაცის მიერ ქალის იძულება სქესობრივი კავშირისთვის.

**– უფრო გასაგები რომ იყოს მკითხველისთვის, მოქმედი კოდექსით, როგორ არის ფორმულირებული სქესობრივი დანაშაული?**

– 2006 წლის ცვლილების შემდეგ, მოქმედი კოდექსით, გაუპატიურების მუხლი შემდეგნაირია: გაუპატიურება, ესე იგი, სქესობრივი კავშირის დამყარება ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. სქესობრივ კავშირში კი მოიაზრება მხოლოდ მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა. ამის ფიქრის საფუძველს ის გვაძლევს, რომ შემდეგი მუხლები ცალკე გამოყოფს, როგორც დანაშაულს მამათმავლობასა და ლესბოსელობას, ისე, სხვა სახის სქესობრივი კონტაქტის დამყარებას გაუკუღმართებული ფორმით ძალადობით ან ძალადობის მუქარით. შემდეგი მუხლი ეხება სახელგამტეხი ცნობების გახმაურების მუქარას. ჩვენ ეს მუხლები გავაერთიანეთ ერთი, გაუპატიურების მუხლის ქვეშ. არ აქვს მნიშვნელობა, რა მოტივით ხორციელდება ის და ცალკე გამოვყავით სხვა ქმედებები, რაც არ არის გაუპატიურება, მაგრამ სხვა ტიპის სექსუალური ძალადობაა.

**– გაუპატიურების თქვენ მიერ შეთავაზებული განმარტება როგორია?**

– ახალი მუხლი, ჩვენი ინიციატივით, განიმარტება შემდეგნაირად: პირის თანხმობის გარეშე სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევა სხეულში სხვა ადამიანის სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით. ეს დეფინიცია სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ამიტომ სხვა, უცნაური მუხლების საჭიროება აღარ არის. ბუნებრივია, ყველა მუხლს აქვს თავისი დამამძიმებელი გარემოებები. მოქმედი კოდექსით, ანალური გაუპატიურება საერთოდ არ ითვლებოდა გაუპატიურებად და ეწოდებოდა გაუკუღმართებული სქესობრივი ძალადობრივი კავშირი. ამ ტიპის დანაშაულისთვის ცალკე მუხლი საბჭოთა დროს იმისთვის არსებობდა, რომ ამ ადამიანების სტიგმატიზაცია მომხდარიყო. ასევე, როგორც გითხარით, დაემატა საინტერესო მუხლი, რომელიც მოიცავს ისეთი სახის სქესობრივი კონტაქტის იძულებას, რაც არ არის გაუპატიურება. ერთი სიტყვით, ჩვენ მიერ შეთავაზებული ახალი მუხლი მოიცავს ყველა ტიპის ძალადობას, რაც აუცილებელი არ არის გაუპატიურებით იყოს გამოხატული.



**დაემატა საინტერესო მუხლი, რომელიც მოიცავს ისეთი სახის სქესობრივი კონტაქტის იძულებას, რაც არ არის გაუპატიურება**

**– სხვა ტიპის ძალადობაში რა იგულისხმება?**

– მაგალითად, შეიძლება, აიძულო ადამიანს შეხება და ასე შემდეგ. ესეც ცალკე გამოიყო, როგორც ძალადობის ფორმა. ასევე, მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მუხლი, რომელიც ეხება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კონტაქტის დამყარებას ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ მოქმედებას. ასეთი ქმედება მოქმედი კოდექსითაც ისჯება, მაგრამ დავამატეთ შენიშვნა: მოგეხსენებათ, 16 წლის ზემოთ ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის დამყარება არ ისჯება, გავაკეთეთ ისე, რომ, თუ ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი დამყარდება14-დან 16-წლამდე ასაკის ბავშვებს შორის, როდესაც მათი ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ემოციური განვითარების დონე თანაბარია, ასეთი ქმედება არ დაისაჯოს. ანუ ნებაყოფლობითი კავშირი 15 წლის ასაკის ორ მოზარდს შორის აღარ დაისჯება, რადგან არ მიგვაჩნია დანაშაულად. თუმცა 14-წლამდე ასაკის შემთხვევაში, რაც უნდა ნებაყოფლობითი იყოს, ნებისმიერი სექსუალური კონტაქტი ითვლება დანაშაულად.

**– ორივე 14-წლამდე და თანახმა რომ იყოს?**

– დიახ, ისჯება, ოღონდ შედარებით მსუბუქად: 2-დან 7 წლამდე, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევებში სასჯელი გაცილებით მაღალია.

**– ძალიან საინტერესოა გადაკიდება, როგორც დანაშაულის ფორმა. თქვენ როგორ განმარტავთ ამ ქმედებას?**

– ეს არის ნოვაცია, არანაირ მსგავს მუხლს არ იცნობდა და არ იცნობს ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, თუმცა ჩვენთვის ფილმებიდან ნაცნობი ფენომენია. გადაკიდება ეს არის არაკანონიერი თვალთვალი, განმეორებითი შევიწროება, დევნა, მუქარა, პირადი სატელეფონო და ელექტრონული საშუალებებით კომუნიკაციის დამყარება ან ნებისმიერი სხვა ქმედება, რაც მსხვერპლში იწვევს ძლიერ ფსიქოლოგიურ სტრესს, საფუძვლიან შიშს, რომ მისი, მისი საკუთრების ან მისი ახლობლის წინააღმდეგ გამოყენებული იქნება ძალადობა და რაც აიძულებს მსხვერპლს, მნიშვნელოვნად შეცვალოს ცხოვრების სტილი.

ბუნებრივია, ყველანაირი გადაკიდება ვერ ჩაითვლება დანაშაულად, საუბარია იმაზე, რომ ეს უნდა იყოს განმეორებითი, არასასურველი და საფუძვლიან შიშებს იწვევდეს ადამიანში, რომ ეს ყველაფერი შეიძლება, დამთავრდეს ძალადობით და ამ მიზეზით ადამიანს უწევს თავისი ცხოვრების ჩვეული წესის შეცვლა. მაგალითად, აღარ გამოდის სახლიდან მარტო, არ გამოდის სახლიდან ღამით, სარგებლობს მხოლოდ ტაქსით და ველარ დადის საზოგადოებრივი ტრანსპორტით, გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომერი. თუ ასეთი ტიპის მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარება უწევს ადამიანს, იმიტომ რომ თავიდან მოიშოროს გადაკიდებული პირი, ეს უკვე ხდება სისხლის სამართლის დანაშაული და შეიძლება, დაისაჯოს როგორც საზოგადობერივად სასარგებლო შრომით, ასევე, თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით. თუმცა ამ მუხლსაც აქვს თავისი დამამძიმებელი გარემოებები. მაგალითად, როდესაც ეს ხდება არასრულწლოვნის მიმართ ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ან იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, ხუთ წლამდეც კი გაიზარდოს სასჯელი.

**– სიმართლე გითხრათ, დარწმუნებული ვიყავი, რომ, თუ ვინმე შეგაწუხებს ტელეფონით ან თავისი არსებობით, პატრული უნდა გამოგეძახებინა. მე გამომიყენებია ეს მეთოდი, ძალიან ეფექტიანად და სხვებისთვისაც მირჩევია.**

– პატრული მოვა კიდეც, რეაგირებას მოახდენს თქვენს შეტყობინებაზე. საერთოდაც, ეს ნოვაცია საზოგადოებრივი საჭიროებიდან მოდის. ბევრი შემთხვევა გვქონდა, როდესაც პატრული მისულა, წაუყვანია ასეთი პირი, ხელწერილი დაუწერინებია, რომ აღარ გაიმეორებს იმავეს, მაგრამ ამ ტიპის ადამიანებზე ეს არ მოქმედებს. არადა, თუ სხვა დანაშაულს არ ჩაიდენდა, ფიზიკურად თუ არ გეხებოდა, არაფერს გიშავებდა, პოლიციასაც თუ ემორჩილებოდა, მიჰყვებოდა და წერდა ხელწერილს, დაუსჯელი რჩებოდა. პოლიციასაც ყელში ამოსდიოდა მისი წაყვანა და გამოშვება და მსხვერპლიც უფრო წუხდებოდა, რადგან ხედავდა, რომ პოლიციითაც კი ველარ იშორებდა. ერთი სიტყვით, თუ სხვა დანაშაულის ნიშნები არ იყო, ძალიან წვალობდა სამართლადამცველი ორგანოებიც და ჩვენც. ახალი ფორმულირება კი გვაძლევს საშუალებს, რომ არ დაველოდოთ ასეთი პირის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენას – თუ ისე შეაწუხებს ადამიანს, რომ მსხვერპლს მოუწევს ცხოვრების წესის შეცვლა და მაინც ვერ იშორებს თავიდან, აუცილებელია, ჩაერიოს სახელმწიფო და რეაგირება მოახდინოს პატრულმა არა მარტო ხელწერილით და განყოფილებაში წა-

# რატომ უწოდებენ სინამდვილეში მონღოლების შთამომავლებს ყირიმელ თათრებს და აქვს თუ არა დღევანდელ თურქეთს ყირიმის ნახევარკუნძულზე პრეტენზიის გაცხადების უფლება

(მე-6 გვერდიდან)

იბადა კურსკის ოლქში, ანუ რუსეთში, თუმცა ახლოს უკრაინასთან და შეიძლებოდა, მართლაც ყოფილიყო წარმოშობით უკრაინელი, მაგრამ მაშინ ხაზი არ ესმებოდა ეროვნებას. იცით, რომ 1654 წელს უკრაინა კაზაკების ჰეტმანის, ბოგდან ხმელნიცკის ინიციატივით შეუერთდა რუსეთს.

**– თუმცა დოკუმენტი არ არსებობს.**

– ისეთი დოკუმენტი, მაგალითად, როგორიც გეორგიევსკის ტრაქტატია, არ არსებობს, მაგრამ მატიანეში ეს ფაქტი აღწერილია. 1954 წელს ამ თარიღიდან სამასი წელი სრულდებოდა და სრულიად მოულოდნელად, საზოგადოებრივი აზრის დამუშავების გარეშე, გამოქვეყნდა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება: უკრაინის რუსეთთან შეერთების სამას წლისთავთან დაკავშირებით ყირიმი გადაეცეს უკრაინას. არანაირი დასაბუთება ამ გადაწყვეტილებას არ ჰქონია, თუმცა მაშინ არანაირი დასაბუთება არც კეთდებოდა.

არსებობს ორი მოსაზრება: ხრუშჩოვი იყო უკრაინელი და ამიტომ აჩუქა ეს ტერიტორია უკრაინას, რაც პირადად ჩემთვის არ არის დასაბუთებული ვერსია და მეორე, ჩემი აზრით, უფრო მყარი ვერსია: ეს იყო ჩაფიქრებული იმისთვის, რომ, რადგან ყირიმის მოსახლეობა თავისი ორიენტაციით რუსული იყო, ამით გარკვეული ფორფოსტი შეექმნათ უკრაინაში, რომ რუსული გავლენა უფრო გაძლიერებულიყო. თუმცა ეს ვერსიაც არ არის ბოლომდე დასაბუთებული, ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ამ ჟესტში რაღაც ფარული აზრი იყო ჩადებული.

**– ყოველი შემთხვევისთვის, დავაზუსტებ: ყირიმის ავტონომიის მოსახლეობის 24 პროცენტი, ყირიმელი თათრები, არიან მონღოლების შთამომავლები, რუსული მოსახლეობა კი ეკატერინეს დროს ჩაასახლეს ყირიმის ნახევარკუნძულზე?**

– ყირიმის მიერთების შემდეგ რუსები მასობრივად შევიდნენ ყირიმში და ამას ჰქონდა თავისი მიზეზი. კაზაკები ძალიან მერყევი პოლიტიკური ორიენტაციის ხალხი იყო: ხან პოლონეთის მხარეს იყვნენ, ხან – რუსეთის. მაგალითად, ბოგდან ხმელნიცკი, მართლია, დიდი როლი შეასრულა უკრაინის რუსეთთან მიერთებაში, მაგრამ შემდეგ განუდგა მათ. თან, კაზაკებს არ ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფოებრიობა, ამიტომ ეკატერინეს ეშინოდა, რადგან არ იცოდა, საით გადაიხრებოდნენ. შესაბამისად, როდესაც 1768-1774 წლების ომის დროს კაზაკები გაიწვიეს ომში, ეკატერინემ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში დაბრუნებულ რუსეთის ჯარს ვერაგულად უბრძანა, აეყარათ კაზაკების ოჯახები ზაპოროჟიეს მიდამოებიდან და გადაესახლებინათ ყუბანში. როდესაც კაზაკთა ჯარი დაბრუნდა და ნახა, რომ დაცლილია მათი საცხოვრებელი ადგილი, თვითონაც წავიდნენ ყუბანში, ვინც არ წავიდა, ძალით გარეკეს. ასე რომ, ზაპოროჟიეს ტერიტორიაც გათავისუფლდა და იქაც მასობრივად შეუშვეს რუსული მოსახლეობა. უამრავ შეღავათს აძლევდნენ: მიწას უფასოდ ურიგებდნენ, სახელმწიფო აძლევდა მრავალწლიან კრედიტს. ყირიმის იმ ახალი ქალაქების მოსახლეობა, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, სულ რუსები იყვნენ. შემდეგ იქ ფაბრიკა-ქარხნები ამუშავდა, სადაც ისევ და ისევ რუსები მუშაობდნენ. შემდეგ საფორტიფიკაციო ნაგებობები აიგო, სამხედრო ფლოტი ჩადგა, რომლის მოსამსახურეებიც, ძირითადად, რუსები იყვნენ და თადარიგში გასული ოფიცრები, როგორც წესი, იქვე რჩებოდნენ საცხოვრებლად.

**– თქვით, რომ ყირიმი სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით გადაეცა უკრაინას. ეს იურიდიულად გამართული აქტია თუ სადავოა, თუმცა აქვე ვიტყვი, რომ რუსეთმა სსრკ-ის დაშლის შემდეგ უკრაინა ყირიმთან ერთად ცნო.**

– ყველა ამ საზღვრებში აღიარებს უკრაინას, არა მხოლოდ რუსეთი, მაგრამ აქ არის ორი მომენტი: თუ ჩვენ მაშინდელი კანონმდებლობით ვიხელმძღვანელებთ, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იყო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. უფრო ზუსტად, უმაღლესი ორგანო იყო უმაღლესი საბჭო, მაგრამ ის იკრიბებოდა სესიაზე და ამიტომ სესიიდან სესიამდე უმაღლესი ორგანოს როლს ასრულებდა პრეზიდიუმი. შესაბამისად, კონსტიტუციურად მას ჰქონდა ასეთი აქტის გამოცემის უფლება, მაგრამ უკრაინა და რუსეთი ხომ ორივე სუვერენული სახელმწიფო იყო 1922 წლის 30 დეკემბრის დეკლარაციით?! ესე იგი, მათი მორიგების საფუძველზე უნდა მომხდარიყო ტერიტორიის გადაცემა, რა შუაში იყო სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი?! იყო მეორე გზა – რეფერენდუმი ჩატარებულიყო ყირიმში, მაგრამ არც ეს გაკეთებულა. თვითონ ამ დოკუმენტს, როგორც გითხარით, არანაირი დასაბუთება და მოტივაცია არ ჰქონია, არის ერთი ფარატინა ფურცელი. ასეთი რამეები ხდებოდა მაშინ. თუ ცოტა უფრო ღრმად ჩავხედავთ საკითხს: იმ დროს გამოცემული ყველა ბრძანება უკანონოა, რადგან თვითონ კონსტიტუცია ისე იყო დაწერილი, რომ იძლეოდა უკანონო ბრძანებების გამოცემის უფლებას. რაც შეეხება რუსეთის დღევანდელ პრეტენზიას: არც დაისმებოდა ყირიმში ეს საკითხი, რომ არ მომხდარიყო, რაც მოხდა. ყირიმი შესანიშნავი ანკლავი იყო და არის რუსეთისთვის, თუ მას რამე ცუდის გაკეთება უნდა უკრაინისთვის. ამდენად, რუსეთი ველარ დასვამს საკითხს კანონიერია თუ უკანონო 1954 წლის აქტი, რადგან 1954 წლის შემდეგ რუსეთს მრავალგზის შეეძლო ამ აქტის გადახედვა, შეეძლო, ოფიციალურად დაეყენებინა ეს საკითხი როგორც სსრკ-ის დაშლამდე, ისე დაშლის შემდეგაც, რაც მას არ გაუკეთებია.

**ნინო ხაჩიძე**

---

ყვანით, არამედ, სამართლადამცავ ორგანოსაც ჰქონდეს ბერკეტი, რომ მოგაცილოს ადამიანი, რომელიც ცხოვრებას არ გაცლის.

**– და ეს ეხება არა მარტო საპირისპირო, ერთი სქესის ადამიანების ურთიერთობას.**

– რა თქმა უნდა. სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთი გადაკიდება არ იყოს დაკავშირებული რომანტიკულ გარემოებებთან. ეს შეიძლება, იყოს ზეწოლა მოწმეზე ჩვენების შეცვლის მიზნით, კონკურენტ ბიზნესზე ზეწოლა, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რაც დამამძიმებელ გარემოებებად ითვლება. თუმცა, ზოგადად, ევროპაში, ამერიკაში, სადაც ეს საკმაოდ ადაპტირებული მუხლია და დიდი ხანია არსებობს, როგორც წესი, ამ ტიპის დანაშაულის მსხვერპლნი არიან ქალები, თუმცა ეს ერთადერთი მოტივი არ არის.

**– თუმცა მე ვიცნობ ქალებს, რომლებიც საფუძვლიანად და ლამის ტერორისტულად სდევნიან კაცებს?**

– რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევებიც არის: სდევნიან, ემუქრებიან, გადაეკიდებიან მათ პარტნიორ ქალებს...

**– სამსახურში ზემდგომის გადაკიდების შემთხვევებიც მრავლადაა, ეს მუხლი აქაც შეიძლება, გამოიყენონ მოქალაქეებმა?**

– ეს გადაკიდების მუხლში არ გავა, მაგრამ, რადგან შრომითი ურთიერთობები რეგულირდება შრომის კოდექსით, შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული მოპყრობა გადაკიდებამდე უნდა მოგვარდეს. თუმცა ჩვენ ცალკე გვაქვს გამოყოფილი მუხლი – იძულება სამსახურში, ეს იძულებაა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით და არა გადაკიდება.

**– გასაგებია, რომ მოტაცება ეს ჩვეულებრივ ადამიანის გატაცებაა. მაგრამ თითქოს ითქვა, რომ თქვენი საკანონმდებლო ინიციატივა ამ საკითხსაც ეხებოდა.**

– ეს კითხვები გაჩნდა. ლოგიკურია, რომ გადაკიდების ზოგიერთ შემთხვევაში ხედავენ მოტაცების საფრთხეს, მაგრამ მოტაცება სისხლის სამართლის კოდექსით, ძალიან დიდი ხანია, უკვე არის დანაშაული და ნიშნავს ადამიანისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას. ქორწინების მიზნით მოტაცების ცალკე მუხლი არ არის, თუმცა ადრე იყო ასეთი დეფინიცია, მაგრამ ჩვენმა კანონმდებელმა გააუქმა. არ აქვს მნიშვნელობა, რა მიზნით, ადამიანის გატაცება არის მძიმე დანაშაული და უფრო მკაცრად ისჯება, ვიდრე გადაკიდება. ეს დანაშაული იყო და დანაშაულადვე რჩება.

**– აღარ მოისპო ქორწინების მიზნით მოტაცება? ძალიან ველურად მეჩვენება მისი არსებობა.**

– თავიდან ეს იყო პრობლემა, მაგრამ წინა ხელისუფლებას ჰქონდა ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომა ამ ტიპის დანაშაულისადმი და იმ შემთხვევაშიც იჭერდნენ მამაკაცებს, როდესაც ქალბატონები თანახმანი იყვნენ, მათ ცოლად გაჰყოლოდნენ. ძალიან მკაცრი მიდგომა იყო და ამიტომ საკმაოდ შემცირდა ქორწინების მიზნით მოტაცებების რაოდენობა, თუმცა ახლა ამბობენ, რომ შედარებით გაიზარდა ასეთი შემთხვევები, მაგრამ მე არ გამომითხოვია შინაგან საქმეთა სამინისტროდან უახლესი ინფორმაცია, ამიტომ ვერ დავადასტურებ.

**– როდის იგეგმება თქვენ მიერ შეთავაზებული ცვლილებების განხილვა პარლამენტში?**

– ჩვენ ეს ცვლილებები მოვამზადეთ ევროკავშირის ეგიდით ჩატარებული კვლევის შედეგად. გავმართეთ პრეზენტაცია, რომელსაც დაესწრო იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე სანდრო ბარამიძე. მან თქვა, რომ სრულად იზიარებს ამ ცვლილებების სულისკვეთებას და მცირე სტილისტური შენიშვნებით, მაგრამ ყველაფერი იქნება გათვალისწინებული. იუსტიციის სამინისტრო მუშაობს სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებებზე და უნდათ, რომ ერთიან პაკეტად შეიტანონ დიდი ცვლილებები. ჩვენც ველით, რომ იუსტიციის სამინისტრო მოახდენს სხვა ცვლილებებთან ერთად ამ ცვლილებების ინიცირებას პარლამენტში. რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო ჩვენ, არასამთავრობო სექტორსაც მიგვემართა პარლამენტისთვის, მაგრამ, როდესაც იუსტიციის სამინისტროს გააქვს ასეთი ცვლილებები, პატრონაჟსაც იღებს თავის თავზე. როდესაც საკომიტეტო მოსმენები დაიწყება, ვაპირებთ, ვიაროთ პარლამენტში, შევხვდეთ დეპუტატებს და ვესაუბროთ ამ მუხლების აუცილებლობაზე.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

# ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲙᲘᲓᲔᲑᲔᲜ ᲤᲔᲮᲡ ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲓᲒᲐᲠ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲚᲨᲘ ᲨᲔᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲘᲒᲔᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘ

**მართალია, დაზუსტებით უცნობია ქვეყნიდან გასული ჩვენი თანამემამულეების რაოდენობა, თუმცა ზუსტადაა ცნობილი, რომ სამშობლოში ისინი ყოველწლიურად მილიარდ დოლარზე მეტ თანხას აგზავნიან. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, საქართველოდანაც იმატა ტრანზაქციების ოდენობამ, განსაკუთრებით, აზიისა და აფრიკის ქვეყნების მიმართულებით. მაგალითად, 2013 წლის იანვარ-ნოემბერში ფულადმა გადარიცხვებმა საქართველოდან 140 მილიონ დოლარს მიაღწია. ეროვნული ბანკის მონაცემებით, ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება ტრანსფერები აფრიკულ სახელმწიფოებში. კერძოდ, თუკი 2010 წელს მისი მოცულობა 76 ათას დოლარს შეადგენდა, 2011 წელს – 212,6 ათას დოლარს მიაღწია, 2012 წელს კი უკვე 1,2 მილიონი დოლარი გახდა. მაგალითად, ნიგერიაში ფულადი გზავნილების მოცულობამ 2013 წლის იანვარ-ნოემბერში 4 მილიონ 850 ათასი დოლარი შეადგინა. მაშინ, როდესაც არაბთა გაერთიანებულ ემირატებში საქართველოდან იმავე პერიოდში 816 ათასი დოლარი გადაირიცხა, ეგვიპტეში – 355 ათასი, განაში – 281 ათასი, კამერუნში – 175 ათასი, ხოლო კოტდივუარში 169 ათასი დოლარი. ჩინეთში ფულადი ტრანსფერები 1 მილიონ დოლარს შეადგენს, ინდოეთში კი – 357 ათასს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოდან უცხოეთში გადარიცხულ ტრანსფერებში ლიდერობენ: რუსეთი, საბერძნეთი და უკრაინა.**

**მეორე მხრივ, არათუ ქვეყნიდან გასული ჩვენი მოქალაქეების რაოდენობა არ ვიცით, არამედ, ჩვენთვის ქვეყანაში არსებულ უცხოელ მიგრანტთა ოდენობაც უცნობია. თუმცა ზემომოყვანილი ციფრები მოწმობს, რომ აზიიდან და აფრიკიდან მიგრანტების სიმცირეს არ ვუჩივით. რა ტენდენციას გვიჩვენებს არსებული სტატისტიკა და როგორ ახერხებენ დასაქმებას უცხოელი მიგრანტები უმუშევრობით შეჭირვებულ საქართველოში, გამომდინარე პრინციპიდან: „ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა" – საკითხს დემოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲣᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ განგვიმარტავს.**

**– რა დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა ეს ოფიციალური სტატისტიკა, უცხოელი მიგრანტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა?**

– ამ მონაცემებს სერიოზული შესწავლა სჭირდება. თუ დემოგრაფიული კუთხით მივუდგებით საკითხს, მიგრაციული თეორიებიდან გამომდინარე, დღეისთვის ნიგერია, ისევე, როგორც ჩინეთი და სხვა ქვეყნები, გამოირჩევა მაღალი შობადობითა და მატების მაჩვენებლით. შესაბამისად, ისინი ხასიათდებიან შრომითი რესურსების სიჭარბით. მაშინ, როდესაც საქართველოში მიმდინარეობს უახლესი ტიპის დემოგრაფიული პროცესი, როდესაც დაწყებულია დეპოპულაცია. ზემოჩამოთვლილ ქვეყნებში არის მაღალი ბუნებრივი მატება, მრავალრიცხოვანია ახალგაზრდული მოსახლეობა და დემოგრაფიული დაბერების პრობლემა საერთოდ არ დგას, საქართველოში კი რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა: აქ მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებულია, ახალგაზრდა მოსახლეობის წილი მცირეა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, შობადობის მაჩვენებელი დაბალია. დემოგრაფიული და სოციოლოგიური კონცეფციების თანახმად, იმ ქვეყნებიდან, სადაც მაღალი ბუნებრივი მატებაა, სამუშაო ძალა გაედინება განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ცხოვრების დონე და შემოსავლები მაღალია, შობადობა კი – დაბალი.

**– მაგრამ საქართველო არ არის განვითარებული ქვეყანა, მუხედავად იმისა, რომ შობადობის მაჩვენებელი დაბალი გვაქვს.**

– ნიგერიის მოსახლეობის ზრდის ტემპი ისეთია, რომ 2050 წლისთვის მოსალოდნელი პროგნოზით მესამე ადგილზე გავა მოსახლეობის რაოდენობით, ინდოეთისა და ჩინეთის შემდეგ, ანუ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც გადაუსწრებს. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ ნიგერიელების გადინება ხდება ნიგერიიდან. აქ არის ორი მომენტი: ნიგერიას არ გააჩნია კაპიტალი, იქ არ იდება ინვესტიციები და არ არის სამუშაო ადგილები, მაგრამ აქვთ შრომითი კაპიტალი, ადამიანური რესურსი. ოღონდ, განსხვავებით სხვა ქვეყნებისგან, მათი ადამიანური რესურსი დაბალკვალიფიციურია. ამდენად, მიმღებ ქვეყანაში, თუ ის განვითარებული ქვეყანაა, ნიგერიელები ნაკლებად იკიდებენ ფეხს, იმიტომ რომ, იმ ქვეყნებს შედარებით მაღალკვალიფიციური მუშახელი სჭირდებათ. თუმცა არც დაბალკვალიფიციურ მუშახელზე ამბობენ უარს, რადგან ასეთი მუშახელი საქმდება ისეთ სამუშაო ადგილებზე, რომელსაც თაკილობს ადგილობრივი მოსახლეობა, მაგრამ აზიიდან, აფრიკიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩასული მიგრანტები კმაყოფილდებიან.



**ჩვენთან ადამიანს მხოლოდ ხელფასი კი არ აინტერესებს, არამედ პერსპექტივაც. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ბიზნესი იწვევს ნიგერიელს იმ დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე, რომელზეც ქართველი არ თანხმდება**

**– რა არის საქართველოში მათი ჩამოსვლის მოტივი? როგორც ჩანს, სამუშაო ადგილებს შოულობენ, რაკი ფულს აგზავნიან თავიანთ სამშობლოში.**

– ამას წინათ ვიყავი ხაშურში და გამოვიკითხე, რატომ მუშაობდნენ გვირაბის მშენებლობაზე ჩინელები. როგორც აღმოჩნდა, ჩვენებს, ადგილობრივ მოსახლეობას შესთავაზეს დღიურ გასამრჯელოდ 25-35 ლარი, მაგრამ სურამელებმა და ხაშურელებმა უარი თქვეს, სამაგიეროდ, უფრო ნაკლებ ანაზღაურებად დათანხმდნენ ჩინელები. ანუ ეს მომენტიც არსებობს: ადგილობრივი მოსახლეობა, რომელსაც აქვს კვალიფიკაცია, ნებისმიერ სამუშაოს არ თანხმდება. ეს ევროპაშიც ასეა და ჩვენთანაც. ჩვენთან არაინირი პერსპექტივა არ გააჩნია მუშად მუშაობას, ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობა უარს ამბობს ასეთი ტიპის სამუშაოზე.

**– მაგრამ გვირაბის მშენებლობაზე მუშაობა ხომ დროებითია, უმუშევრად ჯდომას, არ ჯობია დროებითი შემოსავალი?**

– ეს მაგალითად მოვიტანე. ჩვენთან ადამიანს მხოლოდ ხელფასი კი არ აინტერესებს, არამედ პერსპექტივაც: კარიერული და სახელფასო მატების. ასეთი ადგილები კი ძალიან ნაკლებადაა. ძირითადად, საბიუჯეტო სფეროში, ბიზნესში ნაკლებად. ადამიანების ვიწრო სპექტრია დასაქმებული ბიზნესში, რომლებსაც აქვთ მაღალი ხელფასები. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ბიზნესი იწვევს ნიგერიელს იმ დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე, რომელზეც ქართველი არ თანხმდება. არის მეორე მომენტიც: შეიძლება, ჩამოსული იყოს ნიგერიელი ბიზნესმენი, მაღალ მოგებას იღებდეს და ერთბაშად გზავნიდეს თანხას, რაც წელიწადში 4 მილიონს შეადგენს.

**– ანუ თანხის ოდენობა ცალსახად არ ნიშნავს, რომ ბევრი აგზავნის?**

– დიახ. ჩვენ არც ის ინფორმაცია გვაქვს, რამდენი ნიგერიელია ჩამოსული, იმიტომ რომ, საზღვრები ღია გვაქვს და არ აღირიცხება ეს მაჩვენებელი; არც იმის ინფორმაცია მაქვს, რამდენია დასაქმებული ამ ნიგერიელებიდან და რამდენმა გაგზავნა თანხა თავის სამშობლოში. ბანკი იძლევა ერთ მაჩვენებელს: გაიგზავნა ამდენი და ამდენი თანხა, მაგრამ ხომ არ ვიცით, რამდენმა ადამიანმა გააგზავნა?! ამიტომ რთულია იმის თქმა, რამდენია ჩამოსული. შეიძლება, საერთოდაც ერთი ნიგერიელი ბიზნესმენი აგზავნის. იმავე სოციოლოგიური თეორიით, თანამედროვე პირობებში სხვა ქვეყანაში სამუშაოდ წასვლას მხოლოდ პიროვნება არ წყვეტს, ამას წყვეტს ოჯახი. ისინი აკვირდებიან სიტუაციას: ჯერ ოჯახის ერთი წევრი მიდის, შემდეგ – მეორე, ამას მიჰყვება ნათესავი, მეზობელი. ანუ სხვა ქვეყნებშიც იგივე ხდება, რაც საქართველოში. მეორე მხრივ, არ მგონია, ყველანი იმდენ ფულს აგროვებდნენ, რომ ოჯახებსაც გაუგზავნონ და თვითონაც ირჩინონ თავი აქ. ხაზს ვუსვამ, მე თეორიულად ვმსჯელობ: თუ ჩავთვლით, რომ

(გაგრძელება მე-17 გვერდზე)



## ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲕᲐᲮᲐᲜᲘᲐᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

რა ულმობელია წუთისოფელი, ამაში შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ დაგვარწმუნა. ახლა მხოლოდ მოგონებებით უნდა ვიცხოვროთ და იმის იმედით, რომ შენი სიკეთითა და დიდბუნებოვნებით ზეცაში დაიმკვიდრებ სასუფეველს.

გარდაცვალება ჰქვია შენს იმქვეყნად წასვლას, მაგრამ, ჩვენთვის განუზომელი ტრაგედიაა. გვიჭირს უშენობა... გვენატრები...

რატომ არ გვასწავლე, როგორ გაგვეძლო ამ უსაშველო ტკივილისთვის?!

**ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ**

# უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია

## კოდი - 066

## გააკეთე სწორი არჩევანი და აირჩიე უმაღლესი სასწავლებელი „ჯორჯია"!

**უმაღლესი სასწავლებელი „ჯორჯია" განაგრძობს 24-წლიან ტრადიციას – მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად ევროპული სტანდარტების დანერგვით**

## უმაღლესი სასწავლებლის – „ჯორჯიას" მისიაა:

ფუნდამენტური ღირებულებების მქონე შრომითი ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, ინტელექტუალური განვითარების შესაბამისი კრეატიული გარემოს ორგანიზება და სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა.

უმაღლეს სასწავლებელ „ჯორჯიაში" ფუნქციონირებს შემდეგი ფაკულტეტები:

* ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი – (კოდი 0660101) – სწავლის ღირებულებაა 2 350 ლარი.
* ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (კოდი 0660201) – სწავლის ღირებულებაა 2 250 ლარი.

რატომ უნდა აირჩიოს აბიტურიენტმა უმაღლესი სასწავლებელი „ჯორჯია"?

I. შეღავათები სწავლის ქირის გადასახადში:

• აბიტურიენტებს, რომლებიც მოიპოვებენ 100-პროცენტიან გრანტს, გათავისუფლდებიან სწავლის დარჩენილი გადასახადისგან;

• აბიტურიენტს, რომელიც პირველ და მეორე ნომრად აირჩევს ჩვენს უმაღლეს სასწავლებელს სწავლის საფასური შეუმცირდებათ სწავლების პირველ წელს;

• სწავლების განმავლობაში უცვლელია გადასახადი;

• სტუდენტებს, რომლებსაც ექნებათ მაღალი აკადემიური რეიტინგი და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობაში, შეუმცირდებათ სწავლის გადასახადი;

II. უმაღლეს ევროპულ სტანდარტებზე აპრობირებული სასწავლო პროცესი მიჰყავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალკვალიფიციურ პროფესურას, რომელთა ძირითადი ღირებულებაა სწავლების მაღალი ხარისხი;

III. უმაღლეს სასწავლებელში დანერგილია ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა, რომელიც შესაძლებელს ხდის სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას და, ასევე, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მათი მშობლებისათვის.

მარინე კობალავა – უმაღლესი სასწავლებლის – „ჯორჯიას" ვიცე-რექტორი და, ამავდროულად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მარკეტინგის კათედრის ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.



## იყავით წარმატებული უმაღლეს სასწავლებელ „ჯორჯიასთან" ერთად!

**თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქუჩა #4 (ყოფილი ჯიქიას ქუჩა), III სართ.
ტელეფონები: 231-66-71, 236-91-60. www.usgeorgia.edu.ge**

**ფილოსოფოს გიორგი გურჯიევის მიმართ, რომელიც მეოცე საუკუნის უდიდეს მოაზროვნედ არის აღიარებული, ინტერესი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ძალიან დიდია. ბევრ საინტერესო დეტალთან ერთად, ასევე ცნობილია, მისი საქართველოსთან გარკვეული კავშირების შესახებ. თუმცა, ამ ყველაფერზე უფრო დაწვრილებით, საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, გვესაუბრება, ისტორიკოსი მანანა ხომერიკი:**

# რატომ ეძახდნენ გურჯიევს „სულებზე მონადირეს" და როგორ შოულობდა ის თბილისში ფულს, სადაც მან მსოფლიოს ყველაზე აღიარებული ინსტიტუტი გახსნა

– გიორგი გურჯიევი, გვარის გამო, ხშირად ქართველად იყო მიჩნეული. შესაძლოა, მისი წინაპრები მართლაც ქართველები იყვნენ, რომლებიც ქრისტიანობის შენარჩუნების მიზნით, თურქეთში მცხოვრებ ბერძნებს შეერივნენ, მაგრამ თავისი ქართველობა მათ აღარც კი ახსოვდათ. საქართველოში დღესაც ძალიან ბევრი გურჯიევი ცხოვრობს, მაგრამ მათ სხვადასხვა წარმომავლობა აქვთ. ზოგი მართლაც ქართველია. 1813 წლის ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ვინმე ისმაილ გურჯი-ოღლი ჰყვება ძალიან სევდიან ამბავს თავის ბაბუაზე, რომელიც დაუტყვევებიათ და შემდეგ ძალით გაუმუსლიმანებიათ. თავად ისმაილს კი მოუხერხებია სპარსეთში ტყვეობისგან თავის დაღწევა და ახლა საქართველოში ცხოვრებასა და გაქრისტიანებას ითხოვდა. პროფესორი იაკობ ახუაშვილი იმოწმებს მაგალითს, როცა თურქეთში ზოგ ქართველს „გურჯიევის" გვარი თურქულენოვანმა ბერძნებმა მისცეს. თავად გურჯიევი კი, თავისი მოგონებების წიგნში „შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან" წერს, რომ მამამისი, ივანე გურჯიევი, ბერძნული ოჯახიდან იყო. მისი წინაპრები ბიზანტიის დატოვების შემდეგ, თურქეთში დასახლდნენ, მოგვიანებით კი – საქართველოში. ოჯახს საქონლის დიდი ჯოგები ჰყავდა. საქართველოში ძმები გაიყვნენ, ივანე სომხეთში წავიდა და ალექსანდროპოლში დასახლდა. რამდენიმე წლის შემდეგ ის ყარსში გადავიდა საცხოვრებლად ოჯახთან ერთად. გურჯიევი არც თარიღებს აკონკრეტებს და არც იმ ადგილს, სადაც საქართველოში მისი ოჯახი ცხოვრობდა. ის აგრეთვე გაურბის თავისი დედის, ბიძებისა და ოჯახის სხვა წევრების სახელების ხსენებას. დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ მამამისს ივანე ერქვა. მე შევაჯერე საქართველოს საისტორიო არქივსა და ერევნის ცენტრალურ არქივში მოძიებული დოკუმენტები, ჩავედი აგრეთვე, ქალაქ გიუმრში, ყოფილ ალექსანდროპოლში, სადაც გურჯიევი დაიბადა. ვნახე სახლი, რომელშიც ოჯახი ცხოვრობდა. საინტერესო აღმოჩნდა გურჯიევის მამის საფლავის მონახულება. 1970-იან წლებში, როგორც ჩანს, უცხოეთიდან ჩამოსულ გურჯიევის მოსწავლეებს მისი სურვილი აუსრულებიათ და მამამისის საფლავზე დაუდევთ ქვა მისტიკური წარწერით: „მე – ვარ შენ, შენ – ხარ მე, ის – ჩვენია, ჩვენ ორივე – მისი ვართ, ამიტომ, დაე, ყველაფერი იყოს ჩვენი მოყვასისთვის". თანამედროვე დმანისის რაიონში 1829-1830 წლებში ბევრი გურჯი-ოღლი აღმოჩნდა დაფიქსირებული. ალექსანდროპოლში ძიებული გვარის წარმომადგენლები 1870-იანი წლებამდე არ ჩანან, ხოლო შემდეგი პერიოდის საარქივო დოკუმენტებში დაფიქსირებულია ორი მათგანი: ივანე ივანეს ძე და ვასილი ივანეს ძე. ჩვენ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ საქართველოში გურჯიევის ოჯახი სოფელ ეკეპადში ცხოვრობდა. ამ სოფლის მცხოვრებლები შეტანილნი არიან ქეივან-ბულღასონის სამეტრიკო წიგნებში. 1867 წლის ნოემბერში ეკეპადის მცხოვრებმა ვასილ ივანეს ძე კურჯ-ოღლიმ (გურჯიევის ბიძამ), მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, იქორწინა ალექსანდროპოლის მცხოვრებლის ასულთან, პოლიტიმიასთან. დაქორწინების შემდეგ ვასილი ალექსანდროპოლში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც შეეძინა ვაჟი. გურჯიევის მამა თავის ძმას სომხეთში გაჰყვა. დოკუმენტების თანახმად, 1871 წლის ნოემბერში ალექსანდროპოლის მცხოვრებმა ივანე ივანეს ძე კურჩ-ოღლიმ, მართლმადიდებელმა, 23 წლისამ, იქორწინა ევდოკიაზე, ელიფთერ ელეფთეროვის ასულზე, მართლმადიდებელზე, 18 წლისაზე. ელეფთეროვი ბერძნული ელეფთერიადის რუსიფიცირებული ფორმაა. ამდენად, გურჯიევის დედა, ევდოკია, ბერძენი ყოფილა. შესაბამისად, არ გამართლდა სადღეისოდ აღიარებული ვერსია, რომ გურჯიევის დედა ეროვნებით სომეხი იყო. 1875 წელს ალექსანდროპოლის მცხოვრებს, ივანე ივანეს ძე გურჯიევს და მის ცოლს – ევდოკია ელეფთერის ასულს, მართლმადიდებლებს, შეეძინათ ქალიშვილი – მალანია. ამ დროისთვის ივანეს უკვე „გურჯიევად" გადაუკეთებია თავისი გვარი. ალექსანდროპოლის 1886 წლის კამერულ აღწერაში, რომელშიც ყოველი პიროვნება დაფიქსირებულია საკუთარი სახელითა და მამის სახელით, ჩვენ ვხედავთ ერთ გამონაკლისს: ვანო გურჯი-ოღლი შეყვანილია მამის სახელის გარეშე. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ მის შესახებ მოყვანილი ცნობები სანდო არ უნდა იყოს. სახელი ვანო ივანეს ქართული ფორმაა. ვანო გატარებულია, როგორც მდგმური და შავი მუშა. 1907 წლის ერთ დოკუმენტზე დაყრდნობით, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ალექსანდროპოლში მხოლოდ ერთი ივანე გურჯიევი ცხოვრობდა, ისიც ივანეს ძე და, იმ დროისთვის ის მდგმური აღარ იყო. იმავე წლის მეორე დოკუმენტი წარმოადგენს ივანე ივანეს ძე გურჯიევის, დურგლის ოჯახის წევრების ნუსხას. როგორც გურჯიევის მოგონებიდან ვიცით, მამამისი დურგალი იყო. ნუსხაში ჩამოთვლილი არიან: ივანე ივანეს ძე გურჯიევი – დაბადებული 1847 წელს, მისი ცოლი – ევა (უთუოდ სახელ ევდოკიას შემოკლებული ფორმაა); ვაჟები: გიორგი – დაბადებული 1880 წელს, დიმიტრი – 1883 წელს, ქალიშვილი – სოფია. აქვე აღნიშნულია, რომ წლები მითითებულია არა დოკუმენტების, არამედ გარეგნული შესახედაობის მიხედვით. ამ მიზეზის გამო, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ გურჯიევი, შესაძლოა, უფრო ადრე იყო დაბადებული. მის პასპორტში ხომ 1877 წელი იყო მითითებული.



როგორც ამბობენ, მიხეილ ბულგაკოვის რომანის „ოსტატი და მარგარიტას" პერსონაჟის – ეშმაკი ვოლანდის პროტოტიპი გურჯიევი ყოფილა... მას ტიბეტელი ლამები „თეთრ ეშმაკს" ეძახდნენ

გურჯიევი თანამოაზრეებთან ერთად ბევრს მოგზაურობდა. აღმოსავლეთში მიღებული ცოდნა მისაწვდომი გახადა ევროპელებისა და ამერიკელებისთვის, რომლებსაც სულიერ მასწავლებლად მოევლინა. გურჯიევი სწავლობდა უძველეს ადათ-წესებს, წარწერებს, რელიგიურ რიტუალებსა და ცეკვებს, რომელთა ფარული მნიშვნელობის ამოკითხვა უნდოდა. გურჯიევი, როგორც არაერთხელ აღნიშნეს ინდოელმა ნათელმხილველებმა, ყველა სხვა ადამიანზე უკეთ ფლობდა სპირიტუალურ ძალებს, ის დალაი-ლამას მრჩეველიც იყო. როგორც ამბობენ, მიხეილ ბულგაკოვის რომანის „ოსტატი და მარგარიტას" პერსონაჟის – ეშმაკი ვოლანდის პროტოტიპი გურჯიევი ყოფილა, მას ტიბეტელი ლამები „თეთრ ეშმაკს" ეძახდნენ. გურჯიევის მიმართ ყველაზე არაკეთილგანწყობილი ავტორი – ც. კინი, მის შესახებ წერდა: „ის იყო ახალგაზრდა დალაი-ლამას მრჩეველი და იმავდროულად, ცარისტული მთავრობის აგენტი; სამსახურს უწევდა ინგლისელებს და ემორჩილებოდა ფრანგებს, ფლობდა ჰიპნოზისტის არაჩვეულებრივ ნიჭს და იყო მოხერხებული „სულებზე მონადირე". თვით ტიბეტშიც, სადაც დღემდე ცოცხლობს აღმოსავლური ეზოთერული ტრადიცია, გურჯიევს მიწიერი მიზნებისთვის არ ულალატია. მკვლევარი ლუის პაუელსი თავის წიგნში „გურჯიევის ფენომენი," წერს: „ის ათი წლის განმავლობაში რუსეთის საიდუმლო აგენტი იყო ტიბეტში, რაც კიპლინგმაც აღნიშნა. ტიბეტის მთავრობამ გურჯიევს მნიშვნელოვანი მისია დააკისრა – მას უნდა მოეგვარებინა ქვეყნის ფინანსური საკითხები და უნდა ეხელმძღვანელა არმიის შეიარაღებისთვის. ამდენად, მას შეეძლო, პოლიტიკური როლი შეესრულებინა ტიბეტში". როდესაც ტიბეტში ინგლისელები შეიჭრნენ, 1904 წელს გურჯიევი დალაი-ლამასთან ერთად ქვეყნიდან გაიქცა, მაგრამ შემდეგ კვლავ დაბრუნდა.

**– საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული მოსაზრება, რომ თითქოს გიორგი გურჯიევი თავად მუხრანსკის დისშვილი იყო.**

– ეს მცდარი ინფორმაცია ემყარება გურჯიევის „ბელზებელის საუბრებს თავის შვილიშვილთან". უნდა გავითვალისწინოთ, რომ გურჯიევი ყვება, თუ რას ეძახდნენ მას სხვები ცხო-

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

ვრების სხვადასხვა ეტაპზე. ახლა კი: „თავად მუხრანსკის დისშვილს და, ბოლოს, უბრალოდ – ცეკვის მასწავლებელს“ მეძახიანო. გურჯიევს არასდროს განუცხადებია, რომ ის ნადვილად იყო თავად მუხრანსკის დისშვილი. უფრო მეტიც, ნიუ-იორკში 1924 წელს მან თქვა, რომ უსაქმურები ავრცელებდნენ ჭორებს, თითქოსდა მის ინსტიტუტს ფინანსურ დახმარებას უწევდა ლეგენდარული ქართველი თავადი მუხრანსკი.

**– თუმცა, ის ჩამოდიოდა თბილისში და აქვე გახსნა „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი”.**

– როდესაც გურჯიევი თბილისში ჩამოდიოდა, ის დიდუბეში ქირაობდა ოთახს და ფულს ხელოსნობითა და ვაჭრობით შოულობდა. ის რამდენჯერმე ახსენებს თბილისს: „მე დავბრუნდი ტფილისში, უპირველესად, იმიტომ რომ, იქ შემეძლო ნებისმიერი წიგნის შოვნა, რომელსაც მოვისურვებდი. ამ ქალაქში, იმ დროსაც, როდესაც მე იქ გავჩერდი და შემდეგაც, ძალიან ადვილი იყო ნებისმიერ ენაზე, განსაკუთრებით – სომხურ, ქართულ, არაბულ ენაზე მეშოვა წიგნები. როდესაც ტფილისში ჩამოვედი, საცხოვრებლად წავედი რაიონში, რომელსაც ჰქვია – დიდუბე“. იმ დროს თბილისის ბაზრებში დიდი გასავალი ჰქონდა ვინმე იტალიელის ნახელავ თაბაშირის ფიგურებს. ბერძენი ქუჩის გამყიდველებისგან გურჯიევმა გაიგო, რომ იტალიელი საგულდაგულოდ მალავდა ამ ფიგურების დამზადების საიდუმლოს. როგორც თვითონ გურჯიევი წერს, ბერძენ გამყიდველს მან ჯერ „პატრიოტიზმის გრძნობა“ გაუღვიძა, შემდეგ სამუშაო სთხოვა. დიდი შრომისმოყვარეობა გამოიჩინა, მაგრამ თავი მოისულელა, რის შემდეგაც იტალიელი მას არ ერიდებოდა და თავისი ხელობის საიდუმლოს აღარ უმალავდა. გურჯიევმა ყოველივე არათუ აითვისა, არამედ გააუმჯობესა კიდეც. თვე-ნახევარში ბაზარზე მისი ნახელავი გაჩნდა. „არ მგონია, რომ ტფილისში იმხანად თუნდაც ერთი სახლი მაინც დარჩენილიყო, რომელშიც არ იქნებოდა ჩემი ერთ-ერთი ყულაბა,“ – წერს გურჯიევი, რომელმაც თავად გახსნა სახელოსნო. პროფესორმა სერგი ავალიანმა გადმოგვცა თვითმხილველის, მწერალ შალვა ალხაზიშვილის ნაამბობი: მას, სრულიად ახალგაზრდას, უნახავს მუშტაიდის ბაღთან, ერთად მოსეირნე რობაქიძე და გურჯიევი. „შენ რა შეგიძლია“? – უკითხავს რობაქიძეს გურჯიევისთვის. ამ რეპლიკის საპასუხოდ, თავისი ძალის საჩვენებლად, გურჯიევმა ის მუშტაიდის ბაღში შეიყვანა და იქ მყოფ ახალგაზრდებს დაჟინებით დაუწყო ცქერა. შედეგმაც არ დააყოვნა: ახალგაზრდებმა ერთმანეთს ჩხუბი აუტეხეს. ცნობილია, რომ გურჯიევი დიდ ტელეპათიურ ძალას ფლობდა. ყველაზე უტყუარი ფაქტი, რომელიც გურჯიევის სახელს საქართველოსთან აკავშირებს, არის მის მიერ 1919 წლის მიწურულს თბილისში გახსნილი „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი”. მანამდე კი გურჯიევმა თავისი მისტიკურ-რელიგიური სალონი პირველად 1912 წელს მოსკოვში ჩამოაყალიბა. მას „კავკასიელ სასწაულმოქმედს“ უწოდებდნენ. გურჯიევი ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტს, რომელიც მდებარეობდა ნიკოლოზის ქუჩა №22-ში (დღევანდელი მისამართია ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №22). გურჯიევი ლექციებს კითხულობდა რელიგიის, ფილოსოფიისა და ხელოვნების საკითხებზე ეზოთერიზმის კუთხით. 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა ოკუპირებულ იქნა საბჭოთა რუსეთის მიერ. გურჯიევმა დახურა თავისი ინსტიტუტი და 1921 წელს საქართველო დატოვა.

**– ამბობენ, რომ გურჯიევი სტალინთან ერთად სწავლობდა თბილისის სემინარიაში.**

– სტალინმა 1894 წელს, გორის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო. 1899 წელს კი ის გარიცხეს, როგორც მარქსიზმის პროპაგანდისტი. მე გადავსინჯე შესაბამისი საკლასო ჟურნალები. იოსებ ჯუღაშვილი შეყვანილია პირველი განყოფილების მეხუთე კლასში, აქვეა ჩანაწერი მისი გარიცხვის შესახებაც. რაც შეეხება გურჯიევს, ის სიებში არ აღმოჩნდა. ამრიგად, ის სტალინის თანაკლასელი არ ყოფილა. ახლახან ერთ-ერთ რუსულ არხზე ისტორიკოსი ვინმე სინელნიკოვი ამბობდა, რომ თითქოს სტალინს სასულიერო სემინარიაში არ უსწავლია. ის გურჯიევთან ერთად სომხეთში, იეზუიტთა კოლეჯში სწავლობდაო. მაგრამ ჩვენ ეს სარწმუნოდ არ მიგვაჩნია. არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ. 1904 წელს სტალინი გაიქცა გადასახლებიდან და ჩავიდა ბათუმში, რათა ორგანიზება გაეკეთებინა არალეგალური მოძრაობისთვის. გურიის გლეხობაც ემზადებოდა 1 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად. სხვადასხვა სოფლიდან წამოსული დემონსტრანტები ერთად აპირებდნენ თავშეყრას, მაგრამ, რუსეთის მთავრობის ბრძანებით, მათ პოლიციამ და კაზაკებმა შეუტიეს. ზოგი დემონსტრანტი დაიჭრა, ორი მათგანი გარდაიცვალა. გურჯიევი მოგვითხრობს, რომ 1904 წელს ის შემთხვევით დაიჭრა ბრმა ტყვიით ჭიათურის გვირაბთან, გურულებსა და კაზაკებს შორის ამტყდარი სროლის დროს. იქ რა ესაქმებოდა? იქნებ, აქ სტალინის ხელი ერია?! თანაც, ჭიათურა ხომ გურიაში არ არის. ამ ამბის დასასრული უფრო საკვირველია: გურჯიევს ორი ხევსური დაეხმარა, რომლებმაც ის ჯორებით მიიყვანეს გამოქვაბულში, სადაც გურჯიევმა ათობით მუმიფიცირებული ხევსური ნახა. მისი აღწერის მიხედვით, შეგვიძლია, დავადგინოთ, რომ ეს იყო ეგრეთ წოდებული „ანატორის აკლდამები“, მდებარე ხევსურეთში, კავკასიონის მაღალ მთებში. გამოჯანმრთელებისთანავე გურჯიევმა იქიდან გაცლა იჩქარა, ვინაიდან იქ დაყოვნება მისთვის საშიში იყო. მაგრამ, გურჯიევი ნათლად არ გვეუბნება, კაზაკების ეშინოდა თუ რევოლუციონერების. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ის როგორღაც დაკავშირებული იყო სტალინთან.

არსებობს მოსაზრება, რომ გურჯიევი ქართული ანბანის საიდუმლო მნიშვნელობას იყენებდა. შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ის ხომ ქართული ანბანის შესახებ არაფერს წერდა და თავის მრავალრიცხოვან მკითხველს არ აცნობდა ქართულ კულტურას. ვფიქრობ, საწინააღმდეგოს უფრო აკეთებდა... ერთხანს ის სურამში ცხოვრობდა, სადაც ალებასტრის ნივთების წარმოებით იყო დაკავებული. ზაფხულში მასთან მეგობრები ჩავიდნენ. გურჯიევი წერს: ჩვენ ავდიოდით სურამის უღელტეხილზე და ბორჯომისა და მიხაილოვის (ხაშურის) შემოგარენს ვიკვლევდით, რათა კონტაქტში შევსულიყავით ამ მხარეში მცხოვრებ ადამიანებთან, რომლებზეც თანამედროვე ცივილიზაციას ზეგავლენა ჯერ არ მოუხდენიაო. უარესი მაგალითის მოყვანაც შეიძლება: თავის ნაშრომში „ბელზებელის ნაამბობი“ უამრავი ხელოვნურად შექმნილი ტერმინი და არარსებული გეოგრაფიული დასახელებაა. მათი ძიება ისევე არავის მოუვა თავში, როგორც, ვთქვათ, ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის” მიხედვით არავინ დაიწყებს არარსებული პლანეტების ძებნას. ასეთ ვითარებაში ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რაში დასჭირდა გურჯიევს რეალურად არსებული კოლხეთის ხსენება? ის სამჯერ იმეორებს, რომ კოლხიდა ერქვა დღევანდელ კასპიის ზღვას. ეს აშკარა დეზინფორმაცია საქართველოს სასიკეთოდ არ წაადგება. ჩვენ ახლახან ვნახეთ, რომ კოლხეთთან დაკავშირებით ოლიმპიურ თამაშებზეც გაიჟღერა დეზინფორმაციამ. ჩვენ წარსულის წართმევასაც გვიპირებენ. ამიტომ, უფრო მეტად უნდა გავაცნოთ მსოფლიოს ჩვენი ისტორია. მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო: ევროკლასიკასა და აკადემია ჰომერიკას მსოფლიო კონგრესზე ჩილედან ჩამოსულმა პროფესორმა, ქალბატონმა ხიმენა პონსო დი ლეონემ აღფრთოვანებით მკითხა: თქვენ კოლხეთიდან – მედეას ქვეყნიდან ხართ? და მედეას ხათრით დაუმატა: თუ ჩილეში მოხვდებით, ჩემი სახლი თქვენი სახლი იქნებაო...

**ნათია უტიაშვილი**

# თენგიზ კარბელაშვილის მოგონება

უცხო ენათა ინსტიტუტის უფროს მასწავლებელთა მომზადების უმაღლესი ორწლიანი კურსები, საკანდიდატოს დაცვა, სადოქტორო დისერტაცია გერმანულ ენასა და ზოგად ლინგვისტიკაში; გამუდმებით წერდა და აქვეყნებდა სამეცნიერო შრომებს გერმანისტიკაში... და ეს ზღვაში წვეთია, რაც პროფესორ თენგიზ კარბელაშვილზე შეიძლება ითქვას. ის უამრავ ადამიანს უყვარდა და დღემდე ძალიან თბილად იხსენებენ. მასთან ერთად 44 წელი გაატარა, მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ჯულია კარბელაშვილმა, რომელიც დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს მასთან გატარებულ ყოველ წუთს.

**ჯულია კარბელაშვილი:** თენგიზი, ძალიან კარგი ადამიანი, გულკეთილი და ჭეშმარიტი თბილისელი იყო. ძალიან კარგი სპეციალისტი გახლდათ და უყვარდა თავისი საქმე. ცნობილი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის მიღმაც. კითხულობდა ლექციებს გერმანიაში, სადაც 2-ჯერ (1998 და 2001 წლებში) აქვს გამოშვებული სიტყვათწარმოებითი ლექსიკონი, რომელიც გერმანელებსაც კი არ ჰქონდათ მანამდე. რუსულ ენაზე თარგმნა გივი მარგველაშვილის ლექსები. ჩამოაყალიბა საერთაშორისო ჟურნალი. საქართველოში ორი გერმანული საზოგადოების თავმჯდომარე იყო. ბოლო წლები უნივერსიტეტში მუშაობდა, მანამდე კი – უცხო ენების ინსტიტუტში. ერთი პერიოდი, დეკანიც იყო. ახალგაზრდობაში წარმატებულმა ტანმოვარჯიშემ, მოგვიანებით უნივერსიტეტში, პირველმა მან დაიწყო სტუდენტების მკლავჭიდში ვარჯიში.

თენგიზი ძალიან ჯანმრთელი იყო, მისი გაციებაც კი არ მახსოვს. მოულოდნელად კი, კიბოს დიაგნოზი დაუსვეს და რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. 24 თებერვალს 5 წელი შესრულდა მისი გადაცვალებიდან. ერთმანეთი 1963 წელს, შრომით სემესტრში, ბანაკში გავიცანით. ძალიან კარგად მახსოვს ის დრო. მაშინ მე 22 წლის ვიყავი, თენგიზი კი – 23 წლის. 1965 წელს დავქორწინდით და მას შემდეგ 44 წელი ერთად ვიცხოვრეთ. კვირაში რამდენჯერმე ყვავილები მოჰქონდა ჩემთვის, სახლში რომ მოდიოდა, მისთვის კარი აუცილებლად მე უნდა გამეღო. ძალიან ბევრი კარგი რამ მახსოვს მისგან. სწორედ მან მასწავლა ცხოვრების სიყვარული, ყველას ეხმარებოდა, საჭირო დროს ყველას გვერდში ედგა. ქარიზმატიული იყო. ძალიან კარგი ოჯახი გვქონდა, ყველას უყვარდა ჩვენთან მოსვლა, უამრავი მეგობარი იკრიბებოდა ჩვენს ოჯახში. ეს ყველაფერი კი ჩემი მეუღლის დამსახურება გახლდათ. ბედნიერად ვცხოვრობდით, მაგრამ არ გაგვიმართლა და ბოლომდე ვერ გავიხარეთ. საუბედუროდ, ერთი შვილი 6 თვის ასაკში გარდაგვეცვალა, მეორეს კი ძალიან იშვიათი დაავადება ჰქონდა, ალსტრომის სინდრომი და 39 წლის იყო, რომ გარდაიცვალა. მადლობა ღმერთს, საქართველოში მსგავსი რამ აღარ დაფიქსირებულა. აი, ასე დაგვენგრა, ასეთი კარგი და ბედნიერი ოჯახი.



# რა თამამ ექსპერიმენტზე არ ამბობს უარს მარინე მიზანდარი და როგორი ქალების შურდა მას

**მას შემდეგ, რაც მარინე მიზანდარისა და კულტურის სამინისტროს ერთწლიანი ეპოპეა ხმაურიანი სკანდალით დასრულდა, მინისტრის ექსმოადგილემ ტაიმ-აუტი აიღო. საყდრისის გახმაურებულ თემაზე, რასაც მისი პოსტი შეეწირა, ახლა მოქალაქის რანგიდან ზრუნავს. სამომავლოდ არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნებას აპირებს, მანამდე კი „საოცნებო სახლის" სარემონტო სამუშაოებშია ჩართული, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია და სადაც მინისტრის ექსმოადგილის „დაბანაკებას" კიდევ ერთი აჟიოტაჟი მოჰყვა.**

**– როგორ ხართ, როგორ ცხოვრობთ იმ სკანდალის შემდეგ, რომელშიც ცოტა ხნის წინ თქვენც აღმოჩნდით და კულტურის სამინისტროც გარიეთ?**

– მშვენივრად ვგრძნობ თავს; შემიძლია გითხრათ, დავისვენე კიდეც იმ მძიმე და დაძაბული გარემოსგან, რომელშიც წელიწადი და ორი თვე ვიყავი. საქმეს ძალიან სჭირდებოდა ჩემი იქ ყოფნა – დღეს ყველაზე მეტად ამაზე მწყდება გული. ალბათ, ბევრი ინიციატივა ან სულ გაჩერდება, ან წინ ველარ წავა. მე ბოლომდე დავრჩი როგორც უცხო სხეული მათთვის, ვისაც სხვა ღირებულებები ჰქონდა. პრობლემები ძირითადად შემექმნა მენეჯმენტთან, სამინისტროს მმართველ გუნდთან, თუმცა, დეპარტამენტების თანამშრომლების დონეზე საკმაოდ ბევრი თანამოაზრე მყავდა.

**– არ ნანობთ, რომ ასე კატეგორიულად და ღიად დაუპირისპირდით მინისტრს და დაარღვიეთ თამაშის მთავარი წესები?**



რევოლუციები პირად ცხოვრებაში უფრო მქონდა, ვიდრე საქმეში

– არაფერს არ ვნანობ. სამინისტროში გატარებული პერიოდი ჩემთვის იყო დიდი გამოცდილება. ვფიქრობ, რომ მაინც ბევრი რამ მოვახერხე და გავაკეთე, თუმცა, უფრო მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა, ჯანსაღი სამუშაო ატმოსფერო რომ ყოფილიყო. რაც შეეხება თამაშის წესებს, ვფიქრობ, რომ, როცა სახელმწიფო მოხელე ხარ, მით უფრო – მაღალი რანგის, ყველაზე მნიშვნელოვანია შენი მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე და პროფესიული პრინციპები. ჩემი წარმოდგენით, სახელმწიფო სამსახურში ამაზე მაღლა არაფერი არ დგას. სახელმწიფო სამსახურში ადრეც მიმუშავია, თუმცა მაშინ ძალიან შეკრულ გუნდში მიწევდა მუშაობა – ვიყავი მეცნიერ-თანამშრომელი ქართული ხელოვნებისა და ისტორიის ინსტიტუტში, შემდეგ წლების განმავლობაში ვმუშაობდი ბრიუსელში, ევროკავშირის სათავო ოფისში, სადაც არის ძალიან ბიუროკრატიული სისტემა და „ადმინისტრაციების ადმინისტრაცია", მაგრამ, როდესაც პირდაპირ ხარ ჩართული პროცესებში და გადაწყვეტილებების მიღებაში, ეს მაინც სხვა პასუხისმგებლობაა და ამ პასუხისმგებლობას ვერაფრით ვერ გავექცეოდი. ახლა, ამ გადასახედიდან, რა თქმა უნდა, ვფიქრობ საკუთარ ქმედებებზე. ჩვენ ხომ ყველა ვუშვებთ შეცდომებს და მეც უამრავი შეცდომა მაქვს დაშვებული ცხოვრებაში. ვფიქრობ, რომ უფრო აქტიურად უნდა ვყოფილიყავი ჩართული საკადრო პოლიტიკაში, თუმცა, ამას ბევრი დაბრკოლება მოჰყვებოდა. არც მიძალადია ამ მიმართულებით – არ მიყვარს ჩემი წესების დამყარება. მე ვეყრდნობოდი იმ ინტელექტუალურ რესურსს, რომელიც სამინისტროს ირგვლივ არსებობდა. იმდენი საქმე იყო გასაკეთებელი, საკუთარ გუნდზე არც მიფიქრია *(იცინის)*.

**– კულტურის სამინისტროში, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოხვდით – თავად შესთავაზეთ საკუთარი კანდიდატურა მინისტრს, მაგრამ, წამოსვლა იმდენად ხმაურიანი აღმოჩნდა, რომ თქვენი იქ მისვლის დროს დაწყებული ეიფორია გადაფარა.**

– მიმაჩნია, რომ ნორმალური იყო ურთიერთობის დაწყების ასეთი ფორმატი – ეს ბევრად უფრო ჯანსაღი ფორმაა, ვიდრე უამრავი რეკომენდატორი, თუმცა, მეც მიწევდა რეკომენდაციას ადამიანთა ჯგუფი. რაც შეეხება ჩემს სკანდალურ წამოსვლას, ისეთი არაფერი მითქვამს, რასაც არ ვეუბნებოდი მინისტრს იმ წელიწადისა და ორი თვის განმავლობაში, რაც მე სამინისტროში გავატარე. ქართული ხელოვნების პოპულარიზაციის თემა და კულტურული მემკვიდრეობის საკითხი ჩემთვის ორგანულად ძვირფასი იყო. მამაჩემი ცნობილი მოქანდაკე იყო, ბაბუაჩემი – ალოიზ მიზანდარი კონსერვატორიის ერთ-ერთი დამაარსებელი; ასე რომ, უპრინციპო და უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებზე ნამდვილად ვერ დავთანხმდებოდი ვერავის.

**– ჯერ კიდევ მუშაობის დროს იყავით ეპატაჟური სახე – თქვენი ჩაცმის სტილიც კი, არაერთხელ იქცა საზოგადოების საუბრების თემად.**

– ეს დიდ ტრაგედიად არ მიმაჩნია. როდესაც იყო ოფიციალური შეხვედრები, მე ვიცავდი დრეს-კოდს, მაგრამ, ხანდახან ისეც ყოფილა, რომ მოულოდნელად ვხვდებოდი შეხვედრებზე პრესის წარმომადგენლებთან ერთად. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველას ერთნაირად არ უნდა გვეცვას. თუ ადამიანი კარგად გრძნობს თავს ამა თუ იმ სამოსში, რატომ უნდა თქვას მასზე უარი?! მე მიყვარს ფერები, პატივს ვცემ ქართველ დიზაინერებს და ხშირად ვიცვამ მათ სამოსს, თუმცა, საკუთარი თავის დიზაინერი მაინც თავად ვარ. ვისაც ვახსოვარ, იცის, რომ ბავშვობიდან და სტუდენტობიდან ვიცვავდი იმას, რაც მომწონდა. სტუდენტი ვიყავი, როცა ჩავიცვი ქოქლო, რაც ყველას ძალიან უკვირდა. მინისტრის მოადგილეობის პერიოდშიც მეცვა ქოქლო და ამაში დასაძრახს ვერაფერს ვხედავ. მე საკმაოდ თამამი და რადიკალურად თანამედროვეობის მომხრე ვარ, თუმცა, ამასთან ერთად, ძალიან მიყვარს სიძველეები, ოღონდ, ნამდვილი და არა ფალსიფიცირებული.

**– ახლა რას საქმიანობთ და რას უკავშირდება თქვენი სამომავლო გეგმები?**

– დღეს მე კვლავ აქტიურ რეჟიმში ვარ – ახლა ძირითადად საყდრისის თემაზე ვიბრძვი მოქალაქის რანგში, რაც, ჩემი აზრით, თითქოს მარტივი, მაგრამ, ყველაზე საპატიო რანგია. მოქალაქეობრივი განცდა, სამწუხაროდ, ძალიან აკლია ჩვენს ერს. მაქვს სხვა გეგმებიც – ვაპირებ არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომელიც კულტურის საკითხების რამდენიმე მიმართულებით იმუშავებს. აუცილებლად განვაახლებ მუშაობას საერთაშორისო ექსპერტად – ეს ჩემი საყვარელი საქმეა. წლების განმავლობაში ხომ ამ საქმით ვცხოვრობდი.

**– როგორც ვხედავ, ტაიმაუტს ახალი ბინის რემონტში ატარებთ. საოცრად ლამაზ ადგილას „დაბანაკებულხართ", ამ სახლზე ბევრ „ამბებს" წერენ.**

– ნებისმიერ ადგილას შემიძლია დავამტკიცო, რომ არანაირი ქონება არ დამიმალავს არც ერთ დეკლარაციაში და, არც ის ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს, რაც ერთ-ერთ გამოცემაში დაიწერა. ეს ჩემი ოცნების სახლია. როდესაც ბრიუსელიდან თბილისში დავბრუნდი, აქ სახლი არ მქონდა და დროებით მეგობართან ვიყავი შეხიზნული. მერე დავიწყე ბინის ძებნა და გასულ წელს კრედიტით შევიძინე. ძალიან კმაყოფილი ვარ, ძალიან მინდოდა სახლი ძველ თბილისში. მაქვს აივანი, საიდანაც მთაწმინდის ულამაზესი ფერდი მოჩანს. საუკუნე-ნახევრის ბინაა, ძველისძველი.

**– კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ყოფილა.**

– დიახ, მართლაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ფასადი ცუდ დღეშია, ბინაც ავარიული, მაგრამ, ადგილისა და ამ სივრცის გამო ძალიან მომწონს. აქ ადრე სერგეი ესენინიც ცხოვრობდა, თუმცა, ბინის შერჩევისას ეს არ იყო მთავარი – კოჯრის ქუჩაზე რომ ვიყავი შეყვარებული, ეს აღმოჩნდა გადამწყვეტი.

**– თქვენ ბელგიაშიც გაქვთ სახლი?**

– დიახ, იქ მუშაობის დროს შევიძინე კრედიტით. მაშინ ძალიან მაღალი ხელფასი მქონდა და კრედიტს არ შევუშინდი. ის სახლიც ძალიან კარგ ადგილას, მშვიდ გარემოში დგას. დღეს იმ ბინაში ჩემი მეგობარი ცხოვრობს. ამ ბინის გარდა, მაქვს სამი ბინა გუდაურში – მთელი ჩემი ინვესტიცია ბინებში ჩავდე. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი. ხან ჩემი შვილები ადიან იქ მეგობრებთან ერთად, ხან – მე, დროდადრო ვაქირავებ ხოლმე.

**– შვილები თქვენთან ერთად ცხოვრობენ?**

– გოგონა გადმოვიდა ჩემთან, ბიჭი – ჯერ არა. დიდები არიან და დამოუკიდებლობას მიეჩვივნენ. ჩვენ ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, შეიძლება ითქვას, 6 წლის ასაკიდან ძირითადად მარტომ გავზარდე ისინი. ხანდახან ვფიქრობ, რომ ყურადღებით ისე ვერ გავანებივრე შვილები, როგორც მე მანებივრებდნენ ჩემი მშობლები. მე დიდ სიყვარულსა და ზრუნვაში გავიზარდე, დღემდე თან მდევს მამას დატოვებული სითბო, სიყვარული. მან ძალიან ბევრი რამ მომცა ცხოვრებაში და დღემდე მეხმარება. მერე, რატომღაც, ისე მოხდა, რომ ცხოვრების ბევრ ეტაპზე მომიწია ბრძოლა არსებობისთვის, სულ ვმუშაობდი და არ მრჩებოდა დრო შვილებისთვის. მთელი ცხოვრება ვოცნებობდი მშვიდ, მოსიყვარულე ოჯახზე. მშურდა იმ ქალების ბედი, ვინც სახლში არიან, საოჯახო საზრუნავით ცხოვრობენ და საღამოს მეუღლეს ელოდებიან. მე ასეთი ცხოვრება არ მქონია, არც არასდროს მივლია იოლი გზით, მით უფრო – პირად ცხოვრებაში. პროფესიაში კიდევ უფრო მიმართლებდა, სადაც რთული, მაგრამ, საინტერესო გზა გავიარე, თუმცა, ეს ჩემი არჩევანი იყო. პატარ-პატარა რევოლუციები უფრო პირად ცხოვრებაში მქონდა, ვიდრე საქმეში, თუმცა, არც საქმეში შევუშინებივარ არასდროს სირთულეებს, მარტივი გამოსავალი და კომპრომისი არ მიძებნია *(იცინის)*.

**თამუნა სამადაშვილი**

# რის მუზა გაუღვიძა ზალიკო ბერგერს Gino Paradise Tbilis-ში სტუმრობამ და სად აღმოაჩინა მან ნამდვილი სამოთხე

*არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მთელ აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე გრანდიოზული აკვაპარკი – Gino Paradise Tbilisi რომ ნამდვილი სამოთხეა, დიზაინერმა ზალიკო ბერგერმა გასულ კვირას აღმოაჩინა, როდესაც თბილისის ზღვაზე განთავსებულ ამ ზღაპრულ ადგილს მეგობრების რჩევით ეწვია და დაუვიწყარი შთაბეჭდილებები მიიღო, რომლებსაც ჩვენც გაგვიზიარებს.*

**– ზალიკო, ვინ გირჩია Gino Paradise Tbilisi?**

– ჯერ კიდევ ზაფხულში გავიგე, რომ გრანდიოზული აკვა-პარკი იხსნებოდა თბილისის ზღვაზე, მართალია, აგვისტოს ბოლოს გაიხსნა, მაგრამ შარშან ვერ მოვახერხე ასვლა. თუმცა ვინც იყო, ყველა აღფრთოვანებული დარჩა. ვერ წარმომედგინა, რა უნდა მეკეთებინა აკვა-პარკში ზამთარში, მაგრამ, მეგობრების რჩევით, ვეწვიე Gino Paradise Tbilisi-ს ველნესისა და სპა ცენტრს და გაოცებული დავრჩი: ვერ დავიჯერებდი, საკუთარი თვალით რომ არ მენახა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა, ყოფილიყო თბილისში! მე ვარ ნამყოფი ევროპის ძვირად ღირებულ სპა-ცენტრებში, მაგრამ შედარებაც კი არ შეიძლება Gino Paradise Tbilisi-ს ველნესისა და სპა ცენტრთან – მართლაც სამოთხეში მოვხვდი – ეს ადგილი ნამდვილად „ფერედაიზია". თითქოს თავიდან დავიბადე ალექსანდრე მაკედონელისეულ 24-კარატიან, 42-გრადუსამდე გამთბარ ოქროს ტახტზე, რომელიც აცოცხლებს შენი ორგანიზმის უჯრედებსაც კი. ხარ უფრო ჯანმრთელი, უფრო ბედნიერი, უფრო ხალისიანი. არსად, მსოფლიოს ძვირად ღირებულ არც ერთ სასტუმროში არ მინახავს მსგავსი კომფორტი. ყველანაირი საშუალებაა, ისეთიც, ფანტაზიაში რომ ვერ წარმოიდგენ, რელაქსაციისთვის.

**– Gino Paradise Tbilisi-ს ველნესისა და სპა ცენტრში 8 სხვადასხვა ტიპის საუნაა. რომელი მოგეწონა განსაკუთრებით?**

– მიჭირს რომელიმეს გამოყოფა: „რომაული საუნა" განუმეორებელია თავისი მომაჯადოებელი სურნელით; „მცენარეულ საუნას" გაზაფხული და მზე შემოაქვს თითქოს სხეულში, „მარილის საუნა" საუკეთესოა ორგანიზმის ტოქსინებისგან გასათავისუფლებლად; „ინფრაწითელ საუნაში" ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ცხელ ზაფხულში სანაპიროზე იღებ მზის აბაზანებს; „საუნა მელიის სორო" თითქოს ზღაპრული სამყაროა; „სურნელოვან საუნაში" ისეთი არომატია, მეორე დღესაც რომ მიგყვება; „მენთოლის საუნაში" საერთოდაც ინჰალაციასაც ჩაიტარებ, კლასიკური „ფინური საუნაც" შესანიშნავია თავისი დახვეწილი დიზაინით. მე მაინც „ინფრაწითელ საუნას" გამოვყოფდი, სადაც, თან, საუნაში ხარ და, თანაც, ცენტრში ჩამონტაჟებული სოლარიუმიდან ირუჯები.



**– ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება დატოვა ტეპიდარიუმმა და შხაპმა გაზაფხულის წვიმისა და ჭექა-ქუხილის ეფექტით. შენ რას იტყვი?**

– არც კი ვიცი, რომელი ერთი აღვწერო: სრულიად განსხვავებულ სამყაროში ხვდები. ასეთი კომფორტი არათუ სადმე სხვაგან საქართველოში, საერთოდ, დედამიწაზე არ მეგულება. Excellent ზონაშია ჯაკუზი „ლუდის კათხა", ეს განსაკუთრებით მამაკაცებს მოეწონებათ: წევხარ ხისგან დამზადებულ, შემთბარი ლუდის ჯაკუზიში და მიირთმევ ცივ, ჩამოსასხმელ ლუდს. ქალბატონებს უფრო კლეოპატრას, ოქროთი მოპირკეთებული აბაზანები მოეწონებათ, სადაც შეუძლიათ, მიიღონ ღვინის, მენთოლის, ყვავილებისა თუ რძის სარელაქსაციო აბაზანები. დაახლოებით, ასეთი აკვა პარკია დიუსლდორფში, თუმცა იქ შესვლა 300 ევრო ღირს, არადა Gino Paradise Tbilis-ში იმდენად მისაღები ფასია, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იქ მოხვედრა. ნამდვილად ღირს, დაზოგო ფული, რომ კვირაში ერთხელ მაინც ახვიდე და ზღაპრული რელაქსაცია მიიღო.

**– როგორც ვიცი, მასაჟიც გაიკეთე.**

– ბრწყინვალე მასაჟს აკეთებენ! Gino Paradise Tbilis-მა საუკეთესო მასაჟისტები შეარჩია, ვინც კი გვყავს საქართველოში, თუმცა მათაც კი უცხოელმა პროფესიონალებმა ჩაუტარეს ერთთვიანი სწავლება, მე ასეთი დონის მასაჟი თბილისში არსად გამიკეთებია.

**– იყავი ოთახში, სადაც მინუს ათი გრადუსია და თოვს?**

– მე უფრო სითბოს მოყვარული ვარ, მაგრამ, ვისაც ცხელი საუნიდან ცივ სივრცეში უყვარს შესვლა, მისთვის შეუდარებელი შეგრძნებაა. თან, ეს ყველაფერი ძალიან ლამაზია: განათებული სვაროვსკის კრისტალებით და შეგრძნებები ყველანაირ ფანტაზიას აჭარბებს. რაც მთავარია, მათ, ვისაც მარტო უნდა ყველა ამ სერვისით სარგებლობა, შეუძლაა, შეიძინოს ვიაიპი პაკეტი და ყველა ამ მომსახურებასაც მიიღებს ულიმიტოდ.

**– ახალი კოლექციის შექმნის მუზა ხომ არ გაგიღვიძა Gino Paradise Tbilisi-ს ვილნეს და სპა ცენტრმა?**

– ბრწყინვალე ადგილია ჩვენებებისთვის და ფოტოსესიისთვის. ვაკეთებ აქსესუარების ახალ კოლექციას, ტიპაჟებიც წარმოვიდგინე: შავგვრემანი გოგონები, კლეოპატრას სტილში, ოქროსფერი აქსესუარებით. უცილებლად განვახორციელებთ ამ ფოტოსესიას, მაგრამ მანამდე ყველას გასაგონად ვიტყვი: ეს ყველამ უნდა ნახოს და შეიგრძნოს, სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია: ვიღაცამ შეიძლება, იფიქროს, რომ რაღაცას ვამატებ, ვალამაზებ, რეკლამას ვუკეთებ, არადა, რეალობაში ეს ყველაფერი გაცილებით უფრო საოცარია. იმდენად შთამბეჭდავია, შეიძლება, შოკირებული დარჩე ადამიანი.

***P. S.* შეგახსენებთ, რომ გრძელდება ფასდაკლების აქცია: თუ წარადგენთ ქვემოთ მოთავსებულ ფასდაკლების კუპონს, მიიღებთ 10-პროცენტიან ფასდაკლებას ერთდღიან ბიზნეს და ვიაიპი პაკეტებზე.**

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
+995 599-88-09-89, +995 322 15-85-85.
ეწვიეთ ჩვენს ვებსაიტს: www.ginoparadise.ge
და „ფეისბუქის" გვერდს: Gino Paradise Tbilisi



# რა შემოსავალს იღებს ფართის გაქირავებით ყოველწლიურად გიორგი ვაშაძის მეუღლე

ან თბილისის საქართველოს პარლამენტის წევრი და იმავდროულად, „ნაციონალური მოძრაობის“ მერობის ერთ-ერთი კანდიდატი გიორგი ვაშაძე, 1981 წელსაა დაბადებული ჭიათურაში. განათლება უმაღლესი აქვს. სხვადასხვა დროს სწავლობდა: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში; ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ჰარვარდის ბიზნესსკოლაში, ოღონდ ზუსტად არ ვიცით, სად რამდენ ხანს და სახელდობრ, რა სპეციალობებს ეუფლებოდა. თუმცა ვიცით, რომ აქვს სამი სპეციალობა: სახელმწიფო მართვა; იურიდიული და ბიზნესმენეჯმენტი.

მისი შრომითი საქმიანობა 2001 წელს იწყება – საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეთა ასოციაციის თავმჯდომარეობით. 2003-2005 წლებში ინტერპოლის ეცბ ინსპექტორი იყო: ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებით კომისიაში მიწვეული სპეციალისტი. 2005 წლის იანვრიდან სექტემბრამდე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ჩუღურეთის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის უფროსად მუშაობდა. შემდეგ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეც გახდა. 2006 წლიდან სააგენტოს თავმჯდომარედაც მოგვევლინა, 2010 წელს, იმავდროულად, იუსტიციის მინისტრის მოადგილედაც დაინიშნა, 2012 წლის პირველ ოქტომბერს კი საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრის მანდატი გაინაღდა.

გიორგი ვაშაძის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2005 წლით თარიღდება, რომელშიც ოჯახის წევრებად მიუთითებდა, დედას, ნანა მოდებაძეს, მამას, გუტა ვაშაძეს და 1983 წელს დაბადებულ ძმას, დავითს. ოჯახის ქონება იმხანად შემდეგნაირად გამოიყურებოდა: გიორგი ვაშაძის საკუთრება იყო ავტომანქანა „ოპელ ომეგა“, 1990 წლის; ნანა მოდებაძეს ეკუთვნოდა საცხოვრებელი სახლი ჭიათურაში, ხოლო გუტა ვაშაძის საკუთრებას წარმოადგენდა: საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი ჭიათურაში, საცხოვრებელი ბინა თბილისში, დიღმის მასივში და იქვე მდებარე ავტოსადგომი. აგრეთვე, რუმინული და გერმანული წარმოების საძინებელი გარნიტურები და არაბული სამეული. დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფული მხოლოდ ნანა მოდებაძეს ჰქონდა – 2 500 ლარი. რაც შეეხება ვაშაძეების ოჯახის მიერ 2004 წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებს: გიორგი ვაშაძეს, როგორც საპარლამენტო კომისიაში მიწვეულ სპეციალისტს, 135 ლარი აუღია, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის პედაგოგს, 28 ლარი; ნანა მოდებაძეს, როგორც მეოთხე სამშობიაროს ლაბორატორიის გამგეს – 120 ლარი, როგორც სამედიცინო ცენტრ „ლაზერის“ ექიმლაბორანტს – 50 ლარი; გუტა ვაშაძემ, როგორც „ორთოჯორჯიას“ დირექტორმა 120 ლარი აიღო, ხოლო, როგორც საქართველოს პარლამენტის „ავტობაზის“ მთავარმა სპეციალისტმა –



228 ლარი (დეკლარაციაში არ არის განმარტებული, თუმცა შესაძლოა, აღნიშნული თანხები მათ ყოველთვიურ ანაზღაურებას შეადგენდეს).

შემდეგი, 2010 წლის დეკლარაცია გიორგი ვაშაძემ შეავსო, როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილემ და ოჯახის წევრად მიუთითა მეუღლე, 1989 წელს დაბადებული ქეთევან სიჭინავა; თავის საკუთრებაში უძრავ ქონებად კი – საცხოვრებელი ბინა (106 კვ. მ.) მცხეთის ქუჩაზე და იმავე მისამართზე მდებარე ავტოფარეხი (30 კვ. მ.); ხოლო ქეთევან სიჭინავას საკუთრებად – სტანისლავსკის ქუჩაზე მდებარე არასაცხოვრებელი ფართი (100 კვ. მ.) და მიწის ნაკვეთი (25 კვ. მ.). ასევე, გიორგი ვაშაძის საკუთრება იყო ავტომანქანა Grandcherokee-jeep. დეკლარაციის შევსების მომენტში ნაღდ ფულად გიორგი ვაშაძეს ჰქონდა: 10 000 ლარი, 5 000 აშშ დოლარი და 6 000 ევრო, ხოლო ქეთევან სიჭინავას: 7 200 აშშ დოლარი, 4 500 ლარი და 2 000 ევრო. 2009 წლის განმავლობაში გიორგი ვაშაძეს, როგორც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარეს, 82 587 ლარი აუღია, ხოლო, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორს – 528 ლარი. გიორგი ვაშაძეს 2008 წელს „ბანკ რესპუბლიკიდან“ 96 000 აშშ დოლარის ოდენობის ათწლიანი სესხიც გამოუტანია, თუმცა 2007 წელს ზეპირი შეთანხმებით 28 000 აშშ დოლარიც გაუსესხებია. ქეთევან სიჭინავას კი შემოსავალი ფართის გაქირავებით მიუღია – ჯამში, 21 600 აშშ დოლარი. გიორგი ვაშაძეს იმ წელს გასავალიც ჰქონია: სწავლის გადასახადი 37 500 აშშ დოლარი დასჯდომია (თუმცა იმავდროულად, იმავე ოდენობის სასწავლო გრანტიც მიუღია), სახლისთვის ავეჯის შეძენა – 10 000 ევრო, სარემონტო სამუშაოები კი – 20 000 ლარი.

2010 წლის განმავლობაში გიორგი ვაშაძემ, როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, 90 900 ლარი აიღო, როგორც ლექტორმა – 206 ლარი. 2011 წელს 96 000-დოლარიანი სესხის მომსახურება 17 148 აშშ დოლარი დაუჯდა. მისმა მეუღლემ კი არასაცხოვრებელი ფართის გაქირავებით 21 600 აშშ დოლარი მიიღო. დეკლარაციის შევსების მომენტში ცოლ-ქმარს კვლავ ჰქონდათ სოლიდური ოდენობის ნაღდი ფული.

2012 წლის დეკლარაციით, გიორგი ვაშაძეს ორი ანაბარი ჰქონდა, რომლებზეც, 5 500 ლარსა და 5 519 აშშ დოლარს ინახავდა, თუმცა იმხანად ნაღდი ფულიც ჰქონდა: 5 500 ლარი, 3 800 აშშ დოლარი და 6 400 ევრო. ნაღდი ფული ჰქონდა მის მეუღლესაც: 5 600 ლარი და 7 000 ევრო. მისმა წლიურმა სახელფასო შემოსავალმა კი 88 735 ლარი შეადგინა. იმ წელს იპოთეკური სესხის მომსახურება 16 197 აშშ დოლარი დაუჯდა, მისმა მეუღლემ კი ფართის გაქირავებით 19 800 ლარი მიიღო.

2013 წელს გიორგი ვაშაძემ დეკლარაცია შეავსო, როგორც პარლამენტის წევრმა. ნაღდ ფულად მას ჰქონდა: 5 500 ლარი და 4 900 ევრო, მის მეუღლეს კი – 5 600 ლარი. 2012 წლის 9 თვის განმავლობაში გიორგი ვაშაძემ, როგორც მინისტრის მოადგილემ, 49 419, როგორც პარლამენტის წევრმა, სამ თვეში 15 998 ლარი აიღო. საბანკო კრედიტის დაფარვა 16 104 აშშ დოლარი დაუჯდა, ქირავნობა (შპს „ედელვაისის“) 10 004 ლარი, ხოლო ქეთევან სიჭინავამ ფართის გაქირავებით 31 680 ლარი მიიღო.

**ნინო ხაჩიძე**

# ინტიმური

## ქმართან ცხოვრება აღარ მინდა

მე და ჩემმა ქმარმა შვიდი წელი ვიცხოვრეთ ერთად და, ამ შვიდი წლიდან, ერთმანეთს რომ გადააბა, ერთი წელი არ გვიცხოვრია ჩხუბის გარეშე. სულ თვალებში შევციცინებდი, თან ვყვებოდი, თუმცა, ვერაფერი მოვაწონე. მუდმივად შარზე იყო, ყველაფერზე შენიშვნას მაძლევდა, მოკლედ, მისი საყვედურებიდან ვერ ამოვედი. რომ გეკითხა, ვუყვარდი, მაგრამ, ვერ ვიგებდი, რაში გამოიხატებოდა ეს სიყვარული. სახლში შემოსვლისთანავე სულ იღრინებოდა, ჯაჯღანებდა, ერთ თბილ და ტკბილ სიტყვას არ მაღირსებდა. აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, რომ მისი გული მომეგო. სულ თავისი ძმაკაცების ცოლების ქებაში იყო და მეუბნებოდა, შენ ისეთი ვერასდროს გახდებიო. ბავშვის მიმართ აგრესიებს არ ავლენდა, მაგრამ, არც ზრუნვით იკლავდა თავს. ერთი სიტყვით, შვილი მხოლოდ მოსაფერებლად უნდოდა. არც არსად დავყავდი – არ უყვარდა ჩემთან ერთად სიარული. მოკლედ, ვერ ვიგებდი, რა უნდოდა ჩემგან.



ერთხელ, როგორღაც, მოხდა სასწაული და თავისი მეგობრის დაბადების დღეზე წამიყვანა. იქ ყველანი ცოლებით იყვნენ მოსულები. თამადამ ჩვენი სადღეგრძელო რომ შესვა, ჯერ მე მაქო და მადიდა და ჩემს ქმარს უთხრა, ყველაფერში იღბლიანი გამოდექი, მაგრამ, ასეთი ქალი რომ შეგახვედრა განგებამ, უბედნიერესი კაცი ხარო. ამაზე ჩემმა ქმარმა უპასუხა, განგებამ კი არ შემახვედრა, მე ვიპოვე, იმიტომ, რომ ვეძებდი. ეს რომ არ მყავდეს, არ ვიცი, რა მეშველებოდაო, მერე კი ისეთი დითირამბები მიძღვნა, გაშტერებული ვუყურებდი. ჩემი ქმრის ქება-დიდებას მისი მეგობრებისა და მათი ცოლებისგან ხომ ზღვარი აღარ ჰქონდა. ყველაზე მეტად კი იმან გამაოცა, რომ, შეთანხმებულივით, ყველა იმას ამბობდა, ასეთი თბილი, ალერსიანი, ყურადღებიანი და მზრუნველი ჩვენ შორის არც ერთი არ არის. ამის პირიდან ერთ უხეშ სიტყვას ვერ გაიგონებ, თან, ყველფერთან ერთად, ნამდვილი გაჭირვების ტალკვესია, ამის იმედად არის ჩვენი სამეგობრო. ამდენი ხანია, ვძმა-

(მე-10 გვერდიდან)

# როგორ იკიდებენ ფეხს დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარ საქართველოში მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოს სამეულში შემავალი ჩინელები, ინდოელები და ნიგერიელები

სასწავლებლად მოდიან, ფულს მით უმეტეს ვერ გააგზავნიან, რადგან მუშაობას ვერ შეძლებენ. ამიტომაც ქვეყანაში აუცილებლად უნდა შეიქმნას მიგრაციული სამსახური, რომელიც გააკონტროლებს მიგრაციას და აღრიცხავს მიგრანტებს, არალეგალებს და შეისწავლის, რამდენი შემოდის, რამდენი გადის. ძალიან რთულია დასკვნების გაკეთება, მაგრამ ცხადია, რომ ასეთი უკონტროლობა ძალიან უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური კუთხით. ჩვენი სტატისტიკა არ იძლევა ინფორმაციას, რამდენი ნიგერიელი თუ სხვა ეროვნების ადამიანი ჩამოვიდა საქართველოში.

**– ოფიციალური მონაცემით, 2013 წელს საქართველოდან ჩინეთში მილიონი დოლარი გადაირიცხა, ნიგერიაში – 5 მილიონი, არადა, ჩინელები თითქოს უფრო მეტნი გვხვდებიან, ვიდრე ნიგერიელები. ეს რით აიხსნება?**

– ჩინეთს ასეთი პოლიტიკა აქვს: თავის მოქალაქეებს სხვა ქვეყნებში ინვესტირებას უკეთებს. ინდოელებიც ხომ ხედავთ, მიწას ყიდულობენ, შორსმიმავალი მიზნები აქვთ – კომპაქტური დასახლებების შექმნა. ჩინელმა, რომელსაც უკვე ბიზნესი აქვს საქართველოში, ჩამოიყვანა თავისი ცოლ-შვილი ან უფრო ახალგაზრდა მოსახლეობა ჩამოვიდა, დაქორწინდა და აქ შექმნა ოჯახი. შექმნა ბიზნესიც, აქ აწარმოებს და ჩინეთში არანაირ ფულს არ აგზავნის, მაგრამ ჩინეთში მიდის საქონლის შემოსატანად.

**– იმას ამბობთ, რომ იქ არავინ ჰყავს, რომ ფული გაგზავნოს?**

– ფულად გზავნილებს არ აკეთებს. მაგრამ საქონლის შემოსატანად რომ რიცხავს ფულს ჩინეთში?! იქ მისი ნათესავი ან ნაცნობი იღებს ამ ფულს, ნაწილს საქონელს ახმარს, ნაწილს ხელფასად იღებს, ანუ პირდაპირი ტრანზაქცია არ არის, ამიტომ ვერ აღირიცხება, მაგრამ გამოდის, რომ ფულს მაინც აგზავნის. აი, ნიგერიელებს ასეთი ბიზნესები არ გააჩნიათ.

**– ანუ შედარებით მცირე ოდენობის ტრანზაქციები ჩინეთში მიუთითებს იმას, რომ ისინი საფუძვლიანად არიან უკვე აქ დასახლებულები?**

– დიახ, აქააწყვეს ბიზნესი, ტყეებიც მათ იყიდეს და შორსმიმავალი მიზნებიც აქვთ. დაარქვით ამას საქართველოს, გნებავთ, ეკონომიკური ანექსია, გნებავთ – ოკუპაცია. მაგალითად, რუსეთში მთელი ურალი აითვისეს ჩინელებმა და ნელ-ნელა ქმნიან თავიანთ კაპიტალს.

**– ჩემს სახლთან იყო საცხობი, უყიდია ჩინელს, ჰყიდიან პურს და ფუნთუშებს. ჩინელმა მამაკაცმა შემოუბარა იქვე მდგარ ყველა ხეს და პატარა ბოსტანიც გააშენა. მანამდე იმ ხეებისთვის არავის შემოუბარავს, ადგილობრივ მოსახლეობას ვგულისხმობ – სანამ ჩინელი არ ჩამოვიდა ჩინეთიდან მიწა ცდებოდა.**

– ძალიან მშრომელი ხალხია. სოფლებშიც ასე მუშაობენ. ერთი პერიოდი მიწები იჯარით აიღეს შიდა ქართლის სოფლებში, ქართულიც ისწავლეს და ბევრი ჩინელი საკმაოდ კარგად ლაპარაკობს ქართულად. პირველად დაზვერეს სიტუაცია. თუ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინათ მიწისქვეშა გადასასვლელებში ჰყიდიდნენ წვრილ-წვრილ საქონელს, ძირითადად, ბიჟუტერიას. მაგრამ იმ საქონლით არავინ დაინტერესდა, ამით დაზვერეს სავაჭრო გარემო, რა საქონელზე იყო მოთხოვნილება. ნახეს, რომ ქართველისთვის ფასს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ხარისხიანი პროდუქცია იყოს და მოეწონოს. იცით, რომ მათ მიერ თავდაპირველად გახსნილი მაღაზიების დიდი ნაწილი, სადაც იაფფასიანი პროდუქცია იყიდებოდა, დაიხურა.

**– შედარებით ნორმალური ხარისხის საქონელი შემოიტანეს.**

– დიახ და ადგილობრივ წარმოებაში დებენ ფულს, იმავე მიწის ნაკვეთებში. ჩვენ მათი საქმიანობის შესწავლა იმ მხრივაც გამოგვადგება, რომ მათგან დადებითის აღება შეგვიძლია. თურქები ავიღოთ: გარდაბანსა და მარნეულში შეისყიდეს მიწები, ჩვენებს ამუშავებინებენ, თეთრებს უხდიან და პროდუქცია გააქვთ თურქეთში, რადგან ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქცია უფრო ხარისხიანია. იმავე კარტოფილზე ფასი იმიტომ გაიზარდა მოულოდნელად, რომ ჩვენი ბაზარი სხვამ წაიღო. ჩამოდიან სომხეთიდან, თურქეთიდან და ბითუმად მიაქვთ. აქ კი უხარისხო კარტოფილი შემოაქვთ. ამიტომ ნინოწმინდასა და ახალციხეში ლარზე ნაკლებად კილოგრამ კარტოფილს ვერ იყიდი. თურქებიც ყიდულობენ მიწებს, თვითონვე მოჰყავთ მოსავალი, რომელიც შემდეგ აქედან გააქვთ და აქ შემოაქვთ პროდუქცია, რომელიც თურქეთში არ საღდება.

რაკი ჩვენ ვერ ვშოულობთ მაღალკვალიფიციურ სამუშაოს, ვამბობთ, აი, ჩინელი და ინდოელი რომ მუშაობს, იმიტომ ვართ ჩვენ უმუშევრები და ღარიბებიო. არადა, პირიქითაა, ისინიც რომ არ მუშაობდნენ, უფრო ღარიბები ვიქნებოდით. ამ მხრივ, მიგრანტების როლი ქვეყანაში დიდია. თუმცა ნეგატიური მოვლენებიც ახლავს თან. შეიძლება, ჩინელებისთვის ტყის მიყიდვისას იყო კორუფციული მომენტები, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ჩვენ არ ვუფრთხილდებით ტყეს?! რა დღეში ჩავაგდეთ ბორჯომის ტყე?! ტყე გაუკაფავია, არადა, გამოხშირვა უნდა, რასაც ჩვენ არ ვაკეთებთ. შენ არ უვლი მიწას, სხვამ კი მოუარა, მიიღო მოსავალი და ეს შენს ბიუჯეტზე აისახა. საყოველთაო დაზღვევა რომ გვაქვს, ეს ხომ ბიუჯეტში შესული გადასახადებიდან ფინანსდება?!

**ნინო ხაჩიძე**

# საუბრები

კაცობთ და ერთხელ არ გვინახავს ცუდ ხასიათზეო.

სახლში რომ დავბრუნდით, მითხრა: ხომ გაიგე, როგორი ქმარი გყოლია, მაგრამ, შენ შენი მოკლე ჭკუით რას მიხვდები, რომ მართლაც ბედის რჩეული ხარ, მე რომ შეგხვდი ცხოვრებაშიო. მე ველარ მოვითმინე და ვუთხარი: ყველგან და ყველასთან რომ თაფლად და შაქრად იღვრები, მე რას მერჩი, რა დაგიშავე, რომ დაცინვის, უხეშობისა და ლანძღვა-გინების მეტი ჩემთვის არაფერი გემეტება-მეთქი. ვინც რისი ღირსია, იმას იღებსო, – მიპასუხა ირონიულად. თუ ასეთი უვარგისი და ულირსი ქალი და ცოლი ვარ, იქ რატომ მაქე და რატომ მიკითხე ლექსები-მეთქი? იმიტომ, რომ ასე იყო საჭირო, მაგრამ, შენ არ გეგონოს, რომ მართლა შეგიძლია, ოცნების ქალი იყო ვინმესთვის და თავში არ აგივარდესო.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. იმ ღამეს აღარაფერი მითქვამს, რადგან, ნასვამი იყო, მეორე დილით კი, როცა ადგა, სამზარეულოში გამოვიდა და ნახა, რომ საუზმე არ მქონდა მისთვის გაწყობილი, ისევ დაიწყო ღრიალი და გინება, მაგრამ, მე უკვე შემზადებული ვიყავი და ვუპასუხე: აღარ მინდა, შენი ცოლი მერქვას და მხოლოდ სხვის დასანახავად ვიყო ბედნიერი. დავიღალე, მეც მაქვს ნერვები და თავმოყვარეობა. დღესვე შემაქვს განცხადება გაყრაზე და, მე რომ აღარ გეყოლები სახლში, ვისაც გინდა, იმას აგინე-მეთქი. ნამდვილად არ მოელოდა ჩემგან ასეთ პროტესტს, რადგან, უენო მონა ვიყავი ყოველთვის და ამიტომაც აუვარდა თავში. კარგა ხანს გაშტერებული მიყურებდა, მერე კი ჩაიცვა და სამსახურში წავიდა. ეგონა, საღამოს სახლში რომ დაბრუნდებოდა, ისევ ძველებურად დახვდებოდა ყველაფერი, ანუ, დღის განმავლობაში გამივლიდა სიბრაზე და, მერე „მომხედავდა“ თავისებურად, მაგრამ, ვერ მივართვი. ჩემი და ბავშვის პირადი ნივთები და სათამაშოები ჩავალაგე და დედაჩემთან წავედი, მაგიდაზე კი წერილი დავუტოვე: განცხადება შევიტანე. ჩემს დანარჩენ ნივთებს ამ დღეებში წავიღებ. ერთ თვეში ჩვენს საქმეს განიხილავენ და სასამართლოში მოგიწევს მოსვლა. თუ არ მოხვალ, მაინც გაგვყრიან, უბრალოდ, ცოტა დროში გაიწელება პროცესი. ჩემგან რომ გათავისუფლდები, ირბინე მერე შენს მეგობრებში და აფრქვიე სითბო, ყურადღება და სიყვარული-მეთქი.

ეს ამბავი ერთი კვირის წინ მოხდა. ჯერჯერობით არ შემხმიანებია. არ ვიცი, თვითონ რას გეგმავს, მაგრამ, მე ნამდვილად აღარ შევურიგდები.

**რუსა, 31 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**პენიტენციური სისტემის დეპარტამენტის მრჩეველი ლალი მოროშკინა ბოლო დროს საკმაოდ შეიცვალა. ბევრი ამბობს, ეს მისი გათხოვების გამო მოხდაო, ბევრიც მის საქმიანობას უკავშირებს ამ ცვლილებას. თუმცა, როგორც თავად ამბობს, ის ისეთივე მიზანდასახული, მებრძოლი და ძლიერი ქალია, როგორიც ყოველთვის იყო. რატომ არ აღიარებს დედის დღეს, როდის ხდება „საშიში" ადამიანი და რა სახით შეუძლია შურისძიება მათზე, ვინც მას წინ გადაეღობება, ამაზე თავად გვესაუბრება.**

# როგორ იძიებს შურს ლალი მოროშკინა „მიჩხიკინე" ადამიანებზე და ჰყავს თუ არა მას მუდამ მიზანში ამოღებული „მსხვერპლი"

**ლალი მოროშკინა**: მიმაჩნია, რომ ბედნიერი ადამიანი ვარ. არასდროს არაფერს ვთხოვ ღმერთს საკუთარი თავისთვის, გარდა ბავშვების ჯანმრთელობისა – ვიცი, რომ ამის ფასი ნამდვილად არაფერია. როცა ადამიანის ირგვლივ ჯანმრთელი გარემოა, შეუძლია, თამამად თქვას, რომ ის ბედნიერია. თუმცა, ბედნიერება ფილოსოფიური კუთხით რომ განვიხილოთ, ზოგისთვის ის პლაჟზე წოლაა, ზოგისთვის – კარგი მანქანა, ჩემთვის კი ეს ჯანმრთელი გარემოა და ამის ფასიც ვიცი, რადგან, დამიკარგავს მეგობრები, ახლობლები, ოჯახის წევრები. თუმცა, კვერცხისა და ქათმის არ იყოს, ჯერ ვერ დავადგინე, ბედნიერია ადამიანი, როცა ჯანმრთელია თუ, ჯანმრთელია, როცა ბედნიერია *(იცინის)*.

**– ყველას ცხოვრებაში დგება მტკივნეული დღეები, როცა ცუდად ხარ, გგონია, რომ სამყარომ ზურგი შეგაქცია. ამ დროს – როგორ გამოგყავს თავი შექმნილი რთული მდგომარეობიდან? ან, იქნებ, დეპრესიაში ვარდები?**



უნდა იცოდე ადამიანმა, რისთვის ხარ მოვლენილი ამქვეყნად

– ზოგადად, ადამიანმა უნდა იცოდე, რისთვის ხარ მოვლენილი ამქვეყნად; რომ ეს ცუდი პერიოდი გაივლის და ისევ ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდები. საერთოდ არ მაქვს დეპრესიული პერიოდები; მე მაქვს პერიოდი, როცა ვიღაც მიზანში მყავს ამოღებული, როცა შუბი უნდა გავისროლო; მაქვს პერიოდი, როცა ვიღაც მიზანში მყავს და მის გვერდით ბედნიერი ვიქნები და, პერიოდი, როცა მხოლოდ მის გვერდით მინდა ყოფნა.

**– ახლა რომელი პერიოდი დგას შენთვის?**

– ახლა დგას პერიოდი, როცა მომავალ ერთ წელს ვგეგმავ. მე იმ ადამიანების კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც წლიდან წლამდე გეგმავენ საკუთარ ცხოვრებას. ერთია, რა გამოდის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, პროგრამა-მინიმუმი მაქვს *(იცინის).* ამ ჩემს გეგმაში კონკრეტული მიზნები შედის, სპონტანურად არაფერს ვაკეთებ. ამიტომ ვამბობ, რომ მაქვს პერიოდი, როცა ვიღაცას გავუსწორდები ან ვიმეგობრებ. ზოგადად, მე მივეკუთვნები შურისმაძიებელთა კატეგორიას. თუ რაღაც არ გამომდის და ვიღაც საქმეს მიფუჭებს, მიზნად ვისახავ, ასეთი ადამიანი მოვიშორო. არ მოვკლავ, მაგრამ, მინიმუმ, კარიერას გავუფუჭებ – ეს მარტივად შემიძლია. მთავარია, წინ არ გადამირბინონ.

**– ესე იგი, საშიში ქალი ხარ?**

– ახალი ამბავი! *(იცინის).* იცით, საოცრად იღბლიანი ადამიანი ვარ. სულ ვამბობ, მე ქუდბედიანი დავიბადე და ბედი ამიტომაც მილიმის-მეთქი. ისეთ სიტუაციებში ვარ გადარჩენილი და ისეთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ვარ მოგებული, ზოგისთვის ეს დაუჯერებელიც კია. წარმოიდგინეთ უმძიმესი ავარია, უმძიმესი დიაგნოზი, ცხოვრების უმძიმესი ქარტეხილები და – მე მაინც ძლიერი ვარ. პერიოდულად საოცრებები მემართება, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ცოცხალი ვარ. ხუთი წუთის გადასული ვიყავი მანქანიდან, მეხი რომ დაეცა ჩემს მანქანას, მცხეთის ხიდი გავანგრიე მანქანით, გადავვარდი არაგვის პირას და, არავინ იცის როგორ გადავრჩი. ბედი რომ არ მქონოდა, სიკვდილს ხომ ვერ ავცდებოდი?! ფაქტია, იღბლიანი, ქუდბედიანი ვარ, ცხოვრება გრძელდება და დღეს ბედნიერ ადამიანად მიმაჩნია თავი. ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ, სხვა ყველაფერი გადავიტანე *(იცინის)* და, ამ საოცრებების გადამტანი, არც მორალურად და არც ფიზიკურად გავტყდი. მე საოცრებებისა და ბედისწერის მჯერა, მაგრამ, იმისიც მჯერა, რომ ძლიერი ადამიანი შეძლებს, თავისი ბედისწერა უკეთესობისკენ შეცვალოს. მეც ასე მოვიქეცი და ჩემი ბედისწერა უკეთესობისკენ შევცვალე *(იცინის).*

**– გაზაფხულის პირველი თვე, ფაქტობრივად, მანდილოსნებს გვეკუთვნის. ეს დღესასწაულები ოჯახის წევრმა მამაკაცებმა როგორ მოგილოცეს?**

– მართალია, მამაკაცების გარემოცვაში ვარ, სახლში სამი კაცი მყავს, მაგრამ, იციან ჩემი ხასიათი და შესაბამისად იქცევიან. მაგალითად, მიმაჩნია, რომ დედის დღე აბსურდია. ვინც დედა არ არის და ქალია, იმან რა დააშავა? ნორმალურ ადამიანს კი დედა სულ ახსოვს და, არ არის აუცილებელი, ერთი კონკრეტული დღე მიულოცო. მე ასეთი დამოკიდებულება მაქვს და, ამის გამო, ჯანდაბას, დედის დღე რახან არის, გილოცავთო, – აი, ასე მომილოცეს *(იცინის).* არ მიმაჩნია ნორმალურ მდგომარეობად დედის დღის მილოცვა, რადგან, ჩემ გარშემო ბევრი ქალბატონია, რომლებიც ჩემს ასაკამდე ისე მოვიდნენ, შვილი ვერ გააჩინეს და, ზუსტად ვიცი, ეს დღე მათთვის გულში ლახვრის ჩაცემაა. ვინც არ არის დედა და ქალია, მათთვის ეს დღე არ არის? რა დააშავეს მათ? იციან ხოლმე თქმა: გილოცავ, შენც პოტენციური დედა ხარო. სისულელეა. ზოგმა ხომ იცის, რომ პოტენციური დედაც არ არის. მე იმ ქალების დღეს ცალკე დავაწესებდი, ვისაც საკუთარ შვილებზე უნდა დაეხარჯა თავისი ენერგია, მაგრამ, არ ჰყავს და სხვის შვილებს უვლის. ბევრი ვიცი, არ ჰყავს საკუთარი შვილი, მაგრამ, სხვის შვილს ისე ზრდის და უვლის, როგორც თავისას. ასე რომ, მე 3 მარტს არ ვაღიარებ, აი, 8 მარტი – კი, ბატონო! ქალის დღე არის ქალის დღე და, რა შუაშია აქ პოტენციური და არაპოტენციური დედობა, არ მესმის.

**ხუთი წუთის გადასული ვიყავი მანქანიდან, მეხი რომ დაეცა ჩემს მანქანას; მცხეთის ხიდი გავანგრიე მანქანით და გადავვარდი არაგვის პირას და, არავინ იცის, როგორ გადავრჩი. ბედი რომ არ მქონოდა, სიკვდილს ხომ ვერ ავცდებოდი?!**

**– ლალი, შენი აზრით, რა არის ქალის მთავარი პრინციპი ცხოვრებაში?**

– ქალის მთავარი პრინციპია ცხოვრებაში, იყოს ნორმალური ადამიანი. არ შემიძლია, ამ მხრივ დავყო ქალი და მამაკაცი, ისინი აბსოლუტურად ერთი წარმონაქმნია. მთავარი პრინციპი კი მათთვის უნდა იყოს ერთი – არ ავნო სხვას!

**– აბა, წეღან რომ თქვი, შემიძლია, ადამიანი მიზანში ამოვიღო, კარიერა გავუფუჭო და ვავნოო?**

– თუ წინ გადამეღობე, გადამემტერე და „მიჩხიკინე", „ჩხიკინი" ისეთი ვიცი, ჩემი მოგონილია. თუ ადამიანები ისწავლიან, რომ სხვას არაფერი გაუფუჭონ, უფრო მარტივად იცხოვრებენ. ქალიც და კაციც თანასწორი დაიბადა და არავინ თქვას, ვინმე ვინმეზე მეტია, მით უმეტეს, კავკასიელი ქალი, რომელიც საოცარი ენერგიითაა დაჯილდოებული და უდიდესი ძალა გააჩნია, გაზარდოს შვილები, იმუშაოს და პარალელურად სხვა საქმეც აკეთოს. მე თანასწორუფლებიანობის მომხრე ვარ. ადამიანი მაქსიმალურად უნდა დაიხარჯო.

**– ოჯახი, სამსახური, სამეგობრო-საახლობლო. – დრო თუ გრჩება, რომ ქმარი გაანებივრო სიურპრიზებით?**

– რასაკვირველია, მრჩება. პირადი ცხოვრება ქალისთვის მაინც მთავარია და თუ საყვარელი ადამიანი გყავს გვერდით, მისთვის დრო არ უნდა დაგენანოს. ბანალური და ხელოვნური სიურპრიზები არ მიყვარს, შესაბამისად, ისე ვიქცევი, რომ მისთვისაც სასიამოვნო იყოს და ჩემთვისაც. თუ გულით აკეთებ ამ სიურპრიზს, მაშინ ის ძალიან სასიამოვნოა. მე სულ ვიღებ მესიჯს ქმრისგან: „მიყვარხარ!" და, ანალოგიურად, მეც იმავეს ვწერ. საყვარელმა ადამიანმა ყოველდღე უნდა გითხრას, რომ უყვარხარ და შენც იგივე უნდა უთხრა. ანუ, საჭიროა იმის ყოველდღიურად დამტკიცება, რაც უკვე გაქვს და არსებობს შენთვის. დიახ, ყოველდღე და ხმამაღლა უნდა უთხრა, რომ გიყვარს, აბა, ამირან გულში მღეროდა ვის რად უნდა?! *(იცინის).*

**ნონა დათეშიძე**

**ჩემს მეხსიერებაში მზეო გოგოჭური იმ მომენტიდან ჩნდება, როდესაც ის ვახუშტი კოტეტიშვილის ცხოვრებაში გამოჩნდა (ცუდად არ გამიგოთ, ამაში მხოლოდ ჩემი ასაკია დამნაშავე). ჩვენი ინტერვიუ პირობითად სამ ნაწილად დავყავით: ვახუშტიმდე, ვახუშტისთან და ვახუშტის შემდეგ. არ ვიცი, ვის რა ემოციები დაებადება ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ, მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს იყო ყველაზე გულწრფელი საუბარი რესპონდენტსა და ჟურნალისტს შორის. თუმცა, თვითონ განსაჯეთ...**

# რას წარმოადგენდა მზეო გოგოჭურისთვის ვახუშტი კოტეტიშვილი ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგ

**– თელავში, გოგოჭურების ოჯახში დაიბადა, მესამე შვილი – გოგონა. მას მზექალა დაარქვეს.**

– ბებიას სახელი დამარქვა მამამ. ოჯახში ყველაზე უმცროსი შვილი ვიყავი.

**– განებივრებდნენ?**

– რა თქმა უნდა, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ამ „განებივრებაში" არამც და არამც არ იგულისხმება დაუმორჩილებლობა. არტისტული ბავშვი ვიყავი და განებივრება გამოიხატებოდა იმით, რომ მეთამაშებოდნენ, აქტიურად მესაუბრებოდნენ, ან მამღერებდნენ, ან მიკითხავდნენ... ამ თვალსაზრისით, სრულფასოვანი ბავშვობა მქონდა. მახოვს, 5 წლის ვიყავი, როცა მოვითხოვე, ბიბლიოთეკაში ჩამწერეთ-მეთქი და მართლაც წამიყვანა დეიდამ.

**– კითხვა უკვე იცოდით?**

– წერაც, კითხვაც და ამ პერიოდისთვის უკვე წაკითხული მქონდა მსოფლიოს ბავშვთა ზღაპრები. დეიდა ზიზი (ბაიაშვილი) მაშინ გასათხოვარი იყო და რაზეც უოცნებია, ყველაფერს მე მისრულებდა. ვიოლინოზეც მან შემიყვანა.

**– ყველასნაირი სახელი არ გქვიათ... თითქოს არარეალურს ელოდები მზეოსგან, ისეთს ყველას რომ არ გადახდება...**

– რა კარგი კომენტარია ***(იცინის).*** სახელები ხომ ბედს განსაზღვრავს. შეიძლება, მართლაც ასეა. იცით, რა, ხანდახან, როცა ჩემი თავისთვის გვერდიდან შემიხედავს, მეც იგივე დასკვნა გამიკეთებია. ერთხელ ერთ რადიოში ვიყავი მიწვეული და დაახლოებით იგივე თემაზე იყო საუბარი. თუ როგორ ვხედავთ ჩვენს თავს გვერდიდან. გაცვეთილი გამოთქმა ხომ არსებობს, რომ ცხოვრება არენაა, თეატრისას არ ვიტყვი, ვთქვათ ცირკის, რომელშიც ყველა თავის როლს ირჩევს. ზოგი ცხოველებს ათვინიერებს, ზოგიც უფრო ადვილ საქმიანობას ირჩევს. მე ჩემს თავს შევადარებ, თოკზე რომ გადიან იმას. არასდროს მდომებია შეყუჟვა – მყუდრო, თბილი და ტკბილი ყოფა რომ მენატრა. სულ მაინტერესებდა ის, სადაც ხმაური და ორომტრიალი იყო და რაღაც დიდი ენერგია ტრიალებდა. ცხოვრებაა ეს ყველაფერი. ცალკე შეყუჟვა და მიყუჟვა ჩემთვის მოსაწყენი იყო, იმდენად რომ, შეიძლება, მაგის გამო მეტირა კიდეც. ეს მაშინ, როცა სხვამ რომ წარმოიდგინოს ჩემს ყოფაში თავი, ცხარე ცრემლები დასცვივდეს. მე დღესაც არ ვიცი, რა არის ბედნიერება, არა ვარ ისეთი ჭკვიანი ქალი. უბრალოდ, ის ვიცი. მე რა მიტაცებს და რა მაინტერესებს. დასკვნებს ვერ გავაკეთებ, მაგრამ ვგრძნობ, რომ მე ასე უნდა მეცხოვრა. ჩემთვის ყველაზე საინტერესო რაც იყო, იმას ვეპოტინებოდი და არა დადგენილ წესებს.

**– ცოტა გაცვეთილი კითხვაა, მაგრამ მაინც გკითხავთ: რამის შეცვლა რომ შეგეძლოთ იგივე გზას აირჩევდით?**

– იგივე გზას ავირჩევდი! ყოველი ნაბიჯი, რომელიც ცხოვრებაში გადავდგი, იმ მომენტში დიდ სიხარულს და თავდაჯერებას მანიჭებდა. არ აქვს მნიშვნელობა, როგორ მთავრდებოდა. ვერ ვიტყვი, რომ იმპულსური ვარ.

**– „ვახუშტიმდე" მზეო როგორ აღიქვამდა ვახუშტის?**

– როგორც თქვენ ***(იცინის).*** ჩემთვის ვახუშტი მერეც ასეთივე დარჩა. არ გეგონოთ, რომ რადგან ის ჩემთვის ახლობელი გახდა და ცხოვრების თანამგზავრები გავხდით, მას შარავანდედიდან ოდნავ მაინც მოაკლდა რამე... არაფერიც, პირიქით, რაც უფრო ახლოს გავიცანი, მით უფრო დიდი და მნიშვნელოვანი გახდა. მანამდე ვახუშტი ჩემთვის კრებითი სახე იყო ქართული პატრიოტობის, არტისტულობის, პოეტურობის, რაინდობის, გნებავთ ფიზიკურადაც, – ხომ კარგი იყო არა ვახუშტი?.. ის იყო ჩემთვის ქართულ-ევროპული ნაზავის საუკეთესო ნიმუში.

**– თქვენი გაცნობა როგორ მოხდა?**

– ლექციაზე დაგვიანებით შევედი. ზეპირსიტყვიერებას გვასწავლიდა ვახუშტი. ამიტომ, ჩვენი დიალოგი მაშინვე ფოლკლორში გადაიზარდა. მე აღტაცებული ვიყავი ვახუშტის ლექციით. ვახუშტი კი იჯდა, მაშინ სახლი ახალი დამწვარი ჰქონდა, ერთი ქურთუკის ანაბარა, თავისი განუყრელი ბერეტით. თითები გადაყვითლებული ჰქონდა ასტრათი. იყო გამხდარი, თვალების გამომეტყველება ჰქონდა საოცრად ნიჭიერი. იყო მატერიალურად აბსოლუტურად გაძარცვული პიროვნება, რომელმაც მთელი ცხოვრება თავისი ქვეყნის სამსახურს შეალია და ასეთი სამაგიერო მიიღო. ჩემთვის ის უაღრესად ტრაგიკული და საინტერესო ადამიანი იყო, რომელსაც არაფერი დააკლო ცხოვრებამ. მამამისი თავის ქვეყანას შეეწირა. დედა – ვახუშტიზე მშობიარობას გადაჰყვა, ბებიის გარდაცვალების შემდეგ, და ზრდიდა... და ის იჯდა ასე უტეხად, ბავშვებს ელაპარაკებოდა ფოლკლორზე. თუ რა მაგარია ქართველი ხალხი და ქართული ზეპირსიტყვიერება.



**ბევრ რაღაცაზე ამიხილა თვალი და ისეთი ზნეობრივი თავისუფლება მასწავლა, რომლითაც ყოველთვის ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ**

**– მერე რა მოხდა?**

– გაუკვირდა, ფოლკლორში რომ ავყევი. მაშინვე გამომკითხა, რა გქვიაო, ვისი ხარო... მამაჩემის კურსელი აღმოჩნდა. მერე ამაზე ჟარგონით ამბობდა ხოლმე: ეს რომ გავიგე, აუ, რა მაგრა გამიტყდა – ძმაკაცის შვილიაო. ამ ყველაფრის შემდეგ, მაინც ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს. ჩვენი ურთიერთობა იყო ამაღლებული და ლამაზი. ოღონდ ისე არ გაიგოთ... პეპელასავით ფარფატა კაცი არ ყოფილა. მაგარი კაცი იყო ვახუშტი – ჩვეულებრივი, თავისი უხეში მოძრაობებითაც. ერთი ქართველი და არც ისე ენამოჩლექით ლაპარაკი იცოდა წარა-მარა. კაი ღრიალიც იცოდა, ჭიქასაც ამტვრევდა და თეფშსაც. ჩვეულებრივი კაცი იყო. ამავე დროს, უბრალოდ, როცა სიყვარულთან დაკავშირებით ნაზი გრძნობები უჩნდებოდა, ჰქონდა ზრუნვის, განებივრების სურვილი. რასაკვირველია, ძალიან მანებივრებდა თავისი სიყვარულით. მე ვგრძნობდი მასში არა მარტო მეუღლეს, არამედ უდიდეს მეგობარს, რომლის მსგავსი არც მყოლია და არც მეყოლება.

**– ფსიქოლოგები ამბობენ ცოლ-ქმრის 3 ტიპი არსებობსო. თქვენ რომელს მიეკუთვნებოდით?**

– სამივე ერთად იყო ჩვენთან, იმიტომ რომ, ზრუნავდა როგორც შვილზე, ბევრ რაღაცეებზე ამიხილა თვალი და ისეთი ზნეობრივი თავისუფლება მასწავლა, რომლითაც მე ყოველთვის ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ.

იყო მომენტი, როცა მე ვზრუნავდი მასზე როგორც დედა. ბოლოს, როცა მძიმე მომენტი დადგა, მე არანორმალური მზრუნველი დედის ფუნქცია შევიძინე.

**– რაზე შეიძლება, გაბრაზებულიყო ვახუშტი?**

– ისე ვიცხოვრე, სერიოზული გაბრაზების მიზეზი ვახუშტისთვის ნამდვილად არ მიმიცია. აფეთქება შეეძლო რაზე, მაგალითად, მე ვუშლიდი სიგარეტის წევას. ექიმები უშლიდნენ, მილიონჯერ გადააგდო და ისევ დაიწყო. ბოლოს ნერვები აღარ ჰყოფნიდა და ჩუმად ეწეოდა. რომ გავიგებდი, მოწია, ისტერიკაში ვვარდებოდი (ამით ნაწილობრივ ვაკავებდი.) ბოლოს, ისეთი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, ოჯახის წევრებს ეუბნებოდა: მაგან არ გაიგოს, გაგიჟდებაო. ჩვენს ოჯახში ბავშვები სულ ტრიალებდნენ. მე შევკრიბე ყველანი და დავაფიცე, სიგარეტი აღარ მოეტანათ ვახუშტისთვის. ამის შემდეგ ვახუშტი აივნიდან, გამვლელებს უგდებდა ფულს, შენს გახარებას...

აბსოლუტურად მორღვეული ჰქონდა ასაკი. ვახუშტი ვერ დაბერდა. ვახუშტი იყო ჩვეულებრივი ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც ფიზიკურად რაღაცეებიასტკივდა, თორემ ბუნებით ვერ დაბერდა. ჩასაცმელზე მეტყოდა ხოლმე: „მომაშორე, ეს რა მომიტანე, პენსიონერის შარვალი, ფუ". ვიღაცას ეგონა, რომ ფანდური უყვარდა, მთაში სიარული და... არა, ისიც მოსწონდა, ბრენდებიც უყვარდა, თანამედროვე სიმღერებიც.... მომასმენინებდა ხოლმე: „ვაიმე ფისო, იცი ეს სიმღერა როგორ მომწონს"... იმდენად თანამედროვე იყო, ხანდახან ვეტყოდი, ეს რატომ თქვიმეთქი. გახსოვთ, ქართული „ფლეიბოის" რამდენიმე ნომერი რომ გამოვიდა საქართველოში. ჩვენი შოუ-ბიზნესის რამდენიმე გოგო გადაიღეს. ატყდა ამბავი და ეს გოგოები, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ეთერში გაასამართლეს. ვახუშტისაც გააკეთებინეს კომენტარი ამასთან დაკავშირებით. გამოვიდა ვახუშტი: ეს არის შოუ-ბიზნესი, ეს არის ხელოვნება, ხელოვნება ყველანაირად მოითხოვს თავის ხარკსო. ასეთივე შიშვლები არიან ანტიკური ქანდაკებები. მაგალითად, ვენერა მილოსელი, აბა, ვენერას რომ კაბა ეცვას, მის სხეულის სილამაზეს ხომ ვეღარ დავინახავდითო... მოკლედ, მიუშვა ვახუშტიმ ენა. მე ვუსაყვედურე, ბოლოში ეგ მაინც არ გეთქვა: ასე რომ, გოგოებო, გაიხადეთო.

**– ერთ-ერთ თქვენს ინტერვიუში წავიკითხე: ჩვენი სიყვარული ისევ გრძელდება, უბრალოდ, გარდაცვალებამ დაგვაშორა დროებითო...**

– ეგრეა ზუსტად. მე ვახუშტი მყავს. ვერ წარმოვიდგენ ისეთ წუთს, მე რომ ვახუშტი არ მყავდეს. თუ რაიმე აზრი მიჩნდება, მაშინვე მოდის მეორე – რას იტყოდა ვახუშტი ამაზე. ძალიან ცოტა ხანია დღის განმავლობაში, როცა მე მასზე არ ვფიქრობ. ჩვენ ისევ განვაგრძობთ ერთად ცხოვრებას და მე ვცდილობ, ვახუშტის ისევ ვუყვარდე, ისევ მოვწონდე. სულ ისეთი განცდა მაქვს, რომ ის თან დამყვება. ხან შეხვედრა მაქვს, სიტყვით გამოსვლა. მე ვიცი, ასეთ დროს როგორ რჩევას მომცემდა ვახუშტი – ასე კი არა, ასე ჯობიაო. ვიცი, რომ ვახუშტის ასე მოეწონებოდა და მეც ვიქცევი ისე – მივდივარ ჩემი თავის წინააღმდეგ, იმიტომ რომ, სამაგიეროდ, ის მშვიდად იქნება. ასეა ურთიერთობებშიც, იქაც ვახუშტის რჩევებით ვხელმძღვანელობ.

**ეკა სალაღაია**



# როდის დებს ქალი თავის რეპუტაციასა და ოჯახურ კეთილდღეობას სასწორზე

**ცხოვრება მოულოდნელობებით არის აღსავსე და სიურპრიზებსაც ხშირად გვთავაზობს. არავინ ვართ დაზღვეული იმისგან, რომ ხვალ ისეთ საქციელს არ ჩავიდენთ, რომელსაც ვერც კი წარმოვიდგენდით, რომელზე ფიქრიც, შეიძლება, ამორალურად გვეჩვენებოდა. სხვისი განსჯა უფრო ადვილია, ვიდრე საკუთარ დანაშაულზე საუბარი. მით უმეტეს, თუ ამ დანაშაულს უამრავი არგუმენტით ამყარებ.**

**შეიძლება, გრძნობა და ვნება მართლაც ახშობს გონებას, მაგრამ, არსებობს პასუხისმგებლობაც. თუმცა, გამართლება, ალბათ, ყველასი შეიძლება, მით უფრო იმის, ვისაც აქვს სინდისის ქენჯნის განცდა...**

**მარიამი** *(31 წლის):* ყოველთვის მესმოდა და მეც ვეთანხმებოდი, რომ არ შეიძლება, სხვის უბედურებაზე ააგო საკუთარი ბედნიერება – ვერ გამოვა ეს ბედნიერება. რამდენჯერ გვილაპარაკია მე და ჩემს დაქალებს ამ ყველაფერზე. მაგრამ, ლაპარაკი ერთია, ცხოვრება და რეალობა – მეორე. სამწუხაროდ, მე დამემართა ის, რის გამოც ბევრი განმისჯია და ახლა ძალიან ვნანობ ამას.

**– საკუთარ საქციელს ნანობთ თუ იმას, რომ სხვა განსაჯეთ?**

– ერთსაც და მეორესაც. არ ვამბობ, რომ მოულოდნელად დამეცა თავზე ეს ყველაფერი და ვერ გავიგე, რა როგორ მოხდა. საკუთარ უბედურებას თუ ბედნიერებას მეც ძალიან შევუწყვე ხელი. რომ გავჩერებულიყავი და არ ავყოლოდი ამ სახიფათო თამაშს, დღეს ყველაფერი ძველებურად, სტაბილურად და ჭარბი ემოციების გარეშე იქნებოდა. ნამდვილად არ ვგრძნობ თავს კომფორტულად, მაგრამ ამას უკვე აღარაფერი ეშველება. თქვენთან საუბრით შევეცდები, ავუხსნა იმ ადამიანებს, ვისაც ტკივილი მივაყენე, რომ არ მინდოდა, ასე მომხდარიყო. ყველაზე ნაკლებად ვინმეს დაზარალება და წყენინება მინდოდა. იცით, როგორი ურთიერთობა მქონდა ქმართან?! – სრულ და აბსოლუტურ ნდობაზე დაფუძნებული. ის მე მეუბნებოდა ყველაფერს, მე – მას. ჰარმონია იყო ჩვენს ურთიერთობასა და ყოველდღიურობაში. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ამას რამე შეცვლიდა და აურევდა.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ერთ საღამოს ჩემი ქმრის ახლობლისგან მესიჯი მივიღე. სამზარეულოში რაღაცას ვაკეთებდი და მობილური ჩემმა ქმარმა თვითონ შემომიტანა. ნახე, ერთი, ვინ მწერს-მეთქი, – ვუთხარი. მართლა არავისგან ველოდი მესიჯს, მით უმეტეს – ფლირტის შინაარსის. ამიტომ, ცოტა შევშფოთდი, როცა ჩემი ქმრის სახეს შევხედე. რა იყო-მეთქი, რომ ვკითხე, მან მდუმარედ გამომიწოდა ტელეფონი. „შენ ისეთი მომხიბვლელი ხარ, შეუძლებელი იყო, გულგრილი დავრჩენილიყავი!“ – გამეცინა და ჩემს ქმარს ვუთხარი: დიდი უტიფარი და თავხედი ვინმეა ეს შენი მეგობარი-მეთქი. ვიგრძენი, რომ მოეწონე, სხვანაირად გიყურებდა. ახლა დავურეკავ და მაგრად ვაგინებო. ბევრი ველაპარაკე, რომ ამ განზრახვაზე ხელი აეღო. მე მივწერ ისეთ რამეს, მეორედ ველარც სხვანაირად შემომხედავს და აღარც აღარაფერს მომწერს-მეთქი. თან, ვიცოდი, რომ იმას ცოლიც ჰყავდა და ოჯახი ჰქონდა.

**– ანუ, საერთოდ არანაირი ემოცია არ გქონიათ, გარდა ბრაზისა?**

– ვერ მოგატყუებთ. როგორც ყველა ქალს, მეც სასიამოვნოდ ამიჩქარდა გული. ვის არ მოეწონება ის, რომ საპირისპირო სქესისთვის საინტერესო და სასურველია. გათხოვილი ხარ თუ გაუთხოვარი, ეს მაინც ერთნაირად გსიამოვნებს. მე თუ მკითხავთ, გათხოვილებს კიდევ უფრო მეტადაც.

**– მაშინაც კი, ქმარი რომ გიყვარს?**

– მაშინაც კი და, დამეთანხმეთ, რომ ასეა. გულწრფელად გეუბნებით, არც მიფიქრია, რომ ჩვენ შორის რომანი დაიწყებოდა. ამას ყველაზე ცუდ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდი. მშრალი და ცივი პასუხი მივწერე. მეორე დღეს ისევ მომწერა. არ ველოდი, სიმართლეს ვამბობ. დავუმალე ქმარს ეს ამბავი, რადგან, შემეშინდა, რამე საშინელება არ მომხდარიყო.

**– რა საშინელება?**

– მაგალითად, ჩემი ქმარი არ მივარდნოდა, არ ეცემა, არ ეჩხუბა და კიდევ უფრო

**ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ჩემი ქმრის ახლობლისგან ფლირტის შინაარსის მესიჯი მივიღე**

მძიმე შედეგი არ მოჰყოლოდა ამას. ისევ მშრალი პასუხი მივწერე, ისევ მომწერა და... მოკლედ, ვერც მივხვდი, როდის გადამექცა მოთხოვნილებად მასთან ესემესსაუბარი.

**ვერ ხვდებოდით, სადამდე შეიძლებოდა, მისულიყო ეს ამბავი?**

– როგორ ვერ ვხვდებოდი, მაგრამ... თავიდან სინდისს იმით ვიმშვიდებდი, რომ ეს მხოლოდ რომანტიკული ურთიერთობა იყო, რომელიც სიხარულით მავსებდა და ცხოვრებას მიხალისებდა... მერე მოხდა ის, რომ მისმა ცოლმა ნახა ჩემი მესიჯი და ჩემს ქმარს დაურეკა. საშინელი სკანდალი იყო ჩემთანაც და იმასთანაც. ქმარი გადამერია, გაგიჟდა. მობილური დამიმტვრია, სოციალური ქსელები დამიბლოკა. ერთი სიტყვით, ცრემლებიც არ დამკლებია. საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ ამ ამბავს დავამთავრებდი. იმასაც შევატყობინე, დამივიწყე-მეთქი. არ გამოგვივიდა. ხან მე მჭირდა „აფეთქება“, ხან იმას და ლოგიკურ შედეგამდეც მივედით – ერთ საწოლში აღმოვჩნდით. ეს უკვე აღარ იყო რომანტიკული და პლატონური ურთიერთობა. მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ასეთი რომანი, ასეთი ვნება არ მქონია. ჩემში სხვა ქალმა გაიღვიძა. თურმე, სულ სხვანაირი ვყოფილვარ, სხვანაირი გრძნობებით და ემოციებით. გადავრიეთ ერთმანეთი და მე ამ კაცზე უარის თქმა უკვე აღარ შემეძლო.

**– შეგიყვარდათ?**

– ეს სიყვარულზე გაცილებით მეტი იყო. ჩემი ქმარიც მიყვარდა, ძალიან მიყვარდა, მაგრამ, მასთან ასეთი თავდავიწყება არასდროს მქონია. არ იფიქროთ, რომ ჩემს ქმარს სუსტად წარმოვაჩენ ან მისი სისუსტით მანიპულირებას ვცდილობდი.

**– რას გულისხმობთ სისუსტეში?**

– იმას, რომ არაფრით არ უნდოდა ჩემთან განშორება. მე კი სკანდალებში, ცრემლებში და ტყუილში ცხოვრება აღარ მინდოდა. ველარ გავაგრძელებდი ჩემი ქმრის გვერდით ცხოვრებას და წამოვედი მისგან. რისკი იმისა, რომ ბავშვს წამართმევდა, ძალიან დიდი იყო, მაგრამ, წავედი ამ რისკზე. ჩემი რეპუტაციაც სასწორზე დავდე და ოჯახიც დავანგრიე.

**– ვნების გამო?**

– რაც გინდათ, ის დაარქვით, მაგრამ, იმ მომენტში მე ამით ვცხოვრობდი, ჰაერი და ჟანგბადი იყო ჩემთვის. მრცხვენია, ამას რომ ვამბობ, მაგრამ, ვერ მოვერიე საკუთარ თავს, ვერაფრით ვაჯობე. ჩემი საყვარლის ცოლი საშინლად მლანძღავდა ყველა საშუალებით და ყველანაირად. მესმოდა მისი და ვდუმდი. ის არ წამოსულა ცოლისგან. იყო ოჯახში და ვერ აკეთებდა საბოლოო არჩევანს. მიდიოდა ჩემგან და ისევ ბრუნდებოდა სიტყვებით: შენ გარეშე არ შემიძლიაო.

**– ცოლმა იცოდა ეს ყველაფერი და პატიობდა?**

– დიახ. ის იბრძოდა თავისი ოჯახისთვის, თავისი სიყვარულისთვის... თუმცა, მე ეს არ მესმის და არც არასდროს მესმოდა. სიყვარული ან არის, ან არ არის. მისთვის როგორ უნდა იბრძოლო?

**– რატომ? თქვენ ხომ თქვით, რომ თქვენი ქმარიც ცდილობდა, როგორმე დაებრუნებინეთ. ესეც ხომ იყო სიყვარულისთვის ბრძოლა?!**

– არ ვიცი. შეიძლება, ეგოიზმი იყო ან რაღაც სხვა. შეიძლება, სიყვარულიც. ყველას ხომ სხვადასხვანაირი აღქმა აქვს ამ გრძნობის. მე ჩემს ქმარს არაფერს ვსაყვედურობ და არც არაფერს ვაბრალებ. არც იმის ცოლს... როგორ განვსაჯო მისი საქციელი, როცა მე დამნაშავე ვარ – ფაქტობრივად, ოჯახი დავუნგრიე.

**– აღიარებთ ამას?**

– რომ არ ვაღიარო, რეალობა შეიცვლება? ფაქტია, რომ მას და მის ქმარს შორის ჩავდექი. არ დავიწყებ იმის ლაპარაკს, რომ, მე თუ არა, სხვა იქნებოდა; რომ მესამე არ ანგრევს ოჯახს... როგორ არ ანგრევს. მოდიოდა ცოლისგან იმის მტკიცებით, რომ უკან

# როგორ დაკარგეს ერთმანეთი ჯარის მეგობრებმა და ვის ეძებენ რუსეთიდან ორჯონიკიძეში

*45 წლის ალიკ მუსას ძე ტოვსტულტანოვი ეძებს 44 წლის ზაზა მუმლაძეს.*

**ისტორია**: ვეძებ ჯარის მეგობარს – 44 წლის ზაზა მუმლაძეს. მე და ზაზამ ერთმანეთი ჯარში მსახურობის დროს გავიცანით. მაშინვე დავახლოვდით და ის ჩემი საუკეთესო მეგობარი გახდა. სამწუხაროდ, ზაზა სამშობლოში დაბრუნებისთანავე დავკარგე. მაქვს ერთად გადაღებული ფოტო. ძალიან გთხოვთ, მაპოვნინოთ ჩემი მეგობარი.

**– გვიამბეთ თქვენი ისტორია, როგორ გაიცანით მეგობრებმა ერთმანეთი?**

– 1987-1988 წლებში მე და ზაზა როსტოვის მხარის ქალაქ ბატაისკში ვმსახურობდით. ჩვენი სამხედრო ნაწილი გახლდათ №42079. ორივე ფრენის უზრუნველყოფის ბატალიონში მოვხვდით. ზაზა ძალიან კარგი პიროვნებაა და ჩვენ მაშინვე დავმეგობრდით. ჯარის სამსახურის დასრულება ზაზაზე ერთი წლით ადრე მომიწია. ჩემს მერე ზაზა კიდევ ერთი წელი მსახურობდა. შემდეგ ის თავის სამშობლოში დაბრუნდა. მასთან ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს. ის ჩემი ჯარის მეგობარია და მისი მოძებნა ძალიან მინდა. თავად მე, ჩეჩნეთში ვცხოვრობ, ზაზა კი რამდენადაც ვიცი, ორჯონიკიძიდან იყო. დამოუკიდებლად მისი მოძებნა ვერ მოვახერხე და თქვენ ამიტომაც დაგიკავშირდით.

**– გარდა იმისა, რომ თქვენი მეგობარი ორჯონიკიძიდან იყო, კიდევ რა იცით მის შესახებ?**

– ვიცი, რომ ზაზა კახელია. ცხოვრობდა ორჯონიკიძეში (ყოველ შემთხვევაში, მაშინ იქ ცხოვრობდა). სხვა ინფორმაცია მის შესახებ არ მაქვს. გიგზავნით ფოტოს, რომელზეც მე და ზაზა ვართ. დიდი იმედი მაქვს, რომ მის პოვნაში დამეხმარებით. ძალიან მინდა, მასთან ურთიერთობის აღდგენა. მაინტერესებს, როგორ ააწყო ცხოვრება. საერთოდ, როგორია, რას საქმიანობს და ასე შემდეგ. იმ დროს ჯარში ბევრმა შეიძინა ნამდვილი მეგობარი და მე მიმაჩნია, რომ ჩემი და ზაზას მეგობრობაც



ნამდვილი იყო. დარწმუნებული ვარ, მასაც ვახსოვარ და არანაკლებ აინტერესებს ჩემი ამბები.

**– როგორ ფიქრობთ, ზაზაც ხომ არ გეძებთ?**

– გამორიცხული არაფერია, მაგრამ ისიც ვერ მიპოვის. არც ჩემი მისამართი იცის და არც სხვა რამე საკონტაქტო. ჯარში სამსახურის შემდეგ დიდი დრო გასული, მაგრამ გუშინდელივით მახსოვს ის პერიოდი. ჩემთვის, პირადად, მისი მოძებნა და კავშირის აღდგენა, დიდი ბედნიერება იქნებოდა.

**– აქამდე თუ ეძებდით მეგობარს.**

– მთელი ეს წლები მისი პოვნა მინდოდა, მაგრამ ამას ვერანაირად ვერ ვახერხებდი. ბოლოს გადავწყვიტე, სამძებრო საიტზე გამეთავსებინა განცხადება ზაზას მოსაძებნად. იქ კი, თქვენთან დაკავშირება მირჩიეს. დიდი მადლობელი ვარ, რომ ჩემს ისტორიას გამოეხმაურეთ და მეგობრის მოძებნის საკითხში მეხმარებით.

**– ერთმანეთის პოვნის შემთხვევაში, აპირებთ თუ არა შეხვედრას?**

– ძალიან მინდა, ზაზას ნახვა, მთავარია, ის ვიპოვო და ვფიქრობ, რამეს მოვახერხებდით. ბუნებრივია, ჩემს მეგობარსაც თუ მოუნდება ჩემი ნახვა ***(იცინის)***. ისე, ზაზა ძალიან მეგობრული იყო და იმედია, ამჟამადაც ასეთივეა. ასაკი ორივეს მოგვემატა. ბუნებრივია, ის ფიზიკურადაც შეიცვლებოდა, მაგრამ მისი ფოტო მაქვს, რაც მაიმედებს. იქნებ, ფოტოთი მაინც იცნოს ვინმემ ან თავად წაიკითხოს თქვენი სტატია და გამომეხმაუროს.

**თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

აღარ დაბრუნდებოდა, თუმცა, ისევ გარბოდა...

**– თქვენ არ გითქვამთ, რომ აუცილებლად უნდა წამოსულიყო ცოლისგან? არჩევნის წინაშე არ დაგიყენებიათ?**

– არა. ერთი სიტყვაც არ დამცდენია ამ თემაზე. თვითონ დარბოდა წინ და უკან. ორი წელი ვცხოვრობდით ასე. აღარ მოვყვები,

## ხან მე მჭირდა „აფეთქება", ხან იმას და, ლოგიკურ შედეგამდეც მივედით, ერთ საწოლში აღმოვჩნდით

რა ლანძღვა-გინების ტალღა მოდიოდა მისი ცოლისგან. ესეც არ იყო ტრაგედია. მე ვიყავი ცუდ მდგომარეობაში – მენატრებოდა, ვებრძოდი საკუთარ თავს და ჩუმად ველოდი, როდის მიიღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას. მითხრა, ვერ ვიცხოვრებ შენ გარეშე. დაველაპარაკები ცოლს და მოვალ შენთან სამუდამოდო... წავიდა და სულ სხვა რამე მოხდა – სამი დღე დაიკარგა. მერე გამაოგნებელი მესიჯი მომწერა: ოჯახს ვერ დავანგრევ, პასუხისმგებლობას ვერ გავექცევი. მეგობრებად დავრჩეთო. მამაკაცები ქალებზე გაცილებით ლაჩრები ყოფილან. ამაში უკვე დავრწმუნდი.

**– იმიტომ, რომ ცოლი არ მიატოვა?**

– ამიტომ არა. მერე მოხდა რაღაც ისეთი, რაც კიდევ უფრო წარმოუდგენელი იყო ჩემთვის – ოთხი თვე საერთოდ არ გამოჩენილა... ძალიან ცუდად ვიყავი. თითებს ვიჭამდი მონატრებისგან, მაგრამ, არც დამირეკავს და არც მესიჯი გამიგზავნია. გადავწყვიტე, ამომეშალა ჩემი გულიდან და მეხსიერებიდან. ეს იყო ყოველდღიური ბრძოლა. დეპრესიისა და ყველა ნერვული უჯრედის განადგურების ფასად დამიჯდა, რომ ცოტა აზრზე მოვსულიყავი... და, უცებ, ისევ გამოჩნდა, ნაცემი ძაღლივით მომადგა, აწკმუტუნებული: ვერ ვძლებ უშენოდო... რატომ არ შეგიძლია, ასე ვიყოთ. მე მივაღწევ იმას, რომ ჩემმა ცოლმა აღარ გლანძღოს. იმდენს მოვახერხებ, რომ ვერაფერს ველარ გაიგებს. ძალიან მჭირდებიო... იცით, რა დამემართა? მიუხედავად იმისა, რომ მთელი სხეული, ყველა უჯრედი მთხოვდა მასთან ყოფნას, მაინც გავაგდე. რატომ? – იმიტომ, რომ მივხვდი, ამას ბოლო არასოდეს ექნებოდა, ეს ჯოჯოხეთი არ დასრულდებოდა. მინდოდა, მისი სითბო, ალერსი... ყველაფერი მინდოდა, მაგრამ, აღარ შემეძლო ქურდის როლში ყოფნა. უცებ ჩემი თავიც ძალიან შემეცოდა და მისი ცოლიც. გადავწყვიტე, ჯობია, ეს არარაობა იმას დავუთმო და ისევ მე მოვერიო საკუთარ გრძნობას-მეთქი. ახლა მარტო ვარ, შვილთან ერთად და ნელ-ნელა ვუბრუნდები ნორმალურ ცხოვრებას. მიუხედავად იმისა, რომ ქმარი ხშირად მოდის ჩემთან ბავშვის გამო და სულ ცდილობს, როგორმე დამელაპარაკოს შერიგებაზე, მე თავს ვარიდებ. შეიძლება, არ დამიჯეროთ, მაგრამ, მრცხვენია მისი და ვერც წარმომიდგენია, როგორი შეიძლება იყოს ჩვენი ისევ ერთად ცხოვრება...

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ქმართან პრობლემები ჩემი ძილის გამო მაქვს. მიყვარს მარტო ძილი და ვერ შევეჩვიე, გვერდით ვიღაც რომ სუნთქავს და მით უმეტეს, – მეხება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქმარი არ მიყვარს, მაგრამ, რა ვქნა, თუ ამ ჩემი ჩვევის გამო, სულ გამოუძინებელი ვარ. უკვე თავის ტკივილები დამეწყო. ჩემს ქმარს ამისი გაგება არ უნდა, ეჭვიანობს და წუწუნებს. ერთი-ორჯერ მაგრად ვიჩხუბეთ. რა უნდა ვქნა?**

გამოხმაურება: ეს პრობლემა წყვილებში არსებობს. მისი მოგვარება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე უნდა მოხდეს. შეარჩიეთ სიტყვები და კორექტულად ელაპარაკეთ ქმარს. მან არ უნდა იფიქროს, რომ მისი სიახლოვე არ მოგწონთ და გაღიზიანებთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

# როგორ გადაიხადეს ელენა სატინემ და ტაისონ რიტერმა ფლორიდაში, ოკეანის სანაპიროზე ულამაზესი ქორწილი და ვინ შეკერა ელენას საქორწილო კაბა

*ჟურნალი „თბილისელები" ჯერ კიდევ გასული წლის აპრილში ექსკლუზიურად გიყვებოდათ ჰოლივუდში წარმატებული*





*მსახიობის, ქართველი გოგონას, ელენა სატინესა (სხირტლაძე) და ცნობილი როკ-ჯგუფის „The All-American reject"-ის ვოკალისტისა და ბას-გიტარისტ როკ-ვარსკვლავის, ტაისონ რიტერის ნიშნობის შესახებ. შვიდთვიანი ურთიერთობის შემდეგ ტაისონმა საკმაოდ რომანტიკულ გარემოში სთხოვა ელენას ხელი – დილის 6 საათზე, როგორც კი ინათა, ტაისონმა ელენას სთხოვა, სახლის სახურავზე აჰყოლოდა. იქ კი ელენას საოცარი სიურპრიზი დახვდა: წითელი ვარდის ფურცლებისგან გაკეთებული დიდი გული. ტაისონმა ელენას წინაშე ცალ მუხლზე დაიჩოქა და ასეთი ლამაზი სიტყვებით მიმართა: „აღარ მინდა შენ გარეშე შევხვდე არც ერთ განთიადს". თანხმობის შემდეგ კი, ტაისონმა ელენა ბრილიანტისთვლიანი ულამაზესი ბეჭდით დანიშნა. ამის შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა და ზუსტად 31 დეკემბერს, წყვილმა თავის ურთიერთობა ფლორიდაში დააკანონა და მეგობრების წრეში ულამაზესი ქორწილიც გადაიხადა. ამის შესახებ ექსკლუზიურად ელენას დედა, ქალბატონი* ***მარინა სილაგაძე*** *მოგვიყვება:*





– ტაისონმა და ელენამ ქორწილი 31 დეკემბერს გადაიხადეს, რადგან უნდოდათ, 2014 წელს მეგობრებთან ერთად, ასეთი მნიშვნელოვანი სიახლით შეხვედროდნენ. ახალი წელი ახალი ცხოვრებით დაეწყოთ და მათი ქორწინების თარიღი არავის დავიწყებოდა. ტაისონს ფლორიდაში აქვს ძალიან ლამაზი სახლი, ულამაზეს ადგილას, ოკეანის პირას. იქ ისეთი თეთრი ქვიშაა, როდესაც ზედ დგები, გგონია თოვლზე დგახარ. ელენ აც და ტაისონიც ქრისტიანები არიან. ამიტომ ეცადნენ, ყველაფერი ქრისტიანული ტრადიციებით გაეკეთებინათ. ამერიკაში ეს ყველაფერი ცოტა სხვანაირად არის: ეკლესიაში უნდა აიღო ქორწინების უფლება, დაგლოცონ და შემდეგ შეიძლება, სხვა ადამიანმა დაგაქორწინოს, მღვდელი არ არის საჭირო. ტაისონის მეგობარმა, რომელიც პროფესორია, ისინი პატარა, ამერიკულ, ლამაზადმორთულ ეკლესიაში დააქორწინა. ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ქრისტიანული ტრადიციებით ხდება: ჭიქებით ღვინო, ვერცხლის ფირფიტები, ტაისონმა ჭიქაც კი გატეხა. რადგან არც ერთს არ უნდოდა დიდი ქორწილის გადახდა, ამიტომ ქორწილში მხოლოდ უახლოესი მეგობრები და ოჯახის წევრები დაპატიჟეს, დაახლოებით, 60 ადამიანი.







**– ელენა ულამაზესი პატარძალი იყო.**



**არაჩვეულებრივი კაბა ეცვა, რომელიც ძალიან უხდებოდა და როგორც ცნობილი გახდა, დიზაინერმა „Inbal Dror"-მა შეუკერა.**

– ელენას ძალიან ბევრმა დიზაინერმა შესთავაზა საქორწილო კაბა, მაგრამ არ მოეწონა. შემდეგ დაურეკა ახალგაზრდა დიზაინერმა, რომელსაც უკვე ბევერლი ჰილზზე აქვს საქორწილო კაბების მაღაზია და სთხოვა, მისი კოლექცია ენახა. ელენა მეგობრებთან ერთად წავიდა კაბის სანახავად. აქ, ამერიკაში ასეთი ტრადიციაა: დაქალებთან ერთად მიდიხარ საქორწილო კაბის მოსასინჯად. დიზაინერმა რომ გამოგიზავნოს კაბა, ეს ტრადიცია მაინც უნდა დაიცვა, რადგან საქორწილო ფართის შემადგენელი ნაწილია. მოკლედ, ყველანი წავიდნენ, ჩაიცვა ელენამ დიზაინერის ახალი კოლექციიდან ერთი კაბა და ყველას ისე მოეწონა, უთხრეს: აღარ გაიხადოო. ელენასაც ძალიან მოეწონა, აუღეს ზომები და შეუკერეს. კაბა 12 ათასი დოლარი ღირდა, ულამაზესი იყო, მარგალიტებით, მაქმანებით გაწყობილი. დიზაინერმა საჩუქრად გამოუგზავნა. ამერიკული ტრადიც-



იის თანახმად, ქორწილის წინა დღეს სტუმრები რეპეტიციას გადიან, ერთმანეთს იცნობენ და ამის შემდეგ ეკლესიაში მისვლამდე სიძეს პატარძლის ნახვის უფლება არ აქვს. შესაბამისად, ტაისონს არც ელენა და არც მისი კაბა არ ჰქონდა ნანახი. წესით, საკურთხეველთან პატარძალი მამამ უნდა მიიყვანოს, მაგრამ, რადგან ელენას მამა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ჩამოვიდა, ამიტომ ჩემმა შვილმა, ანუ ელენას ძმამ – ირაკლიმ მიიყვანა საკურთხეველთან. მათ წინ კი ჩემი რძალი, პატარა შვილიშვილი მიდიოდნენ, თან ყვავილებს ისროდნენ. როდესაც ტაისონმა საკურთხეველთან დაინახა ელენა, ტირილი დაიწყო, სიხარულის ცრემლები მოსდიოდა, ელენა ამშვიდებდა. დაქორწინების შემდეგ ფოტოები გადაიღეს და სახლში წამოვედით, რომელიც ძალიან ლამაზად იყო მორთული: მაქმანებით და უამრავი სანთლით, ყვავილებით. ცნობილი შეფ-მზარეული, პერსონალთან ერთად იმყოფებოდა იქ, ხოლო ქორწილის ორგანიზატორი უწევდა ყველაფერს ორგანიზებას, ისე, როგორც ტაისონს და ელენას უნდოდათ. ამერიკაში ასეა: ქორწილამდე ყველა სტუმარს უგზავნიან მენიუს და ეკითხებიან, რა უნდათ. მხოლოდ ამის შემდეგ დგება საქორწილო მენიუ. გარდა ამისა, ყველა სტუმარს თავისი ადგილი ჰქონდა წინასწარ განსაზღვრული. რაც მთავარია, ყველას უნდა ეთქვა სადღეგრძელო, რამაც ცრემლების გარეშე არ ჩაიარა, ელენასაც წამოუვიდა ცრემლები. იმ დღეს ერთ-ერთი განსაკუთრებული სტუმარი ელენას ძაღლი, მიშკა იყო, ყელზე „ბაბოჩკით", რომელიც ელენამ სახლში არ დატოვა – ის ჩვენი ოჯახის წევრია, ამიტომ აქ უნდა იყოსო. ასე რომ, მთელი ქორწილის განმავლობაში ელენასთან და ტაისონთან ერთად იჯდა ისიც. რომ დამთავრდა საქორწილო ვახშამი, პირველ სართულზე ჩამოვედით. ერთად გაჭრეს საქორწილო ტორტი და ერთმანეთს ტორტის კრემით სახე გაულამაზეს. პირველ სართულზე იყო კარაოკე, მათი მეგობრებიდან ყველა მღერის და საბოლოოდ, ლამაზი კონცერტი გამოვიდა. შემდეგ ტაისონმაც უმღერა ელენას და ელენამაც კი უმღერა ტაისონს. ეს იყო არაჩვეულებრივი. ამასობაში ახალი წელიც დადგა, ყველამ ფეხზე გავიხადეთ და ხის კიბით იქვე, ოკეანის სანაპიროზე ჩავედით, სადაც ფოიერვერკები გაუშვეს, ცეცხლოვანი ფანრები აანთეს და სურვილები ჩაიფიქრეს. ეს იყო ულამაზესი სანახაობა. ყველამ აღნიშნა, რომ ასეთ კარგ ქორწილში დიდი ხანია, არ ყოფილან.





**– ალბათ, ორივეს დატვირთული გრაფიკის გამო, თაფლობის თვის გასატარებლად სამოგზაუროდ ვერ წავიდნენ.**

– თაფლობის თვე არ ჰქონაით, რადგან ელენას 5 იანვარს უკვე დაეწყო გადაღებები. ხვალ ***(ინტერვიუ ჩაწერილია 3 მარტს – ავტორი)*** მთავარ არხზე აჩვენებენ ახალ შოუს *„Agents of S.H.I.E.L.D"*, სადაც ერთ-ერთ ეპიზოდში ელენა თამაშობს. 11 მარტს აჩვენებენ მისი მონაწილეობით მეორე ეპიზოდს. ამიტომ მოუწია ასე უცებ ჩამოსვლა. ტაისონი კი თამაშობს *Midnight Rider*, მთავარ როლს – ახალგაზრდა გრეგ ალმენს, რომელიც შერის პირველი მეუღლე იყო და ლეგენდარული მუსიკოსია. ასე რომ, ქორწილიდან პირდაპირ სამუშაოდ მოუწიათ წასვლა, მაგრამ ზაფხულის დასაწყისში ალბათ, წავლენ სამოგზაუროდ.

***P.S. ჟურნალი „თბილისელები" ამ ულამაზეს, ნიჭიერ წყვილს ულოცავს დაქორწინებას – დიდ ბედნიერებას და კიდევ უფრო მეტ წარმატებას უსურვებს!***

**ნათია უტიაშვილი**





ჩვენთან სწავლა თქვენი მომავალი წარმატების საწინდარია!

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი

„საზოგადოება ცოდნა"

აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი

**1. ფაკულტეტი – ფარმაცია**
სწავლის ღირებულება – **2 000 ლარი.**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ფარმაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

**2. ფაკულტეტი – ჰუმანიტარული მეცნიერება**
სწავლის ღირებულება – **1 950 ლარი.**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ქართულ ფილოლოგიაში.

*ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარში ჩვენი კოდია 138.*

ჩვენი პრიორიტეტებია:

- **სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომა.**
- **მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი.**
- **საუკეთესო აკადემიური გარემო სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის.**
- **ინგლისური და რუსული ენების გაძლიერებული სწავლება.**
- **გადახდის ხელსაყრელი პირობები.**
- **დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.**

ჩვენ ვახორციელებთ ბაკალავრიატის უმაღლეს აკადემიურ პროგრამას. მისი დასრულების შემდეგ სტუდენტები განაგრძობენ განათლების მიღებას მაგისტრატურაში. დაწესებულების მიზანია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება.

**ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტები PSP**-ს აფთიაქებში გაივლიან გაცნობით პრაქტიკას, ერთთვიან პრაქტიკას საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით; წარჩინებული სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან წამლის რეგულირების სააგენტოში.

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები** საწარმოო პრაქტიკას გაივლიან ჰოლდინგ „პალიტრა მედიაში".

კონტაქტი: მ.კოსტავას ქუჩა №47 (ვერა, ფილარმონია).
ტელეფონები: 2 997112; 2 997098; 599 400048.
ვებ-გვერდი: www.tsodna.edu.ge ელ. ფოსტა: info@tsodna. edu. ge

**როდესაც მარხულობთ, თქვენი ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მეგობრებს ნუ ეჩვენებით მგლოვიარენი, ნუ შეიჭმუხნებით და ნუ გექნებათ ავადმყოფური გამომეტყველება. პირიქით, გაიღიმეთ და დაანახვეთ საზოგადოებას, რომ სიყვარულით შეუდგებით მარხვას, რომ გიხარიათ 47 დღის მარხვაში გატარება და არ გწყინთ; რომ ეს დღეები იქნება სიხარულის, განწმენდის, სულიერებისა და თავმდაბლობის და არა იმიზე ფიქრის: როდის დამთავრდება ეს მწუხარე დღეები, შიმშილი და როდის ვიზეიმებთ მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომასო. ამ დიდ დღესასწაულს მაშინ ვიზეიმებთ სიხარულით, თუ მარხვა იქნება სინანულის. ამ საკითხების შესახებ გვესაუბრება ნარიყალას, წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი).**

# როდის კარგავს ადამიანი მადლს და რატომ ხდება მისთვის ცხოვრება მტანჯველი

**– აღდგომის მარხვის დაწყება ყოველთვის შეგვახსენებს ადამის სამოთხიდან გამოძევებას და იმას, რომ ჩვენ დედამიწაზე დღემდე დაკარგული სამოთხის ძიებაში ვართ.**

– დიახ, ღმერთმა ადამიანური ბუნება, ჩვენ, ადამიანები გამოგვაძევა სამოთხიდან. როგორც პავლე მოციქული ბრძანებს: ადამში შესცოდა ყველამ და ქრისტეში ვინანიებთ ყველა. ანუ ერთი ადამიანის გამო შემოვიდა სიკვდილი სოფელში, ხოლო ახალი ადამის, ანუ მაცხოვრის ჯვარცმით დაბრუნდა ადამიანი სამოთხეში. ყველას უნდა უყვარდეს თავისი სამშობლო, რადგან ეს არის ანარეკლი დაკარგული სამოთხისა, ანუ იმ სამშობლოსი, რომელიც ადამიანმა თავისი დაუდევრობით დაკარგა. სამშობლო – ეს არის ღმერთი: „როგორც სამშობლო, უფალიც ერთია ქვეყანაზედა“. კარგია, თუ ამ შესანიშნავ სიტყვებს ყველა დაიმახსოვრებს და გულის კარზე დაიწერს.

**– იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „ღმერთი სიყვარულია“. თუ ღმერთი სიყვარულია, მაშინ რატომ აძევებს ის ადამიანს სამოთხიდან?**

– მინდა, ამ კითხვაზე კითხვით გიპასუხოთ: განა გაუჭირდებოდა ღმერთს, აბსოლუტურ სიყვარულს, რომ ადამიანი სამოთხეში დაეტოვებინა? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ არ დატოვა, რადგან შეეცოდა ის, რომელმაც თავისი უგუნური ქმედებით დაარღვია ღვთის მცნება. როგორც ბასილი დიდი ამბობს: ერთი მცნების გამო ადამიანი გამოძევებული იქნა სამოთხიდან, ანუ მან დაარღვია მარხვა, მიიღო აკრძალული ნაყოფი, თუმცა ის მარხვის დაცვით დაბრუნდება სამოთხეში. ანუ, ადამიანმა, რომელმაც მარხვა დაარღვია, დაკარგა მადლი. ღვთის წყალობა და სიკეთე, ყველაფერი ასახულია მადლში. სიცოცხლე, რომელიც მადლის გარეშე არსებობს, არის მტანჯველი. ამიტომ, ადამიანი რომ მადლის გარეშე სამოთხეში არ დატანჯულიყო, ღმერთმა გამოაძევა სამოთხიდან, რომ დაიბრუნოს მადლი და ისევ სამოთხეში დაბრუნდეს. იესო ქრისტე – განკაცებული ღმერთი ბრძანებს: მე მოვედი, რათა სიცოცხლე და უმეტესი გქონდეთ. სიცოცხლე ერთია, მაგრამ უმეტესი – ეს ადამიანის მადლისმიერი ცხოვრებაა. ქრისტემ დაგვიბრუნა ბუნებრივი, მადლიერი ცხოვრება, სარწმუნოებით, ჭეშმარიტი აღმსარებლობით ეკლესიის წიაღში. მადლი სიცოცხლეზე მეტია – ეს ფსალმუნებშიც წერია. ადამიანმა რამდენი წელიც უნდა იცხოვროს, თუ მას მადლი არ ექნება ეკლესიის, ღვთის, აღსარების, ზიარების, უბრალოებისა და სიყვარულის, მისი სიცოცხლე იქნება არასწორი მდგომარეობა. ეკლესიური სწავლებით: ადამიანი არ არის მხოლოდ სული, ადამიანი არ არის მხოლოდ ხორცი. ადამიანი არის ორი, ერთმანეთის დაპირისპირებული სამყაროს მონა, ერთობლიობა: ადამიანი არის ხორციც და სულიც. აქედან გამომდინარე, ჩვენ მარხვით უნდა დავამეგობროთ ხორცი და სული ერთმანეთს. ხორცი უნდა ჩავაყენოთ სულის მსახურებაში. მარხვამდე ხომ პირიქით არის: სულია ხორცის მსახურებაში. არ დავდივართ ეკლესიაში, არ ვმარხულობთ და ჩვენი სულიც დამორჩილებულია ხორცს. ამიტომაც, კეთილი ინებოს ხორცმა და რაღაცრაღაცეებზე უარი თქვას და სული დავაყენოთ ადამიანის ცნობიერების საწყისში. სული პირველი მონათესავე არსებაა ღმერთისა. ადამიანის ღმერთთან კავშირი – ეს არის სულიერი კავშირი. ანუ, ღმერთი სულია და ადამიანის ნათესაობა ღმერთთან ეს სულიერი ურთიერთობაა. სულიერი მოძღვარიც იმას ნიშნავს, რომ მან უნდა მიიყვანოს ადამიანი ღმერთთან, სულიერებამ ადამიანი უნდა შეცვალოს. ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ ადამიანმა დაიბრუნოს დაკარგული სამშობლო, ეს კი მხოლოდ ჩვენი სწორი ცხოვრების წესით არის შესაძლებელი. სანამ ჩვენი სამშობლო დაკარგული იქნება, მანამდე დედამიწაზე კეთილდღეობას ვერ დავიმკვიდრებთ.

**– წელიწადში ოთხი კალენდარული მარხვაა და აქედან, აღდგომის მარხვა ყველაზე აღმატებულია: იცვლება მსახურება, თავად სასულიერო პირების შესამოსელი, ეკლესიაში შავი ფარდები იკიდება. რატომ ხდება ასე?**



**ადრე ისე მარხულობდნენ, როგორც დღეს მუსლიმანები მარხულობენ. ანუ, მთელი დღის განმავლობაში არაფერს იღებდნენ, დილიდან – საღამომდე, მერე უკვე შეიძლებოდა საკვების მიღება**

– დანარჩენი მარხვების დროს მართლაც არაფერი იცვლება: არც შესამოსელში, არც ღვთისმსახურებაში. მაგრამ, დიდმარხვის დროს, ეს ყველაფერი იცვლება. ისეთი მარხვა, რომელიც დღეს ეკლესიაშია, მეოთხე-მეხუთე საუკუნეში შემოვიდა. პირველ საუკუნეში არც მოციქულები და არც წმიდა მამები არ იცნობდნენ ასეთ მარხვას. ადრე ისე მარხულობდნენ, როგორც დღეს – მუსლიმანები. ანუ, მთელი დღის განმავლობაში არაფერს იღებდნენ დილიდან საღამომდე, მერე უკვე შეიძლებოდა საკვების მიღება. მაგრამ, მეოთხე საუკუნიდან, როდესაც მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგია ხდება, ბერ-მონაზვნური ცხოვრება ყალიბდება, მონაზვნები დააკვირდნენ: როდესაც საღამოს, გვიან იღებდნენ საკვებს, მთელი ღამე მათი სულიერი ცხოვრება საკვებზე იყო დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ბერ-მონაზვნობამ აკრძალა და ჩამოაყალიბა სამარხვო და არასამარხვო საკვები. ანუ, საკვებზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. რაც შეეხება დიდიმარხვის ხანგრძლივობას, პირველი საუკუნის ქრისტიანები მხოლოდ შვიდ დღეს მარხულობდნენ ანუ ვნების შვიდეულში. 40 დღე მარხვისთვის ეკლესიამ წარმართებისთვის, კათაკმევლებისთვის დააწესა, ანუ იმ ხალხისთვის, ვისაც სჭირდებოდა ნათლისღება და ეკლესიის წიაღში შემოსვლა. ოღონდ დღეს რომ არის ისე კი არ ხდებოდა – ადამიანი შემოირბენს, მოინათლება და მერე ეზიარება. ადამიანი 40 დღე კათაკმევლად დგებოდა, რომ მოსანათლად გამზადებული იყო – მარხულობდა და შობის ან აღდგომის წინა დღეს, დიდ შაბათს ინათლებოდა. მონათლულები კი მხოლოდ შვიდ დღეს მარხულობდნენ. ამ მარხვას ზოგიერთმა მამამ „სოლიდარობის მარხვა“ უწოდა. წარმოიდგინეთ, მე ვარ მართლმადიდებელი ქრისტიანი, ჩემი მეზობელი კი წარმართია და აპირებს მონათვლას. ამისთვის ის მარხვას ინახავს, წყალზე და პურზეა, შემოდის ჩემთან, რადგან უნდა კონსულტაცია გაიაროს, კითხვები დამისვას. ამ დროს კი მე არ ვარ მარხვაზე და ხორცს მივირთმევ, რადგან ქრისტიანი ვარ და რატომ უნდა ვიმარხულო – რაღაც შეუსაბამობას აქვს ადგილი. ამიტომაც, ეკლესიამ განაჩინა: მოდი, ყველამ ვიმარხულოთ: ვინც ნათელღებულია და ვინც არ არის, ვინც ეკლესიაში დადის და ვინც არ დადის, ყველა ერთად შევიკრიბოთ და ერთად შევინახოთ მარხვა. ასე დაადგინა ეკლესიამ. როგორც იცით, აღდგომის მარხვა სამ ნაწილად იყოფა: პირველი – ეს არის მოსამზადებელი 4 კვირა. შემდეგ 40-დღიანი მარხვა ბზობამდე – ეს არის მეორე ნაწილი, ხოლო ვნების შევიდეული – ეს მესამე ნაწილია, რომელიც მარხვის ყველაზე აღმატებული ნაწილია. ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი ვალდებულია, ეს სამივე ნაწილი შეინახოს. თუმცა ზოგიერთი ადამიანი მარხვას შუა პერიოდში, ან ბოლო კვირას უერთდება. მადლი პირველი ჟამის მსახურზეც იგივეა და მეცამეტე ჟამის მსახურზეც, ღვთის მადლი ყველას შეხვდება, მაგრამ ჩვენ სინდისი ხომ უნდა გვქონდეს და ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა დავიწყოთ ყველაფერი თავიდან და დავამთვროთ ბოლოში. თუმცა, მარხვისთვის ყველაზე მთავარი სინანული და შენდობაა. ყოველ დილით ვინც ლოცულობს, ის „მამაო ჩვენოსაც“ ამბობს და ღმერთს ცოდვების მიტევებას სთხოვს: „მომიტევნე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, რამეთუ ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“. მაგრამ ეს არასდროს სრულდება: რადგან ვიღვიძებთ სიცრუეში, მთელი დღე ვცხოვრობთ სიცრუეში, ღამდება ისევ სიცრუეში და არავინ არავის არაფერს არ აპატიებს. ერთ წმიდა მამას ეუბნებიან: მოყვასმა რომ გაწყენინოს, რას იზამ? ვაპატიებ. კიდევ, რომ გაწყენინოს? კიდევ ვაპატიებ... და კიდევ რომ გაწყენინოს? კიდევ ვაპატიებ... არ მოგწყინდება ამდენი პატიებაო. რატომ, თუ მას ბოროტების ჩადენა არ სწყინდება, მე სიკეთის ჩადენა როგორ უნდა მომწყინდესო. ასე რომ, არასდროს არ უნდა დავიღალოთ სიკეთის კეთებით. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენთვის პირველი მტერი საკუთარი თავია, რომელიც 24 საათის განმავლობაში არ გასვენებს, არაფერში გინდობს. ამიტომ, ყველაზე მეტად მისგან უნდა დაიცვათ თავი. უარყავით საკუთარი თავი და ყველა ის აზრი, ფიქრი, რომელიც თქვენში შემოდის. ყველაფერი ფიქრებით და აზრებიდან იწყება. ამიტომ, შეამოწმეთ, ეშმაკისგან ხომ არ არის ან საკუთარი დაცემული ბუნებისგან. მარხვა კი, უპირველეს ყოვლისა, დაცვაა საკუთარი გონიერების, სულიერების, აზრების, ხედვის, სმენის, ხელების, მეტყველების, მხედველობის.

**არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენთვის პირველი მტერი, ეს არის საკუთარი თავი, რომელიც 24 საათის განმავლობაში არ გასვენებს, არაფერში გინდობს**

**ნათია უტიაშვილი**

# ქრისტიანული სასწაულები

### ნეტარი ეპიფანე – სხვათა ცრემლის შემწყნარებელი

დიდი ეპიფანე სულიერებით თავის მოძღვარს, წმიდა გრიგოლს გაუტოლდა. იგი ცრემლის დათხევით უკეთურ სულებს განაგდებდა, სნეულებს სწრაფად ჰკურნავდა და სხვა მრავალ სასწაულს აღასრულებდა, ურჩი გვემით განსწავლიდა და მორწმუნეებს სიკვდილისგან ლოცვით იხსნიდა. ერთხელ ზაფხულში, რამდენიმე ძმასთან ერთად, ხორასუნთას მთებით გადმოდიოდა. მათ ერთი კარგი ადგილი შეამჩნიეს და პურის საჭმელად დასხდნენ. ამ გზაზე ერთი დედაკაციც მოდიოდა, რომელსაც შვიდი წლის ვაჟი მოჰყავდა თან. ბავშვი კარგი გარეგნობისა და ფხიზელი გონების იყო. როდესაც ისინი ნეტარ მამა ეპიფანეს მიუახლოვდნენ, ყრმას სასიკვდილო ტკივილები დაეწყო და მისი სული სხეულიდან განსვლას ლამობდა. შეშინებულმა დედამ ხელში აიტაცა ბავშვი, წმიდანისკენ გაიქცა და საცოდავად უხმობდა: „ჰოი, წმიდაო ღმრთისაო, შემეწიე შეუწევნელსა ამას, რადგან მიკვდება შვილი და ღვთის შემდგომ შენდამი მოვილტვი“. ქალმა თავისი ძე ეპიფანეს ფეხებთან დააწვინა. ნეტარი ბერი კი ცრემლით აღსავსე იდგა, რადგან ბუნებით მოწყალე იყო. მან ქრისტეს წინაშე მუხლი მოიდრიკა და თქვა: „უფალო, ღმერთო ჩვენო, იესო ქრისტე, იხილე ჩემი და ამ საწყალი დედაკაცის ცრემლი და წყალობით გადმოხედე ამ ყრმას და უბრძანე მის სულს, მრავალი წელი დამკვიდრდეს თავის სხეულში ამ გლახაკის ნუგეშის საცემლად და შენს სადიდებლად, მხოლოისა ძისა თანა მამით და სულით წმიდითურთ საუკუნეთა მიმართ, ამინ“. ყრმას ჯვარი გადასახა, ხელში აიყვანა და თქვა: „განგკურნავს უფალი იესო ქრისტე, ადექი ყრმაო და ცოცხალ იქმენ!“ ბავშვს სხეულის ტკივილები და უძლურებანი სასწრაფოდ დაუამდა და მის სულს ყოველგვარი ურვა განშორდა. ბავშვი მხიარულად ადგა. ნეტარმა ეპიფანემ დედას დაუბრუნა და უბრძანა, მისთვის საჭმელი მიეცა. გახარებულმა ქალმა მადლობა შესწირა უფალსა და წმიდა მამას და შვილთან ერთად მშვიდობით გაუდგა გზას. ეს ყრმა სიბერემდე კეთილად ცხოვრობდა და ადიდებდა ღმერთს.

### თაბორის მთის სასწაულს მეცნიერები ვერაფრით ხსნიან

მეცნიერებას არ შეუძლია, ახსნას ყოველწლიური ღრუბლის დაშვების ფაქტი ისრაელში, თაბორის მთაზე, სადაც, წმიდა წერილის თანახმად, მაცხოვრის ფერისცვალება მოხდა. როგორც მეცნიერები ამბობენ, გამოკვლევების შედეგად, ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ასეთი მშრალი ჰავისა და ტემპერატურის პირობებში მსგავსი ნისლის ჩამოყალიბება, შეუძლებელია. საინტერესოა, რომ ღრუბელი მხოლოდ მართლმადიდებელი მონასტრების ტერიტორიაზე ჩნდება. სადღესასწაულო ღვთისმსახურებისას მორწმუნეებზე მანათობელი ბურთის მსგავსი მასა ჩნდება, შემდეგ ტაძრის თავზე აღმართულ ჯვარზე წარმოიქმნება ღრუბელი, რომელიც თანდათან იზრდება, ეშვება მორწმუნეებზე, ფარავს მათ და ანიჭებს მაცხოვნებელ განცდას.

თავის მხრივ, მეცნიერთა მეორე ჯგუფმა ფლოროვსკის ხელმძღვანელობით, აღნიშნა, რომ ისინი თანამედროვე აპარატურით აკვირდებოდნენ მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლას მაცხოვრის საფლავზე, აღდგომის პერიოდში. „დასკვნა მარტივია: გარდამოსვლისას ჩნდება ძლიერი ელექტრული ნათებები, რომლებიც ძალიან ჰგავს ელვა-ჭექას, მაგრამ ფაქტია, ელვა-ჭექა იქ არაა. ესე იგი, ჩვენება სასწაულს შეიძლება მივაკუთვნოთ“, – აცხადებენ ისინი.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ცნობილი გამონათქვამია, არცოდნა არცოდვააო, რატომ ეთვლება ადამიანს უცოდინრობით ჩადენილი საქციელი ცოდვად?**

**პასუხი:** იმიტომ, რომ ადამიანი ვალდებულია იცოდეს, რადგან მას აქვს სათანადო ცოდნის მიღების საშუალება, თუმცა არ ცდილობს, დაეუფლოს მას და არცოდნით იმართლებს თავს. ამგვარი საქციელით ადამიანი ორმაგ ცოდვაში იგდებს თავს. ხშირად ადამიანები იმით უფრო ინტერესდებიან, რაც ნაკლებად მნიშვნელოვანია, ხოლო ის, რაც მათი ცხოვრების არსია, ღმერთი და რწმენა არ აღელვებთ. ეს ძალიან ცუდია. აუცილებლად მოინანიეთ არცოდნით ჩადენილი ცოდვები.



**კითხვა: ითვლება თუ არა ცოდვად ოჯახის შექმნა მშობლების დაუკითხავად, მათი ნების გარეშე?**

**პასუხი:** მშობლების თანხმობის გარეშე ოჯახის შექმნით ახალშეუღლებულები მათი კურთხევის მადლს მოაკლდებიან. რუის-ურბნისის კრების განჩინებით ადამიანს არ ჰქონდა მშობლების დაუკითხავად შეუღლების უფლება.

**კითხვა: როგორ უყურებს ეკლესია უკანონოდ შობილ ბავშვებს?**

**პასუხი:** ბავშვი ოფიციალური ქორწინების შედეგად არის გაჩენილი თუ არა, ამას ეკლესიისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ყოველი ადამიანი ფასდება მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ზნეობრივი ღირსებითა და ჩადენილი საქმეებით.

**კითხვა: ცოდვად ეთვლება თუ არა ადამიანს სხვის ცოდვაზე ლაპარაკი?**

**პასუხი:** სხვის ცოდვებზე ლაპარაკი ქრისტიანისთვის მიზანშეწონილი არ არის. თუ მოძმის ცოდვებს დაფარავ, უფალიც დაფარავს შენს ცოდვებს.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### მამა-მეფე

ჯერ კიდევ ბერად აღკვეცამდე, ღირსი არსენი დიდი, როგორც ბრძენი და ღვთისმოსავი ადამიანი, მეფე თეოდოსიმ კონსტანტინოპოლში იხმო და არკადისა და ონორეს მასწავლებლად დაადგინა. ღირსი მამა ბუნებით მოკრძალებული იყო და პატივს მიაგებდა მათ, როგორც მეფის შვილებს. იგი მათ გაკვეთილებს ყოველთვის ფეხზე მდგომი უხსნიდა, მაშინ, როდესაც მოწაფეები რბილ და მდიდრულ სავარძლებში ისხდნენ. ერთხელ თეოდოსი მათთან მოულოდნელად მივიდა. როდესაც დაინახა, რომ არკადი და ონორე ისხდნენ, ხოლო არსენი მათ წინაშე ფეხზე იდგა, გაბრაზდა და უთხრა მათ:

– განა ასე დაგარიგეთ? განა თავიდანვე არ გითხარი, რომ შენ, როგორც მეორე მამას, საკუთარ შვილებად მიგელო ისინი და არა მეფის შვილებად?

– ყველაფერს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, – მოკრძალებით უპასუხა არსენი დიდმა, – ყმაწვილებმა უნდა ისწავლონ, მეფისწულებს კი სამეფო პატივი ეკუთვნით...

თეოდოსი კიდევ უფრო უკმაყოფილო დარჩა ღირსი არსენის პასუხით, დაუყოვნებლივ მოხსნა ბავშვებს სამეფო ნიშნები, მასწავლებლის სურვილის წინააღმდეგ დასვა იგი, ხოლო მოსწავლეებს უბრძანა, მის წინაშე ფეხზე მდგარიყვნენ...

– თუ ღვთის შიშს ისწავლიან, თქვა მან გასვლისას, – და ხალხის მეფობის ღირსნი გახდებიან, მაშინ ზეცა უბოძებს მათ მიწიერ მეფობას, ხოლო თუ ამპარტავანნი და ბოროტნი გაიზრდებიან, მაშინ, უმჯობესია, სულ არ იმეფონ, ვიდრე უგუნური მეფენი იყვნენ. ვევედრები ღმერთს, რომ უმჯობესია, ჩემი შვილები ყრმობაშივე გარდაიცვალონ, ვიდრე საკუთარი სულის დასაღუპად და ხალხის საუბედუროდ გაიზარდონ.

ღირსმა არსენიმ გულში დალოცა თეოდოსი და იმ დროიდან გაკვეთილების დროს იჯდა, მეფისწულები კი მის წინაშე იდგნენ.

უეჭველია, საკუთარი შვილებისთვის სიკეთე არ სურს იმ მამას, რომელიც თუნდაც სულ მცირეოდენ საბაბს აძლევს მათ, რათა საკუთარი სიმდიდრითა და სახელით იამაყონ.

### ჭეშმარიტი მეუდაბნოე

ერთმა რომაელმა დიდებულმა, ღირსი არსენის ახლო ნათესავმა, სიკვდილის წინ მას უზარმაზარი სიმდიდრე დაუტოვა. როდესაც მოსაგრემ ანდერძი მიიღო და წაიკითხა, მისი დახევა სურდა, მაგრამ მსახური, რომელმაც ის მიუტანა, ფეხებში ჩაუვარდა და ევედრებოდა, ეს არ გაეკეთებინა; წინააღმდეგ შემთხვევაში მსახურს მკაცრად მოეკითხებოდა. მაშინ ღირსმა არსენიმ უკან დაუბრუნა მას თავისი ნათესავის ანდერძი და უთხრა:

– მე მასზე წინ მოვკვდი (ბერობა სიკვდილია ამა სოფლისათვის); როგორ შეუძლია ახლახან გარდაცვლილს თავის მემკვიდრედ დამადგინოს მე, მკვდარი; გადაეცი უკან ეს ქაღალდი იმას, ვინც გამოგატანა.

აი, მაგალითი მაღალსულიერი მეუდაბნოისა! ვინც საკუთარი თავი ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს მიუძღვნა, მას სიმდიდრე არ სჭირდება.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# ფეხბურთის რომელი ვარსკვლავების მაისურები იყიდება ყველაზე ხშირად

*თანამედროვე ფეხბურთი არა მარტო სპორტის სახეობა, არამედ ბიზნესის ერთ-ერთი სფეროა. კლუბები მილიარდობით დოლარს გამოიმუშავებენ სპონსორებთან დადებული კონტრაქტებით, სატელევიზიო ტრანსლაციებიდან მიღებული დივიდენდებით და რა თქმა უნდა, მაისურების გაყიდვასაც თავისი ადგილი უკავია ამ იერარქიაში. „მანჩესტერ იუნაიტედის", „ბარსელონას", „რეალის" და სხვათა მაისურები, უკვე მსოფლიო ბრენდად წოდებული სამოსებია. მათი ფასი არაფრით ჩამოუვარდება ყველაზე ბრენდული ფირმების ტანისამოსისას. გთავაზობთ ფეხბურთის ვარსკვლავების ტოპ-ათეულს, რომელთა მაისურებზე ყველაზე დიდი მოთხოვნაა ფეხბურთის ქომაგებს შორის.*

### სინჯი კაგავა



აზიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ინგლისის პრემიერლიგა და იქ მოთამაშე აზიელ ფეხბურთელებზე დიდი მოთხოვნაა. აქედან გამომდინარე „მანჩესტერ იუნაიტედის" იაპონელი ლეგიონერის, სინჯი კაგავას მაისურებზე არა მარტო იაპონიაში, რეგიონის სხვა ქვეყნებშიც დიდი მოთხოვნაა. კაგავა ერთგვარი ნაციონალური გმირია აზიისთვის.

### ფერნანდო ტორესი

ესპანელ ფორვარდს არცთუ ხშირად გააქვს გოლები, თუმცა თავის საქმეს „ჩელსიში" ხუთიანზე ასრულებს. ტორესის მაისურები რეკორდული მაჩვენებლით იყიდება. თავის დროზე აბრამოვიჩმა 50 მილიონი გირვანქა გადაუხადა ტორესის სანაცვლოდ „ლივერპულს" და ამ თანხის ნაწილი მსოფლიოში გაყიდულმა მაისურებმა მოუტანა ლონდონელებს. ფერნანდო ტორესი „ჩელსის" ყველაზე ცნობილ ფეხბურთელად მიიჩნევა.

### სერხიო აგუერო

„მანჩესტერ სიტის" არგენტინელი ვარსკვლავის, სერხიო აგუეროს მაისურების გაყიდვებმა მას შემდეგ იმატა, რაც მან ბოლო წუთებზე გატანილი გოლით ჩემპიონის ტიტული მოუტანა ქალაქელებს. აგუერო დღესაც „სიტის" მთავარი დამრტყმელი ძალაა და მის გარეშე კლუბის არსებობა შეუძლებელია.

### ნეიმარი

ბრაზილიელი ვუნდერკინდი ნაციონალური გმირია სამშობლოში და მისმა გადასვლამ „ბარსელონაში" კიდევ უფრო გაზარდა მოთხოვნა მის მაისურებზე. ნეიმარი ჯერ მხოლოდ 21 წლისაა და მუდმივად პროგრესირებს. კოლოსალური პოტენციალის მქონე ფეხბურთელის მაისურების გაყიდვამ უკვე დაამყარა რამდენიმე რეკორდი და იმ თანხის ნაწილი ამოიღო კიდეც, რაც მასში გადაიხადა ესპანურმა გრანდმა.

### ზლატან იბრაგიმოვიჩი

ფასიდან გამომდინარე, ზლატან იბრაგიმოვიჩის მაისური ყველაზე ძვირად ღირებულია ევროპაში. ზლატანი „პარი-სენჟერმენის" და შვედეთის ნაკრების უპირობო ლიდერია. მისი არაორდინარული თამაშის სტილი კი, კიდევ უფრო მეტ ქარიზმას მატებს მის ისედაც ვარსკვლავურ სტატუსს.

### უეინ რუნი

„მანჩესტერ იუნაიტედი" ამჟამად თავისთვის შეუფერებელ თამაშს აჩვენებს და შორს არის იმ ფეხბურთისგან, რომელსაც ალექს ფერგიუსონის ხანაში თამაშობდა. ამის მიუხედავად „წითელი ეშმაკები" დღემდე ინარჩუნებენ მსოფლიოს ყველაზე პოპულარული კლუბის სახელს და მათი ერთ-ერთი ლიდერის, უეინ რუნის მაისურები ჩვეული ტირაჟით იყიდება.

### რობინ ვან პერსი

კიდევ ერთი „მანკუნიანელი", რომლის მაისურებს ფეხბურთის ქომაგები ყიდულობენ. ვან პერსი „არსენალში" ასპარეზობის დროსაც ერთ-ერთი ყველაზე „გაყიდვადი" ფეხბურთელი იყო და ეს სტატუსი მან კლუბის გამოცვლის შემდეგაც შეინარჩუნა. თუმცა, პრემიერლიგის ყველაზე „გაყიდვადი" ფეხბურთელი სულ სხვაა.

### მესუთ ოზილი

მესუთ ოზილის ტრანსფერი 2013 წლის ყველაზე ძვირად ღირებული გარიგება იყო. შესაბამისად, „არსენალის" ახალი ვარსკვლავის მაისურებზეც უმალ გაიზარდა მოთხოვნა. „რეალიდან" ოზილის გადმოყვანა „მეთოფეებს" 42 მილიონი გირვანქა დაუჯდათ, რაც მათთვის სარეკორდოა.

### ლიონელ მესი

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის, ლიონელ მესის მაისურებზე თავისთავად დიდი მოთხოვნაა. თუმცა, არგენტინელი მეორე ადგილზე გავიდა. მიზეზად კი, „ბარსელონაში" ნეიმარის გადმოყვანა სახელდება, რომელმაც მესი „ტახტზე" „შეავიწროვა." ამის მიუხედავად, მესის მაისური კოლექციაში ფეხბურთის ნებისმიერი ქომაგის მიზანია.

### კრიშტიანუ რონალდუ

ნეიმარის გამოჩენამ ესპანეთის პრიმერადივიზონში მესის მაისურების გაყიდვაზე იმოქმედა და „ბარსელონაში" ორი მეგავარსკვლავი ერთმანეთს დაუპირისპირა. სამაგიეროდ, რონალდუ ჯერჯერობით უკონკურენტოა „რეალში" და მიუხედავად იმისა, რომ მადრიდულმა გრანდმა მეგატრანსფერი განახორციელა და გარეთ ბეილი შეიძინა, ბეილის მაისურები რონალდუს კონკურენციას ვერ უწევს. პორტუგალიელი ვარსკვლავი უპირობო ლიდერია მსოფლიოში მაისურების გაყიდვის კუთხით.

## ყველაზე იშვიათი, ვარდისფერი ბრილიანტის საყიდელი ფული არავის აღმოაჩნდა

„სოთბის" აუქციონზე გასული წლის ნოემბერს წარმოდგენილი ბრილიანტი დღემდე არ გაიყიდა. ის 1999 წელს სამხრეთ აფრიკის საბადოებში აღმოაჩინეს. მოლაპარაკებები აუქციონზე გამარჯვებულ ნიუ-იორკის მცხოვრებ ისააკ ვულფთან კვლავ გრძელდება. მას შესაბამისი თანხა არ აღმოაჩნდა. როგორც აუქციონის ფინანსური დირექტორი, პატრიკ მაკკლაიმონტი აცხადებს, „სოთბის სახლმა" კარგად იცის მისი ფასი და ვერანაირ დათმობაზე ვერ წავა. ძვირფასი ქვა 59,6 კარატს იწონის და მისი ფასი 83 მილიონი დოლარია. „ვარდისფერი ვარსკვლავი", როგორც მას უწოდეს, დღემდე აღმოჩენილ ბრილიანტებს შორის, ყველაზე ვარდისფერი და ძვირფასია. მაგალითად, 2013 წელს ჟენევის აუქციონზე, 101,73-კარატიანი ბრილიანტი მხოლოდ 26,7 მილიონ დოლარად გაიყიდა.

## ინგლისის ნაკრების მწვრთნელის კეთილი ნება

ინგლისის ფეხბურთის ნაკრების მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა კეთილი ნება გამოიჩინა და ფეხბურთელებს უფლება მისცა, ბრაზილიაში, მსოფლიო ჩემპიონატის დროს, მეუღლეებიც წამოიყვანონ, მხოლოდ ერთი პირობით – მათ უსაფრთხოებაზე ფეხბურთელებმა თავად უნდა იზრუნონ. ინგლისის ნაკრები რიო-დე-ჟანეიროში იქნება ბაზირებული, სადაც კრიმინოგენური ვითარება საკმაოდ მაღალია და ბრაზილიის ხელისუფლება ჩასულ ტურისტებს მოუწოდებს ქალაქის გარეუბნებში და ეგრეთ წოდებულ „ფაველებში" მისვლას მოერიდონ. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრები ერთ ჯგუფში მოხვდა იტალიასთან, ურუგვაისა და კოსტა-რიკასთან.

## პორნოვარსკვლავი „ბარსელონას" განაცხადში

ლათინოამერიკულ ტელეკომპანია „ტელევისას" ჩემპიონთა ლიგის მატჩის ტრანსლირების დროს, შეცდომა მოუვიდა და ესპანური „ბარსელონას" განაცხადში, ალექსის სანჩესის ნაცვლად, ამერიკაში ცნობილი პორნოვარსკვლავი – ალექსის ტექსასი შეიყვანა. გუნდის განაცხადი პორნოვარსკვლავთან ერთად, ტელეკომპანიის „ფეისბუქის" და „ტვიტერის" გვერდებზე განთავსდა. პორნოვარსკვლავი ლიონელ მესისა და „ბარსელონას" სხვა ვარსკვლავების გვერდით იყო მოხსენიებული. ალექსის ტექსასის რეაქცია აღნიშნულ ფაქტზე უცნობია, სამაგიეროდ, „ტელევისას" ბოდიშის მოხდა მოუწია ესპანური გრანდისთვის.

## მარადონას მნიშვნელოვანი კონტრაქტი

ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს წაიყვანს ლათინოამერიკულ ტელეარხ „ტელესურზე", რომლის შტაბ-ბინა ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში მდებარეობს. მარადონა არა მარტო კომენტატორობით შემოიფარგლება, ის სპეციალურ გადაცემასაც წაიყვანს, სადაც მატჩებს გაარჩევს მოწვეულ სტუმრებთან ერთად. სოციალურ ქსელში მარადონამ გააკეთა განცხადება, რომ „ტელესურთან" გაფორმებული კონტრაქტი მის კარიერაში უმნიშვნელოვანესია. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში 12 ივნისს აიღებს სტარტს და ფინალური მატჩით, 13 ივლისს დასრულდება.



## რონალდო, ფიგუ და ზიდანი ფილიპინელების დასახმარებლად

შვეიცარიული ბერნის ნაციონალურ სტადიონზე ფეხბურთის ვარსკვლავებმა ამხანაგური მატჩი გამართეს „იანგ ბოიზთან". საქველმოქმედო მატჩი ფილიპინებზე ტაიფუნისგან დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად დაიგეგმა და მასში ფეხბურთის არაერთმა ლეგენდამ მიიღო მონაწილეობა: რონალდომ, ზინედინ ზიდანმა, ლუიშ ფიგუმ, პაოლო მალდინიმ, ფაბიო კანავარომ, პაველ ნედვედმა, ჯანლუკა ძამბროტამ, ჯენარო გატუზომ, იური ჯორკაეფმა, დავორ შუკერმა, ნუნო გომეშმა და ცნობილმა ბრაზილიელმა ქალმა ფეხბურთელმა მართამ. მატჩის მსაჯი კოლორიტული იტალიელი პიერ-ლუიჯი კოლინა იყო.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# სახალისო და საინტერესო ფაქტები პრეზიდენტებსა და პრემიერ-მინისტრებზე

*მსოფლიო პოლიტიკის ლიდერებზე არაერთი საინტერესო და სახალისო ფაქტი მოიპოვება მათი პირადი ცხოვრებიდან. ეს ისეთივე ინტერესს იწვევს, როგორც ჰოლივუდელი ვარსკვლავების ცხოვრება, რომელთაც მოსვენებას არ აძლევენ ჟურნალისტები. გთავაზობთ მსოფლიო ლიდერების შესახებ გავრცელებულ ნაკლებად ცნობილ ფაქტებს.*

### სამოსანი მერკელი

გერმანულმა გამოცემა „დერ შპიგელმა" მოიპოვა გერმანიის ამჟამინდელი კანცლერის, ანგელა მერკელის უნივერსიტეტში სწავლის დროინდელი ჩანაწერები. აღმოჩნდა, რომ ბერლინის მეცნიერებათა აკადემიაში ასპირანტურის და დოქტორანტურის კურსების გავლისას მარქსიზმ-ლენინიზმის ისტორიაში



„სამიანი" ჰყავდა. ამავე დროს, მერკელს „მყარი" ოთხიანი ჰყავდა ფიზიკაში, ხოლო სადოქტორო კვანტურ ფიზიკაში დაიცვა. აღსანიშნავია, რომ ეს ცნობები გაზეთმა სასამართლოს მეშვეობით მოიპოვა, რადგან მერკელს არ სურდა, თავისი აკადემიური წარსულის გამომზეურება. ცნობილია, რომ ანგელა მერკელი აღმოსავლეთ გერმანიაში არის დაბადებული და როგორც ყველა იქაური მოქალაქე ვალდებული იყო სტუდენტობის დროს მარქსიზმ-ლენინიზმის ისტორია ესწავლა.

### პუტინის დაწერილი შესავალი

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ბორის ელცინისადმი მიძღვნილ წიგნს, სერიიდან „გამორჩეული ადამიანების ცხოვრება", შესავალი დაუწერა. თავის ნაწერში, პუტინი ხაზს უსვამს ელცინის მიერ რუსეთისთვის გაწეულ უზარმაზარ შრომას. პუტინის სიტყვებით, ელცინი იმდენად გრანდიოზული ადამიანი იყო, რომ მისი სიდიადის აღქმა წლების შემდეგ გახდება შესაძლებელი. ასევე, პუტინმა ელცინის პრეზიდენტობის უკანასკნელი დღეც გაიხსენა: „მაშინ, როცა ბორის ნიკოლაევიჩი კაბინეტს ტოვებდა, მან მხოლოდ ერთი ფრაზა მითხრა: „გაუფრთხილდი რუსეთს."

### ესტონეთის პრეზიდენტის ცნობილი ბაფთა

რამდენიმე ხნის წინ, ესტონეთში საქველმოქმედო აუქციონი გაიმართა, რომლის ფარგლებში გასაყიდად გაიტანეს ქვეყნის პრეზიდენტის, ტომას ჰენდრიკ ილვესეს და მისი მეუღლის პირადი ნივთები. ყველაზე დიდი ინტერესი მყიდველებს შორის ილვესეს ცნობილმა ბაფთა-ჰალსტუხმა გამოიწვია, რომელიც 7 600 კრონად გაიყიდა. გარდა ამისა, გასაყიდად იყო გატანილი ესტონეთის პირველი ლედის საღამოს კაბა.

### ოპერა ბილ ქლინთონზე

ბილ ქლინთონის ორმა თანამემამულემ, ექსპრეზიდენტის მშობლიური არკანზასის შტატიდან – ბენი მონთგომერიმ და ბრიტანი ბარბერმა ქლინთონის ავტობიოგრაფიული წიგნის, „ჩემი ცხოვრების" მოტივებზე ოპერა დაწერეს. ერთაქტიანი ოპერის სახელწოდებაა „ბილი ბლაითი" (ქლინთონის დაბადების გვარი) და მოვლენები 1959 წელს ვითარდება, ქალაქ ჰოთ-სფრინგსში. მაშინ ქლინთონი 13 წლის იყო. ოპერის პრემიერა არკანზასის შტატში შედგა 60 მაყურებლის წინაშე.

### აკრძალული მუსიკა

ბრიტანელმა მუსიკოსმა, ჯგუფ „ზი სმითსის" წევრმა, ჯონი მარმა უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, დევიდ კამერონი მათი ჯგუფის მსმენელი აღმოჩნდა. საკუთარ ბლოგში მუსიკოსი მოუწოდებს კამერონს, შეეშვას „ზი სმითსის" მოსმენას და არასდროს თქვას, რომ ეს ჯგუფი მოსწონს. რამ გამოიწვია მუსიკოსის აღშფოთება, უცნობია. თუმცა, ფაქტია, რომ კამერონის სხვა ფავორიტ როკ-ჯგუფებსა და სოლო მომღერლებს, „რედიოჰედს", „ზი ქილერს", „პინკ ფლოიდს" და ბობ დილანს უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ იმის გამო, რომ მათი მსმენელია ბრიტანეთის პრემიერი.

# მხოლოდ ფაქტები

* დუგლას ფერბენქსმა დარტანიანის როლი რომ შეესრულებინა, ულვაში მოუშვა. სწორედ მაშინ განაცხადა ვუდი ალენმა, რომ 1944 წელს გერინგმაც მოუშვა ულვაში, რამაც ხელი შეუწყო ხმების გავრცელებას, თითქოს ის მალე ჰიტლერს შეცვლიდა.

* 2004 წელს გვინეა ბისაუს ნაპირებთან მეზღვაურებმა კოკაინით სავსე უამრავი ტომარა „დაიჭირეს". რადგან ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არ იცოდნენ შიგთავსი – ეს უცნაური თეთრი ფხვნილი რა იყო, სხვადასხვა მიზნისთვის გამოიყენეს, მათ შორის, საფეხბურთო მინდვრის დასახაზადაც.

* ჩინურ ენაში სიტყვები ღამურა და ბედნიერება ომონიმებია.

* პირველი მსოფლიო ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატების 42-ე დივიზიას, რომელიც სხვადასხვა შტატის სამხედრო დანაყოფებისგან შედგებოდა „ცისარტყელა" ერქვა, მათი მუნდირების სხვადასხვა ფერის გამო.

* 1670 წელს მეფე ლუდოვიკო მეთოთხმეტის გადაწყვეტილებით პარიზში აგეს ინვალიდთა სახლი დასახიჩრებული და მოხუცი ჯარისკაცებისთვის.

* ცნობილია, რომ მხატვარი მიხაილ ვრუბელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნის დროს ზეპირად წარმოთქვამდა ციტატებს „ჰამლეტიდან" – ინგლისურად, „ილიადადან" – ბერძნულად და „ფაუსტიდან" – გერმანულად.

* ირანში, ქალაქ ისპაჰანში დამზადებულ უკრაინულ თვითმფრინავს „ან-140-ს" ორი ასო დაუმატეს და დაარქვეს „ირან-140".

* ყაზახი მომთაბარეები ჩრდილოეთის პოლარულ ვარსკვლავს დედამიწის ლურსმანს უწოდებდნენ.

* მხედველობის დეფექტის მქონე ადამიანებისთვის პირველი შრიფტი – რელიეფურ-ხაზური ვალენტინ ჰაიუიმ შექმნა. რელიეფურ-წერტილოვანი შრიფტის შემქმნელი კი ბრაილი, მისი მოსწავლე იყო.

* მექსიკელები კაქტუსის ეკლის ამოსაღებად კანზე ისხამენ ცხელ ცვილს. გაცივებულ ცვილთან ერთად ეკალი იოლად ამოაქვთ სხეულიდან.

* ნაირობში, კენიის რკინიგზის ეროვნულ მუზეუმში, ინახება ლომის ბრჭყალები – კენიაში რკინიგზის მშენებლობის დროს უჩვეულოდ ბევრი ადამიანი შეიწირეს ლომებმა, მათ შორის მეფისნაცვალი სერ რაიალი.

# ევა გრინი – თანამედროვე კინოს აღიარებული სექს-სიმბოლო

*სულ მალე მსოფლიოს კინოთეატრების დიდ ეკრანებზე გახმაურებული ფილმის – „300 სპარტელის" მეორე ნაწილის პრემიერა შედგება. ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ მსახიობად აღიარებული ევა გრინი ასრულებს, რომელმაც, სპეციალურად ფილმისთვის, ფარიკაობის გაკვეთილები გაიარა.*

*ბერნარდო ბერტოლუჩის „მეოცნებეებით" დაწყებული კარიერა და სხვა საინტერესო ცნობები ევა გრინის შესახებ:*



* სრული სახელი: ევა გაელ გრინი. სახელი „ევა" მას პირველი ქალის პატივსაცემად დაარქვეს. ევა თავის ტყუპისცალ ჯოიზე ოთხი წუთით ადრე დაიბადა.

* დაიბადა 1980 წლის 5 ივლისს, პარიზში. იზრდებოდა პარიზის მეჩვიდმეტე რაიონში, ბურჟუაზიულ ოჯახში.

* ევა გრინის მშობლები: მამა – ვალტერ გრინი, შვედური წარმოშობის სტომატოლოგი; დედა – მარლენ ჟობერი, ალჟირული წარმოშობის ფრანგი მსახიობი

* ჰოროსკოპი: კირჩხიბი. თმის ფერი – მუქი ყავისფერი, თუმცა, სინამდვილეში ევა ქერაა და თმას მუქად იღებავს. სიმაღლე – 168 სანტიმეტრი.

* ევა გრინის საყვარელი მსახიობები: იზაბელ აჯანი, ქეით ბლანშეტი, ჟანა მორო, ედვარდ ნორტონი, ხოაკინ ფენიქსი, ჟიულიეტ ბინოში და მარიონ კოტიარი.

* ევა გრინის საყვარელი რეჟისორები: ლარს ფონ ტრიერი, დევიდ ლინჩი და დევინ ფინჩერი.

* ევა გრინს არ უყვარს შოპინგი, საუბარი პირად ცხოვრებაზე, უწმაწური სიტყვების გამოყენება, ვულგარული ტანსაცმელი.

* საყვარელი დიზაინერები: ჟან-პოლ გოტიე და ჯონ გალიანო.

* ყოველდღიურ ცხოვრებაში ევა გრინი არ იყენებს მაკიაჟს, მხოლოდ ტუშის ხმარებით შემოიფარგლება.

* ევა გრინი კლასიკური მუსიკისა და გუსტავ კლიმტის მოყვარულია.

* მოდელის ამპლუაში ევა გრინი თანამშრომლობს „ლანკომეს", „კრისტიან დიორისა" და „ემპორიო არმანის" სამოდელო სახლებთან.

* 2005-2009 წლებში ევა გრინი ახალზელანდიელ მსახიობ მარტონ ჩოკაშს ხვდებოდა, რომელიც რიდლი სკოტის ფილმის – „ზეციური სამეფოს" გადაღებების დროს გაიცნო.

* ევა გრინის ოცნებაა სერიული მკვლელის ან სულიერად ავადმყოფი ადამიანის როლის შესრულება.

* ევა გრინი ახლომხედველია. მას აკროფობია აქვს (სიმაღლის შიში).

* ამერიკელებს ევა გრინი ზედმეტად დაკომპლექსებულ ადამიანებად მიიჩნევს.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**



### მარილების დაგროვებისა და სახსრებში ტკივილის დროს ხალხური რეცეპტები დაგეხმარებათ

მარილების დაგროვების დროს, 1 ჩაის კოვზი დაფქული სტაფილოს თესლი გახსენით ერთ ჩაის ჭიქა წყალში. დალიეთ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დღეში სამჯერ, ორი კვირის განმავლობაში.

4 ცალი ლიმონის კანი და 100 გრამი ნიორი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, დაასხით 2 ლიტრი გადადუღებული წყალი და დადგით ორი დღე-ღამის განმავლობაში. შემდეგ გადაწურეთ და ყოველ დილით, უზმოზე, დალიეთ 50 მილილიტრი.

საღამოს, 20 ცალ იასამნის ფოთოლს დაასხით 1 ლიტრი წყალი და წამოადუღეთ. დილით გადაწურეთ და სვით მთელი დღე, დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში.

მარილების დაგროვების დროს, აგრეთვე, კარგია, თუ 3 სადილის კოვზ ბრინჯს ღამით წყალში დაალბობთ, დილით კი მოხარშავთ და უზმოზე ცივს შეჭამთ. სამი კვირის განმავლობაში ასე მოიქეცით და სახსრებში ტკივილი მალევე გაგივლით.

შვრიის ნაყენი ხელს უწყობს ღვიძლის, კუჭისა და თირკმლის მკურნალობას, სხეულიდან ქვებისა და ნალექის გამოდევნას: 1 ჩაის ჭიქა გარეცხილ შვრიას დაასხით 2 ჩაის ჭიქა ცივი წყალი და გააჩერეთ 1 დღე-ღამის განმავლობაში. შემდეგ დაამატეთ 3 ლიტრი წყალი და ადუღეთ მანამ, სანამ სითხე ერთ ლიტრამდე დავა. გაწურეთ და მიღებული სითხე სვით ჭამის წინ, დღეში სამჯერ, 1 ჩაის ჭიქა.

### ვისთვის არის საშიში საფუარით გამომცხვარი პური

პური ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელობისთვის აუცილებელი პროდუქტია. ის აკმაყოფილებს საჭირო კალორიების დაგროვების 30 პროცენტს, B ჯგუფის ვიტამინების აუცილებელი რაოდენობის 60 პროცენტს, ფოსფორის, მარილისა და ნახშირწყლების აუცილებელი რაოდენობის 50 პროცენტს.

ჭვავის პური დაბალკალორიულია, ამასთან, მდიდარია $B_1$ და $B_3$ ვიტამინებით, ფოლიუმის მჟავითა და რკინით.

გაცილებით სასარგებლოა მეორე ხარისხის ხორბლის ფქვილისგან გამომცხვარი პური, უმაღლესი ხარისხის ფქვილთან შედარებით.

საფუარით გამომცხვარი პურის ჭამა ეკრძალებათ მათ, ვისაც თირკმელები, ნაღვლის ბუშტი, სანაღვლე გზები, სოკოვანი დაავადებები და ალერგია აწუხებთ. დიაბეტიანმა ადამიანმა კი აუცილებლად უსაფუარო პური უნდა ჭამოს.

ახალგამომცხვარი პური ეკრძალებათ გასტრიტისა და კოლიტის დაავადების მქონე ადამიანებს.

ჯანსაღი კვებისთვის ყველაზე სასარგებლო საკვებია ბოჭკოებით გამდიდრებული პური, რომელსაც ხორბლის ჩენჩო, ღერღილი და მსხვილად დაფქული მარცვლეული შეიცავს. საკვები ბოჭკოები შეიწოვს მავნე ნივთიერებებს და შემდეგ ადვილად გამოდევნის მათ ორგანიზმიდან.

მსხვილად დაფქული ხორბლის პური ნაკლებკალორიულია და რეკომენდებულია მათთვის, ვისაც ჭარბი წონა და გულის დაავადებები აწუხებს; ასევე, კარგია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

უმარილო პური სასარგებლოა თირკმელებით, ჰიპერტონიით, გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულთათვის.

დაახლოებით 100 გრამი პური ადამიანის ორგანიზმის დღიურ მოთხოვნილებას ვიტამინებისა და მიკროელემენტებზე 40-50 პროცენტით აკმაყოფილებს, ამიტომ, არ შეიძლება მენიუდან ამ პროდუქტის მთლიანად ამოღება და წონის დაკლების მიზნით მასზე უარის თქმა.

### ჭამეთ მაკარონი, დააყოლეთ 1 ჭიქა წითელი ღვინო და არ გასუქდებით

მაკარონი მდიდარია ნახშირწყლებით, რაც ორგანიზმში ქმნის ქიმიური რეაქციის ეგრეთ წოდებულ ძაფს, რომლის შედეგადაც ტვინში იმატებს ტრიფტოფანის რაოდენობა. ტრიფტოფანი ამინომჟავაა, რომლის სინთეტიკური ანალოგიც საძილე საშუალებების მოსამზადებლად გამოიყენება. ნორმალური, დოზირებული ტრიფტოფანი კონკურენციას უწევს სხვა ამინომჟავებს ტვინში სისხლის მიმოქცევის მოწესრიგებაში. ის ასტიმულირებს სისხლში ინსულინის რაოდენობას, ეს კი, ახდენს სხვა დანარჩენი ამინომჟავების დაბლოკვას, რითაც გზას უთავისუფლებს ტრიფტოფანს, რომელიც ტვინში სეროტონინად გადაიქცევა, ამის შედეგად კი ადამიანს საგრძნობლად უუმჯობესდება გუნება-განწყობა. ვინც ცდილობს, დაძაბულობა და სტრესი ტკბილეულითა და ცომეულით შეიმსუბუქოს, ინსტინქტურად მიილტვის სწორედ ამ მექანიზმის ასამუშავებლად, ხოლო, იმისთვის, რომ ტვინში გაზარდოთ სეროტონინის რაოდენობა, საჭიროა ნახშირწყლით მდიდარი პროდუქტის მიღება.

ვინც სწრაფად ნაყრდება და შედარებით ძნელად ახერხებს განტვირთვას, სამუშაო დღის ბოლოს მაკარონი უნდა ჭამოს.

ხორბლის ფქვილი, რისგანაც მაკარონი მზადდება, ღარიბია რკინით და სხვა აუცილებელი მიკრო და მაკროელემენტებით. ამიტომ, მოხარშულ მაკარონს გარნირად უნდა დაუმატოთ დიდი რაოდენობით ბოსტნეული და საკმაზ-სანელებლები. ბოსტნეულში, ტომატ-პასტასა და ღვინოში არსებული მჟავები ამსუბუქებს მაკარონიდან რკინის ათვისების პროცესს. ისინი იმდენად მდიდარია მინერალური ნივთიერებებით, რომ მაკარონსაც კი არ შეუძლია ამის „წართმევა".

მიირთვით მაკარონი მწვანილთან და ბოსტნეულთან ერთად; შეგიძლიათ, მას ერთი ჭიქა წითელი ღვინოც დააყოლოთ და წონაში მომატებაზეც ნუ ინერვიულებთ.

### რა იწვევს ნაღვლის ბუშტის ანთებას და როგორ ვუმკურნალოთ მას

ქოლეცისტიტი ნაღვლის ბუშტის ანთებითი დაავადებაა. მის განვითარებაში ორი ფაქტორი მონაწილეობს: პირველია ბაქტერიული ინფექცია, რომელიც ბუშტში სხვადასხვა გზით ხვდება – ნაღვლის სადინარიდან, სისხლიდან და ლიმფიდან, იქ იბუდებს და იწვევს დაავადებას; მეორეა ნაღვლის შეგუბება – ნაღველი გამომუშავდება ნაღვლის ბუშტში, იქიდან კი სადინარით გადაისროლება თორმეტგოჯა ნაწლავში, სადაც მონაწილეობს საჭმლის მონელების პროცესში. თუ ადამიანს აქვს ნაღვლის ბუშტისა და მისი სადინარების თანდაყოლილი დეფექტი, სადინარების დისკინეზური ცვლილებები, მუცლის ღრუს სხვა ორგანოს სიმსივნე, ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესი, ამ შემთხვევაში, მონელებისთვის აუცილებელი ნაღველი ბუშტში გროვდება. ქოლეცისტიტის გამომწვევი მიზეზი, შესაძლოა, იყოს პარაზიტული დაავადებები, მწვავე პანკრეატიტი, ჭარბი წონა, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, ნაღვლის ბუშტის კედლის სისხლმომარაგების დარღვევა, მემკვიდრეობითი ფაქტორები. თუ ნაღვლის ბუშტში კენჭებია, ქოლეცისტიტი მეტად მწვავდება. ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია ნაღველკენჭოვანი დაავადების გართულებით.

არსებობს მწვავე და ქრონიკული ქოლეცისტიტი. მწვავე ქოლეცისტიტის განვითარებას და ქრონიკული ქოლეცისტიტის გამწვავებას ხელს უწყობს კვების რეჟიმის თვითნებური შეცვლა: ცხარე, ცხიმიანი, შებოლილი საკვები, ფიზიკური და ემოციური გადატვირთვა, ალკოჰოლი და ასე შემდეგ.

მწვავე ქოლეცისტიტს თან სდევს ძლიერი შეტევითი ტკივილი წელის მარჯვენა მხარეს, მხარსა და ბეჭის მიდამოებში. ტკივილს თან ერთვის გულისრევის შეგრძნება. ამ დროს არ არის გამორიცხული ტემპერატურის მომატებაც.

გაცილებით ხშირია ქრონიკული ქოლეცისტიტი და მისი ასაკი საკმაოდ გაახალგაზრდავდა. ის ყრუ ტკივილითა და ნაღვლ-

ის ბუშტის არეში სიმძიმის შეგრძნებით ვლინდება. ამას თან სდევს პირში მწარე გემო, გულისრევა. პირველ ეტაპზე უნდა დალიოთ სპაზმის მოსახსნელი საშუალება, მაგალითად, „ნო-შპა“ და დაიცვათ მკაცრი დიეტა.

ქოლეცისტიტის დროს 1 ჩაის ჭიქა ბოლოკისა და წითელი ჭარხლის წვენს დაუმატეთ 1 ჩაის ჭიქა თაფლი, ჭიქა-ნახევარი არაყი, კარგად აურიეთ და სამი დღით დადგით ბნელ, გრილ ადგილას. შემდეგ, სვით არყის ჭიქით, დღეში 3-ჯერ. ეს ხალხურ მედიცინაში ქოლეცისტიტის განკურნების უებარი წამალია.

### სწორად გამოკვებეთ ღვიძლი

ღვიძლი შლის ორგანიზმში მოხვედრილ ცილებს, ცხიმებსა და ნახშირწყლებს. ვიტამინების სინთეზიც მას ეხება – სისხლსაც ამდიდრებს და გვიცავს ორგანიზმში მოხვედრილი საწამლავისგან. დროდადრო ღვიძლს ძალიან უჭირს. დადგენილია, რომ სწორი მუშაობისთვის მას ესაჭიროება B ჯგუფის ვიტამინები, ასევე, E და F ვიტამინი, მაგნიუმი, ფოსფორი, კალიუმი და კალციუმი.

არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ საკვები ძილის წინ. ივახშმეთ საღამოს 7 ან 8 საათზე, მსუბუქად. მნიშვნელოვანია საკვების ტემპერატურაც – ის არ უნდა იყოს მეტისმეტად ცივი ან ცხელი. უპირატესობა მიანიჭეთ ხაჭოს, რძეს, თევზს, წიწიბურას, მცენარეულ ზეთს და ასე შემდეგ. ძალიან სასარგებლოა ვიტამინებით მდიდარი საკვები პროდუქტები, მაგალითად, სტაფილო, გარგარი, ჭარხალი და სხვა.

ღვიძლისთვის ძალიან კარგია ძველი პური, განსაკუთრებით კი – შავი. მავნეა თეთრი, თბილი და ფუმფულა პური. ყოველდღე მიირთვით ვეგეტარიანული წვნიანი კერძი, ასევე, მწვანილი, თაფლი, რძიანი ჩაი.

რაციონიდან ამოიღეთ სპირტიანი სასმელები, ნუ მიეძალებით ცხიმიან ხორცსა და შემწვარ თევზს, ასევე, სოკოს, ნაყინსა და შოკოლადს.

### ჭარხლის, კიტრისა და სტაფილოს ახალგამოწურული წვენი უებარი სამკურნალო საშუალებებია

ჭარხლის წვენი ყველაზე კარგია სისხლის წითელი ბურთულებისა და მთლიანად სისხლის შემადგენლობის გასაუმჯობესებლად; ასევე, სასარგებლოა მისი მიღება სტაფილოს წვენთან ერთად. ჭარხლის წვენი არაჩვეულებრივად წმენდს ორგანიზმს. თავი დან, უმჯობესია, დალიოთ ჭარხლისა და სტაფილოს წვენის ნარევი, შემდეგ კი ნელნელა გაზარდოთ ჭარხლის წვენების რაოდენობა. ასეთ შემთხვევაში ორგანიზმი გაცილებით სწრაფად და კარგად იწმინდება. საკმარისია, დღეში ორჯერ თითო ჭიქა წვენის მიღება. ეს განსაკუთრებით კარგი და ეფექტურია ქალებისთვის კლიმაქსურ პერიოდში.

ჭარხლის წვენში ბევრია ნატრიუმი და კალციუმი. ეს ორივე ნივთიერება ძალზე სასარგებლოა ორგანიზმისთვის. ჭარხალში შემავალი ქლორი კი წმენდს თირკმელებსა და ნაღვლის ბუშტს.

ჭარხლისა და სტაფილოს წვენების ნარევი ორგანიზმს ამდიდრებს საჭირო რაოდენობის ფოსფორით, გოგირდით, კალციუმითა და სხვა ტუტე ლითონებით.

კიტრი და მისი წვენი კარგი შარდმდენი საშუალებაა, თუმცა, მას კიდევ სხვა ბევრი სასარგებლო თვისებაც აქვს – მასში შემავალი დიდი რაოდენობით გოგირდი და სილიციუმი ხელს უწყობს თმის ზრდას. კიტრი შეიცავს 40 პროცენტამდე კალციუმს, 10 პროცენტამდე ნატრიუმს, 20 პროცენტამდე ფოსფორსა და 8 პროცენტამდე ქლორს. კიტრის წვენით, სტაფილოს წვენთან ერთად, მკურნალობენ რევმატულ დაავადებებს. კიტრში კალციუმის შემცველობა არეგულირებს წნევას, ასევე, კარგია კბილებისა და ღრძილების დაავადებების დროს. ადამიანის ფრჩხილსა და თმას სწორედ იმდენი მიკროელემენტი ესაჭიროება, რა რაოდენობითაც შეიცავს მათ კიტრის წვენი.



## ექიმის რჩევები

**კითხვა: ჰემოგლობინის ასამაღლებლად მირჩიეს თაფლში შერეული ბროწეულისა და ლიმონის წვენის დალევა. მექნება თუ არა სასურველი შედეგი?**

**პასუხი:** ჰემოგლობინის მოსამატებლად, გირჩევთ, დალიოთ ბროწეულისა და ჭარხლის წვენების ნარევი, თანაფარდობით 1:1-თან. რაც შეეხება ლიმონისა და ბროწეულის წვენებს, ნახევარ ჭიქა ბროწეულის წვენში უნდა ჩაწუროთ 1 ცალი საშუალო ზომის ლიმონი და დაამატოთ 1 ჩაის კოვზი თაფლი. აღნიშნული საშუალება შეგიძლიათ მიიღოთ დღეში 2-ჯერ, ჭამამდე 1 საათით ადრე. უზმოზე მისი დალევა არ არის რეკომენდებული.

**კითხვა: მყავს თვე-ნახევრის ბავშვი, ლოყებზე აქვს წვრილი და მოწითალო გამონაყარი, ჩირქოვანი თავები არ აქვს. რა უნდა იყოს და რას მირჩევთ?**

**პასუხი:** სავარაუდოდ, ეს არის ნეონატალური ცეფალური პუსტულოზი, ან, იგივე ახალშობილთა აკნე, რომელიც აღენიშნება ახალშობილთა 20-30 პროცენტს, დაბადების პირველ კვირებსა და თვეებში. საშიში არ არის და მედიკამენტურ ან სპეციფიკურ მკურნალობას არ მოითხოვს. ეს ახალშობილის ორგანიზმში ჰორმონული ფონის ჩამოყალიბებას უკავშირდება. ზოგჯერ ასეთი გამონაყარი კანზე საფუარის ტიპის სოკოს მომრავლების შედეგია, რაც, ჩვეულებრივ, კანის მიკროფლორის წევრად ითვლება. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია მცენარეული ნაყენების, მაგალითად, ორკბილას ან გულყვითელას ადგილობრივად გამოყენება. აკნე 3 თვემდე თავისით გაივლის, მაგრამ, თუ ამ პერიოდის შემდგომაც გაგრძელდა, მიმართეთ ექიმს, რადგან, გამონაყარის ასალაგებლად სპეციალური მალამოების მიხმარებაა საჭირო, რათა ის არ გართულდეს.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, სტაფილომ გამოიწვიოს ბოტკინი?**

**პასუხი:** არა. სტაფილოს ჭარბად მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს კანის გაყვითლება, რაც ამ ბოსტნეულში ყვითელი პიგმენტის ჭარბ შემცველობას უკავშირდება. ამ სიყვითლეს ბოტკინთან არავითარი კავშირი არ აქვს და, თუ რამდენიმე დღეში სტაფილოს თავს დაანებებთ, სიყვითლე თავისით გაივლის.

**კითხვა: ვარ 26 წლის. ხშირად მაწუხებს თავის ტკივილები, ზოგჯერ ისეთი ძლიერი, რომ გამაყუჩებელიც არ მშველის. ასევე, მაწუხებს ყურებში ხმაური, განსაკუთრებით – მარჯვენა ყურში. იქნებ მირჩიოთ, ვის უნდა მივმართო?**

**პასუხი:** ყურებში ხმაურის მიზეზი შეიძლება იყოს: ყურის ანთება; გოგირდოვანი საცობი; უცხო სხეული სასმენ მილში; სასმენი ნერვის დაზიანება; ასაკობრივი ცვლილებები. გარდა ამისა, ყურებში ხმაური შეიძლება გამოიწვიოს თავის ტრავმამ, თავის ტვინის სისხლძარღვების ათეროსკლეროზმა, კისრის მალების ოსტეოქონდროზმა; თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევამ და სხვა. ამიტომ, კონკრეტული მიზეზის დასადგენად თქვენ გესაჭიროებათ როგორც ოტოლარინგოლოგის, ისე ნევროპათოლოგის კონსულტაცია.

**კითხვა: მაინტერესებს, თუ 6 თვის ბავშვს ფეხებზე არათანაბრად აქვს ნაკეცები, ეს აუცილებლად დისპლაზიის მიზეზია?**

**პასუხი:** არათანაბარი ნაკეცები სხვა სიმპტომებს შორის დისპლაზიისთვის ყველაზე ნაკლებადა დამახასიათებელი. არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც, ნაოჭების ასიმეტრიის მიუხედავად, სახსრები ნორმალურია. თუმცა, სასურველია, ბავშვის ძვალ-სახსართა სისტემა შეფასებული იყოს ორთოპედის მიერ, თუნდაც პროფილაქტიკის მიზნით.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# რა ერგო ზაქარია ფალიაშვილის ერთადერთ შთამომავალს ბაბუისგან მემკვიდრეობით და რატომ ატარებს ის ორ გვარს

*როგორც ამბობენ, ყველა ადამიანი დედამიწაზე თავისი მისიით იბადება. თუმცა, არსებობენ ისეთებიც, ვისაც ეს მისია გაორმაგებული აქვთ. სწორედ, ასეთი ადამიანია **ვახტანგ გორდელი-ფალიაშვილი**. ის ზაქარია ფალიაშვილის ერთადერთი შთამომავალია, და, ხომ წარმოგიდგენიათ, რა საპასუხისმგებლოა ეს მისთვის. ვახტანგი, რუსი პოეტის, მსახიობის, კომპოზიტორისა და მომღერლის, ვლადიმირ ვისოცკის შემოქმედების თაყვანისმცემელი და მისი სიმღერების უბადლო შემსრულებელია.*



ვახტანგ გორდელი-ფალიაშვილი

**ვახტანგ გორდელი-ფალიაშვილი**: ჩემი აზრით, ყველა ქართველი ნიჭიერია. თუმცა, არსებობს მდგომარეობა, როცა ეს ნიჭიერება ოჯახიდან, გენეტიკურად მოგდგამს. ზაქარია ფალიაშვილის შვილიშვილობა, ჩემთვის უპირველესად, დიდი პასუხისმგებლობაა. გინდა თუ არა, ხალხმა იცის, ვისი შთამომავალი ხარ და უფლება არ გაქვს, სწორ გზას გადაუხვიო. ძალიან ემოციური და იმავდროულად, კრიტიკული ვარ საკუთარი თავის მიმართ და ვცდილობ, ვიცხოვრო ისე, ჩემი საქმიანობით ეს პასუხისმგებლობა გავამართლო. არ დავმალავ, მეამაყება ასეთი წინაპარი რომ მყავდა.

**– ბაბუას შესახებ, ვინ გიყვებოდათ?**

– ბაბუა, 1933 წელს გარდაიცვალა, ქლექი ჰქონდა. მამა მასზე ბევრს მიყვებოდა. ბებიას კი მისი წერილების სახით დიდი არქივი ჰქონდა, რომლის წაკითხვისას, ზუსტად მიხვდებით, როგორი ბუნების ადამიანი იყო ზაქარია ფალიაშვილი, რა განცდები და გრძნობები გააჩნდა, როგორ უყვარდა და რა იყო მისი მთავარი მიზანი. ასე რომ, ამ წერილებიდან ბაბუას პიროვნების შესახებ ბევრი რამ შევიტყვე. ახლა ეს არქივი ჩემთან ინახება. ბაბუას პირველი მეუღლე გახლდათ ნადეჟდა უტკინა. ცნობილ, რუს არისტოკრატთა ოჯახიდან. სხვათა შორის, ბაბუას მასთან შვილი ჰყავდა, რომელიც ადრეულ ასაკში დაეღუპა. ამ დროს ზაქარია, თურმე ოპერა „აბესალომ და ეთერიზე" მუშაობდა. შვილის დაღუპვამ მასზე ისე იმოქმედა, რომ დაანება თავი მუშაობას, მოეშვა და სწორედ ამ პერიოდში მოხდა სასწაული. თავად წერს ამაზე: „დამესიზმრა გარდაცვლილი შვილი, რომელმაც მითხრა: მამა, გააგრძელე მუშაობა და დაასრულე ეს ნაწარმოებიო". ამის შემდეგ, უფრო მეტი ენთუზიაზმით გაუგრძელებია მუშაობა და ამბობდა, ზებუნებრივმა ძალამ დამაწერინა „აბესალომ და ეთერი", რაშიც ჩემი გარდაცვლილი შვილის სულიც მეხმარებოდაო. ბაბუა კათოლიკე გახლდათ, 17 დედმამიშვილი ჰყავდა. ბავშვობიდან გალობდა კათოლიკურ ეკლესიაში და ორღანზეც უკრავდა. საკმაოდ მორწმუნე ოჯახიდან იყო და ბავშვობიდან ეკლესიაში დადიოდა. წარმოიდგინეთ, ეს კათოლიკე კაცი პატრიარქის მართლმადიდებლური გუნდის რეგენტი იყო. ერთხელ თურმე, რუსი ეგზარქოსი შესულა ეკლესიაში, როცა ზაქარია თავის გუნდთან ერთად გალობდა და უბრძანებია, შეწყვიტეთ ქართულად გალობაო. გადარეულა ბაბუაჩემი, პრინციპულად გადადგომია წინ რუს ეგზარქოსს და ეკლესიიდან გაუძევებია. მამა მართლმადიდებლურად იყო მონათლული. პატრიარქმა მეც მომცა კურთხევა: მოიხსენიე ლოცვებში ზაქარია ფალიაშვილის სულიო.



ოთარ გორდელი

**– როგორც ვიცი, ბატონ ზაქარიას, მეორე ცოლისგან ჰყავდა ერთადერთი მემკვიდრე – მამათქვენი, რომელმაც მის გვარზე უარი თქვა. ასე რატომ მოხდა?**

– ბაბუას მეორე მეუღლე გახლდათ ნადეჟდა აბაშიძე-ბუზოღლისა, რომელთანაც უდიდესი სიყვარული აკავშირებდა. მას პირველი ქმრისგან ჰყავდა ორი ვაჟი, მამა კი 1928 წელს შეეძინა. ბაბუას თურმე, პირველი შვილის დაღუპვის შემდეგ, დიდი სტრესი ჰქონდა, დეპრესიული გახდა და მეორე შვილის დაბადებით ცხოვრების ხალისი დაუბრუნდა. როცა ბაბუას ქლექი შეეყარა, ძირითად დროს აბასთუმანში ატარებდა, სადაც დღეს მისი სახლ-მუზეუმია. სწორედ, იქიდან უგზავნიდა ბებიას იმ სასიყვარულო წერილებს, რომელიც დღეს ჩემთან ინახება. ბაბუა რომ გარდაიცვალა, მამა ხუთი წლის იყო, ბებია ისევ გათხოვდა და მის პირველ მეუღლეს გაჰყვა ცოლად. მამა იხსენებდა, არაჩვეულებრივი მამობილი მყავდა, ძალიან დიდ პატივს მცემდა, ძალიან მიყვარდა და 18 წლის რომ გავხდი, გადავწყვიტე, მისთვის გული არ მეტკინა და არც დედა გამენაწყენებინა – დედა გორდიდან იყო და მის პატივსაცემად, გვარი გორდელი ჩავიწერეო. მამა, მანამდე დედის გვარს, ბუზოღლის ატარებდა. როგორც მიყვებოდა, ჩიტაძის 10 ნომერი, სადაც ის იზრდებოდა, საკმაოდ ცნობილი მისამართი ყოფილა იმ დროს. მათთან ხშირად მიდიოდენ შოსტაკოვიჩი, პასტერნაკი, ცნობილი ქართველი მწერლები და კომპოზიტორები. სხვათა შორის, მამას დიდი წარმატებები ჰქონდა მუსიკალურ დარგში. საბჭოთა კავშირის დროს, დაახლოებით 1942 წელს, საკავშირო კონკურსები იმართებოდა და საქართველოდან ერთ ადამიანს აგზავნიდნენ ამ კონკურსზე მოსკოვში. მაშინდელ კულტურის მინისტრს დაუბარებია ბებია და უთქვამს, გვინდა, თქვენი შვილი, ოთარი გავგზავნოთ მოსკოვში, საერთაშორისო კონკურსზე, მაგრამ გვარი უშლის ხელს, ის ფალიაშვილის ერთადერთი მემკვიდრეა და იქნებ მამის გვარი დაუბრუნოო. ბებიას უთქვამს, ამის გაკეთება არ მინდა, რადგან მამობილს ძალიან უყვარს და ბავშვიც შეჩვეულია იმ გვარს, რომელსაც ატარებსო. კულტურის მინისტრს კი უთქვამს, ნება თქვენია, მაგრამ იცოდეთ, საქართველოდან ბუზოღლის გვარით ის მოსკოვში ვერ წავაო. ბებია სოფელი გორდიდან იყო წარმოშობით, მამამ გადაწყვიტა, მაინც ყველამ იცის, რომ ზაქარიას შვილი ვარ და გორდელად დავეწერებიო. ასეც მოიქცა. მამა 1994 წელს გარდაიცვალა.

**– თქვენ როდის გადაწყვიტეთ დაგებრუნებინათ ბაბუის გვარი?**

– ესევ უფლის ნება იყო, რომ მამის დასაფლავების დღეს, სამშობიაროში მომიწია წასვლა. ვაჟის მამა გავხდი. ჩემი შვილიც ერთადერთი ბიჭი გახლდათ გვარში. მისი დაბადების მოწმობას რომ ვიღებდი, მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა, ბატონმა თედო ნინიძემ დამიბარა და მითხრა: მესმის, რომ გორდელის გვარით გაიზარდე, მამაშენსაც თავისი მოსაზრება ჰქონდა ამ გვართან დაკავშირებით, მაგრამ ხომ არ ჯობია, შენს შვილს მაინც დაუბრუნო თავისი ნამდვილი გვარი და ფალიაშვილად ჩაწეროო.

**– გამიგია, რომ ბატონ ზაქარიას ჰქონდა უიშვიათესი, შავი ბრილიანტი, რომელსაც ატარებდა. ეს ნივთიც დღეს თქვენთან ინახება?**

– დიახ, ბაბუას ჰქონდა, მეჩვიდმეტე საუკუნის, კარატ-ნახევრიანი, შავი ბრილიანტი, მაგრამ ის გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. დღესაც არ ვიცით, სად არის. ეს ნივთი დედასთან ინახებოდა, მაგრამ არ ვიცი, სად გაქრა. თუმცა, ჩემთან ინახება ბაბუას ნაქონი, ულამაზესი ვაზა, რომელიც მელხიორის ფეხზე დგას და აქვს წარწერა: „ვუძღვნი „დაისის" პრემიერის აღსანიშნავად, ჩემს უსაყვარლეს მეუღლეს, ნადეჟდას". ბაბუას დანარჩენი, ძვირფასი ნივთები მუზეუმში ინახება. სხვათა შორის, ბებიამ 1977 წელს გადაწყვიტა, თავისი პირადი ცხოვრება სამსჯავროზე გამოეტანა და ბაბუას სასიყვარულო წერილები, მაშინდელ ერთ-ერთ ჟურნალში გამოაქვეყნა. ამბობდა, ეს შვილის გამო გავაკეთე, ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ეს მე დავადასტურეო. ძალიან ბრძენი და შარმიანი ქალი იყო ბებია და ბევრ ადამიანთან მეგობრობდა. მაგალითად, მისი საუკეთესო მეგობარი იყო არაყიშვილი. ზაქარია კი, მისთვის მეგობარიც იყო, მეუღლეც და მესაიდუმლეც. მისი გარდაცვალების შემდეგ, ბაბუას მეგობრები ბებიას ხშირი სტუმრები იყვნენ. მამაჩემი კომპოზიტორი გახლდათ, ძალიან ნიჭიერი და კეთილშობილი კაცი. ამას იმიტომ არ ვამბობ, მამაჩემი რომ იყო. ბუნებით უბრალო კაცი იყო, მოსკოვის კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული და კონსერვატორიის პროფესორი იყო. 21 წლის განმავლობაში, თავმჯდომარეობდა კულტურის საზოგადოებას, რაც პრინციპში კულტურის მინისტრის დონის თანამდებობა იყო მაშინ. ბოლოს, როცა დაავადდა, მამის, ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმის დირექტორად მუშაობდა. მისი საფლეიტო ნაწარმოები დღესაც აქტიურად სრულდება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და ძირითადად, – ამერიკაში.



ზაქარია ფალიაშვილი

**– თავად, ზაქარია ფალიაშვილის ნიჭიერთა ათწლედი დაამთავრეთ. როგორც ამბობენ, საკმაოდ კარგი მონაცემები გქონდათ მუსიკალური თვალსაზრისით. თუმცა, მაინც უარი თქვით მამისა და ბაბუის კვალს გაჰყოლოდით და სულ სხვა პროფესია აირჩიეთ. რატომ?**

– დიახ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედი მაქვს დამთავრებული, თუმცა მაინც უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ჩავაბარე. ისეთი არეული პერიოდი დაემთხვა ჩემს აბიტურიენტობას, თან მამაც ავად გახლდათ და მოვლა უნდოდა. არც ბეჯითი სწავლით გამოვირჩეოდი მაინცდამაინც, ცოტა ზარმაციც ვიყავი. მთაწმინდაზე გავიზარდე და თინეიჯერობის პერიოდში, ცოტა ხულიგანი ბავშვიც ვიყავი ***(იცინის).*** ნიჭი მქონდა, ყველა აღიარებდა, რომ ფორტეპიანოზე კარგად ვუკრავდი. მაგრამ, ვიფიქრე, საერთაშორისო ურ-

# რა ეფექტი აქვს ოზონოთერაპიის გამოყენებას ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის დროს

*რაც დრო გადის, ოზონოთერაპია უფრო და უფრო პრაქტიკული და პოპულარული ხდება იმ პაციენტთა არჩევანში, რომლებსაც, საჭიროების შემთხვევაში, ექიმის ჩარევა ესაჭიროებათ. ძალიან ბევრს აინტერესებს, შესაძლებელია თუ არა ოზონოთერაპიის გამოყენება ონკოლოგიაში. ამ თემასთან დაკავშირებით კი თბილისში, მცხეთის ქუჩა №8/90-ში მივედით, სადაც ოზონოთერაპიის პირველი ქართული კლინიკა „აინო" მდებარეობს და ექიმ* **ადა მჭედლიძეს** *გავესაუბრეთ.*



**– ქალბატონო ადა, თუ გამოიყენება ოზონოთერაპია სიმსივნის დროს?**

– უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ოზონი წარმატებით გამოიყენება ონკოლოგიაში. ოზონის სამედიცინო – თერაპიული შესაძლებლობების კვლევა ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი იყო. ძირითადი დებულებები გაერთიანებულია გერმანელი მეცნიერის, ნობელის პრემიის ორგზის ლაურეატის, ოტო ვარბურგის კვლევებში, რომელმაც წარმატებით დაამტკიცა რომ, კიბოს უჯრედებს ახასიათებს ანაერობული (უჟანგბადო) ზრდა და რომ სიმსივნის განვითარების წინაპირობაა უჯრედულ დონეზე ჟანგბადის დეფიციტი.

**– უფრო ზუსტად რომ გვითხრათ, რას უწყობს ხელს ამ შემთხვევაში ოზონი?**

– ოზონი ხელს უწყობს სისხლის თეთრი უჯრედების წარმოქმნას. ეს უჯრედები იცავენ ორგანიზმს ვირუსებისგან, ბაქტერიებისგან, სოკოვანი დაავადებებისა და კიბოსგან. ოზონი აძლიერებს სიმსივნის ნეკროზული ფაქტორის სინთეზს. სიმსივნის ნეკროზული ფაქტორი (TNF – Tumor Necrosis Factor) პროდუცირდება ორგანიზმის მიერ, ახალი სიმსივნური კერის გაჩენისთანავე. ოზონი არის ანტინეოპლასტიკი. ეს ნიშნავს, რომ ის აფერხებს სიმსივნის ახალი კერის წარმოქმნას; ოზონი ზრდის სისხლის წითელი უჯრედების ელასტიურობასა და დრეკადობას; იწვევს დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების, ვირუსებისა და ბაქტერიების დეაქტივირებას; ჟანგავს (ანადგურებს) ტოქსინებს და ხელს უწყობს მათ გამოდევნას ორგანიზმიდან, რაც ონკოლოგიაში ოზონოთერაპიის გამოყენების მნიშვნელოვანი ასპექტია. ოზონი დადებითად მოქმედებს ჰემოსტაზზე, მცირდება თრომბოციტების აგრეგაციის უნარი; ასევე, აძლიერებს ერითროციტების კედლის დრეკადობას, რითაც ააქტიურებს მათ მიერ ქსოვილებამდე ჟანგბადის მიტანას; შესაბამისად, ძლიერდება ქსოვილების ოქსიგენაცია და აღდგება მიკროცირკულაცია დაზიანებულ ორგანოებში; აღდგება თავისუფალ რადიკალებსა და ენდოგენურ ანტიოქსიდანტებს შორის არსებული ბალანსი.

**ოზონოთერაპია იდეალური დამხმარე ანუ კომპლემენტარული მეთოდია სიმსივნეების კომპლექსურ მკურნალობაში ქიმიოთერაპიის კურსის წინ, მის შემდგომ ან კურსებს შორის პერიოდში რეაბილიტაციისთვის**

**– ქიმიოთერაპიის დროს თუ არის მიღებული ოზონოთერაპია?**

– ამასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი ადამიანი გვიკავშირდება კლინიკაში, ნომრებზე: 225 31-39; 5 71 25-55-33. ოზონოთერაპია იდეალური დამხმარე, ანუ, კომპლემენტარული მეთოდია სიმსივნეების კომპლექსურ მკურნალობაში, ქიმიოთერაპიის კურსის წინ, მის შემდგომ ან კურსებს შორის პერიოდში რეაბილიტაციისთვის. ოზონოთერაპია ანეიტრალებს ქიმიოთერაპიის გვერდით მოვლენებს, ეხმარება პაციენტს ენერგიის აღდგენაში, აუმჯობესებს განწყობას, შრომისუნარიანობას და, რაც მთავარია, ოზონს ორგანიზმიდან გამოაქვს სიმსივნური უჯრედების მეტაბოლიზმის პროდუქტები, რაც თავიდან აგვაცილებს აუტოინტოქსიკაციას ასეთი ტიპის პაციენტებში.

**მარიკა ხიდურელი**

---

თიერთობები უფრო გამომადგება-მეთქი და ამ სპეციალობაზე გავაკეთე არჩევანი. ამ დროს, არც ნიჭზე ვფიქრობდი, არც პასუხისმგებლობაზე და არც გენეტიკურ ფაქტორზე. ანუ, ვალდებულებაზე წინაპართა წინაშე უარი ვთქვი და უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. იქაც სამი წელი ვისწავლე. მერე ოჯახური პრობლემების გამო სწავლას თავი დავანებე. სხვათა შორის, 14 წლიდან ვმუშაობ და ყოველთვის ვამჩნევდი, რომ ორგანიზატორული ნიჭიც მქონდა. ეს დამეხმარა, რომ მენეჯმენტში მეცადა ბედი და გარკვეული პერიოდი, მთელ რიგ ორგანიზაციებში საორგანიზაციო საკითხებს და ფინანსურ სფეროს განვაგებდი. დიპლომიანი ფინანსისტი არ ვარ, მაგრამ გამოცდილება, ყველაზე დიდი დიპლომი აღმოჩნდა ჩემთვის *(იცინის).*

**– ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ვლადიმირ ვისოცკის შემოქმედებას, ისე კარგად ვერავინ გადმოსცემს სცენიდან, როგორც თქვენ. მიჩნეულია, რომ ის თავისი ხმით, თითქოს საზოგადოებას ჰიპნოზს უკეთებდა და შოკში აგდებდა. თქვენ მისი სიმღერების ყველაზე კარგი შემსრულებელი ხართ. თუ გახსოვთ, პირველად სად მოუსმინეთ მას და რა რეაქცია გქონდათ?**

– დაახლოვებით, 12-13 წლის ვიქნებოდი, როცა ვისოცკის შესრულება მოვისმინე. შოკში ჩავვარდი. მივხვდი, ამ ადამიანისთვის ცხოვრებისეული ჩარჩოები არ არსებობდა. აბსოლუტურად განსხვავებული იყო, არავის ჰგავდა და შინაგან პროტესტს სიმღერით გადმოსცემდა. მივხვდი, ეს ადამიანი ძალიან ახლოს იყო ჩემთან. ისეთი ენერგია მოდიოდა მისგან, მივხვდი, ის თავიდან ბოლომდე სიმართლეს ამბობდა და მასში სიყალბე გამორიცხული იყო. თემატიკურფილოსოფიურად ჩემი იყო ვისოცკის შემოქმედება და უფრო ჩავუღრმავდი. მივხვდი, მის შემოქმედებაში რაღაც მაგიური იყო. 14-15 წლისამ გიტარაც ავიღე ხელში და თვითონვე ვისწავლე დაკვრა. საათობით ვიჯექი და ვაწყობდი აკორდებს. ხმამაც შემიწყო ხელი და დავიწყე ვისოცკის სიმღერების შესრულება გიტარის თანხლებით. წლები რომ გავიდა, მერე მივხვდი, რომ არ შეიძლება, იმღერო ვისოცკის სიმღერები, თუ მას ბოლომდე არ ჩაწვდები, მაგრამ შენეულსაც გაურევ. არის რაღაც ჩარჩო, რისი დარღვევაც მის შემოქმედებაში დაუშვებელია. თუმცა, არც ინდივიდუალიზმი უნდა დაკარგო კაცმა. საინტერესო იცით, რა არის? თავის დროზე, თურმე ბაბუა, დედაჩემის მამა კარგად იცნობდა ვისოცკის მამას. ბაბუა მწერალი და თარჯიმანი იყო და ბერიას დროს „კაგებეს" პარტკომი გახლდათ ხელოვნების დარგში. ის მიყვებოდა: ჩემი და ვისოცკის კორპუსები – მწერლების კორპუსებს რომ ეძახიან, ერთმანეთს უყურებდაო. ვლადი და მარინა რომ დაქორწინდნენ, სწორედ, ბაბუაჩემს გაუკეთებია საქორწინო სამოგზაურო საჩუქარი მათთვის გემ „შოთა რუსთაველზე". ბაბუა 1995 წელს გარდაიცვალა. სხვათა შორის, მისგან გავიგე ის დეტალები, რომელიც ვიცი და მეამაყება, რომ ასეთი პიროვნების შთამომავალიც ვარ.



ფალიაშვილების ოჯახი

**– ვლად ვისოცკის და მარინა ვლადის ქორწილი თბილისშიც გადაუხადეს. ამ ქორწილის დეტალების შესახებ თუ იცით რამე?**

– როგორ არა. ბაბუა ყვებოდა: ვლადი და მარინა ჩამოვიდნენ თბილისში და ზურა წერეთელმა მათ ქორწილი, ფარაჯანოვის ბინაში გადაუხადაო. ძალიან უყვარდა ქართველები, ზოგადად, საქართველო და აქ ჩამოსვლა ვისოცკისო. მე ვთვლი, ის იყო ეპოქიალური პიროვნება, რომელმაც ბევრი რამ დაგვიტოვა, მისი შემოქმედების სახით. ბევრი რამ გვითხრა სიმღერებით. კერძოდ, ის, რომ უფალი სულ ჩვენთანაა – მისი სიყვარული და შიში ადამიანებში დევს; რომ არ უნდა გაჩერდე და მიზნისთვის იბრძოლო. დამიჯერეთ, მისი ენერგია, რომელიც მისსავე შემოქმედებიდან მოდის, ქართველებს დღეს, ნამდვილად გვჭირდება. ამით სიამოვნებასაც იღებ და ცხოვრების გზასაც გააზრებულად ხედავ.

**– მის შვილს, ნიკიტა ვისოცკის თუ იცნობთ და თუ აქვს ინფორმაცია, რომ საქართველოში მამამისის შემოქმედებას თქვენი სახით, შეუდარებელი მიმდევარი ჰყავს.**

– დიახ, მის ვაჟს ვიცნობ. ჩემს შესახებაც იცის და ურთიერთობაც გვაქვს. მოსკოვში გავიცანი წლების წინ. ნიკიტა ვისოცკი პროფესიით რეჟისორია. ძალიან თბილი და კარგი ადამიანია, მაგრამ მამისგან ძალიან განსხვავდება.

**– როგორც ვიცი, ამერიკიდან გქონდათ შემოთავაზება და თუ არ ვცდები, საკმაოდ კარგი კონტრაქტის პირობებითაც. დავიჯერო, უარი მხოლოდ იმის გამო თქვით, რომ სამშობლოს პატრიოტი ხართ?**

– დამიჯერეთ, მართლა არ მინდა სხვა ქვეყანაში მუდმივად ცხოვრება. თუმცა, თუ მექნება კონცერტები, დიდი სიამოვნებით ჩავატარებ. ლევან შენგელიამ, ჩემმა მეგობარმა გააცნო ჩემი შემოქმედება ამერიკაში პროდიუსერებს და დაინტერესდნენ. შინაგანად, მართლა არ მინდა, უცხო მხარეში დიდი ხნით ყოფნა. თუმცა, ვადასტურებ, კონკრეტულ შეთანხმებაზე მიდის საუბარი. კი ბატონი, მე ზაქარია ფალიაშვილის შვილიშვილი ვარ, ოთარ გორდელის შვილი, მაგრამ მე ვახტანგ გორდელი-ფალიაშვილი ვარ და ჩემი ცხოვრება, მიზნები მაქვს. ვცდილობ, სიკეთე ვაკეთო. რასაკვირველია, მაქვს ჩემი მინუს-პლუსებიც, მიყვარს ჩემი ოჯახი, მეგობრები, გარემო, სადაც ვცხოვრობ და ფასეულობები, რის გარემოცვაშიც გავიზარდე.

**ნონა დათეშიძე**



**ყველას აქვს ცხოვრებაში დაღმავალი პერიოდები და ამას კარმული ჩავარდნის ეტაპებს უწოდებენ. მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს ეტაპები, როცა ადამიანი მოჭარბებულ ენერგიასა და იღბლიანობას მეტად შეიგრძნობს. სწორედ ამიტომ, უნდა დავაკვირდეთ, ცხოვრების რომელ ეტაპს გავდივართ, როდის უნდა ვიყოთ მეტად ფრთხილი და წინდახედული და რა უნდა გავითვალისწინოთ, რომ იღბალი მოვიზიდოთ. ამ თემებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ეზოთერიკოს, ქალბატონ ნანის, რომელმაც მეტად საინტერესო და გასათვალისწინებელი ინფორმაცია მოგვაწოდა.**

# როდის დგება ადამიანისთვის შედარებით იღბლიანი და უიღბლო პერიოდები და რა უნდა მოვიმოქმედოთ ამ დროს, რომ შანსი ხელიდან არ გავუშვათ

**– როდის დგება ადამიანისთვის შედარებით იღბლიანი და უიღბლო პერიოდები და რა უნდა მოვიმოქმედოთ ამ დროს, რომ შანსი ხელიდან არ გავუშვათ, ან, პირიქით, არ გადავდგათ სარისკო ნაბიჯები, რომ წარუმატებლობის მსხვერპლი არ გავხდეთ?**

– ყველას ცხოვრებაში დგება ჩავარდნისა და აღმავლობის პერიოდები, რომლებსაც ეზოთერიკაში კარმული ჩავარდნისა და აღმავლობის ეტაპები ჰქვია. სწორედ ამ დროს უნდა გაიაზროთ ყოველი ქცევა და სიტყვა, რომ პროგრამაში უარყოფითი კოდი არ ჩადოთ – ცუდისკენ არ დააპროგრამოთ საკუთარი ბედი და იღბალი. კარმული ჩავარდნის პერიოდში ადამიანს უჩნდება სურვილი გამუდმებით იწუწუნოს ბედზე, საკუთარი დაბადების დღე წყევლოს, ინატროს სიკვდილი და ასე შემდეგ. ეს გაუაზრებლად ხდება და ვერც კი ვხვდებით, რომ ასეთი საქციელით თავს ვავნებთ და ქვეცნობიერ დონეზე ვთარსავთ საკუთარ ბედ-იღბალს. მართალია, როცა წარუმატებელი დღეები გვიდგას, ძნელია, ვაკონტროლოთ სიტყვა, აზრი თუ ქცევა, მაგრამ, თუ ვიცით, რომ ამ გაუაზრებელ ქმედებებს არასასიამოვნო შედეგები მოჰყვება, მაშინ თავს შევიკავებთ. ზოგადად, ხომ დაკვირვებიხართ, დაუფიქრებელი ნათქვამი უფრო ხშირად აგვიხდება ხოლმე, ვიდრე გააზრებული. ამიტომ, სურვილებიც უნდა ვაკონტროლოთ, თუნდაც ქვეცნობიერ დონეზე.

**– ეზოთერიკულ წიგნებში წერია, რომ ამ კარმული ჩავარდნის პერიოდში სპეციალური თილისმები გვიშველის. მაგალითად, ამ დროს კარგია ეგრეთ წოდებული „ბულავკის" ტარება ტანსაცმელზე.**

– უძველესი დროიდან, საუკეთესო თილისმები მართლაც ეგრეთ წოდებული „ბულავკებია". მთავარია, ის რწმენით ატაროთ და შედეგიც არ დააყოვნებს. ასე რომ, ჩვეულებრივი „ბულავკა" კარმული ჩავარდნის პერიოდში კარგი და საიმედო დამცავია ავი თვალისგან. ამ დროს ადამიანის ენერგეტიკულობა დასუსტებულია და, შესაბამისად, ადვილად ხვდება არასასურველი შედეგის მსხვერპლი. ის ასევე, კარგი თილისმაა წარმატებისა და ბარაქისთვის. სხვათა შორის, იყიდება პატარა „ბულავკები", რომლებზეც პატარა გიშრის ქვაა წამოცმული ან ლურჯი ქვა, რომელსაც ოვალური ან გულის ფორმა აქვს. მისი ტარებაც ძალიან კარგია, რადგან ეს ქვები ავი თვალისგან დამცავია და, თან, აგაცილებთ ზედმეტ პრობლემებს ცხოვრების რთულ პერიოდში. თუ გასათხოვარი ხართ, ის ჩანთის სარჩულზე, ან, მაგალითად, კაბის კალთაზე მიამაგრეთ, ისე, რომ არ ჩანდეს, ხოლო, თუ გათხოვილი ხართ, ტანსაცმელზე უნდა მიიმაგროთ.

**– ყველანაირ ქინძისთავს ანალოგიური შედეგები აქვს?**

– დიახ. მაგალითად, პლატინის ქინძისთავის ტარება კარგია თანამდებობის პირის ან ბიზნესმენისთვის – ის მათ ეხმარება, მიიღონ გონივრული გადაწყვეტილებები, იყვნენ ფრთხილი და წინდახედული საქმიან პარტნიორებთან და სწორი არჩევანი გააკეთონ საქმეში. სხვათა შორის, პლატინის ქინძისთავის ტარება მეექვსე გრძნობას ავითარებს და ექსტრემალური სიტუაციებისგან იცავს მის პატრონს. ქალებისთვის ძალიან კარგია ისეთი ქინძისთავის ტარება, რომელსაც მარგალიტის თვალი აქვს მიმაგრებული. ეს საპირ-

**კარმული ჩავარდნის პერიოდში სპეციალური თილისმები შველის, მაგალითად, ამ დროს კარგია ეგრეთ წოდებული „ბულავკის" ტარება ტანსაცმელზე**

ისპირო სქესის წარმომადგენლებს მოიზიდავს თქვენკენ და პირად ცხოვრებაში უფრო მეტად წარმატებულს გაგხდით. დღეს მოდაშია ტანსაცმელზე ათასგვარი ბროშის, ქინძისთავისა და თვლებით მოჭედილი გულსაბნევის ტარება და, სასურველია, იცოდეთ, რომელს რა ფუნქცია აქვს. მაგალითად, ოქროს ქინძისთავი ან გულსაბნევი ჭორებისა და მითქმა-მოთქმისგან იცავს; ვერცხლისფერი ქინძისთავი, თუ მას მისაღებ ოთახში, ფარდაზე მიამაგრებთ დაიცავს თქვენს საცხოვრებელს ხანძრისა და გაქურდვისგან და, ასევე, კაპიტალის მოზიდვას უწყობს ხელს. თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები გაქვთ, გირჩევთ, მელქიორის გულსაბნევი ატაროთ.

**– რაც შეეხება თილისმურ ქვებს?**

– რაც შეეხება თილისმურ ქვებს, გეტყვით, რომ ბრილიანტისქვიანი გულსაბნევი ბიზნესმენი ქალბატონისთვის, უბრალოდ, აუცილებელია, განსაკუთრებით ნებისმიერი საქმიანი მოლაპარაკების დროს. ზურმუხტისთვლიანი გულსაბნევის ტარება ძალიან კარგია ჯანმრთელობისთვის, რადგან, დაავადებებისგან დაგიცავთ. ოპალისქვიანი გულსაბნევი მიზნის მიღწევაში გვეხმარება. მარგალიტისთვლიანი სამკაული კი კარგია იმათთვის, ვისაც ქორწინებასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. საერთოდ, გირჩევთ, პეპლის ფორმის, თქვენთვის მისაღები თვლებით მოოჭვილი გულსაბნევები ატაროთ და საქმეში შედეგს ადვილად მიაღწევთ.

**– უფროსი თაობის წარმომადგენლებისგან გამიგია, რომ ჩაცმული ტანსაცმლის გაკერვა ან მასზე ღილის მიკერება არ შეიძლება – ეს ბედის „ჩაკეტვას" და ადამიანის გათვალვას იწვევსო. თუმცა, ამის დაჯერება, ცოტა არ იყოს, სასაცილოა, არ მეთანხმებით?**

– მე არ გეთანხმებით და არც მეცინება. დიახ, თუ გინდათ, ბედი არ „შეიკრათ" და არ გაითვალოთ, ნუ მიაკერებთ ჩაცმულ ტანსაცმელზე ღილს და ნურც ღამით ნანახ სიზმარს მოუყვებით უცხო ადამიანს. აქვე გასწავლით ერთ უძველეს წესსაც, რომელიც სახლში არასასიამოვნო სტუმრის შემოსვლის დროს უნდა გაითვალისწინოთ. თუ არასასურველ სტუმარს ელოდებით, აუცილებლად მოწმინდეთ სახლის იატაკი სველი ჩვრით, შემოსასვლელსა და მისაღებ ოთახში კი დადეთ წყალში კარგად დასველებული ღრუბელი, რომელსაც მარილი ექნება მოყრილი – ის შეიწოვს არასასიამოვნო სტუმრის ენერგიას სტუმრის წასვლის შემდეგ კი, წყლით, მარილითა და იმ სტუმრის ენერგიით გაჯერებული ღრუბელი გამდინარე წყალს შეუშვირეთ რამდენიმე წუთით, ხოლო ოთახი და შემოსასვლელი ისევ სველი ჩვრით მოწმინდეთ. თუ მისაღებში სარკე გაქვთ, უნდა გაწმინდოთ ძმრის, მარილისა და წყლის ნაზავში დასველებული ქსოვილით. კარგია, თუ იმ სკამს ან სავარძელს, რომელზეც არასასურველი სტუმარი იჯდა, ამ ნაზავით გაწმენდთ – ასე უფრო დაზღვეული იქნებით მისი ნეგატიური ენერგიის ზემოქმედებისგან. საერთოდ, ხომ გაგიგონიათ, ვინც გაფრთხილებულია, ის უფრო დაცულიაო. იმიტომ გაფრთხილებთ, რომ, მინდა, ცუდი აგარიდოთ. თუ ამას გაიაზრებთ და მიხვდებით, რომ ეს თქვენთვის საჭიროა, მაშინ ბევრ პრობლემასა და უსიამოვნებას აიცილებთ თავიდან.

**ნონა დათეშიძე**

## ცარიელი ფურცლიდან

წარსულის გაანალიზება ყოველთვის საჭიროა, მით უფრო, როცა საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი გეპარებათ. ასეთი პერიოდები ყველას აქვს, ამიტომ, საშიში ნამდვილად არ არის და სიტუაციას სწრაფადვე შეცვლით უკეთესობისკენ, თუკი საკუთარი თავის შეყვარებას მაშინაც შეძლებთ, როცა ძალიან, ძალიან არ გაგიმართლებთ. რამდენიმე ნაცადი მეთოდი არსებობს, მაგალითად: გაიგეთ, რას ფიქრობენ გარშემო მყოფები თქვენზე, აიღეთ სუფთა ფურცელი და ეს ყველაფერი ჩამოწერეთ და მერე წაიკითხეთ. ამას იმიტომ კი არ აკეთებთ, რომ დაიბოღმოთ ან სამაგიერო გადაუხადოთ, უბრალოდ, ამით საკუთარ თავს უკეთესად დაინახავთ და გააცნობიერებთ იმ შეცდომებსაც, რომლებსაც ყველაზე ხშირად უშვებთ. მერე კი დაფიქრდით, ხასიათის რომელ თვისებას შეუძლია თქვენთვის წარმატების მოტანა: ოპტიმიზმს? პრინციპულობას? სერიოზულობას? ან, იქნებ, ნებისყოფას?!

რა გიშლით ხელს იმაში, რომ კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწიოთ წინ? შესაძლოა, სიზარმაცე ან რისკის შიში... თუ ხშირად გამოიყენებთ საკუთარ თავში ახალ-ახალ „პლუსებსა“ და „მინუსებს“ აღმოაჩენთ... და, რაც მთავარია, არასოდეს შეადაროთ საკუთარი თავი სხვას – ეს ისეთი შეცდომაა, რომლის გამოსწორებაც ძალიან გაგიჭირდებათ...

## რაზე ფიქრობ?!

ქალბატონები აღმერთებენ ამ შეკითხვას. არ არსებობს ქალი, რომელიც შესაშური სიხშირით არ იმეორებდეს მას. ამით სუსტი სქესი ცდილობს, შეახსენოს ზარმაც, გონებაგაფანტულ, პრაგმატულ და უყურადღებო მამაკაცს, რომ ის არსებობს; რომ ხანდახან ძალიან სჭირდება, მოისმინოს, როგორ უყვართ; ან, თუნდაც, ერთი თბილი სიტყვა გაიმეტონ მისთვის. სამწუხაროდ, პასუხი უფრო ხშირად ასეთია: „არაფერზე. რა გინდა?!“ ბუნებრივია, ქალბატონების უმრავლესობას ეს ძალიან სწყინს და გულს სტკენს. თუმცა, გამოსავალი არსებობს – აჯობებს, საერთოდ არაფერი ჰკითხოთ, მით უმეტეს, თუ კარგად იცნობთ მის ნატურას. ზოგადად, მამაკაცებს ძალიან ცუდად ესმით მინიშნებები, უფრო ხშირად კი საერთოდ ვერ ხვდებიან მათ შინაარსს. ასევე, რეალობაა ისიც, რომ, ძლიერ სქესს უძნელდება საკუთარ გრძნობებზე საუბარი, მით უფრო მაშინ, როცა ვილაც სთხოვს, ილაპარაკოს ამაზე. ერთი სიტყვით, გვინდა თუ არ გვინდა, მოგვიწევს, გავითვალისწინოთ ძლიერი სქესის სუსტი მხარეები, რომლებიც მათ საკმარისზე მეტი აქვთ. თუკი, რა თქმა უნდა, გვაქვს სურვილი, მამაკაცებთან ჰარმონიაში ვიცხოვროთ, მით უფრო, იმ ერთადერთ კაცთან, რომელსაც სამოვნებით ჰკითხავდით: „რაზე ფიქრობ?“

## დაიჭირე წამი...

არსებობს წამი, როცა ყველაფერს სულ სხვანაირად ხედავ. ამბობენ, რომ სწორედ ასეთი წამი წარმოშობს ერთი ნახვით სიყვარულს. არავინ იცის, მართლაც ხდება თუ არა მსგავსი რამ, თუმცა, ამაზე დავას აზრი არა აქვს, რადგან, შეყვარებულები რომ გამოკითხოთ, მათი 40 პროცენტი მაინც გიპასუხებთ, რომ თავისი პარტნიორი პირველივე შეხვედრაზე შეუყვარდათ... მაგრამ, იქნებ, ეს მხოლოდ მირაჟია, რადგან, გადის დრო და, ჩვენ ახალი შეკითხვა გვიჩნდება: რატომ ხდება ისე, რომ ამქვეყნად ყველაზე ძლიერი გრძნობაც კი ხუნდება და ცვდება? სად ვეძებოთ წამი, რომელიც ყველაფერს ისევ სხვანაირად დაგვანახვებს? როგორ დავიჭიროთ ის წამი, რომელმაც ერთმანეთი შეგვაყვარა? თუ ის წამი რეალურად არსებობდა, მაშინ, რეალობა უნდა იყოს ისიც, რომ შევძლოთ მისი ჩვენთან „დატოვება“. მთავარია, არ შეგვეპაროს ეჭვი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ. წლები ვერაფერს აკლებს ჭეშმარიტ და ძლიერ გრძნობას – ამის უნდა გჯეროდეთ. როცა საყვარელ ადამიანზე ქორწინდებით, იმ ბედნიერ წამებში ხომ სწორედ ამაზე ფიქრობთ და გწამთ კიდეც... ჰოდა, ის წამი სულ თქვენთან უნდა იყოს. ნურასოდეს დაისახავთ მიზნად იდეალური მამაკაცის პოვნას, რომელიც თქვენს წარმოსახვაში შექმენით და ახლა ჯიუტად ცდილობთ, პარტნიორი არ წარმოსახვას მოარგოთ. ეს არ გამოვა და ნურც ინანებთ. ცხოვრება ზღაპარი არ არის. მართალია, შეყვარებულს ის წუთები ზღაპრად ეჩვენება, მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თავი მოიტყუოთ... ყველაფერი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული და, ცოტათი გამართლებაზეც... თუმცა, თუ იმ წამის დაჭერას შეძლებთ, როცა მართლა ძალიან ბედნიერი იყავით, ჩათვალეთ, რომ გაგიმართლათ.

## უნიკალური, თუმცა, ჩვეულებრივი...

ყველა კაცი ერთნაირია – ამბობენ ქალები და, შეიძლება, ეს მართლაც ასეა. თუმცა, მამაკაცებშიც გამოირჩევიან ზოგიერთები მკვეთრად გამოხატული ნიშან-თვისებებით. მაგალითად, არიან წესრიგის მოყვარული მამაკაცები. როგორია ეს ტიპაჟი?! – სტაბილურია და ტრადიციების ერთგული; იმ ტრადიციების ერთგულიც კი, რომლებიც მის ოჯახში იყო, თანაც, მისთვის სწორედ ეს ტრადიციებია მართებული და საუკეთესო. ანუ, იცოდეთ, რომ ქმრის მაგივრად გეყოლებათ მკაცრი „მამიკო“, რომელიც თქვენს ყოველ ნაბიჯს გააკონტროლებს და მითითებებსაც არ დაგამადლით.

გვხვდებიან მეოჯახე კაცებიც. რა უნდა ინატრო უკეთესი? შრომისმოყვარეა, სამსახურში აქებენ, ხელფასი სახლში მოაქვს. თავიდან ეცდება, იყოს ლიდერი, მაგრამ, მერე ყველაფერს, მთელ პასუხისმგებლობასთან ერთად, თქვენ გადმოგაბარებთ. საერთოდ, ერთგული ქმარია, მაგრამ, ცოლიც სუპერდიასახლისი უნდა, ისეთი, რომელიც მოდას ფეხდაფეხ არ მისდევს და სეზონზე ერთი წყვილი ფეხსაცმელი ჰყოფნის. აბა, რაში სჭირდება ქალს ძვირად ღირებული კოსმეტიკა ან კოსმეტიკა საერთოდ? არ ჯობია, ამ ფულით ქმარს კიდევ ერთი წყვილი თბილი წინდა უყიდოს?!

იქნებ, თქვენი არჩევანი „სუპერმენზე“ შეაჩეროთ? ის საინტერესოა და თითქმის ყველაფერზე აქვს საკუთარი აზრი. საგმირო საქმეების ჩადენა არ ეზარება, მაგრამ, ზოგჯერ ისეთ მოულოდნელ სიურპრიზს უნდა ელოდოთ მისგან, რომელიც აშკარად არ მოგეწონებათ. ერთგულებასაც ვერ „ქაჩავს“.

ამ ტიპის მამაკაცი უპირატესობას ანიჭებს ემოციურ, ადვილად „შესაბმელ“ ქალებს. გჭირდებათ ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად ასეთი?!

## „ცუდი ბიჭი“

ქალებს უფრო ხშირად უყვარდებათ „ცუდი ბიჭები“ და არაკეთილშობილი რაინდები. რატომ? იმიტომ, რომ თავგადასავლები გვიტაცებს, მაგრამ, სიფრთხილე არ გვაწყენს, როცა ცხოვრების თანამგზავრს ვირჩევთ. თავგადასავლის დევნა-ძებნაში, შეიძლება, სერიოზულ პრობლემას გადავაწყდეთ.

„ცუდი“ ბიჭები საკმაოდ კარგად გამოიყურებიან – ვიზუალურად, რა თქმა უნდა. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თითქოს არ ზრუნავენ ჩაცმასა და სტილზე, მაგრამ, სინამდვილეში, პირიქით არის.

დაიმახსოვრეთ: „ცუდი ბიჭი“ მაქსიმალურად ცდილობს, ყველაფერი საკუთარ სიამოვნებას მოარგოს, ისე თითსაც არ გაანძრევს და არც კი დაგელაპარაკებათ. თუ ასეთი მამაკაცის გვერდით ოდნავ უპრინციპო ქალიშვილი აღმოჩნდება, ის მას უარს ვერაფერზე ეტყვის. თავს ნუ მოიტყუებთ, ის არ არის მაგარი ბიჭი; არ გამოგადგებათ არც მყარ დასაყრდენად და არც საიმედო ნავსაყუდელად; მით უმეტეს, ვერასოდეს გადაიქცევა იმ უფლისწულად, რომელიც გაგაბედნიერებთ. ის, ვინც „არაფერი“ არ იყო, „ყველაფერი“ ვერასოდეს გახდება. მოთოკეთ ემოციები და სიმართლეს თვალებში შეხედეთ. „ცუდი ბიჭი“ დედიკომაც ვერ გამოასწორა და თქვენ რას მოუხერხებთ? თუ მაინც დაიწყეთ ურთიერთობა „ცუდ ბიჭთან“, არ დაგავიწყდეთ, თავიდანვე აგრძნობინეთ, რომ ის მხოლოდ თქვენი კაბის შლეიფისთვის დამჭერად თუ გამოგადგებათ; რომ თქვენ პიროვნება ხართ, რომელსაც თავისი გზა აქვს; რომ თქვენი გაცნობით მას, უბრალოდ, გაუმართლა, თანაც ძალიან და, თუ თავისი ცხოვრების სტილს არ გადახედავს, აუცილებლად დაემშვიდობებით... სხვათა შორის, სიცუდე გადამდებია და ეს ნუ დაგავიწყდებათ...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# კომბოსტოს დიეტა

კომბოსტოს „ბოსტნეულის დედოფალს" უწოდებენ. ის უაღრესად სასარგებლო პროდუქტია – შეიცავს ბუნებაში არსებულ პრაქტიკულად ყველა ვიტამინსა და მიკროელემენტს და გაზაფხულის სეზონისთვის დამახასიათებელი ავიტამინოზის თავიდან ასაცილებლად საუკეთესოა. გარდა ამისა, კომბოსტო უნიკალური ბუნებრივი წამალია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, კიბოს, ჩიყვის, დიაბეტის სამკურნალოდ, ორგანიზმის წიდებისა და ტოქსინებისგან გასაწმენდად და სიბერის „შესაჩერებლად." არეგულირებს მჟავატუტოვან ბალანსს, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს.



კომბოსტო ის პროდუქტია, რომლიდანაც კერძების მთელი „სპექტრის" მომზადება შეიძლება, დაწყებული წვნიანით, დამთავრებული დესერტით. მისი ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ისიცაა, რომ ძალიან დიდხანს ინარჩუნებს სასარგებლო თვისებებს.

კომბოსტოს უამრავი სახეობა არსებობს: ჩვეულებრივი თეთრი, მუქი შინდისფერი, ყვავილოვანი, ბროკოლი, ბრიუსელური, სავოიური, ლიტვური მწვანე, პეკინური (მოგრძო თავები), რომანესკა, პაკ-ჩოი და ზღვის კომბოსტო. მათ შორის განსხვავება არის, მაგრამ, საერთო თვისებები მეტია. რაც მთავარია, თითოეული მათგანი რამდენიმე დაავადების სამკურნალოდ ან პროფილაქტიკისთვის გამოიყენება და აქტიურად წვავს ცხიმებს.

მართალია, კომბოსტოსგან ბევრნაირი კერძი მზადდება და ყველა სასარგებლოა, მაგრამ, უმჯობესია, თუ მას მიირთმევთ, უმი, დამწნილებული ან ოდნავ მოთუთქული სახით.

კომბოსტოს დიეტას დაუთმეთ კვირაში ორისამი დღე (შუალედებით ან მიყოლებით), ოღონდ, წინასწარ მოიმარაგეთ მისი 3-4 სახეობა და ოთხჯერადი კვების რეჟიმის დაცვით, შეეცადეთ, თითოეულ ჯერზე თითო სახეობის კომბოსტო მიირთვათ.

მოამზადეთ უმი კომბოსტოს სალათა: წვრილად დაჭერით რამდენიმე ძირი მწვანე ხახვი, ცოტა კამა და ქინძი; 1 პატარა კონა მწვანე სალათის ფოთლები დაფლითეთ, თქვენთვის სასურველი ზომის კუბიკებად დაჭერით ის კომბოსტო, რომელსაც სალათისთვის იყენებთ (თუ ჩვეულებრივი კომბოსტო გაქვთ, ცალკე დაჭერით ძალიან წვრილად და ხელით ჩასრისეთ, რომ დარბილდეს). ეს ყველაფერი ერთ ჯამში მოათავსეთ, შეაზავეთ თითო სადილის კოვზი ზეითუნის ზეთით, ძმრით, ძალიან ცოტა მარილითა და ნახევარი კოვზი შაქრით, კარგად ამოურიეთ და მიირთვით. ერთი ულუფა არ უნდა აღემატებოდეს 300 გრამს. 15-20 წუთის შემდეგ დააყოლეთ 1 ჩაის ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი, უცხიმო მაწონი ან უშაქრო მწვანე ჩაი.

## კომბოსტოს წვნიანი

2-3 ძირი მწვანე ხახვი, 1 კბილი წვრილად დაჭრილი ნიორი და 1 პატარა სტაფილო (გახეხილი) მოშუშეთ 1 სადილის კოვზ ზეითუნის ზეთში. შემდეგ დაასხით წყალი და, რომ წამოდუღდება, ჩაყარეთ კვირტებად დანაწევრებული ყვავილოვანი (ან სხვა) კომბოსტო და ყველანაირი მწვანილი. ადუღეთ 2 წუთი და გამორთეთ. შეაზავეთ ძალიან ცოტა მარილით.

## კომბოსტოს ფხალი

დაკეპილი (ან წითელი) კომბოსტოს მწნილი 15-20 წუთი შეუდგით გამდინარე ცივ წყალს, რომ მარილი გააცალოთ. შემდეგ გაწურეთ, დაჭერით ძალიან წვრილად და შეაზავეთ ფხალივით.

## კომბოსტო ბაჟეში

მოამზადეთ ჩვეულებრივი ბაჟე (მაიონეზის გარეშე) და ჩააწყვეთ მასში კვირტებად დანაწევრებული ოდნავ შებრაწული კომბოსტო (ამ კერძისთვის უმჯობესია, გამოიყენოთ ბროკოლი, რომანესკა, ლიტვური ან ბრიუსელური კომბოსტო).

## შემწვარი კომბოსტო

ტაფაზე გააცხელეთ ზეთი. ჩაყარეთ კვირტებად დანაწევრებული კომბოსტო, მოაყარეთ ცოტა მარილი და პილპილი და მაღალ ცეცხლზე შებრაწეთ (თან სულ ურიეთ, რომ არ მიიწვას). რომ შეწითლდება, მოაყარეთ 3-4 სადილის კოვზი ორცხობილას საფანელი ან მჭადის ფქვილი და შუშეთ 5-7 წუთის განმავლობაში (მორევა საჭიროა კერძის სრულ მომზადებამდე).

თუ კერძის მომზადება გეზარებათ ან დრო არ გაქვთ საამისოდ, შეგიძლიათ, დილიდან სალამომდე ახრამუნოთ სხვადასხვა სახეობის უმი კომბოსტოს ფოთლები ან კვირტები – ეს კიდევ უფრო სასარგებლოა და უფრო ადვილადაც დაიკლებთ წონაში.

წყალი, ჩვეულებისამებრ, დღეში 2 ლიტრი.

# იდეალური „მაიკ-აპი" 20, 30 და 40 წლის ასაკში

## ზოგადი წესები

***მომზადება***: თვალის „ჩრდილი" რომ არ ჩამოიყაროს და „მკვიდრად" დაჯდეს, თავდაპირველად თხელ ფენად გადაისვით ქუთუთოებისთვის განკუთვნილი ბაზა, რომელსაც, როგორც წესი, კანის ფერი აქვს. ის შთანთქავს კანის ცხიმს, რის შედეგადაც კანი სწორი და გლუვი ხდება.



***ტექნიკა***: ღია ფერის „ჩრდილი" უნდა წაისვათ უშუალოდ წარბის ქვეშ (საფეთქლებისკენ) და თვალების შიდა კუთხეებთან, მუქი „ჩრდილი" კი – ქუთუთოს ნაკეცის გასწვრივ.

## 20-დან 30 წლამდე

ამ ასაკში შეგიძლიათ, თავისუფლად ჩაიტაროთ ექსპერიმენტები ფერებთან, სტილსა და ფორმასთან დაკავშირებით: მკვეთრი, პერლამუტრის ელფერის მქონე „ჩრდილები," გაფანტული, მბზინავი პიგმენტები და ფერადი ტუში დაგეხმარებათ თქვენი ინდივიდუალურობის გამოხატვაში, ოღონდ, ცხადია, „ჩრდილის" ტონალობა უნდა შეესაბამებოდეს თქვენი თვალების, კანისა და თმის ფერს.

## 30-დან 40 წლამდე

იყავით თამამი. ექსპერიმენტები ამ ასაკშიც მისაღებია. გემოვნებით შეახამეთ მქრქალი (დაბინდული) და პერლამუტრის ტექსტურები. ქუთუთოებზე „მიხატული" ფერადი ცისარტყელა უგემოვნობის მანიშნებელია, სამაგიეროდ, შეგიძლიათ, თქვენი ხასიათი ერთი მკვეთრი შტრიხით გამოკვეთოთ.

## 40 წლიდან ზემოთ

უმჯობესია, გამოიყენოთ ნატურალური ბეჟი, ნაცრისფერი და ღია ყავისფერი „ჩრდილები". ფანქრით ან ლაინერით გაკეთებული კლასიკური „ისრები" ვიზუალურად ასწევს ასაკის გამო ოდნავ ჩამოშვებულ თვალის კუთხეებს. უარი თქვით მბზინავ და პერლამუტრის „ჩრდილებზე" – ერთიც და მეორეც ხაზს უსვამს და, შესაბამისად, უფრო მკვეთრად გამოხატავს ნაოჭებს თვალების გარშემო.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: გამიგია, რომ სახის კანის გასაახალგაზრდავებლად ძალიან კარგია ალოეს წვენი. მაინტერესებს, თუ მზადდება ის სახლის პირობებში და როგორ უნდა გამოვიყენო?**

**პასუხი**: ალოეს ნატურალური წვენის დამზადება არ დაგჭირდებათ, თუ ეს მცენარე სახლში გაქვთ (4,5 წლის მაინც უნდა იყოს). მოატეხეთ ერთი ფოთოლი, გარეცხეთ და მოაშორეთ ეკლები. ფოთოლს წაატეხეთ დაახლოებით 2-3 სანტიმეტრი, გაჭერით შუაზე და შიდა მხრიდან კარგად გაიწმინდეთ მთელი სახე. 20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით და გადაისვით მკვებავი.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ლიმონის ეთერზეთის კომპრესის გაკეთება?**

**პასუხი**: ლიმონის ეთერზეთის კომპრესი კეთდება პრობლემურ ვენებზე და ვარიკოზის დროს: ეთერზეთში დასველებული დოლბანდი დაიფინეთ პრობლემურ ადგილებზე და შეიხვიეთ, რომ არ ჩამოვარდეს. გაიჩერეთ 1-2 საათი.

**კითხვა: არსებობს თუ არა რაიმე ხალხური საშუალება ჯიბლიბოს სამკურნალოდ?**

**პასუხი**: ჯიბლიბოს მკურნალობის უამრავი ხალხური საშუალება არსებობს. გთავაზობთ ერთ-ერთს: მოამზადეთ გვირილის, ალოეს ან კალენდულას ნაყენი და გაიკეთეთ თბილი კომპრესები.

**კითხვა: ძალიან ხშირად მინახავს ტელევიზორში და წამიკითხავს ჟურნალ-გაზეთებში გასახდომი საშუალებების რეკლამები. იმდენია, რომ დავიბენი და აღარ ვიცი, რომელზე შევაჩერო არჩევანი. თქვენი აზრით, რომელია ყველაზე ეფექტური და უვნებელი?**

**პასუხი**: ჩვენი ღრმა რწმენით, გასახდომად ყველაზე ეფექტური და უვნებელია კვების რეჟიმის დაცვა, სათანადო საკვების შერჩევა, ვარჯიში და წყლის პროცედურები, ანუ, არავითარი ქიმიური პრეპარატები.

**კითხვა: როგორ უნდა შევარჩიო დერმატოლოგიური საპონი?**

**პასუხი**: დერმატოლოგიური საპონი უნდა შეარჩიოთ მხოლოდ ერთი ნიშნით – თქვენი კანის ტიპის მიხედვით. შედეგად, მშრალი და მგრძნობიარე კანი დატენიანდება, ცხიმიანი და კომბინირებული კი – გაიწმინდება და გაჯანსაღდება. მაგრამ, სასურველია, დერმატოლოგიური საპონი არ გამოიყენონ 40 წელს გადაცილებულმა ქალბატონებმა.

**კითხვა: ვისთვის არ შეიძლება სკრაბის გაკეთება?**



**პასუხი**: სკრაბი ღრმად წმენდს კანს. მისი გაკეთება შეიძლება კვირაში ერთხელ ან ორჯერ, მიუხედავად კანის ტიპისა. მაგრამ, სკრაბი აკრძალულია მათთვის, ვისაც აქვს გაღიზიანებული კანი, ჩირქოვანი გამონაყარი ან ანთებითი პროცესი. გარდა ამისა, რაც უფრო ასაკოვანი და მშრალია კანი, მით უფრო ნაზი და რბილი სკრაბის გაკეთებაა მიზანშეწონილი.

მოამზადა
თამრიკო ზამთარაძემ

# რატომ დაავალა სტალინმა ბერიას ჰიტლერის უსაფრთხოების დაცვა



**შერისხული ბერია**
**(1944 წლის ივლისი)**

1944 წლის 20 ივლისს, შტაუფენბერგისა და ფაშისტური ვერმახტის მაღალჩინოსან სამხედროთა მიერ ჰიტლერზე განხორციელებული წარუმატებელი ტერორისტული აქტის შესახებ სტალინს სულ რაღაც 2 საათში შეატყობინეს. დიდი ბელადი ამ ცნობას მშვიდად შეხვდა. მას შემდეგ, რაც გაარკვია, რომ ფაშისტური რაიხის დიქტატორი გადარჩა, შვებით ამოისუნთქა და პაპიროსი („ჰერცეგოვინა ფლორტა“) გააბოლა. სუდოპლატოვს, რომელიც საბჭოთა საგარეო დაზვერვას ხელმძღვანელობდა და რომელმაც ეს ინფორმაცია პირადად მოახსენა სტალინს, დიდმა ბელადმა მშრალად მიუგო: „ჩათვალეთ, რომ თქვენმა უწყებამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებას თავი ვერ გაართვა და ჩააგდო, რის გამოც მკაცრ საყვედურს გიცხადებთ, პირად საქმეში შეტანით“. შემდეგ სტალინი ზურგით შებრუნდა, სუდოპლატოვი კაბინეტიდან დაითხოვა და უკვე მოლოტოვს, რომელიც სავარძელში, პატარა მაგიდასთან იჯდა, გადაულაპარაკა: „კიდევ კარგი, რომ ის მტარვალი ვერ მოკლეს, თორემ მთელი ჩვენი გეგმები წყალში ჩაგვეყრებოდა. რომ მოეკლათ, მთელი შეტევის შეჩერება მოგვიწევდა. ანგლო-ამერიკული კოალიცია 180 გრადუსით შეტრიალდებოდა და შეიცვლიდა პოზიციას“. მოლოტოვმა თავი დაუკრა და ულვაშებში ჩაიცინა, სტალინი კი განაგრძობდა: „ამ დოყლაპია მზვერავებს განსაკუთრებულად დავავალე, რომ ჰიტლერის უსაფრთხოებაზე ეზრუნათ და შესაბამის ინფორმაციებზე ემუშავათ. მათ კი მთქნარების მეტი არაფერი უკეთებიათ, ამხელა შეთქმულების შესახებ ვერაფერი შეიტყვეს. ასეთი რამ, უპირველესად, პირადად, ბერიას ბრალია, რადგან მან სათანადოდ ვერ შეძლო დავალების შესრულების უზრუნველყოფა. რომ არა შემთხვევითობა, ჩვენი გეგმების რადიკალურად შეცვლა მოგვიწევდა“. სტალინი გაჩუმდა, ჩიბუხი აიღო ხელში, დატენა და ჩუმად გააბოლა. მოლოტოვმა ამით ისარგებლა და თქვა: „სანამ აქ მოვიდოდი, ბრიტანელი და ამერიკელი ელჩები მეწვივნენ და აღშფოთებას ვერ მალავდნენ ჰიტლერის გადარჩენის გამო. აშკარად ეტყობათ, რომ მათივე მთავრობებიც ანალოგიურ პოზიციაზე დგანან და არაა გამორიცხული, ისინიც, გარკვეულწილად, მონაწილეობდნენ კიდეც ამ შეთქმულებაში“. სტალინმა, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია მოლოტოვს და დასძინა: „ჩერჩილი, ეს ბებერი, გაიძვერა მელა სულ იმის ცდაშია, მოგვატყუოს და რაიმე გვავნოს. მის წინაშე განსაკუთრებულად ფხიზლად უნდა ვიყოთ. რომ არა ჩვენი სიყოჩაღე, ის ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ შეეკვრებოდა ჰიტლერს და ჩვენ წინააღმდეგ იომებდა. ჩერჩილი, განსაკუთრებულად გამოხატული ანტიკომუნისტია და ჯერ კიდევ ოციან წლებში აპირებდა ჩვენს განადგურებას. ხომ გახსოვს, კუდით ქვა როგორ ვასროლინეთ ანტანტას ჯარებს. მაშინ ჩერჩილმა ძლივს გაგვასწრო. არ გამიკვირდება, რომ ჰიტლერზე თავდასხმის გეგმა მას წინასწარ სცოდნოდა და არც ბრიტანელთა პირდაპირი მონაწილეობაა გამორიცხული. ჩქარობენ, ჩქარობენ იმ ტირანის მოკვლას ჩვენი მოკავშირეები და მათ, ამის საშუალებას თუ მივცემთ, ჩათვალე, რომ წამგებიან პოზიციებზე უნდა დავრჩეთ. რაც მთავარია, გერმანია თავის სამხედრო პოტენციალს შეინარჩუნებს და სულ რაღაც 4-5 წელიწადში კვლავ შემოგვიტევს“. სტალინი რომ გენიალური სტრატეგი და წინმხედველი პოლიტიკოსი იყო, ამ ფრაგმენტიდანაც მშვენივრად ჩანს. ახლა უკვე (საუბარია 1971 წელზე, ანუ ეს ის თარიღია, როდესაც ეს ჩანაწერი გაკეთდა) ისტორიულადაა ჩვენთვის ცნობილი, თუ როგორ ცდილობდა ბრიტანულ-ამერიკული პოლიტიკა პოსტჰიტლერული მთავრობის მოყვანას, მათთან კავშირს და შემდგომ უკვე, ერთიანი ძალებით, საბჭოთა კავშირზე იერიშის მიტანას. მაშინ, ამ ვითარებაში ასეთ რამეს ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა. თუმცა, ეს სტალინმა იმთავითვე გააცნობიერა და სათანადო ზომებსაც მიმართავდა. დიდმა ბელადმა კარგად უწყოდა, რომ 1944 წლის ივლისში ფაშისტური პოტენციალი მხოლოდ სანახევროდ იყო განადგურებული, ხოლო მათი ტერიტორია – ხელშეუხებელი (მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწასთან იყო გასწორებული) და ზავი, მხოლოდ და მხოლოდ გერმანული მილიტარიზმის აღორძინებას შეუწყობდა ხელს, რაც სულ მოკლე ხანში ასმაგად შემოგვიბრუნდებოდა. ცოცხალი ჰიტლერი სტალინს მხოლოდ და მხოლოდ ფაშიზმის, გერმანული მილიტარიზმის გასანადგურებლად სჭირდებოდა და სწორედ ამიტომ დაავალა პირადად ბერიას გერმანელი დიქტატორის უსაფრთხოებაზე ზრუნვა. მან მშვენივრად იცოდა, რომ მას შემდეგ, რაც ჰიტლერის პირად წარმომადგენელს უარი უთხრეს ყოველგვარ მოლაპარაკებებზე, ფაშისტი მმართველი ბოლომდე იბრძოლებდა. სწორედ აქ იყო დამარხული ძაღლის თავი... რადგან იმ პერიოდისთვის ჩვენ უკვე ყველანაირი უპირატესობა გაგვაჩნდა, პოტენციალს ყოველდღიურად ვზრდიდით და ფაშიზმის დამარცხება გარდაუვალი იყო. ასეთი გათვლები, რა თქმა უნდა, ანგლო-ამერიკელებისთვისაც ცნობილი იყო და სწორედ ამიტომ ესწრაფოდნენ ჰიტლერის მოშორებას, რათა წითელი არმია არ შესულიყო ევროპაში და დაპყრობილი ერები არ გაეთავისუფლებინა. უპირველესად, ყოველივე ეს, იდეოლოგიათა ბრძოლა იყო და არავის სურდა ბურჟუაზიიდან, რომ კომუნისტური იდეოლოგია გაბატონებულიყო ევროპაში. საკმაოდ პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ, ცოცხალი ჰიტლერი სტალინმა საკუთარი პოლიტიკური გეგმების განსახორციელებლად, კერძოდ კი, ევროპის გასაკომუნისტებლად გამოიყენა. ამგვარად, ჰიტლერი – მწვავე ანტიკომუნისტი, დიდი ბელადის ხელში ევროპის გაწითლების (სტალინის ტერმინი) მთავარ იარაღად იქცა. ეს სტალინმა სხვებზე უკეთ იცოდა და დეტალურად ჰქონდა გააზრებული – ამიტომაც დაავალა ასე საგანგებოდ ბერიას, ჰიტლერის უსაფრთხოების დაცვა და შესაბამისად, გაბრაზდა, ტერაქტის შესახებ რომ შეიტყო, რის გამოც საკმაოდ მკაცრად შერისხა ის. სუდოპლატოვის გასტუმრებისა და მოლოტოვთან საუბრის შემდეგ, სტალინს ბერია ეახლა, რომელიც, როგორც ეტყობა, წინასწარ იყო ინფორმირებული სტალინთან მოსალოდნელი საუბრის შინაარსზე. ამიტომ, ჩვეულებრივზე უფრო მეტად დაძაბული იყო. ბერია რომ შევიდა, სტალინი ფანჯარასთან იდგა და ჩიბუხს აბოლებდა, კარგა ხანს არც ხმა ამოუღია და არც შემობრუნებულა. ბერია ხესავით ფესვგამდგარი იდგა კაბინეტის შუაში და დუმდა. დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ, სტალინი ფანჯარას მოსცილდა ისე, რომ ბერიასთვის არც კი შეუხედავს. თავის სამუშაო მაგიდასთან მივიდა (ბერია უფრო მეტად გაფითრებული და გაჯგიმული იდგა, მხოლოდ და მხოლოდ თვალებს ამოძრავებდა და სტალინს აკვირდებოდა), შემდეგ ტელეფონის ყურმილს დასწვდა და ჩაილაპარაკა: „ამხანაგო მოლოტოვო, პოლიტბიურო შეკრიბე ერთ საათში, უმნიშვნელოვანესი საკითხია განსახილველი!“ ყურმილი დაკიდა. ბერიას, რომელიც კვლავ გაუნძრევლად იდგა, სტალინი თითქოს ვერ ამჩნევდა და ჩიბუხის მოწევას განაგრძობდა. შემდეგ თავი ასწია, ბერიას გამჭოლი მზერით შეხედა (ამ უკანასკნელმა თავი ჩაღუნა და გაწითლდა) და წარმოსთქვა: „ლავრენტი, აქ როგორ გაჩნდი, როდის შემოხვედი ასე შეუმჩნევლად? თუმცა, შენ ხომ ფარული მოქმედებების დიდოსტატი ხარ. ასე არაა? ხომ არ ვტყუი? რა ჩუმად ხარ, ხმა ამოიღე!“ ბერია თევზივით დუმდა და სტალინის დაცინვას მორჩილად იტანდა. დიდი ბელადი კი განაგრძობდა: „შენ არა მხოლოდ ფარული მოქმედება შეგიძლია, არამედ ჩემს დავალებებსაც ბრწყინვალედ ართმევ თავს, საყვედური არ მეთქმის. ის კი არა და, ვფიქრობ, დაგაჯილდოვო კიდეც. შენ ხომ მშვენივრად შეასრულე ჰიტლერის დაცვის ოპერაცია და ბომბმა მას, მხოლოდ უმნიშვნელო ზიანი მიაყენა. ეს, რა თქმა უნდა, შენ მიერ მიღებული ზომების წყალობით მოხდა და ახლა ფაშისტი დიქტატორი შენს სადღეგრძელოს სვამს!“ საბჭოთა უშიშროების მრისხანე შეფი ყოვლად უძლური იყო დიდი ბელადის კრიტიკის წინაშე და, როგორც მოგვიანებით გაუმხილა თავის მოადგილე გოგლიძეს – სტალინთან იმ საუბრისას 20 წლის სიცოცხლე დამაკლდაო. სტალინი, თანდათან დაცხრა, თუმცა ხელი არ აუღია ბერიას დასჯაზე და პოლიტბიუროს იმავე დღის სხდომაზე, მას მკაცრი საყვედური გამოუცხადა. ამასთან, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის დამუხრუჭებასა და ლამის სამშობლოს ღალატში დასდო ბრალი. „ამხანაგი ბერია, – ამბობდა სიტყვით გამოსული სტალინი, – ალბათ, ფიქრობს, რომ შეუცვლელია, თუმცა ხმამაღლა უნდა განვაცხადო, რომ შეუცვლელი ადამიანები არა გვყავს და მათ შორის ასეთი არც მე ვარ“.

ბერია პოლიტბიუროს სხდომაზეც თავჩაღუნული იჯდა და მოთმინებით ისმენდა სტალინის კრიტიკას იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო ჰიტლერზე მომზადებული ტერაქტის ამოცნობა და გაუვნებელყოფა, რაც ლამის ჰიტლერის დაღუპვით დასრულდა. ერთი შეხედვით, ეს ყველაფერი აბსურდულად ჩანდა, მაგრამ სინამდვილეში, მართლაც ასე იყო და სტალინი არ ტყუოდა. სტალინის წინადადებით, პოლიტბიურომ გადაწყვიტა, ბერიასთვის საგარეო დაზვერვის კურატორის ფუნქციები ჩამოერთმია და საკითხი დააყენეს (თუმცა ის ღიად, განუხილველი დატოვეს), ბერიას უშიშროების მინისტრის პოსტიდან გადაყენების თაობაზე. პოლიტბიუროს გადაწყვეტილება უმძიმესი დარტყმა იყო ბერიას პრესტიჟზე. თუმცა, მან ეს არ შეიმჩნია და საკმაოდ ღირსეული გამომეტყველებით დატოვა პოლიტბიუროს სხდომა. არაერთხელ აღმინიშნავს ბერიას სისასტიკისა და ვერაგობის შესახებ, რაც სულ რაღაც ხუთ დღეში დადასტურდა კიდეც. ამ სხდომის შემდეგ ბერიამ, რომელსაც (მიუხედავად გარკვეული ფუნქციების ჩამორთმევისა) ჯერ კიდევ განუხრელი ძალაუფლება გააჩნდა თავის მმართველობის ქვეშ მყოფ სისტემაში, ვერაგული მაქინაცია ჩაიფიქრა და განახორციელა – საბჭოთა საგარეო დაზვერვის ერთ ჯგუფს ჯერ ჰიტლერზე თავდასხმის დეტალური გეგმა მოამზადებინა, თავისი ყველა საჭირო ატრიბუტიკით (იარაღი, გეგმა, კონსპირაციული ბინები და ასე შემდეგ), შემდეგ კი მთელი ეს ინფორმაცია „გესტაპოს“ გადასცა და მათ ჰიტლერზე შეთქმულება გაახსნევინა. საინტერესო დეტალია ისიც, რომ ყველა საბჭოთა მზვერავი გერმანულ-პოლონური წარმოშობისა იყო, რათა სტალინს არ გაეშიფრა ბერიას ჩანაფიქრი და რუსი ეროვნების ტერორისტებში ბერიას ხელწერა არ ამოეცნო. ამ აქციით, ბერიამ ნაწილობრივ დაიბრუნა სტალინის კეთილგანწყობა. თუმცა საგარეო დაზვერვა კვლავ სხვის ხელში იყო.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# რომელ თვეში დაბადებული ადამიანები არიან იღბლიანები მატერიალური თვალსაზრისით

*ფული ყველას სჭირდება, მაგრამ მისი შოვნა ბევრს უჭირს, თუმცა, ზოგიერთს ბედი და ვარსკვლავები უმართავენ ხელს ამ მხრივ.*

*ასტროლოგიურად, ზოდიაქოს თითოეული ნიშნით დაბადებულ ადამიანს ფულისკენ სწრაფვის თავისი მეთოდი აქვს.*

*თუ გსურთ, ამოიცნოთ, იღბლიანია თუ არა თქვენთვის საყვარელი ადამიანი ფინანსური თვალსაზრისით, გაიგეთ მისი დაბადების თვე და შეისწავლეთ მისი ზოდიაქოსთვის დამახასიათებელი თვისებები.*

**ვერძი** – მისთვის ფულს იდეური დატვირთვა უფრო აქვს, ვიდრე მატერიალური, თუმცა, მისი სურვილი, პირველი ადგილი დაიკავოს საზოგადოებაში, ხანდახან ფინანსურ სფეროშიც ვლინდება. შრომისმოყვარეა და საკმაოდ კარგი იდეებიც აქვს.

**კურო** – ის სიჯიუტეს იჩენს ფულის შოვნისას, თუმცა, უყვარს ფუფუნებით ცხოვრება და ამისთვის ბევრს შრომობს. არასდროს გამოილევს ჯიბეში ფულს და ყოველთვის აქვს დანაზოგი.

**ტყუპები** – ფულისა და ტყუპების ერთად წარმოდგენა ცოტა ძნელია. ყველაზე დიდ ხიფათს მას ფულის უზომო ფლანგვის სურვილი უქმნის. ის ყიდულობს ყველაფერს, რაც სჭირდება და არ სჭირდება და, ამიტომაც, ხშირად უჩივის უხერხულობას.

**კირჩხიბი** – მას გაჭირვების დროს ახსენდება, რომ დანაზოგი აქვს გადანახული. თუ წუწუნს დაიწყებს, ნუ იჩქარებთ, მას დახმარება გაუწიოთ. კირჩხიბი ყოველთვის ირჩევს ისეთ პროფესიას, სადაც ფულის შოვნის მეტი შანსი აქვს.

**ლომი** – ჭკვიანი ლომები ადვილად ახერხებენ სოლიდური თანხების შოვნას. შემოქმედებითი ამბიციები მათ ახალ-ახალი პროექტებისკენ უბიძგებთ, რაც მათთვის გაჭირვებისგან დახსნის კარგი საშუალებაა. ასე რომ, თუ ლომმა მოინდომა, ფულს იშოვის, თუმცა ამისთვის შრომა არ უნდა დაიზაროს.

**ქალწული** – ფულის ყადრი სხვა ზოდიაქოს ნიშნებისგან განსხვავებით, ქალწულებს ყველაზე კარგად ესმით. ისინი არასდროს ოცნებობენ სიმდიდრის მოპოვებაზე, თუმცა ამისთვის ბევრს შრომობენ. მათ ეხერხებათ ეკონომიურობაც – შეუძლიათ, ნებისმიერი თანხის გამოზოგვა. ასე რომ, მათ გვერდით თავს ღარიბად ნამდვილად არ იგრძნობთ.

**სასწორი** – ის ფულის შოვნის დროსაც კი პარტნიორს ეძებს, თუნდაც მისთვის ამ თანხის შუაზე გაყოფა დასჭირდეს. საკმარისია, ცოტაოდენი თანხა იშოვოს, რომ ამას ადვილად შეამჩნევთ, რადგან, ეცდება, იმიჯი რადიკალურად შეიცვალოს.

**მორიელი** – ის არასდროს ინახავს ფულს ერთ ადგილას. ურჩევნია, თანხა საქმეში დააბანდოს და მოგება მიიღოს – ამაში მას მიზანსწრაფვის უნარი ეხმარება. თუ საქმეს სწორად გააცნობიერებს და დაგეგმავს, უეჭველად მიიღებს მოგებას. შეუძლია, დიდ კორპორაციებში ფინანსური საქმეები მართოს. შეუმცდარი ინტუიცია აქვს და რისკსაც არ ერიდება.

**მშვილდოსანი** – ფული მშვილდოსანს იმისთვის სჭირდება, რომ ხარჯოს, ამიტომაც, ვერასდროს ახერხებს მის დაგროვებას. მან იცის, რომ ბედნიერება მხოლოდ ფულში არ არის, მისთვის მთავარია ჭეშმარიტი მეგობრობა და ქველმოქმედება.

**თხის რქა** – არ უყვარს აჩქარებული და იმპულსური გადაწყვეტილებების მიღება. ეს ეხება ფულის გამომუშავებასა და ხარჯვასაც. ის არასდროს იმუშავებს ისეთ საქმეზე, რომელსაც მისი რეპუტაციის შელახვა შეუძლია, სამაგიეროდ, გამომუშავებულ თანხას გულდასმით ინახავს.

**მერწყული** – თუ მერწყული ოდესმე გამდიდრდება, ეს მისი ფორტუნისა და ბედნიერი ვარსკვლავის დამსახურებით მოხდება და არა შრომისუნარიანობით. კარგი იქნება, თუ ის შრომისმოყვარეობას, მიზანსწრაფვას, ორგანიზებულობასა და მოთმინებასაც ისწავლის – ეს მისთვის წარმატების მომტანი აღმოჩნდება და ბედიც მეტად გაუღიმებს ფინანსური შემოსავლების მხრივ.

**თევზები** – ამ ნიშნით დაბადებული ადამიანები ფანტასტიკური ფილმის გმირებს ჰგვანან. არ უყვართ ფულზე წუწუნი და გეგონებათ, იმდენი ფული აქვთ, შეგიძლიათ, ნებისმიერი თანხა სთხოვოთ და ისინიც ხელს გაგიმართავენ. მაგრამ ეს ასე არ არის. თევზები შრომით მოიპოვებენ თანხას და მხოლოდ იმაზე ჰყოფნით, რაც აუცილებელია ყოველდღიურად. ამიტომ, მათთან ფულის სასესხებლად მისვლა არ ღირს.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1992 წლის 2 მარტს, ღამის საათებში. მაინტერესებს, რომელი პროფესიაა ჩემთვის წარმატების მომტანი მომავალში?**

**პასუხი**: პროფესიებიდან თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობა, მედიცინის ფართო სპექტრი, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, სარეკლამო, საგამომცემლო საქმე, პედაგოგიური მოღვაწეობა, მთარგმნელობითი საქმე, ლინგვისტიკა, პოლიტიკის ფართო სპექტრი, მშენებლობა, საინჟინრო საქმე, სამართალდამცავი ორგანოები, უშიშროების სფერო.

**კითხვა: ჩემი ძმა დაიბადა 1998 წლის 30 დეკემბერს, დილის 6 საათზე. რომელი პროფესიაა მისთვის მისაღები ასტროლოგიური კუთხით?**

**პასუხი**: პროფესიებიდან ძალიან კარგია: ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი ან საქმიანობა, მედიცინა, პროფესიონალური დიპლომატია, პოლიტიკა, იურისპრუდენცია, საკანონმდებლო საქმიანობა, სამართალდამცავი ორგანოები, ტექნიკა-მექანიკის სფერო, საბანკო-ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა.

**კითხვა: დავიბადე 1986 წლის 22 სექტემბერს. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე?**

**პასუხი**: თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოთ სამშობლოს პატრიოტი, კარგად ერკვეოდეთ ადათ-წესებში, ისტორიაში, ტრადიციებში. უნდა შექმნათ სტაბილური საოჯახო და პარტნიორული ურთიერთობები. უფრო მეტად დაეყრდნოთ ინტუიციას, უნდა იყოთ ფრთხილი და წინდახედული, ისწავლოთ საკუთარი საიდუმლოს დაცვა. ასევე, უნდა იყოთ ორგანიზებული და ერთგული და ირგვლივაც ერთგული ადამიანები უნდა შემოიკრიბოთ. გახდეთ ნებისყოფიანი, მომთმენი, შრომისუნარიანი, ბრძოლისუნარიანი. ასევე, ხარჯოთ ფული ყაირათიანად – ყოველივე ეს თქვენთვის გამარჯვების მომტანი ფაქტორებია.

**კითხვა: დავიბადე 1989 წლის 4 იანვარს, დილის 8 საათზე. რომელ სფეროში მელის წარმატება და რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან მელის სასურველი სასიყვარულო-საოჯახო კავშირი?**

**პასუხი**: თქვენთვის მისაღებია სასიყვარულო-საოჯახო ურთიერთობა შემდეგი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან: მორიელთან, თევზებთან, კუროსთან ან ქალწულთან. არ გირჩევთ ურთიერთობას მშვილდოსანთან. ხოლო პროფესიებიდან მისაღებია: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ოკულტიზმი, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სამეცნიერო კვლევა, მანქანების ბიზნესი, არქიტექტურა, მანქანათმშენებლობა, საინჟინრო საქმიანობა, ფსიქოთერაპია.

**კითხვა: დავიბადე 1993 წლის 25 აპრილს, ღამის საათებში. მინდა უცხოეთში წასვლა. რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები?**

**პასუხი**: თქვენი კოსმიური მისია უკავშირდება სამშობლოსა და მის სამსახურს, თუმცა, უცხოეთში წასვლა დროებით საცხოვრებლად და სამუშაოდ არ არის ურიგო. ქვეყნებიდან კი მეტად მისაღებია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, ყაზახეთი, ვიეტნამი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი; ამერიკის შეერთებული შტატებიდან – დასავლეთი მხარე; შვედეთი, ჰოლანდია, შოტლანდია, თურქეთი, უზბეკეთი, ინდოეთი; იტალიიდან – ვენეცია.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2004 წლის 7 თებერვალს. რა არის მისი კარმული მისია?**

**პასუხი**: თქვენი შვილის კარმული მისიაა, წარმოაჩინოს სულიერი თვისებები, იყოს აქტიური, ინიციატივიანი, პრაქტიკული, ენერგიული. უნდა შეძლოს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ლიდერული თვისებების გამოვლენა; ასევე, სადაც საჭიროა, უნდა იყოს უშიშარი და მებრძოლი. სადაც შევა, უნდა შეიტანოს სიმშვიდე, ჰარმონია და არა დეპრესია და აგრესია. მეტად დაეყრდნოს ოპტიმიზმსა და კეთილშობილებას. იყოს კანონმორჩილი, სამართლიანი, დიპლომატიური.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

13 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

14 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

15 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„ვთამაშობთ სტრინდბერგს"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორები: რობერტ სტურუა და ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, ზუკა პაპუაშვილი, ლევან ხურცია. ***ხანგრძლივობა: 1სთ.10 წუთი;***

16 მარტი, **კვირა** 19.00 - **„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

11, 15 მარტი, **სამშაბათი, შაბათი** 20.00 - **„ქოლო"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

12 მარტი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ჰამლეტი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: თემურ კუპრავა. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, მალხაზ აბულაძე, ალეკო მახარობლიშვილი, ეკა ჩხეიძე, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 4სთ. 20 წუთი;***

13 მარტი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მებურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ.;***

14 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„გრონჰოლმის მეთოდი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

14 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

15 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორი: ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი. მონაწილეობს: მარლენ ეგუტია; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

16 მარტი, **კვირა** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო"** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), დამდგმელი რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ვალერი კორშია, ლილე ფილფანი, დიმიტრი ტატიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

16 მარტი, **კვირა** 20.00 - **„დეკამერონი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), ინსცენირების ავტორი, რეჟისორი და სცენოგრაფი - ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, ირმა ბერიანიძე, ზურა ბერიკაშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, ბაია დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნიკა კუჭავა, მარლენ ეგუტია, ჯაბა კილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

11, 15 მარტი, **სამშაბათი, შაბათი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

12 მარტი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ქალი ძაღლით"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნანკა კალატოზიშვილი, ნატა კახიძე, ბესო ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 120 წუთი;***

13 მარტი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ფაუსტი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, კახა აბუაშვილი, ბესო ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

14 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„ტარტიუფი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ზვიად სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაქაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21**

11 მარტი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

12 მარტი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

13 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

14 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

15 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„ძვირფასი პამელა"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 13 ლარი), რეჟისორი: კოტე აბაშიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

16 მარტი, **კვირა** 19.00 - **„თაფლობის თვე"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164.**
**ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

12-13 მარტი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 19.00 - **„მაცეკვე ტანგო"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მამუკა ტყემალაძე. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, ზაზა მიქაშავიძე, გია აბესალაშვილი, ქეთი ასათიანი, ბექა ჯუმუტია, ჯაბა სულაკაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

14 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„ბერნარდა ალბას სახლი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნანა კვასხვაძე. მონაწილეობენ: მზია არაბული, ნანა შონია, ნუცა მჭედლიშვლი, ლილი მეტრეველი, ანა ნიკოლაიშილი, ირინა გიუნაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

15 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„ჩიტის მოტანილი ამბავი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ბურდული, ანა ნიკოლაშვილი, ნანა შონია, დარეჯან ჯოჯუა, ვახტანგ ახალაძე, ვანო დუგლაძე, სოსო ხვედელიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

16 მარტი, **კვირა** 19.00 - **„ზვავი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: რუსუდან ბოლქვაძე. მონაწილეობენ: ლია კაპანაძე, რევაზ თავართქილაძე, ანი იმნაძე, გიორგი ყიფშიძე, დარეჯან ხაჩიძე, გია აბესალაშვილი, ლაურა რეხვიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2**
**ტელ.: 293-11-06**

14 მარტი, **პარასკევი** 18.00 - **„ქასტინგი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ნიკა კვიჟინაძე. მონაწილეობს: ირინა კვიჟინაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

15 მარტი, **შაბათი** 18.00 - **„დოსტოევსკი.რუ"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: მარიამ კიტია, ირინა კვიჟინაძე, ვალერი ხარიუტჩენკო, ოლეგ მჭედლიშვილი, არჩილ ბარათაშვილი, სოფო ლომჯარია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

16 მარტი, **კვირა** 12.00 - **„კონკია"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), მუსიკალური ზღაპარი - რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ანასტასია გარმატიუკი, ქრისტოფორე ფილიევი, ირინა მელვინეთუხუცესი, კარინა ყენია, ნინა კალატოზიშვილი, სლავა ნათენაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97**

14 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

15 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: ვახტანგ ადეიშვილი, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი, ბექნუ ქაფიანიძე, ჯაბა ჯაფარიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

16 მარტი, **კვირა** 19.00 - **„პოლიცია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დარიუშ ეზერსკი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, აკაკი ხიდაშელი, კახა ჯოხაძე, გიორგი ჭუმბურიძე, თათია თათარაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

## ორშაბათი 10 მარტი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"ერთგული ხელი"** **17.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **18.00** ტ/სერ. **"დეიდაშვილები"** **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** **22.00** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **23.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **00.30** მხ/ფ **"ვაჟიშვილები"** (ჰ.მირენი) **02.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) **04.30** "ქართული ჯარი" (გ/ჩვ) **05.00** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" (გ/ჩვ) **06.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.20** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 1 სერ. **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ **"სილა"** **22.00** ორი ვარსკვლავი **00.00** **2014** წლის მსახიობთა გილდიის დაჯილდოების ცერემონია **01.40** მხ/ფ **"ვიკი კრისტინა ბარსელონა"**.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"**12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"დასასრული"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** ქ.მხ/ფ. **"შანტრაპა"** **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ. **04.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "9 მარტი - 1956 წელი" **07.05** დოკ/ფ "მონასტრის ბინადარნი" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.10** დოკ/ფ "ექვთიმე" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** სპექტაკლი - **"ჩემი პატარა ქალაქი"** **17.30** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება(გ.გვასალია) **18.10, 00.30** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.25** მხ/ფ **"ოთარაანთ ქვრივი"** **20.40** ძილი ნებისა **21.25** სახლი ღვთისა **21.40** სალვთისმსახურო წელიწადი **22.25** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ძელი ცხოვრებისა" **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "რბოლა" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **9.15 სერიალი "ჩემი შვილები"** **10.15, 16.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **14.00** სტუდია "მონიტორის/ ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## სამშაბათი 11 მარტი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"პროფესიონალი, პროფესიონალებს შორის"** **17.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **18.00** ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** **19.15** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.40** I არხი წარმოგიდგენთ **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: **ატლეტიკო – მილანი** (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" **01.40** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ.) **03.40** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" (გ/ჩვ) **04.10** მხ/ფ **"ერთგული ხელი"** **06.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 2 სერ. **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** თოქ შოუ – თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო (პ/ე) **00.00** მხ/ფ **"სისხლი და შოკოლადი"** **02.20** მხ/ფ **"ვიკი კრისტინა ბარსელონა"**.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"დასასრული"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **00.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "უბისა" **07.00** დოკ/ფ "მონასტრის ბინადარნი" II ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლე **10.35** პორტრეტები **11.15** პატერიკი **11.20** სალვთისმსახურო წელიწადი **11.40** სახლი ღვთისა **12.10** მხ/ფ **"ოთარაანთ ქვრივი"** **13.25** თეთრიდან თეთრამდე **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ "მცხეთის ჯვარი" **15.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.50** ქვიშით ნაამბობი - თამარ მეფე **16.05** კონცერტი - გია ყანჩელი **17.15** გახსენება - სიმონ სხირტლაძე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ./ფ. **"მათთვის,ვინც მამამ მიატოვა"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი - მამა გიორგი გუგუშვილი"სერაპიონ ზარზმელის შესახებ" **23.45** დოკ/ფ "ქართული საჭურველი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30, 14.00** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "რბოლა" **9.00,10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.15 სერიალი "ჩემი შვილები"** **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **14.00** "თქვენი გადახდილია" (ანეკდოტები) (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

## კინოთეატრი „რუსთაველი"

**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**10 – 16 მარტი**

*დარბაზი 1*

12.30, 15.00, 17.30 - **„ლეგო მულტფილმი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

20.00, 22.30 - **„უსაზღვრო სიყვარული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

18.00, 20.00, 22.30 - **„თბილისი მიყვარხარ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 17.30 - **„უსაზღვრო სიყვარული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

15.00, 22.30 - **„განძზე მონადირეები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

20.00 - **„ლეგო მულტფილმი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.20 - **„პომპეი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

16.50, 22.30 - **„უოლ სთრითის მგელი"**, *ხანგრძლივობა: 3სთ.;*

20.00 - **„მისი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.30 - **„ტარზანი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.15, 22.30 - **„პომპეი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

19.45 - **„განძზე მონადირეები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

## კინოთეატრი „ამირანი"

**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00, 14.30, 17.15, 20.00 - **„ლეგო მულტფილმი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

22.30 - **„უსაზღვრო სიყვარული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15 - **„ტარზანი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

15.00, 17.30, 20.00 - **„უსაზღვრო სიყვარული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„პომპეი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30 - **„პომპეი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

16.30, 19.00, 22.30 - **„მისი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# კარტოფილი სოკოთი და ბოსტნეულით







**საჭირო ინგრედიენტები:** 700 გრამი კარტოფილის პიურე (კარტოფილის ცომისთვის), 3 სადილის კოვზი კარტოფილის ფქვილი (სახამებელი), 250 გრამი ხახვი, 250 გრამი სტაფილო, 250 გრამი ცოცხალი სოკო, 20 გრამი კამა, ზეთი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხახვი დაჭერით ძალიან წვრილად, სტაფილო გახეხეთ საშუალო სიდიდის სახეხზე. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი და მოშუშეთ ხახვი. უმჯობესია, ეს ძლიერ ცეცხლზე და სწრაფად გააკეთოთ. მოაყარეთ გახეხილი სტაფილო. აურიეთ და შუშეთ სტაფილოს დარბილებამდე.

სოკო დაჭერით წვრილად და დაუმატეთ ბოსტნეულს ტაფაში. აურიეთ და ხრაკეთ 3 წუთის განმავლობაში, მუდმივი მორევით. უყავით მარილი გემოვნებით.

კარტოფილის პიურე აურიეთ კარგად. ჩაუმატეთ სახამებელი. ტაფას წაუსვით ცხიმი და გაშალეთ მასზე გამოსაცხობი ქაღალდი. გადაიტანეთ ზედ კარტოფილი და კარგად გაშალეთ. მოუსწორეთ ზედაპირი, ტაფა მოათავსეთ ცხელ აირღუმელში და გამოაცხვეთ 200-220 გრადუს ტემპერატურაზე 15-20 წუთის განმავლობაში. უნდა დაიბრაწოს.

გამოიღეთ. ზემოდან მოათავსეთ ბოსტნეული და მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა. გადაახვიეთ კარტოფილის „ფირფიტა“ რულეტივით. თან, ნელ-ნელა მოხსენით ქაღალდი. რულეტს ზემოდან წაუსვით ზეთი და 15 წუთით ისევ მოათავსეთ აირღუმელში.

ამ რულეტს ძალიან უხდება კეტჩუპი.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები







# საუზმე „მწვანე ფოთოლი“

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კონა მწვანე სალათა, ორი „ყვავილი“ ბროკოლი, ნაკლებმარილიანი თევზის ფილე, ცოტა მაგარი ყველი, 50 გრამი მწვანე ხახვი.

**მომზადების წესი:** ამოარჩიეთ სალათის მოზრდილი ფოთლები. თითოეულზე მოათავსეთ მოხარშული ბროკოლი, თევზის პატარა ნაჭერი და მოაყარეთ ცოტა გახეხილი ყველი. შეფუთეთ ყვავილივით (ტომსიკასავით) და თავი მოუკარით მწვანე ხახვით. ულამაზესია და ჯანმრთელი საკვებია.

P. S. სალათის ფოთლებზე შეგიძლიათ, მოათავსოთ თქვენთვის სასურველი ნებისმიერი სალათა, სამარხვო ან, თუნდაც, ხორციანი და ასევე გააფორმეთ. ლამაზია და თავს მოიწონებთ სტუმრებთან.

# ექსპრეს-კარტოფილი

















**საჭირო ინგრედიენტები:** 1/2 თავი ხახვი, 1 ცალი დამწნილებული კიტრი, 5 ჩაის კოვზი სამარხვო მაიონეზი, 5 ცალი ბროკოლი, ანუ საშუალო ზომის თავი-ყვავილი, 5 ცალი კარტოფილი, 2 სადილის კოვზი დაჭრილი ნიგოზი, ზეთი, მარილი.

**მომზადების წესი:** კარტოფილი ძალიან კარგად გარეცხეთ კანიანად და თითოეული ჯვარედინად ჩაჭერით 8 ნაწილად. გამოაცხვეთ აირღუმელში, მაღალ ტემპერატურაზე, 8-9 წუთის განმავლობაში. მარილიან წყალში ათი წუთის განმავლობაში ხარშეთ ბროკოლი. წვრილად დაჭრილი ნიგოზი ოდნავ მოხალეთ მშრალ ტაფაზე. ხახვი ძალიან წვრილად დაჭერით და მოშუშეთ ცხელ ტაფაზე ცოტა ზეთში. შეურიეთ ნიგოზი. კიტრი დაჭერით კუბიკებად, დაუმატეთ ნიგოზს და ხახვს. მოასხით მაიონეზი და აურიეთ. გამოიღეთ ღუმელიდან კარტოფილი, მოაყარეთ ცოტა მარილი. შუაგული ამოუვსეთ ნიგვზიანი სატენით. ზემოდან კი დაადეთ ბროკოლი. მოგეწონებათ.

# ავოკადოს სალათა კრისტი ყიფშიძისგან







მე არ მივირთმევ ხორცს, არც ალკოჰოლს ვეკარები. კიდევ არის რამდენიმე პროდუქტი, რომელსაც ჩემს რაციონში ვერ აღმოაჩენთ. მიყვარს ჯანსაღი კვება, მაგალითად – სალათები. შემოგთავაზებთ ჩემი საყვარელი ავოკადოს სალათის რეცეპტს.

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი ავოკადო, 1 კონა მწვანე სალათის ფოთოლი, 1 კონა მწვანე ხახვი, 2 ცალი მოხარშული კვერცხი, 1 კონა ქინძი. სოუსის არჩევა თქვენზეა: შეგიძლიათ, გამოიყენოთ „ბალზამიკო," მდოგვის ან მაიონეზის სოუსი.

**მომზადების წესი:** სალათის ფურცლებს ხელით ვანაწევრებთ და ვათავსებთ სასალათეში. ავოკადოს ვჭრით კუბიკებად და ვუმატებთ სალათის ფოთლებს, ზემოდან ვაყრით წვრილად დაჭრილ მწვანე ხახვს, ქინძსა და კვერცხს. შემდეგ ვასხამთ სოუსს და ერთხელ ამოვურევთ. შეგიძლიათ, მარილი არც გამოიყენოთ. ძალიან გემრიელია და, რაც მთავარია – სასარგებლო. გემრიელად მიირთვით!

# ბადრიჯანი კორეულად











**საჭირო ინგრედიენტები:** 3-4 ცალი ბადრიჯანი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 1 ცალი მოზრდილი სტაფილო, 1 თავი ხახვი, 2-3 კბილი ნიორი, ცოტა ოხრახუში, ცოტა ვაშლის ძმარი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით. ზეთი – შესაწვავად.

**მომზადების წესი:** ბადრიჯანი კარგად გარეცხეთ. კანი არ გადააცალოთ, ისე დაჭერით წვრილ ჩხირებად. მოაყარეთ 1 ან 2 სადილის კოვზი მარილი და გააჩერეთ 8 საათის განმავლობაში, ანუ ერთი ღამით. შემდეგ კარგად გაწურეთ და შებრაწეთ ძალიან ცხელ ტაფაზე ზეთში. ბულგარული წიწაკა და სტაფილო გაასუფთავეთ, დაჭერით ძალიან წვრილ ჩხირებად. ხახვი დაჭერით ნახევარრგოლებად, საკმაოდ თხლად. ნიორი დანაყეთ, მწვანილი კი ძალიან წვრილად დაჭერით. ეს ყველაფერი დაუმატეთ ბადრიჯანს და მოასხით ცოტა ძმარი. უყავით მარილი და პილპილი. გააჩერეთ 12 საათის განმავლობაში მაცივარში ან სიცივეში და შემდეგ მიირთვით.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# სოკოს რაგუ




**საჭირო ინგრედიენტები:** 900 გრამი ხის სოკო, 1 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 4 სადილის კოვზი ზეთი, 2 ბულგარული წიწაკა, 2 სადილის კოვზი ტომატის პასტა, 3 სადილის კოვზი არაყანი, თითო-თითო კონა კამა და ოხრახუში, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** მარილწყალში მოხარშეთ სოკო. სტაფილო და ხახვი დაჭერით მოგრძო, წვრილ ნაჭრებად და ზეთში მოშუშეთ. დაუმატეთ დაჭრილი წიწაკა, ხუთი წუთის შემდეგ – ტომატის პასტა და ამოურიეთ. დაუმატეთ დაჭრილი სოკო და შუშეთ თავდახურული, დაახლოებით, 25 წუთის განმავლობაში, პერიოდულად, მოურიეთ. დაუმატეთ არაყანი და 5 წუთის შემდეგ დაჭრილი მწვანილი. როცა წამოდუღდება, გადმოდგით ცეცხლიდან.



# ბრინჯის სალათა ნუშითა და ფინიკით



**საჭირო ინგრედიენტები:** 150 გრამი გრძელი ბრინჯი, 2 სადილის კოვზი ნუში, 1 კონა სალათის ფურცელი, 1 ცალი ტკბილი ყვითელი წიწაკა, 2 ცალი პომიდორი, 6 ცალი ფინიკი, 5 ღერი ოხრახუში, 3 ღერი კამა, 2 სადილის კოვზი ბოსტნეულის ბულიონი, 2 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 2 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 სადილის კოვზი კამის თესლი, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ბრინჯი მარილიან წყალში მოხარშეთ და გადაწურეთ. ნუში მოხალეთ. სალათის ფოთლები გარეცხეთ, გააშრეთ და მსხვილად დააქუცმაცეთ. პომიდვრებსა და წიწაკას თესლი ამოაცალეთ და დაჭერით. ფინიკს ამოაცალეთ კურკა და თხლად დაჭერით. მწვანილი დაკეპეთ. ლიმონის წვენი, ბოსტნეულის ბულიონი, ზეითუნის ზეთი, მარილი, კამის თესლი და დანარჩენი ინგრედიენტები კარგად აურიეთ ერთმანეთში.

# ორაგულის წვნიანი ზეთისხილით

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ლიტრი ბულიონი, 300 გრამი ორაგული, 1 თავი ხახვი, 1 სტაფილო, 150 გრამი საკუთარ წვენში დაკონსერვებული პომიდორი, 1 ცალი მჟავე კიტრი, 1 სადილის კოვზი კაპარი, 10-15 ცალი ზეთისხილი, 1 ცალი დაფნის ფოთოლი, მარილი და წიწაკა გემოვნებით, 2 სადილის კოვზი ზეთი.

**მომზადების წესი:** ქვაბში მდუღარე ზეთში მოშუშეთ წვრილად დაჭრილი ხახვი. დაუმატეთ დაჭრილი სტაფილო, შუშეთ 10 წუთი და დაუმატეთ დაკონსერვებული პომიდორი. 5 წუთის შემდეგ დაასხით 1 ლიტრი ბულიონი, ზეთისხილი, კაპარი, წვრილად დაჭრილი კიტრი, დაფნის ფოთოლი და ადუღეთ 5 წუთი. დაუმატეთ მარილი და წიწაკა, შემდეგ მოათავსეთ ქვაბში დაჭრილი ორაგული და ხარშეთ 10 წუთი.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 12 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"მეხისმტყორცნელი და ვინეტუ"** 17.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 18.00 ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** 19.15 "ჩვენი ეზო" 21.00 ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.00 ქართ. ტ/ფ **"ქვევრი"** 23.40 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: **პსჟ – ბაიერი** (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" 01.40 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) 03.40 "ჩვენი ეზო" (გ/ჩვ) 04.10 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (გ/ჩვ.) 05.10 მხ/ფ **"პროფესიონალი პროფესიონალებს შორის"**.

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 00.30, 02.15 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 3 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 EMERGENCY– სასწრაფო დახმარება 00.40 მხ/ფ **"სისხლი და შოკოლადი"**.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"პარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. **"დასასრული"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.).

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.40 ქვიშით ნაამბობი 06.55 დოკ/ფ "ქართული საჭურველი" 07.05 ჩვენი ფონდი - მამა გიორგი გუგუშვილი"სერაპიონ ზარზმელის შესახებ" 07.35 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00 სიახლენი 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.50 მოკ./ფ. **"მათთვის,ვისც მამამ მიატოვა"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.30 კონცერტი - მანანა დოიჯაშვილი 17.00 კვირიაკე 18.10, 00.30 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.20 პირველშეწირული წირვის განმარტება(მამა ბიძინა გუნია) 19.35 მხ/ფ **"ელისო"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 5.30, 6.30, 7.30, 14.00 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "რბოლა" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 9.15 **სერიალი "ჩემი შვილები"** 10.15, 16.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.30, 1.45, 4.30 გადაცემა "პულსი"(გამ.) 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## ხუთშაბათი 13 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ის ჩემზე უარესია"** 17.00 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" 18.00 ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** 19.15 "შემოძახილი" 21.00 ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** 22.00 "არენა" 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ **"კინგის გამოსასყიდი"** 02.10 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) 04.10 "შემოძახილი" (გ/ჩვ) 04.40 "არენა" (გ/ჩვ) 05.40 მხ/ფ **"მეხისმტყორცნელი და ვინეტუ"**.

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 01.55 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 4 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 ქ.მხ/ფ **"გაიღიმეთ"** 00.00 მხ/ფ **"ზღვარზე"** 02.05 მხ/ფ **"გოსფორდ პარკი"** (მ. სმიტი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"პარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. **"დასასრული"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 პროფილი 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.).

06.10 დოკ/ფ "პირველად იყო სიტყვა" 07.00 პირველშეწირული წირვის განმარტება(მამა ბიძინა გუნია) 07.15 დოკ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქართული ალბომი 11.25 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"ელისო"** 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.30 კონცერტი - აღდგომიდან ამაღლებამდე 17.20 მრავალთათვის საკეთილო - მერაბ ელიოზიშვილი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.30 "პორტრეტები" 20.10 მოკ./ფ. **"უსახელო უფლისციხელი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 თეთრიდან თეთრამდე 21.30 დოკ/ფ "ქართველი ლეგიონერი" დიმიტრი ამილახვარი 22.25 საქართველოს ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "სამშობლო ხარ ჩემი" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 5.30, 6.30, 7.30 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "რბოლა" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 9.15 **სერიალი "ჩემი შვილები"** 10.15, 16.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.00 შოუ ,,ოთხი ოთხზე" (გამ.) 14.35, 1.45, 4.30 NX სპიკერი 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## პარასკევი 14 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"მიფრთხილდი ლა ტურ!"** 17.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 18.00 ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** 19.05 დ/ფ "რომაული ელეგანტურობა" 21.00 ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 მხ/ფ **"სუსა"** 00.45 მხ/ფ **"ჩემი იმედი გქონდეს"** (მ.ფრიმანი) 02.40 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) 04.40 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (გ/ჩვ.) 06.10 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები".

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 5 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 თოქ შოუ – რეაქცია (პ/ე) 00.00 მხ/ფ **"რომაული თავგადასავალი"** (ალ. ბოლდუინი, ო. მუტი) 02.10 მხ/ფ **"ზღვარზე"** (მ. გონსალესი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"პარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. **"დასასრული"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი.

06.10 საგალობელი 06.20 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.45 მრავალთათვის საკეთილო - მერაბ ელიოზიშვილი 07.15 დოკ/ფ

"სამშობლო ხარ ჩემი" **07.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** საქართველოს ისტორია **11.05** სახლი ღვთისა **11.15** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ. "**უსახელო უფლისწული**" **13.25** პატერიკი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება (გ.სარია) **15.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.45** კონცერტი -საგუნდო მუსიკის ფესტივალის დასკვნითი კონცერტი **2012** **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.40** მხ/ფ "**ბელურების გადაფრენა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.15** შაბათის სახარების განმარტება (მამა ზურაბი) **23.25** დოკ/ფ "უჯარმის პატარა სახლი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30, 14.00** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "რბოლა" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **9.15 სერიალი "ჩემი შვილები"** **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** გადაცემა "პულსი"(გამ.) **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00,2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## შაბათი 15 მარტი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბავშვო ან/სერიალი: "ლაურას ვარსკვლავი და დრაკონი ნიანი" **09.50** საბავშვო კ/ჩვენება: "ნილბის შვილი" **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** I არხი წარმოგიდგენთ: მიშა მდინარაძე – საავტორო კონცერტი **14.00** მხ/ფ "**გაგიჟებული**" **16.30** "გურმანია" **16.55** რაგბი. ერთა თასის გათამაშება: **საქართველო – რუმინეთი** (პ/ტრ) **19.00** "ეტალონი" **21.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** "წითელი ზონა" **23.00** მხ/ფ "**რთული ცხოვრება**" **01.10** მხ/ფ "**მარტოხელა გმირი**" **03.10** "გურმანია" **03.40** "შეხვედრები მწერალთა სახლში" (გ/ჩვ) **04.40** "ეტალონი" (გ/ჩვ) **05.40** მხ/ფ "**ის ჩემზე უარესია**".

**08.00** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **08.25** მხ/ფ "**ნამდვილი მამაკაცი**" **10.25** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** "ჩვენებურები – ქვათა ღაღადი" **1** სერ. **12.00** სერ "**მერლინი**" **13.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **14.30** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.50, 19.05** სერ. "**მარგალიტი**" **19.30** ევროპაბეთი – გათამაშება **21.00** სერ. "**სილა**" **22.00** სერ. "**დედამიწის ბურჯები**" **1** სერ. **23.00** კონცერტი: თბილისის ბიგ ბენდი **01.00** მხ/ფ "**ვიკინგები**".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.00** ეკი ვოკი გ/ჩ **11.00** იღბლიანი ბორბალი გ/ჩ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** შერეკილები **15.30** "ნანუკას შოუ" - გ/ჩ **18.55** სერ. "**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** რა? სად? როდის? **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **00.30, 03.30** მხ/ფ.

**06.05** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** შაბათის სახარების განმარტება (მამა ზურაბი) **10.50** ქრისტიანული სწავლება **11.00** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**ბელურების გადაფრენა**" **13.05** სალვთისმეტყველო საუბრები **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** კონცერტი – პოლიფონია **2014** **17.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **18.10** დოკ/ფ "ოსტატები" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექსით ქებათა ქება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.20** ჟურნალისტის დღიური **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ქართული ხმები **00.35** დროის ჩანაწერები **01.25** მხ/ფ "**პიანისტი**" I ნაწ.

**00.00, 1.00, 2.00, 3.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** ფარული კამერა (საბ.) **8.30** მულტფილმი "ოლივერ ტვისტი" **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 21.40, 23.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **18.45, 1.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.30** "თქვენი გადახდილია" (ანეკდოტები) **23.30, 3.30 სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"** **0.30** NX სპიკერი (გამ.) (ორშ.) **4.30, 5.30, 6.30** ფარული კამერა.

## კვირა 16 მარტი

**08.00** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **09.00** საბ. მხ/ფ "**ფეხსაცმელი და ვარდი**" **11.30** საბ. გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.00** დ/ფ "დიდი ხელოვნება/ **14.30** ქართ. მხ/ფ "**სინათლე ჩვენს ფანჯრებში**" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.30** მხ/ფ "**დაუმორჩილებელი**" (მ.დეიმონი) **20.30** "ტელებლოგი" **21.00** "ჩემი წიგნი" **22.00** I არხი წარმოგიდგენთ – ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა - დოკ/ფ "ეუსკადი" ბასკეთის ქვეყანა" **23.00** მხ/ფ "**კუდის ქიცინი**" (რ.დე ნირო) **00.40** მხ/ფ "**ნახვამდის პოლუქს!**" **03.30** "სამოთხის ვაშლები" **04.30** "ჩვენი ფერმა" (გ/ჩვ) **05.00** "ტელებლოგი" (გ/ჩვ) **05.30** მხ/ფ "**მიფრთხილდი, ლა ტურ!**".

**08.00** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **09.00** მხ/ფ "**სავსე მთვარის სამეფო**" **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ "**მერლინი**" **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** ქ.მხ/ფ "**თოჯინების ქალაქი**" **17.30** ორი ვარსკვლავი (გ/ჩ) **20.00** პანორამა **21.00** ღამის შოუ **22.00** სერ."**დედამიწის ბურჯები**" **2** სერ. **23.00** მხ/ფ "**რემბო – 2**" (ს. სტალონე) **01.00** მხ/ფ "**უცხოები**" (ლ. ტაილერი) (ტიტ.).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** გააცინე და მოიგე (**9** მარტის გ/ჩ) **14.00** ეკი ვოკი **15.30** პროფილი გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **21.00** P.S. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** კომედი შოუ **00.30, 03.30** მხ/ფ.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** თბილისის ტაძრები **09.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ "**ლომა**" **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** სალვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.15** დოკ/ფ "ჩუქურთმა" **19.25** მხ/ფ "**მოკვეთილი**" **21.40** კვირიაკე **21.40** ქვიშით ნაამბობი **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დიდი მარხვა - მამა მაქსიმე - გრიგოლ პალამა **00.30** პორტრეტები **01.10** მხ/ფ "**პიანისტი**" II ნაწ.

**00.00, 1.00, 2.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** ფარული კამერა (საბ.) **8.30** მულტფილმი "ოლივერ ტვისტი" **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 21.40 23.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **18.30, 0.30** სტუდია "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული "** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.30** შოუ ,,ოთხი ოთხზე" **23.40, 3.35 სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"** **1.30** "ყოველდღიური აბები/ (გამ.)(ოთხშაბათის და ხუთშაბათის გადაცემები) **3.10, 4.35** NX სპიკერი (გამ.) (სამშ.) **5.30, 6.30** ფარული კამერა.

### ვერძი

ძირითადი ყურადღება მიაქციეთ ოჯახის პრობლემების მოგვარებას. სამსახურში ინტრიგებს რომ ასცდეთ, მეტად დაუჯერეთ ინტუიციას. ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობას. არ გირჩევთ ფიზიკურ დატვირთვას და შორეულ მოგზაურობას.

### კურო

გაზრდილი შრომისუნარიანობა და ამტანობა დაგეხმარებათ შემოქმედებით მუშაობაში და შედეგსაც მიაღწევთ. კარგი პერიოდია კარიერაში ზრდისთვის. თამამად განახორციელეთ ჩანაფიქრები. ოჯახის წევრები და საყვარელი ადამიანი ყველა საქმეში გვერდით დაგიდგებიან და დახმარებას გაგიწევენ.

### ტყუპები

უცხოელებთან კონტაქტი ბევრ სასიამოვნო ცვლილებებს გამოიწვევს თქვენს ცხოვრებაში. შესაძლოა ახალი საქმიანი შემოთავაზებაც მიიღოთ. თავი შეიკავეთ საფინანსო და საშუამავლო გარიგებებისგან. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაუმჯობესდება, მთავარია, მასთან გულახდილი იყოთ.

### კირჩხიბი

კარგი დროა ხელშეკრულებების დასადებად. ფინანსური მდგომარეობა სტაბილური იქნება. ოჯახში გაგიჭირდებათ კრიტიკის ატანა და კომპრომისის გამონახვა. კარგია ქალაქგარეთ გასვლა და ძალების აღდგენა. მოერიდეთ მძიმე სამუშაოს შესრულებას და მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობას.

### ლომი

ადვილად მოაგვარებთ საშუამავლო და კონფლიქტურ სიტუაციებს, რაც ფინანსურადაც გაგაძლიერებთ. დაგჭირდებათ კოლეგების დახმარება. ახლობელი ადამიანების გარემოცვაში თავს კომფორტულად და დაცულად იგრძნობთ, პირადი ცხოვრება კი უფრო სტაბილური გახდება.

### ქალწული

ფინანსური მდგომარეობა თანდათან გამოსწორდება. კარგია გადაადგილება და მოგზაურობა. მეტად დაუჯერეთ ინტუიციას, განსაკუთრებით კი – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას. ნუ აჰყვებით გრძნობებს. რომანტიკული დღეები მხოლოდ ერთ ადამიანთან გაატარეთ.

### სასწორი

ბევრ დროს წაგართმევთ სამსახურის საქმეები, თუმცა მოიმატებს შემოსავლები. გაზრდილი მომხიბვლელობით შეძლებთ საპირისპირო სქესის მოხიბვლას. გაგიადვილდებათ მეგობრული და საქმიანი კავშირების დამყარება. ნუ გადაიღლებით ზედმეტად. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### მორიელი

თავს კარგად იგრძნობთ და ბევრი პრობლემის მოგვარებას შეძლებთ. შოპინგი გუნება-განწყობას გამოგიკეთებთ. გადაადგილებები და შეხვედრები ახალ ხალხთან დაგაკავშირებთ. არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას, რადგან ეს მოგებას ვერ მოგიტანთ.

### მშვილდოსანი

მიზნის მისაღწევად იმოქმედეთ ადრე დასახული გეგმებით და დამოუკიდებლად. ფარულმა მტრებმა შესაძლოა ხელი შეგიშალონ მუშაობაში. პირადი შეხვედრები და გადაადგილებები კარგ შედეგს გამოიღებს. სწორად მართეთ ბიუჯეტი. კარგია ვარჯიშის დაწყება.

### თხის რქა

გაიზრდება თქვენი პოპულარობა. წარმატებებს მოგიტანთ ახალი ხალხის გაცნობა და მოგზაურობა. იაზროვნეთ დამოუკიდებლად და თქვენი შემოსავალიც გაიზრდება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში მოსალოდნელია პრობლემები, რაც თქვენს ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება.

### მერწყული

გაგიჭირდებათ ქცევების და ემოციების კონტროლი. ნურავის გაანდობთ თქვენს გეგმებსა და იდეებს. რომანტიკულ ურთიერთობაში ნუ იქნებით ზედმეტად კეკლუცი და გაუფრთხილდით საყვარელი ადამიანის გრძნობებს. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

### თევზები

მიზნისკენ სწრაფვის პერიოდია. დაიხარჯეთ ბოლომდე, გამოავლინეთ სიმტკიცე და თავდაჯერებულობა. არ არის გამორიცხული, ახალი შემოთავაზებაც მიიღოთ. კარგია მეგობრებთან გართობა. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა კი ბევრ სიხარულს მოგანიჭებთ. კარგია მოგზაურობა.

**ახალმთვარეობა – 1 მარტი, 07 სთ: 30 წთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი

მშვიდად შეხვდით ცვლილებებს. გაიზიარეთ წარსულის გაკვეთილები. მეტი დრო დაუთმეთ ახლობლებსა და ოჯახის წევრებს. ნუ გადაიტვირთებით ემოციურად. არ ვარგა მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. ატარეთ მწვანე, იისფერი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, ოპალი, აქატი, მარჯანი ან რუხი ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, ვარჯიში. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

### სამშაბათი

მოიმატებს ეჭვიანობა, პესიმიზმი, კრიტიკულობა. მოერიდეთ გამოცდების ჩაბარებას, საზოგადოებრივ გამოსვლებს. მოიმატებს გაუგებრობები. დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. ატარეთ თეთრი, მწვანე, იისფერი, ცისფერი, ნაცრისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, მალაქიტი, მწვანე იასპი, ამაზონიტი ან ჰელიოტროპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, ვაჭრობა, ახლობლებთან ურთიერთობა. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ლიმფური სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებსითვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

მოერიდეთ სასიყვარულო თავგადასავლებსა და ფინანსურ ავანტიურებს. მოქმედებისას მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. ნუ გადატვირთავთ გულს. არ ვარგა საფინანსო გარიგებები, ხელშეკრულების დადება, ადგილსამყოფლის შეცვლა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ლურჯი, ჩალისფერი, ყვითელი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია იურიდიული საქმიანობა, გართობა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს მიიღებთ სწორ გადაწყვეტილებებს. აკონტროლეთ ხასიათში ეგოიზმი, პატივმოყვარეობა, ქედმაღლობა, უყაირათობა, სიზარმაცე, პრეტენზიულობა. იყავით უანგარო. მოერიდეთ ფინანსურ გარიგებებს, ადგილსამყოფლის შეცვლას. ატარეთ წითელი, ოქროსფერი, ლურჯი, ნარინჯისფერი ან ჩალისფერი სამოსი; ქვებიიდან კი – ბრილიანტი, ფირუზი, სარდიონი, ქარვა ან ლაზურიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია იურიდიული საქმეები, ახალი საქმის დაწყება, თმის შეჭრა, გართობა, შოპინგი. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

### პარასკევი

გამახვილდება პასუხისმგებლობის გრძნობა. იმოქმედეთ მშვიდად და აუღელვებლად. კარგია ახალი საქმის დაწყება. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, ხელშეკრულების დადება, ადგილსამყოფლის შეცვლა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ლურჯი, ნარინჯისფერი, ჩალისფერი, მწვანე, ყვითელი, ვერცხლისფერი ან ყავისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ქარვა, ყვითელი იასპი, სარდიონი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია იურიდიული საქმეების შესრულება, ახალი სამსახურის დაწყება, მშენებლობა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა და ნაწლავთა სისტემები, ელენთა.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია ახალი საქმის წამოწყება, საბანკო-საფინანსო ოპერაციები, ვაჭრობა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ოპალი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

ამ დღეს სავსემთვარეობაა, მომატებულია ნეგატიური კოსმიური ენერგიები, რაც მეტად განაპირობებს, აგრესიას, ტრავმებს, ავარიებს, ჯანმრთელობის გაუარესებას, შეცდომებსა და ცდუნებებს. ნუ ჩაერევით სხვების საქმეში. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ახალი ნაცნობობა. ატარეთ ყვითელი, მწვანე, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, აქატი, გიშერი ან ოპალი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა თმის შეჭრა. კარგია ვარჯიშის დაწყება, სწავლა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**აფრიამაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **აფრია-მა**.

სტეფანა **აფრიამასშვილი**, საბუთის დამწ-ერი, მოიხსენიება 1775 წელს ოვანესა ამაზას-შვილის მიერ სამ ყაფლანისშვილისადმი მიც-ემულ ყმობის წიგნში.

ახუა **აფრიამაშვილი** 1851 წელს მოხსენი-ებულია სოფელ მუხათში.

ქართველების გრიგორიანული წესით მონ-ათვლის გამო, კუმისში მცხოვრები კათოლიკე **აფრიამაშვილები** სომხებად – **აფრიამოვებ-ად** ჩაწერეს.

**აფრიამაშვილები** სოფელ კუმისში ადიგე-ნის რაიონის სოფელ არალიდან არიან ჩამოს-ულები.

საქართველოში 752 **აფრიამაშვილი** ცხო-ვრობს: თბილისში – 547, ახალციხეში – 77, თბილისში – 63. არიან სხვაგანაც.

**ბალაბანაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბალაბა-ნა**, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება – **ბალ** და **ბანა**. სულხან-საბას მიხედვით, ბალა „ძაძველებულს" ნიშნავს.

**ბალა** ღანუკელი მოხსენიებულია 1559 წელს კახთა მეფის, ლეონ მეორის მიერ მცხეთის ეკლესიისადმი მიცემული ყმების შეწირულო-ბის წიგნში.

1721 წელს საგინაშვილ-ინდოშვილის ყმად ჩხიკვათში მოიხსენიება შავერდა **ბალაბანაშ-ვილი**.

**ბალაბანაშვილები** დღეს **ბალაბანოვებ-ად** და ბერძნებად არიან ჩაწერილები.

ამავე ძირისაა გვარი **ბალაბანიშვილი**.

საქართველოში 26 **ბალბანაშვილი** ცხოვ-რობს: თბილისში – 14, ადიგენში – 11, მარნ-ეულში – 1.

54 ბალბანიშვილი: თბილისში – 30, გორში – 4, გარდაბანში – 3. არიან სხვაგანაც.

**მემშვილდიშვილი**

**მემშვილდიშვილი** ხელობა-საქმიანობის მი-ხედვით შექმნილი გვარია. ადრე ქართლში ცხო-ვრობდნენ, შემდგომში კი, ბევრი სხვა გვარის წარმომადგენლების მსგავსად, რაჭაში გადავ-იდნენ.

1448 წელს ღანირში მცხოვრებ **მემშვილ-დიშვილს** საყდრისთვის ემართა ერთი საკლ-ავი, ერთი ქათამი, ყველი, კვერცხი, ხუთი კო-კა ღვინო და ძღვენი.

1423 წელს ენაგეთში მცხოვრები **მემშვი-ლდიშვილი** ბარათაშვილების გაყრისას ერგ-ოთ გერმანოზსა და მის ძმებს.

1630 წელს ენაგეთელი **მემშვილდიშვილი** სვიმონ მეფემ მამულითურთ უწყალობა ქაიხ-ოსრო ბარათაშვილს.

სარქისა **მემშვილდიშვილი** 1665 წელს სუ-ამბატა მურადაშვილის მიერ სუხინასა და გაბ-უსათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნ-ის მოწმეა.

საქართველოში 350 **მემშვილდიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 157, ონში – 58, გო-რში – 57. არიან სხვაგანაც.

**ჩიფირაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჩიფა**.

ჩხიკვთაში მცხოვრებმა ზაქარია **ჩიფირა-შვილმა** 1874 წელს, დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მონათლა შვი-ლი – ნინო. მიმრქმელი იყო ჩხიკვთელი დიმ-იტრი საგინოვი.

1873 წელს სოფელ ჩხიკვთაში მოიხსენიება სოლომონ **ჩიფირაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები: **ჩიფარაშვილი**, **ჩი-ფრაშვილი** და **ჩაფაშვილი**.

საქართველოში 46 **ჩიფირაშვილი** ცხოვრ-ობს: გურჯაანში – 30, თბილისში – 4, თელა-ვში – 2. არიან სხვაგანაც.

**როსტობაია**

**როსტობაიას** ადრინდელი გვარი იყო უგ-ვარია.

ვარაუდით, გვარის ფუძე წარმოიშვა ვინმე უგვარო კაცისგან, რომელსაც შემდეგ უგვა-რია გაუგვარდა.

ოჩამჩირის რაიონში მცხოვრები უგვარიე-ბის ნაწილმა გვარი **როსტობაიად** გადაიკე-თა. როგორც ჩანს, გვარის ფუძედ აიღეს სა-კუთარი სახელი – **როსტომი.**

უგვარია 1834 წლის საბუთებში მოიხსენი-ება.

საქართველოში 383 **როსტობაია** ცხოვრ-




ობს: ზუგდიდში – 205, სენაკში – 32, თბილი-სში – 26. არიან სხვაგანაც.

**ბაგრატაშვილი**

**ბაგრატი** ქართველ მეფეთა საგვარეულო სახელია, რომელიც, **ბაგრატიონთა** დინასტი-ის ფუძემდებელ **ბაგრატ** დიდისგან მოყოლე-ბული, ბევრ მეფეს ერქვა. **ბაგრატი** სომეხ მეფეთა სახელიც გახლდათ. წარმოშობით ამ სახელს ძველ სპარსულს უკავშირებენ: **ბაგ-ადათა** – „ღვთის ბოძებულს", „ღვთის წყალ-ობას" ნიშნავს. არსებობს, ასევე, სხვა მოსაზ-რებაც, რომლის მიხედვით, **ბაგრატი** ქართუ-ლი წარმოშობის სახელია.

პაატა **ბაგრატისშვილი** 1734 წლის სექტ-ემბერს მოიხსენიება კიკულა ბაჯაძის მიერ თავისი ბატონის, გიორგი **ბაგრატისშვილის** სახელზე გაცემული თავნასყიდობის წიგნში.

ზურაბა **ბაგრატიშვილი**, აზნაური, 1721 წლის აღწერით, ყაფლანიშვილების მემამულე იყო და ყმებიც ჰყავდა ქციაში. 1701-1711 წლე-ბში ცხოვრობდა სოფელ დრიანეთში.

აღწერის მასალებში აზნაური გიორგი **ბა-გრატიშვილი** მოიხსენიება სოფელ კოდაში, 1823 წელს.

**ბაგრატაშვილები** იყვნენ ყმა გლეხები, **ბა-გრატიშვილები** კი – აზნაურები.

საქართველოში 66 **ბაგრატაშვილი** ცხოვ-რობს: თბილისში – 38, თელავში – 9, თეთრი წყაროში – 7. არიან სხვაგანაც.

**ბაჯიაშვილი**

გვარის ფუძეა მეტსახელი **ბაჯია**.

გადმოცემით, გვარი **ბაჯიაშვილი** მიუღი-ათ თავიანთი რძლის, გმირი ქალის – **ანა-**ბაჯის პატივსაცემად.

**ბაჯიაშვილები** სოფელ მუხათში მოიხსენ-იებიან 1847 წლის ერთ-ერთ კერძო სამართლ-ებრივ აქტში. მათი გვარი ადრე ვარდუაშვილი ყოფილა, ხოლო 1840 წელს სომხურ-გრიგორ-იანულ სარწმუნოებას გვარის არქიტექტონიკა შეუცვლია. ამ პერიოდში არსებული გვარი ვა-რთანაშვილი ქვემო ქართლის ბევრ სოფელში აქვს აღწერილი ვახუშტი კოტეტიშვილს.

საკუთარი სახელი ვარდუა გვხვდება ადრ-ეული პერიოდის სამართლის ძეგლებში.

საქართველოში 104 **ბაჯიაშვილი** ცხოვრ-ობს: თბილისში – 26, ბორჯომში – 5, გორში – 1. არიან სხვაგანაც.

**გორგოშიძე**

**გორგოშიძეთა** გვარში ფუძედ გამოყენებ-ულია მამაკაცის საკუთარი სახელი **გორგა.**

**გორგა** უძველესი საკუთარი სახელია, რო-მელიც ბევრ ისტორიულ წყაროსა თუ ხალხ-ურ პოეზიაში გვხვდება.

ასევე, გვხვდება მამაკაცის საკუთარი სახ-ელი – **გორგიშა, გორგოშა.**

სხვათა შორის, გორგოშა გვხვდება ყვე-ლაზე ძველ ძეგლში – „ტბეთის სულთა მატ-იანეში".

**გორგა**, აგრეთვე, საფუძვლად უდევს მე-თერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში ერთ-ერთ ნაწარმოებ გვარს – **გორგაეთს.**

ზოგიერთმა მეცნიერმა საკუთარი სახელი გორგა გიორგისთან გააიგივა, რაც დაუშვებ-ელი და მცდარია. ეს სახელი უფრო სპარსუ-ლი სიტყვა „გორგადან" იღებს სათავეს, რაც ქართულად „მგელს" ნიშნავს.

**გორგოშიძე-გორგოშაძე** გვარის ეტიმოლ-ოგიას რამდენიმე მკვლევარი შეეხო. იოსებ ბექირიშვილმა ისინი **გოშუა-გოშაძესა** და **გო-რგოშიათა** გვარებს დაუკავშირა, რაც მართე-ბული არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, მკვლევ-რებმა არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ, გაცილებით ადრე, დაახლოებით მეცამეტე სა-უკუნის მეორე ნახევარში, გვხვდება გვარები **გოშუანი** და **გოშვანი**.

**გორგოშაძე** აჭარული გვარია, გორგოშიძე კი – მისი განაყოფი გვარი.

**გორგოშაძეები** გურიაშიც ცხოვრობენ, მა-გრამ, მათი უმრავლესობა **გორგოშიძედ** არის ჩაწერილი.

ამ გვარის წარმომადგენლები ძირითადად ცხოვრობენ კორნათში, აჭარისწყალში, ერგე-თში, სიმონეთსა და ბათუმში. ეს გვარი თურ-ქეთშიც გვხვდება, კერძოდ, მარადიდში, მაგ-რამ, აქ ისინი ოზგანად იწერებიან. როგორც ჩანს, მათი წინაპრები მლვდლები იყვნენ და მეტსახელად „ფაფაზი" შეურქმევიათ, შვილე-ბი კი საბუთებში ფაფაზოლლად ჩაწერეს, ხო-ლო ზოგიერთი მათგანი – იმამოლლად.

1614 წელს სვიმონ გურიელმა თავისი მამ-ულის მოსახსენიებლად ბაოჭულა **გორგოში-ძე** აჭის წმიდა გიორგის შესწირა და გამოსალ-ები დაუწესა.

საქართველოში 83 **გორგოშიძე** ცხოვრო-ბს: ზუგდიდში – 48, ქუთაისში – 17, თბილის-ში – 14. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**„ქართველი მესაჭურვლე", „რკინის კაცი", „ცივი იარაღის ქართველი ოსტატი" – ამ და სხვა ეპითეტებით იხსენიებენ მსოფლიოს სხვადასხვა გამოცემაში ჰოლანდიაში მოღვაწე ჩვენს თანამემამულეს, გოჩა ლაღიძეს. მას თავისი ხელოვნებით აღტაცებაში მოჰყავს ყველა. მისი ნამუშევრები მსოფლიოს არაერთ მუზეუმსა თუ პირად კოლექციებშია დაცული. გასულ წელს ჰოლანდიის არტფესტივალზე ჟიურის შემადგენლობაც იყო. ჩვენც მასთან საუბარი სწორედ ამ მოვლენით დავიწყეთ.**

# რა უნიკალური ქართული იარაღი აღმოჩნდა ჰოლანდიაში მოღვაწე მესაჭურვლე გოჩა ლაღიძის ხელში

**გოჩა ლაღიძე**: არტფესტივალი წელიწადში ერთხელ ტარდება ევროპის ქვეყნებში (ყოველ შემთხვევაში, მე სადაც მიმიღია მონაწილეობა, იმ ქვეყნებში). საფრანგეთის არტფესტივალში მიმიღია მონაწილეობა, ჰოლანდიის, ბელგიის.

**– არტფესტივალში ჟიურის წევრობას, ყველას არ სთავაზობენ. ამისთვის საჭიროა აღიარება, ნიჭი, წარმატება...**

– უკვე მეოთხე წელია, ზედიზედ ჰოლანდიის არტფესტივალში პირველ პრიზს – გრანპრის ვიღებ. ბელგიასა და საფრანგეთში თითოთითოჯერ გავხდი იგივე პრიზის მფლობელი. ბოლო წელს უკვე ჰოლანდიის არტფესტივალზე ჟიურის შემადგენლობაში ვიყავი. ეს არც ისე მნიშვნელოვანია...

**– მე მგონი, თავმდაბლობთ...**

– არა... არ ვიცი... არ არის ეს „ოსკარს" ან ნობელის პრემიას რომ იღებენ, იმის მსგავსი მოვლენა, მაგრამ.... იქ მთელი მსოფლიოდან მონაწილეობენ ავტორები – იაპონიიდან, ამერიკიდან, გერმანიიდან... ამ ფესტივალზე აქცენტი მაინც გაყიდვაზეა. ფესტივალის ბოლოს ტარდება საუკეთესო ნამუშევრების ნომინაციებში გამარჯვებულთა დაჯილდოება. ეს ნომინაციებია: საუკეთესო გასახსნელი დანის პრიზი, გახსნილი დანის პრიზი და არის საუკეთესო პრიზი. როგორც მოგახსენეთ, ამ უკანასკნელი პრიზის მფლობელი ვხდები ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. შეიძლება გამართლებაცაა, იმდენად მაგრები მონაწილეობენ... უკვე ყველა მიცნობს აქ.

**– გამოყენებით ხელოვნებას არაერთი დარგი აქვს, მანდ რომელი ვითარდება ყველაზე უფრო?**

– აქ უფრო ვითარდება მხატვრული დანები. რომელთაგან ზოგიერთი 100 ათასიც კი ღირს.

არიან მეიარაღეები, რომელებიც, შეიძლება, ასეთი შედარება მოვიყვანო: „კოსმოსში გავიდნენ". ვიცი ავტორები, რომლის გასახსნელი დანა 60 ათას ევროდ გაყიდულა. ფასებზე დახარბებული არ ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ შოკია, თანაც დამსახურებული.



სხვათა შორის, მოსკოვში არასოდეს წავსულვარ და არც მსურს. იქ არიან უმაღლესი რანგის მყიდველები. „გოსტინნი დვორ" – ასე ჰქვია მათი თავშეყრის ადგილს. ევროპაში მსგავსი ადგილებია მილანში, ჰელსინკში. იქ არის ბირჟები, სადაც ასეთი საავტორო დანები იყიდება.

**– როგორც ვიცი, თქვენ ძირითადად, ორი მიმართულებით მუშაობთ?**

– ასეა. ვარ მხატვარი-მეიარაღე, ხოლო მეორე მიმართულებაა – რესტავრაცია. ეს არის ანტიკვარული იარაღის გამოფენები. რესტავრაცია შემოსავლის წყაროა.

**– წარმატება, სახელი და გამოცდილება, ალბათ, ფასებზეც აისახება. რა თანხა იყო ყველაზე დიდი თქვენს ნამუშევარში რომ აიღეთ?**

– 45 ათასი ევრო, პლუს დღგ. ეს იყო ჰოლანდიის მთავრობის დაკვეთა – პატარა ბავშვის აბჯარი. თუმცა, იყო კიდევ... ერთ-ერთი ჩემი ნამუშევარი, რომელიც გაყიდული მქონდა, კულუარულად გავიგე, რომ ჩემს შემდეგ გაიყიდა (მეორედ) 125 ათას ევროდ. თავის დროზე, ვინც ეს ნამუშევარი დამიკვეთა და შეიძინა, ის ადამიანი გარდაიცვალა და მისმა შვილებმა მეორედ გაყიდეს.



**ყველაზე დიდი თანხა, რაც ჩემს ნამუშევარში ავიღე 45 ათასი ევროა, პლუს დღგ. თუმცა, იყო კიდევ... ერთ-ერთი ჩემი ნამუშევარი, რომელიც გაყიდული მქონდა, კულუარულად გავიგე, რომ ჩემს შემდეგ გაიყიდა (მეორედ) 125 ათას ევროდ**

**– თქვენ რა ფასად გაყიდეთ პირველად?**

– 2000 წელს 35 ათას გულდენად, ანუ დაახლოებით 20 ათას ევროდ. ეს იყო მინიატურა. მე დაახლოებით ერთი წელი ვმუშაობდი მასზე.

**– გამათამამეს ჰოლანდიაშიო, ინტერვიუს ჩაწერამდე მითხარით. რას გულისხმობდით?**

– ჰო, ჰოლანდიაში გამათამამეს. სამეფო ოჯახის აბჯრები შემიკვეთეს, შემდეგ ერთ-ერთმა მეცენატმა დამიკვეთა იგივე აბჯრის ასლი ერთი ოთხში მასშტაბით. ეს განა მარტო გამოჭედვაა, ინტელექტუალური შრომაა, ისტორიაში ჩაწვდომაა... კომპლექსური აზროვნება სჭირდება. ნამუშევარი დამთავრებულიც არ იყო, ლუქსენბურგის ფესტივალზე პირველი პრიზი რომ აიღო. მეცენატი, რომელმაც აღნიშნული აბჯარი დამიკვეთა, ჰოლანდიის სამეფო ოჯახის ახლობელი იყო. შეიძლება ითქვას, მან მე ამ სამყაროში ვიზა მომცა. მან მიმიწვია ვასენაარში – ეს არის სოფელი, რომელიც ქალაქ დენ ჰააგასთან ახლოსაა და დღევანდელი მეფეც აქ ცხოვრობს. ძალიან მაღალი საზოგადოების წევრები არიან ამ სოფლის მკვიდრნი. მოკლედ, ამ მეცენატმა კრედიტი მომცა სამუშაო იარაღის შესაძენად, გრდემლი მაჩუქა 200 წლის, უნიკალური. დამეხმარა, თან იცით, როგორ? – დაგეხმარები, მაგრამ, აბა, ვნახოთ, რას იზამ...

**– ამჟამად რაზე მუშაობთ?**

– უკვე მეხუთე წელია, ზედიზედ ვმუშაობ ანტიკვარული იარაღის რესტავრაციაზე. მართალია, ჰოლანდიაში ვცხოვრობ, მაგრამ მთელი მსოფლიოდან მომმართავენ. ჰოლანდიიდან დაკვეთების მხოლოდ 10 პროცენტი მაქვს. ვაკეთებ რესტავრაციას ორი კატეგორიისთვის – დილერების და კოლექციონერებისთვის. ანტიკვარული იარაღი უდიდესი სამყაროა. ამ ყველაფრის პარალელურად, არ ვწყვეტ საავტორო იარაღებზე მუშაობას. სულ ბოლო ჩემი ნამუშევარია წელზე შემოსარტყმელი ხანჯალი. წელზე შემორტყმული ჩანს როგორც ჩვეულებრივი ქამარი, შეიხსნი და უცბად დიდი ხანჯალი გაქვს ხელში. ასეთი ნივთი არ არსებობს. ასეთ ექსკლუზივებზე ვმუშაობ. ერეკლე მეორის ხმალი გავაკეთე, ბაგრატიონების ხმალი. ახლა სვანური ფარი აღვადგინე, რომელიც ამჟამად მესტიის მუზეუმშია დაცული.

**– ალბათ, ყველა ნივთი თავის ისტორიას გიამბობთ. მიამბეთ ერთ-ერთი მათგანი.**

– მომიტანეს ერთი ხმალი. თავიდან არც ვიცოდი, ქართული რომ იყო, ისე იყო დაჟანგული. თუმცა, კავკასიური რომ იყო, მაშინვე მივხვდი. გავწმინდე და აღმოვაჩინე წარწერა, რომ ეს ხმალი იყო მისი უდიდებულესობა იმპერატორის მეიარაღის „ეგო იმპერატორსკოგო ველიჩესტვო, ორუჟეინიკ გეორგის" ნამუშევარი. გეორგ, ანუ გიორგი ელიზარაშვილი. ის საქართველოში ითვლება იარაღის მეფეთა მეფედ. მეცხრამეტე საუკუნეში მხოლოდ ორ ოსტატს ჰქონდა უფლება, თავის ნახელავზე დაეწერათ: მისი უდიდებულესობა იმპერატორის მეიარაღის ნამუშევარი. ასეთი ხმლები ერმიტაჟში ორი თუ სამია დაცული. ხმალი, რომელზეც გიამბობთ, 25 ათასი ევრო ღირდა. რა დამემართა იცით, თითქოს სისხლი მიდუღდა, როცა ვეხებოდი... მივმართე ჰოლანდიაში საქართველოს საელჩოს. ვუთხარი, ხომ არ შეიძენთ-მეთქი. მერე ეროვნულ მუზეუმს, ფოტოებიც გადავუგზავნე – ასეთი და ასეთი ნივთია, საქართველოში არ გვაქვს მსგავსი-მეთქი. მათ, როგორც მითხრეს, „სამოსელ პირველს" მიმართეს... ერთი სიტყვით, წავიდა ეს ხმალი, გაიყიდა.

**– სად გაიყიდა?**

– ისევ რუსეთში. რუსებს იცით, რა მაგრად უყვართ?! ისეთ იარაღს გაუვლია ჩემს ხელში: დადიანების, გურიელების... მაგრამ ეს ხმალი...

**– ელიზარაშვილის გარდა, ის მეორე იმპერატორის მეიარაღე ვინ იყო?**

– პოპოვი.

**– ეს ის პოპოვია ჭურჭელზეც რომ მუშაობდა?**

– კი, ეგ არის. სხვათა შორის, გიორგი ელიზარაშვილს სომხებიც იჩემებენ. ასტვაცატურიანს, კრემლის „ორუჟეინნი" პალატის კურატორს, აქვს პრეტენზია, რომ ელიზარაშვილი სომეხი იყოო: გეორგ ასპეტოვიჩ ელიზაროვი.

**– ვისაც გვსმენია მოსაზრება, რომ რუსთაველი სომეხია, მაგ ინფორმაციით ველარ გაგვაკვირვებთ.**

– *(იცინის).* აქ, ჰოლანდიაში, სომეხი მეზობელი მყავს ჰაიკ გვარად - ორბელიან. ძმაკაცი არაა, მაგრამ კავკასიური ახლობლობა გვაკავშირებს. გახსოვთ ალბათ, ნაპოლეონს ჰყავდა მამლუქი – რუსტამ რიზა, რომელიც თბილისელი სომეხი იყო. ის ბავშვობაში მოიტაცეს, შემდეგ სტამბულის ბაზარზე გაყიდეს და გახდა მამლუქი. მან შემდეგ წიგნი დაწერა. მისი პორტრეტებიც ცნობილია. საუბარი რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ გეტყვით, ჩემს მეზობელს ვეუბნები: ჰაიკ-ჯან, იცი, რომ ნაპოლეონის მამლუქი, რუსტამ რიზა შენსავით თბილისელი სომეხი იყო-მეთქი. წარბიც არ შეუხრია: ეგ რა გასაკვირია, თვითონ ნაპოლეონიც სომეხი იყოო, – მიპასუხა.

**ეკა სალაღაია**

# რა წარმოდგენა მოუწყო ოკუპირებულ ოდესაში ფაშისტებს ქართველმა თაღლითმა

***2002 წლის დეკემბერში, მოსკოვში, საბჭოთა კრიმინალური სამყაროს ლეგენდა პავლე აბაშიძე, მეტსახელად „ფრანტი," 92 წლის ასაკში გარდაიცვალა. აბაშიძე ცნობილი თაღლითი იყო და მისი ყოველი დანაშაული კარგად იყო დაგეგმილი და მახვილგონიერებით გამოირჩეოდა. ის დიდი პატივით დაკრძალეს ერთ-ერთ პრესტიჟულ სასაფლაოზე და მისი ტალანტის თაყვანისმცემლებს მის საფლავზე მუდმივად მიაქვთ ცოცხალი ყვავილები...***

### დაზარალებული ბერია

პავლე აბაშიძე დაიბადა 1910 წელს, თბილისში. მამამისი სამხედრო ოფიცერი იყო და პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა. ცოტა ხანში დედაც გარდაეცვალა და 7 წლის პავლე დაობლდა. ცოტა ხანს მას შორეული ნათესავი უვლიდა, მაგრამ, 8 წლის ასაკში ბავშვი ბოშებს შეეკედლა და მათთან ერთად დახეტიალობდა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე. 1925 წელს ბოშები კვლავ თბილისში დაბანაკდნენ და პავლეც მათთან ერთად იმყოფებოდა. 15 წლის ბიჭი ჩამოყალიბებული ჯიბგირი იყო და დიდი ოსტატობით უსუფთავებდა ჯიბეებს სხვადასხვა ასაკისა თუ შეძლების მოქალაქეებს. ბოშებმა თბილისში ცოტა ხანი დაჰყვეს და ისევ გაემგზავრნენ, პავლე კი მშობლიურ ქალაქში დარჩა. ის მასზე ათი წლით უფროსმა ქალმა, ბერძენმა მადინა გალიასმა შეიფარა, რომელსაც ტანადი ჭაბუკი მოეწონა და მისი საყვარელი გახდა.

პავლე უქმად არ კარგავდა დროს და თბილისში ჯიბგირობდა. 1928 წელს თბილისში სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენა ჩატარდა, რომელსაც ძალიან ბევრი ადამიანი ესწრებოდა. ერთ დღეს გამოფენაზე პავლეც მივიდა „საჩალიჩოდ" და საშუალო სიმაღლის, თავმოტვლეპილ, პენსნეიან მამაკაცს პიჯაკის ჯიბიდან საათი ამოაცალა. 18 წლის ჯიბგირმა ისე სუფთად იმუშავა, რომ ვერავინ ვერაფერი შენიშნა და, ამიტომ, დანაშაულის ადგილი მშვიდობიანად დატოვა. თუმცა, პავლე მეორე დღეს მადინა გალიასის სახლში დააპატიმრეს და ნაქურდალ საათთან ერთად პირდაპირ „ჩეკაში" მიიყვანეს. საქმე ის იყო, რომ საათი მან „ჩეკას" უფროსს მოჰპარა, ანუ, დაზარალებული თავად ლავრენტი ბერია იყო...

### ექსკლუზიური წარმოდგენა

სასტიკი და დაუნდობელი ადამიანის სახელის მიუხედავად, საქართველოს „ჩეკას" უფროსს კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა. დაკავებული პავლე აბაშიძე მან თავის კაბინეტში მოაყვანინა, ყურადღებით შეათვალიერა და ღიმილით უთხრა:

– ოსტატურად იმუშავე. კიდევ კარგი, თავი არ მომპარე. თუმცა, ერთი მხრივ, კარგი საქმე გამიკეთე – სიფხიზლე გამიასმაგე. თუ შემპირდები, რომ აღარასოდეს იჯიბგირებ, დასჯის ნაცვლად დაგაჯილდოებ.

– პირობას გაძლევთ, რომ აღარ ვიჯიბგირებ, – უთხრა ბერიას პავლემ, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა, ვის ელაპარაკებოდა.

ბერიას გაეცინა. მაგიდის უჯრიდან ჯიბის საათი ამოიღო, პავლეს გადასცა და უთხრა:

– აი, გამომართვი, წარწერით გჩუქნი. შენ მიერ მოპარულ საათს გაჩუქებდი, მაგრამ, ის თავადაა საჩუქარი და პირადად ამხანაგმა სტალინმა მისახსოვრა.

სტალინის სახელის ხსენებაზე პავლე ოდნავ გამოერკვა, რადგან, ყოველდღე ესმოდა მისი სახელი, ბერიამ კი მას ხელი ჩამოართვა და კაბინეტიდან გამოისტუმრა. ბერიას ნაჩუქარი საათი პავლე აბაშიძეს შარვლის ჯიბეში ედო, რომელზეც ლამაზად იყო ამოტვიფრული: „სახსოვრად პავლე აბაშიძეს ლავრენტი ბერიასგან. 1928 წელი". პავლე რომ სახლში დაბრუნდა, ყველაფერი მადინას მოუყვა და ჯიბის საათიც აჩვენა, ქალს შიშისგან გული წაუვიდა და მოსასულიერებელი გახდა, რადგან, კარგად უწყოდა, ვინ იყო ლავრენტი ბერია.

> **სანამ უცხოელები ძვირფასი ნივთების „ამოფრენას" ელოდნენ, პავლემ და მადინამ 75 ათასი მანეთის ღირებულების ნივთები მოსკოვში გაიტაცეს**

იმავე წელს, მადინა და პავლე ლენინგრადში გადასახლდნენ და მართალია, აბაშიძე აღარ ჯიბგირობდა, მაგრამ კრიმინალური საქმიანობისთვის თავი არ დაუნებებია. უბრალოდ, მან პროფესია შეიცვალა და თაღლითი გახდა. თავიდან ის წვრილმანი აფერებით იყო დაკავებული და ორიოდე კაპიკს ამ საქმიანობით შოულობდა. გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში კი, როდესაც საბჭოთში ინდუსტრიალიზაცია დაიწყო და ქვეყანას უცხოელები მოაწყდნენ, პავლემ მათ „გაწევნვას" მიჰყო ხელი, რაშიც მადინაც ეხმარებოდა. 1933 წლის 20 ივნისს ლენინგრადის სასტუმრო „მეტროპოლის" ფეშენებელური რესტორნის სცენაზე ილუზიონისტმა, რომელიც საკუთარ თავს „ფრანტს" უწოდებდა, უცხოელებისთვის ექსკლუზიური წარმოდგენა გამართა. ფრანტი, რა თქმა უნდა, პავლე აბაშიძე იყო, რომელიც ცილინდრსა და ფრაკში გახლდათ გამოწყობილი, ხელებზე კი თეთრი ხელთათმანები ეცვა. მისმა მომხიბვლელმა ასისტენტმა ქალმა, რომლის როლსაც მადინა გალიასი ასრულებდა, მაგიდებს ჩამოუარა შავი ყუთით, რომელშიც უცხოელები ძვირფას ნივთებს ყრიდნენ. ეს ყუთი მადინამ სცენაზე აიტანა და მაგიდაზე დადო, თავად კი კულისებში გაუჩინარდა. ამ დროს სცენაზე ფრანტი გამოჩნდა და შეკრებილ საზოგადოებას განუცხადა, რომ ორიოდე წუთის შემდეგ ყუთში მოთავსებული ნივთები ამოფრინდებოდნენ და თავიანთ პატრონებთან მიფრინდებოდნენ, ანუ, ამგვარად „დაუბრუნდებოდნენ" თავიანთ პატრონებს.

– ერთი, ორი, სამი! – დაიძახა ფრანტმა და რესტორანში შუქი ჩაქრა. ნახევარი წუთის მერე კი, როდესაც „მეტროპოლის" რესტორანი ისევ გაჩახჩახდა, სცენა ცარიელი იყო, მაგიდაზე კი ძვირფასეულობით სავსე ყუთი უკვე აღარ იდო... ეს არც იყო გასაკვირი, რადგან, პავლემ და მადინამ 75 ათასი მანეთის ღირებულების ნივთები წაიღეს და მოსკოვში გაემგზავრნენ. ილუზიონისტის „ექსკლუზიური წარმოდგენა" კი დიდი სკანდალით დასრულდა და თაღლითი წყვილის ძებნა „ენკავედემ" – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დაიწყო.

### ჰიტლერ კაპუტ!

მიუხედავად იმისა, რომ თაღლით წყვილს ინტენსიურად ეძებდნენ, მათი მოხელთება არ ხერხდებოდა. 1936 წელს მხოლოდ მადინა გალიასი დააკავეს და ხუთი წლით ციხეში ჩასვეს, 1941 წელს კი გაათავისუფლეს და ფრონტზე გაგზავნეს, სადაც ის 1941 წლის ოქტომბერში დაიღუპა. პავლე აბაშიძე კი დიდ სამამულო ომს ოდესაში შეხვდა, სადაც ის ბოლო ორი წელი „მოღვაწეობდა" და ეს საქმიანობა არც ფაშისტური ოკუპაციის დროს შეუწყვიტია.

ქურდობის მიუხედავად, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებდა, პავლე თავისი ქვეყნის პატრიოტი იყო, სძულდა ფაშისტები და ცდილობდა, მათთვის ევნო. 1942 წლის აგვისტოს მიწურულს, ოდესის კინოთეატრ „არსში", სადაც ორასი გერმანელი ოკუპანტი ჯარისკაცი და ოფიცერი იყო შეკრებილი, ვითომდა ცირკის მსახიობმა ფრანტმა, ფაშისტებს „მეტროპოლის" რესტორანში ჩატარებული სეანსი გაუმეორა და, მას მერე, რაც სცენიდან ფაშისტების კუთვნილი ძვირფასეულობით სავსე ყუთი გაუჩინარდა, დარბაზი კვლავ გაჩახჩახდა. „მფრინავი" ნივთების მომლოდინე ფაშისტებს კი ორი სიურპრიზი ელოდათ: უცებ სცენის ფარდა დაეშვა, რომელზეც ჩამომხრჩვალი ჰიტლერის უზარმაზარი კარიკატურა იყო მიკრული და ეწერა: „ჰიტლერ კაპუტ!". ფაშისტები აღშფოთდნენ და აწრიალდნენ, მაგრამ, ამ დროს, დარბაზის ოთხივე მხარე ერთბაშად აალდა და კინოთეატრში ხანძარი გაჩნდა, რომელსაც ოცი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ორჯერ მეტი კი მძიმედ დაშავდა. ეს აქცია ფრანტმა ოდესელ იატაკქვეშელებთან ერთად განახორციელა და მეორე დღესვე გაუჩინარდა ოდესიდან... მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და ფრანტი სამჯერ იჯდა ციხეში კრიმინალური საქმიანობისთვის. თუმცა, წითელი ვარსკვლავის ორდენი, რომელიც მას ოდესის აქციისთვის მიანიჭეს და ლავრენტი ბერიას მიერ ნაჩუქარი საათი მისთვის არავის ჩამოურთმევია...

**ნიკა ლაშაური**



# როგორ გათვალა ბერმა მამინაცვლის მკვლელობის ყველა ეპიზოდი და რა შეცდომა დაუშვა მან მკვლელობის შემდეგ

62 წლის ვაჟა მ-ძის გვამი სამართალდამცველებმა საკუთარ სახლში აღმოაჩინეს. ცხედარს ორი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, ერთი შემავალი ჭრილობა – სიცოცხლისთვის შეუთავსებელი გულ-მკერდის არეში აღენიშნებოდა. მეორე კი, როგორც სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, ყელის არეში უკვე სიკვდილის შემდეგ ჰქონდა მიყენებული. სისხლში ამოსვრილი ცხედარი შემთხვევის ადგილზე, ბინაში შემთხვევით მოხვედრილმა ნაცნობმა აღმოაჩინა და მომხდარის შესახებ, მანვე აცნობა სამართალდამცველებს. სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. შემთხვევის ადგილზე იყო დანაშაულის იარაღიც – მოზრდილი დანა, რომელიც მკვლელს იქვე მიეტოვებინა. თუმცა, დანაშაულის იარაღი ისე გაეწმინდა, რომ ქიმიური ანალიზის შემდეგ, მასზე მხოლოდ გარდაცვლილის სისხლის ლაქებს მიაგნეს – თითის ანაბეჭდების კვალი გამქრალიყო.

შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდა ჩანთაში ჩაწყობილი, წასაღებად გამზადებული რამდენიმე ძვირფასი ნივთიც, რომლის ბინიდან გატანა მკვლელს, რატომღაც ვერ მოესწრო და სასტუმრო ოთახის კუთხეში მიეტოვებინა.

***

წინასწარი მოკვლევით, მკვლელობის ერთადერთი ვერსია ყაჩაღობა იყო. როგორც გამოძიებით გახდა ცნობილი, ბინიდან გაიტაცეს ვაჟა მ-ძის კუთვნილი საგვარეულო რელიკვია. გარდაცვლილი მამაკაცი ბინაში მარტო ცხოვრობდა და მას მეზობლები პატივს სცემდნენ. ვაჟა მ-ძეს ჰყავდა ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან, რომელიც ქმარ-შვილთან ერთად იტალიაში ცხოვრობდა. ბოლო წლებში უმუშევრად დარჩენილ ექიმ მამას ის აფინანსებდა. ვაჟა მ-ძეს აგრეთვე, ჰყავდა გერი – 45 წლის კახა დ-ია, რომელიც მასთან არ ცხოვრობდა.

სამართალდამცველებმა კახა დ-იაც დაკითხეს. მან მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა. განაცხადა, რომ მამინაცვალთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და ბოლოს, მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ნახა. „თვითონ დამირეკა, მომენატრეო. ერთი საათი დავრჩი მასთან, ჩემი და ხათუნას ამბები გამომკითხა, ხომ არ ჩხუბობთო. დამშვიდობებისას 100 ლარი მაჩუქა, რამე იყიდე შენთვისო, თან ვუთხარი, ზუგდიდში მივდივარ მამიდასთან-მეთქი. მოკითხვებიც დამაბარა და ასე დავშორდით ერთმანეთს." კახა დ-იას ნაამბობი ეჭვს არ იწვევდა. უფრო მეტიც, გარდა იმისა, რომ ახალგაზრდა მამაკაცს მამინაცვლის მოკვლის საბაბი არ ჰქონდა, ძალიან მყარი ალიბიც გააჩნდა. ბილეთი, რომლითაც ის ზუგდიდში გაემგზავრა და მამიდა, რომელმაც მას უმასპინძლა. ერთადერთი ეჭვი, რომელიც მაშინ გამოძიებას გაუჩნდა, თუ რატომ წავიდა კახა მამიდასთან მატარებლით და არა საკუთარი ავტომანქანით, კახამ თავად განმარტა – ძველი ავტომანქანა მყავს, შორ გზაზე წასვლა არ მიღირდა. ხან სად ფუჭდება და ხან სად. ღამის მატარებელი უფრო მოსახერხებელი იყოო. თუმცა, რატომ აღმოაჩნდა თბილისში დაბრუნებულს ორი დღის მერე ქურთუკში მატარებლის ბილეთი, ეს ის შეკითხვა გახლდათ, რომელსაც პასუხი ერთი წლის შემდეგ გაეცა.

***

სამართალდამცველებმა ანონიმური ინფორმაცია მიიღეს, რომლის მიხედვითაც ირკვეოდა, რომ ვაჟა მ-ძის მკვლელი კახა დ-ია იყო. ანონიმი ინფორმატორი ახალგაზრდა ქალბატონი უნდა ყოფილიყო, რომელმაც სამართალდამცველები სწორ კვალზე დააყენა. მათ ჯერ ანონიმი ქალბატონი გამოააშკარავეს – ის კახა დ-იას ყოფილი მეუღლე იყო. მან დაკითხვისას განაცხადა, რომ მკვლელობიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ნასვამმა ქმარმა მასთან მამინაცვლის მკვლელობა აღიარა. „ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა მან ამის შესახებ მიამბო. ძალიან მთვრალი იყო და ბევრი იტირა: ეს არ უნდა გამეკეთებინა, ძალიან ვდარდობო. მეორე დღეს უკვე გამოფხიზლებულს ამ თემაზე რომ გავესაუბრე, სასტიკად უარყო. ტყუილად გითხარი, გამოგცადე და ამაზე საუბარი აღარ მინდაო, – მითხრა". როგორც გაირკვა, მას ძალიან უნდოდა იმ ბინის დასაკუთრება, რომელიც მისი იტალიაში მცხოვრები ნახევარდის საკუთრება იყო. გადამოწმდა ვერსია, რომ ყოფილი მეუღლის მიერ მამაკაცის მკვლელობაში დადანაშაულება, შესაძლოა შურისძიებით ყოფილიყო მოტივირებული. სწორედ მაშინ მიაკვლიეს ყველაზე მთავარ მტკიცებულებას – მკვლელის საბედისწერო შეცდომას, რომელიც მან მამინაცვლის კარგად დადგმული და ინსცენირებული მკვლელობის დროს დაუშვა. ეს იყო ბინიდან წაღებული ძვირფასი საგვარეულო რელიკვია, რომელიც გარდაცვლილის დამ ამოიცნო.

სამართალდამცველებმა კახა დ-ია დააკავეს, თავიდან ის ჩადენილ დანაშაულს არ აღიარებდა. თუმცა, მოგვიანებით, იძულებული გახდა, ჩადენილი დანაშაული ეღიარებინა. ამონაწერი მისი ჩვენებიდან: „ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ვაჟა ბინის გადაფორმებას თავის ქალიშვილზე აპირებდა. არადა, დედაჩემის და მისი შეთანხმების მიხედვით, ეს ბინა მე უნდა დამრჩენოდა. მას შემდეგ, რაც ცოლს დავშორდი, საკუთარი საცხოვრებელი აღარ მქონდა. მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე, ვაჟასთან მივედი და ვთხოვე: ეს სახლი გავყიდოთ, შენ სახლს დაგიგირავებ და რაც ფული დარჩება, მომეცი, ჩემთვის პატარა ბინას ვიყიდი-მეთქი. არაო, – მითხრა. ეს ბინა ჩემს ქალიშვილზე მაქვს გადაფორმებულიო. ვიცოდი, რომ მატყუებდა. გამოუვალ სიტუაციაში ვიყავი – როგორმე ბინა ხელში უნდა ჩამეგდო. ვიცოდი, რომ მას პირველი ანდერძი ჩემს სახელზე ჰქონდა შედგენილი, უნდა მომესწრო, სანამ ჩემი ნახევარდა იტალიიდან ჩამოვიდოდა და ვაჟა ბინას თავიდან გადააფორმებდა მასზე. ყველაფერი გავთვალე, ალიბი რომ მქონოდა ღამით მატარებლით გავემგზავრე. თუმცა, როგორც კი მატარებელი ქალაქიდან გავიდა, პირველივე სადგურზე ჩამოვედი, ტაქსით პირდაპირ ვაჟასთან მივედი, მკვლელობის მერე კი ზუგდიდში ჩემი მანქანით ჩავედი. ალიბი მამიდასთანაც ხომ უნდა მქონოდა – მანქანა ვაგზალზე დავტოვე და მამიდას ვუთხარი, მატარებლით ვიმგზავრე-მეთქი. თითქოს ყველაფერი დეტალებში მქონდა გათვლილი. ის სამკაულებიც, რაც მამინაცვლის სახლიდან წამოვიღე, მტკვარში გადავყარე. დავიტოვე საგვარეულო რელიკვია, რომელიც ვიცოდი, რომ ძვირად ღირებული იყო და მოგვიანებით, ისეთ ადამიანს მივყიდე, რომელსაც ამ საქმეს ვერასდროს დაუკავშირებენ. როგორც ჩანს, ეს იყო ჩემი შეცდომა." კახა დ-იამ აღიარა ისიც თუ როგორ მოკლა გამზრდელი მამინაცვალი, როგორ ჩაარტყა დანა, უკვე გარდაცვლის ყელში იმის გამო, რომ მის სიკვდილში დარწმუნებულიყო; როგორ გაწმინდა მკვლელობის იარაღი. მოსაპარად გამზადებული ნივთები კი იმიტომ დატოვა შემთხვევის ადგილზე, რომ სასწრაფოდ გაქცეული ყაჩაღის იმიტაცია შეექმნა. სასამართლომ არ გაიზიარა, ახალგაზრდა მამაკაცის სინანული ჩადენილი დანაშაულის გამო, და მას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**მკვლელი საკმაოდ გამოცდილი უნდა ყოფილიყო – მან ყველა კვალი წაშალა**

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

**10 მარტი**

1435 – ესპანელმა მეზღვაურებმა აღმოაჩინეს გალაპაგოსის არქიპელაგი.

1910 – ჩინეთში აიკრძალა მონობა.

1931 – დაიწყო ქალაქ მაგნიტოგორსკის მშენებლობა.

1967 – მეხიკოში დაიბადა რვა ტყუპი (პირველი დარეგისტრირებული შემთხვევა).

1977 – ამერიკის, ავსტრალიის, ინდოეთის, სამხრეთ აფრიკის ასტრონავტთა ჯგუფებმა ერთდროულად აღმოაჩინეს პლანეტა ურანის რგოლები.

**11 მარტი**

1669 – ამოიფრქვა ვულკანი ეტნა. სხვადასხვა მონაცემებით დაიღუპა 20-დან 100 ათასამდე ადამიანი. ლავის მდინარეებმა დამარხა 50 ქალაქი.

1931 – საბჭოთა კავშირში აიკრძალა ბიბლიის შემოტანა-გაყიდვა.

**12 მარტი**

1365 – დაარსდა ვენის უნივერსიტეტი.

1913 – ავსტრალიის დედაქალაქი გახდა კანბერა (მანამდე იყო სიდნეი).

1917 – აღსდგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია.

1282 – მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს მეფე დემიტრე მეორე თავდადებული.

1938 – გერმანიამ შეიერთა ავსტრია („ანშლუსი").

1960 – დიდ ბრიტანეთში პირველად გამოქვეყნდა ნაციონალური „ჰიტ-პარადი".

**13 მარტი**

1781 – ინგლისელმა ასტრონომმა უილიამ ჰერშელმა აღმოაჩინა მზის სისტემის მეშვიდე პლანეტა – ურანი.

1881 – ანარქისტმა გრინევიცკიმ მოკლა რუსეთის იმპერატორი, ალექსანდრე მეორე.

1961 – 79 წლის პაბლო პიკასომ ცოლად მოიყვანა 37 წლის მოდელი ჟაკლინ როკი.

**14 მარტი**

1875 – გერმანიაში შეიქმნა იმპერიის ბანკი (რაიხსბანკი).

1875 – დაიბადა მეოცე საუკუნის უდიდესი ფიზიკოსი ალბერტ აინშტაინი.

1983 – შეიქმნა ამერიკული როკ-ჯგუფი „ბონ-ჯოვი".

**15 მარტი**

1907 – მსოფლიოში პირველად ფინეთის სეიმში აირჩიეს პარლამენტარი ქალები.

1932 – დიდ ბრიტანეთში გაიხსნა ტელეკომპანია BBC.

1933 – ადოლფ ჰიტლერმა გამოაცხადა, რომ გერმანია არის მესამე რაიხი. ის ახალ სახელმწიფოს წმინდა რომის იმპერიისა და კაიზერის გერმანიის მემკვიდრედ მიიჩნევდა.

1938 – საუდის არაბეთში აღმოჩნდა პირველი ნავთობი.

**16 მარტი**

37 – კუნძულ კაპრიზე საკუთარმა მცველებმა ბალიშებით დაახრჩვეს იმპერატორი ტიბერიუსი. რომის მმართველობა გადავიდა გერმანიკას ვაჟზე, გაიუს იულიუს ზეცარ კალიგულაზე.

1802 – ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის აქტით, დაარსდა ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემია.

1978 – მოიტაცეს იტალიის პრემიერ-მინისტრი ალდო მორო.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
**გოეთე**

**კითხვა: როგორი მოვლის პირობები სჭირდება სედუმს?**

**პასუხი:** ამ მცენარეს ზამთარში კარგი განათება სჭირდება. მზის გულზე კომპაქტურობას შეინარჩუნებს. მოსწონს ოთახის ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში. იტანს ზამთარს, ოღონდ არანაკლებ 10 გრადუსისა. ზაფხულში რეგულარულად მორწყეთ, მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. ზამთარში კი იშვიათად მორწყეთ, მხოლოდ მაშინ, როცა მიწა თითქმის სულ გამოშრება. ზრდის პერიოდში თვეში ერთხელ ბალანსირებული თხევადი სასუქით მორწყეთ. ხორციანი ფოთლები დაფესვიანდება და ახალ მცენარედ განვითარდება, თუ ძირით ტენიანი მიწის ზედაპირს შეეხება. მზეზე ნუ დადგამთ. ფხვიერ, კარგი დრენაჟის მქონე ნეიტრალურ ნიადაგში ჩარგეთ.

**კითხვა: როგორ უნდა გავარჩიო, მცენარე შეძენისას ჯანსაღია თუ არა?**

**პასუხი:** შეძენისას კარგად უნდა შეამოწმოთ, რომ დარწმუნდეთ, მცენარე ჯანსაღია და კარგად გაიზრდება. თუ გამოცდილი მებაღე არ ხართ, გირჩევთ, ჩამოფასებულ განყოფილებაში გამოფენილი დაზიანებული, ან ავადმყოფური შესახედაობის მცენარეები არ შეიძინოთ, თუნდაც ძალიან იაფი იყოს. ასეთი მცენარე ძნელად თუ გადარჩება. აყვავებული მცენარის შეძენისას ისეთი შეარჩიეთ, ბევრი გასაშლელად გამზადებული კოკორი რომ აქვს და დიდხანს დატკბებით მისი ყვავილობით. ფოთლები ქვედა მხრიდან შეამოწმეთ, რადგან პარაზიტები შეიძლება, ფოთლების ზურგზე, ღეროზე ან უბეებში იყოს ჩაბუდებული. ქოთნის ძირიდან გამოშვერილი ფესვები იმის ნიშანია, რომ მცენარეს დიდი ქოთანი სჭირდება. თუ ასეთ მცენარეს იყიდით, მაშინვე უნდა გადარგოთ. გაითვალისწინეთ კიდევ ერთი რამ, ყვავილების მაღაზიაში შეძენილი მცენარე შინ შეფუთული მიიტანეთ. ცივ ჰაერზე შეიძლება, ფოთლები ან კვირტები ჩამოსცვივდეს.

**კითხვა: როგორი სინათლე და ტემპერატურა მოსწონს ჭორიკანას?**

**პასუხი:** ეცადეთ, ეს მცენარე კაშკაშა სინათლეზე დადგათ. ასეთ სინათლეზე ფოთლებიც კარგი ფერისაა და მცენარეც უხვად ყვავილობს. მისთვის იდეალურია, თუ ოთახის ტემპერატურა 18-24 გრადუსი იქნება, ზამთარში კი – მინიმალური, 12 გრადუსი. ჭორიკანა საკიდ კალათში უნდა მოათავსოთ.

**კითხვა: რამდენ ხანში ერთხელ მოვრწყა სტრომანტე?**

**პასუხი:** ზრდის პერიოდში მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო ზამთარში მორწყვა შეამცირეთ და მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. ზრდის პერიოდში ორ კვირაში ერთხელ მორწყეთ გაზავებული, ბალანსირებული და თხევადი სასუქით. სიგრილე და ჩრდილიანი ადგილი მცენარეს დაბალ ტენიანობასთან ბრძოლაში ეხმარება. სითბოში ზრდა დაჩქარდება, მაგრამ ტენიც მეტი დასჭირდება.

**კითხვა: ბინაში მაქვს სელაგინელა. იქნებ მირჩიოთ როგორ მოვუარო?**

**პასუხი:** სელაგინელას ვნებს სიმშრალე, ამიტომ რეგულარულად დანამეთ ოთახის ტემპერატურის წყლით. დაფესვიანებული ყლორტები თითქმის მთელი წლის განმავლობაში შეგიძლიათ დაყოთ და ახალ ქოთანში გადარგოთ. მას ჩრდილიანი და უმზეო ადგილი უყვარს. მოსწონს ოთახის ტემპერატურა. სიცხესა და სიმშრალეში ფოთლები გაუხმება. სჭირდება ტენიანი გარემო. ამიტომ, მისთვის სასურველი ადგილი სააბაზანო ან სამზარეულოა.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, აქვს თუ არა რწმუნებულ პირს უფლება, მარწმუნებლის ნებართვის გარეშე შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომლის უშუალო ნებართვა მარწმუნებელს არ გაუცია თუმცა, ასეთი მოქმედება აშკარად შედის მარწმუნებლის ინტერესებში?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ რწმუნებული ცალსახად მოვალეა, შეასრულოს მარწმუნებლის მითითებები. თუმცა, რწმუნებულს შეუძლია, გადაუხვიოს მარწმუნებლის მითითებებს, თუ გარემოებებიდან გამომდინარე, მას შეუძლია, ივარაუდოს, რომ მარწმუნებელი, საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში, მოიწონებდა ასეთ გადახვევას. ასეთ დროს რწმუნებული მოვალეა, მითითებებიდან გადახვევამდე შეატყობინოს მარწმუნებელს და დაელოდოს მის გადაწყვეტილებას, თუკი დაყოვნებით მარწმუნებელს არ შეექმნება ზიანის მიყენების საფრთხე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ შეიძლება მოიქცეს რწმუნებული პირი იმ შემთხვევაში თუ მარწმუნებელის მითითება-მოთხოვნა აშკარად შეიძლება ზიანის მომტანი იყოს თვითონ მარწმუნებლისთვის?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ თუ რწმუნებულის მიერ მითითებების შესრულებამ შეიძლება მარწმუნებელს მიაყენოს მნიშვნელოვანი ზიანი, მას შეეძლება მითითებების შესრულება მხოლოდ მაშინ, როცა აცნობებს მარწმუნებელს ზიანის შესახებ, ხოლო ეს უკანასკნელი კი არ შეცვლის თავის მითითებას.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიება და რა შეიძლება, ჩაითვალოს აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების სახედ?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არასრულწლოვან ბრალდებულს სასჯელის ნაცვლად, დაუნიშნოს აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების ერთი ან რამდენიმე სახე ერთდროულად. სასამართლოს შეუძლია, დანიშნოს შემდეგი აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების სახე: ა) გაფრთხილება; ბ) საზედამხედველოდ გადაცემა; გ) ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება; დ) ქცევის შეზღუდვა; ე) სპეციალურ, აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ითვლება თუ არა ნასამართლევად ის ადამიანი, რომელმაც დანაშაული არასრულწლოვანების ასაკში ჩაიდინა და სასჯელის სახით შეეფარდა მხოლოდ ჯარიმა. თუ ითვლება ნასამართლევად, როდის მოეხსნება ნასამართლეობა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ იმას, ვინც დანაშაული თვრამეტ წლამდე ჩაიდინა, ნასამართლობა გაუქარწყლდება თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ექვსი თვის შემდეგ, ანუ, ამ შემთხვევაში, სასჯელის სახით ჯარიმაშეფარდებულ პირს ნასამართლეობა გაუქარწყლდება ჯარიმის გადახდიდან 6 თვის შემდეგ.

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: ამერიკულ მანქანებს საქართველოში არ წყალობენ. რისი ბრალია ეს? რომელია ნამდვილი, მაგარი ამერიკული მანქანა?**

**პასუხი:** თუ ხარისხის თვალსაზრისით დაწუნებაზე ვისაუბრებთ, მაშინ გააჩნია მარკას. ანუ, ვერ ვიტყვით, რომ ზოგადად, ამერიკული მანქანები უხარისხოა, უბრალოდ, ის ჩვენთვისაც და ევროპელებისთვისაც, მაინც უცხო სისტემად მიიჩნევა. ჯერ ერთი, რომ სიჩქარესაც კი მილებში ითვლიან. ელექტროსისტემებიც თავისებურად არის მოწყობილი, სხვანაირი ექსპლუატაციის პირობებია, სხვაგვარი სერვისი აქვთ. ანუ, თუ ამერიკულ მანქანას შეიძენ, ავტომატურად ბევრი თავსატეხი გიჩნდება. იგივე ეხება ამერიკაში გამოშვებულ ევროპულ მოდელებს, მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ მოდელის ამერიკული ნაირსახეობა მთლიანად ამერიკულ სისტემაზეა მორგებული. მაგრამ, ის აზრი, რომ ამერიკულ მანქანებში ცუდი, უხარისხო დეტალებია, მცდარია. ძალიან ცნობილი იაპონური გრანდ-მწარმოებლები ამერიკისთვის ცალკე უშვებენ ავტომობილებს, რომელიც მათზე, ანუ მათ სისტემაზეა მორგებული. ესენია: „ტოიოტა ლექსუსი", „ნისანი" „ინფინიტი" და „ჰონდა აკურა", რომლებიც ნელ-ნელა ჩვენთანაც ხდება პოპულარული. თუმცა, მაინც უნდა ითქვას, რომ ისინი ამერიკულ სტილზეა მორგებული და საქართველოსთვის არც იმდენად საიმედოა. რაც შეეხება იაპონურ მანქანებს, მათ ქარხნიდანვე აქვთ ისეთი ტუნინგური დეტალები, რომელთა გაკეთებისთვისაც უკვე მზა, ევროპულ მანქანებს ძალიან ბევრ ფულს ახარჯებენ. მაგალითად, ძარაზე სპოილერი, შასის ანუ ტრანსმისიის დამუშავება. თან, ეს ხდება ნებისმიერ რიგით, ჩვეულებრივ მანქანაზე. ანუ, სტანდარტული მანქანაც კი, თავიდანვე „ნავაროჩენია." შემდეგ კი უკვე ტიუნინგური ფირმების სიმრავლე და იაპონელების სიყვარული ტიუნინგის მიმართ, იწვევს იმას, რომ, როცა ესა თუ ის მანქანა საქართველომდე ჩამოდის, გადასარევ ფორმაშია. რაც შეეხება მაგარ ამერიკულ მანქანას, ჩემი აზრით, ყველაზე კარგი „კადილაკია", რომელიც ამერიკის სიამაყეა.

*ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
**მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მინდა აკუმულატორის გამოცვლა. როგორც ამიხსნეს, არსებობს აკუმულატორები წყლით და ჟელეთი და მირჩიეს, რომ ზამთარში უმჯობესია, ჟელეიანი აკუმულატორი ჩავაყენო, რადგან არ იყინება, ზაფხულის სიცხეში კი ჟელე ხმება და წყლიანი ჯობიაო. რომელზე გავაკეთო არჩევანი?**

**პასუხი:** მინდა გითხრათ, რომ არც ერთი ტიპის აკუმულატორი არ იყინება და ამ პარამეტრზე დაყრდნობით ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას. რაც შეეხება იმას, თუ რომელი ჯობია, ბევრი რამეა გასათვალისწინებელი. მაგალითისთვის, თუ ჩვენს ავტომობილს ბოლომდე არ ვენდობით და არის იმის შანსი, რომ ზედმეტად გადამუხტოს ჩვენი აკუმულატორი, რაც მის შრობას და, საბოლოოდ, დაზიანებას გამოიწვევს, მაშინ, სითხის ჯობია, რადგან, პერიოდულად მასში გამოხდილი წყლის დამატებით თავს იოლად გავიტანთ და დიდხანს გავაძლებინებთ; ხოლო, თუ ელექტრული სისტემა იდეალურად მუშაობს, ჯობია, ეგრეთ წოდებული მშრალი აკუმულატორი შევიძინოთ, ვინაიდან, ასეთი ტიპის აკუმულატორიდან მჟავა არ ჩამოღვენთავს და არ დაგვიყანგავს მის ირგვლივ ადგილებს.


რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
* *დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
* *ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
* *ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
* *მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: როგორ დავიცვათ ცხოველი ტკიპებისგან?**

**პასუხი:** იმისთვის, რომ ცხოველები ტკიპებისგან დავიცვათ, რეგულარულად უნდა დავამუშაოთ ისინი რეპელენტებით. ამ პროცედურაში იგულისხმება წვეთების რეგულარული გამოყენება 3-4 კვირაში ერთხელ და ასევე, ინსექტოციდური სპრეისა და საყელოს გამოყენება. სპრეი უნდა გამოიყენოთ ყოველი გასეირნების წინ. ეს ყველაფერი უნდა გამოიყენოთ კომპლექსურად, რაც უზრუნველყოფს შედეგის მაქსიმალურ ეფექტურობას, ვიდრე მათი გამოყენება ცალ-ცალკე. ასევე, ყველაზე გავრცელებული პრობლემაა რწყილებით ინვაზია, რაც ხშირად ალერგიული რეაქციების წარმოშობის მიზეზი ხდება (რწყილის ნაკბენის ალერგია). რწყილი შინაგანი ჰელმინთოზების, ანუ „ჭიების" გადამტანიცაა, მაგალითად, დიფილიდიოზის. რწყილები ცხოველში იწვევენ არასასიამოვნო შეგრძნებას და ცუდ ზოგად მდგომარეობას. რწყილების ინვაზიის პროფილაქტიკისათვის და სამკურნალოდ, გამოიყენება ინსექტოციდური საშუალებები: სპრეი, წვეთები, საყელო. ასევე, რეკომენდებულია რწყილების საწინააღმდეგო შამპუნიც. წელიწადის ამ დროს, აუცილებელია ძაღლის დეჰელმინთიზაცია, რომელიც ყოველ კვარტალში ერთხელ ტარდება. გაზაფხულზე დასუსტებულ იმუნიტეტს, კიდევ უფრო ასუსტებს ჰელმინთებით ინვაზია. რეგულარული გეგმით გათვალისწინებული – ყოველ სამ თვეში ერთხელ დეჰელმინთიზაცია, ხელს უწყობს როგორც ცხოველის ორგანიზმის სიჯანსაღეს, ასევე, იცავს ადამიანს სხვადასხვა, მეტად საშიში დაავადებისგან, მაგალითად, როგორიცაა: ექინოკოკოზი, ასკარიდოზი და ასე შემდეგ. ამ პერიოდში აუცილებელია, მოამზადოთ ცხოველის ბეწვის საფარველი. დაბანეთ, გაასუფთავეთ, დავარცხნეთ და გაკრიჭეთ. თუ ამას თვითონ ვერ მოახერხებთ, სასურველია, მიიყვანოთ სპეციალისტთან, რომელიც პროფესიონალურად მიუდგება აღნიშნულ საკითხს.

**კითხვა: სასურველია თუ არა ძაღლის დეჰელმინთიზაცია გაზაფხულის დადგომისთანავე?**

**პასუხი:** გაზაფხულის დადგომისთანავე გასათვალისწინებელია, რომ არ უნდა დავივიწყოთ ცხოველის რეგულარული დეჰელმინთიზაცია, რომელიც აუცილებელია ჩატარდეს ყოველ კვარტალში ერთხელ. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ძაღლის ჰელმინთებით დაინვაზირება არ მოხდეს, რაც, ასევე, ხელს უწყობს სხვა ინფექციური ვირუსული თუ ბაქტერიული სახის დაავადების განვითარებას.


რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
**ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: როგორ გამოვკვებოთ ძაღლი გაზაფხულის პერიოდში?**

**პასუხი:** ძაღლის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს სწორი და სრულყოფილი რაციონი. ამას განსაკუთრებით გაზაფხულზე უნდა მიექცეს ყურადღება, რადგან, ამ დროს აღინიშნება ვიტამინების ნაკლებობა და, ამიტომ, მნიშვნელოვანია სწორი კვება.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**



- ქალაქის თავი
- რუსი მხატვარი
- ბუხარს სჭირდება
- კავსაძე
- იაფი ქსოვილი
- სტალინის მეტსახელი
- ევროპელი თავადი
- მამალი ღორი / გურულის დედა
- XIX ს რუსი პოეტი
- დიდი თითი
- ვიმყოფები
- მსაჯული ასეთიც არის / სათუთი
- ვირსალაძე
- საფრანგ. ნახ.კუნძული / თოჯინა
- მსახიობი ....ვენტურა
- ოპერის სიმღერა
- მაუგლის მეგობარი დათვი / შოთას ლექსი
- წონა / სამხრ. ამერიკაშია
- ჰაერის მასის გადაადგილება
- რაჭის სოფელი
- მდინარე ვენესუელაში
- (.....) ელიავა
- დიდი ამერიკული მანქანა
- იაპონური თეატრი
- ჩინური ტაძარი
- ჩვენი კინორეჟისორი, ლეო...
- (......) ალეგროვა
- იძულებითი დასახლება
- ....და ომეგა / ცის თაღი
- მტაცებელი ფრინველი
- (.......) მოძღვარი
- ცხოველის ბინა
- (კიდევ) წონა
- ვარდის იარაღი
- კაცის რუსული სახელი
- სამხრ. ამერიკაშია
- გვადი
- ზღაპარ „სალამურას“ ბრძენი
- ტბა კანადაში
- ლატვიის ფული
- საყვირი
- ფაფუკი
- ჯარი (ძვ.)
- მაგიდის გადასაფარებელი
- სიყვარულს სჭირდება
- საფეიქრო ბანანი
- ავიატორი
- იტალიის ვულკანი
- ჩვენი ლიტ. პრემია
- ჩონგურს აქვს
- კინოფირის ნაწილი
- თბილისის უბანი
- დილის სიმღერა / დოკუმენტი
- წვერის სალებავი
- დიდი რელიგია
- ე.წ. „ზღვაოსანთა“ კუნძულები წყნარ ოკეანეში
- თევზის ჯიში
- მაღლა! / ტროპიკული ხილი
- მარკების შეგროვება
- აზერბაიჯანშია
- კომში
- უჯრედის შიდა ნაწილაკი
- მამა დას. საქართველოში
- სალებავების ხსნარი
- ოტელოს მტერი
- ჩვილი
- კატის კნავილი
- მაჯნუნის სატრფო
- თბილისის ტბა / ჩვენებური ხე
- თუშეთშია
- ხელოსანთა გაერთიანება
- ციტრუსი / გიგანტი
- საბერძნეთის რეგიონი
- ტურის მეგობარი
- კაცის ჩეხური სახელი
- სარეცხი ფხვნილი
- ჰომეროსის პოემა
- მდინარე მოსკოვის შენაკადი
- კროსვორდის დასასრული
- რასაც დრო არ გააჩნია
- მაუგლის გრძელი მეგობარი
- ფირალი სიმონას ცოლი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | 1 | | | | | | | | |
| | | | | | | | | | 1 | | | 1 | | 1 | 2 | 1 | 2 | | 1 | 2 | 1 | | 1 | | | | | | |
| | | 1 | 2 | | 1 | 1 | | 2 | 1 | | | 3 | 1 | 3 | 1 | 2 | 1 | 5 | 1 | 2 | 1 | | 1 | | | | | | |
| | | 1 | 2 | | 1 | 1 | | 2 | 1 | | 5 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 7 | 3 | 5 | | | | | |
| | | 1 | 2 | | 1 | 1 | | 2 | 6 | 2 | 3 | 1 | 2 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 2 | 1 | 3 | 2 | 6 | | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 10 | 16 | 16 | 10 | 1 | 1 | 2 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 4 |
| | | | | | | 3 | 3 |
| | | | | | | 2 | 2 |
| | | | | | | | 4 |
| | | | | | | 3 | 3 |
| | | | | | | 2 | 2 |
| | | | | | | 4 | 14 |
| 3 | 3 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 |
| | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 1 |
| 4 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | | | | 2 | 14 |
| | | | | | 2 | 1 | 1 |
| | | | | | | 2 | 12 |
| | | | | | 2 | 1 | 1 |
| | | | | | 2 | 2 | 2 |
| | | | | | 2 | 1 | 1 |
| | | | | | | 2 | 18 |
| | | | | 2 | 2 | 10 | 2 |
| | | | | 2 | 1 | 8 | 1 |
| | | | | 2 | 1 | 8 | 1 |
| | | | | 2 | 2 | 10 | 2 |
| | | | | | | 2 | 18 |
| | | | | | 2 | 2 | 2 |
| | | | | | 2 | 2 | 2 |
| | 4 | 2 | 2 | 2 | 8 | 2 | 4 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 1 | 8 | 4 | | 3 | 5 | |
| 4 | 3 | | 5 | | 7 | 2 | | 8 |
| | 6 | | 9 | | 2 | 1 | | 7 |
| 5 | | 6 | | | 1 | 8 | 2 | |
| | 4 | | 6 | 8 | | 7 | 1 | 5 |
| 1 | 7 | 8 | | | 5 | | | 6 |
| | 8 | 4 | | 6 | | | 7 | 2 |
| 3 | | 7 | 2 | | 4 | 6 | | |
| 6 | 1 | | | 5 | | 4 | 9 | 3 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 4 | | 3 | | | | 9 |
| 2 | | 8 | | 9 | | 5 | 4 | |
| | 9 | | 4 | | 8 | | | 1 |
| 4 | | | | 2 | | | 1 | |
| | | 9 | | | 4 | | | 2 |
| 3 | | | | | | 9 | | |
| | | 6 | | | | | | 3 |
| | | | 7 | | 6 | | 8 | |
| | 8 | 1 | | 4 | | 2 | | 6 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ოთხკუთხედებით დაიწყეთ სასახლის ხატვა

2. დაამატეთ კოშკურები





3. გამოკვეთეთ სასახლის შესასვლელი



4. მიახატეთ შუა ნაწილი



5. დაადგით ქონგურები



5. დაასრულეთ ნახატი



6. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება



## იპოვე ორი ერთნაირი რვაფეხა



## იპოვე თითოეული შლემის შესაფერისი ადამიანი





# ნაძვი და კვრინჩხი

## (იგავ-არაკი)

ერთხელ ნაძვი კვრინჩხს ეტრაბახებოდა: შენ უსარგებლო ხე ხარ, მე კი სახლის ბანებსა და აივნებს ვაშენებო.

– ამიტომაც არის, ხშირად რომ გჩეხავენო, – უთხრა კვრინჩხმა.

უშფოთველი სიღარიბე სჯობია შეჭირვებულ სიმდიდრესო.

## რიცხვრებუსი

,,,,13, 2, ,,,,13



# სწორად აირჩიეთ მეორე ნახევარი?!



*რა კრიტერიუმებით ირჩევენ ადამიანები მეორე ნახევრებს და რატომ უშვებენ შეცდომებს? ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია დაგეხმაროთ იმაში, რომ გაგარკვიოთ თქვენი არჩევნის სისწორეში...*

**1. როცა პარტნიორს სხვას ადარებთ, ფიქრობთ, რომ...**

ა) ის ყველაზე მომხიბვლელი და ჭკვიანია;
ბ) სხვაზე ნაკლები არაფრით არის;
გ) ხან მგონია, რომ კარგია, ხან ვფიქრობ, საშინელებაა;
დ) სხვებზე ბევრად ნაკლებია.

**2. ვინ არის თქვენს ოჯახში ლიდერი?**

ა) რა თქმა უნდა, ის!
ბ) ვხელმძღვანელობთ პრინციპით – კაცი თავია, ქალი – კისერი;
გ) გააჩნია, რა საკითხი წყდება: ხან მე, ხან ის;
დ) რა თქმა უნდა, მე.

**3. ერთობლივი შვებულება გაქვთ, ვინ წყვეტს, როგორ გაატაროთ ის?**

ა) მე ვთავაზობ ვარიანტებს, არჩევანს ერთად ვაკეთებთ;
ბ) ერთად ვწყვეტთ და ხარჯებსაც ერთად ვადგენთ;
გ) ძალიან ბევრს ვჩხუბობთ და ვკამათობთ ამ საკითხზე;
დ) მე ვწყვეტ. ის ყოველთვის მეთანხმება.

**4. როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?**

ა) ძირითადად ვარ მეგობრებთან. მეუღლეს სულ არ სცალია;
ბ) ვცდილობთ, ყოველი წუთი ერთად გავატაროთ;
გ) გვირჩევნია, ასეთ დროს ერთმანეთისგან დავისვენოთ;
დ) ერთად დავდივართ გასართობად.

**5. შემთხვევით ძველ შეყვარებულს შეხვდით. როგორი იქნება თქვენი ემოცია?**

ა) არანაირი ემოცია. ვგიჟდები ჩემს პარტნიორზე;
ბ) ისეთი, როგორიც უბრალო ნაცნობის ნახვისას;
გ) გული დამწყდება, რომ დავშორდით;
დ) გული ამიჩქარდება, როგორც პირველი შეხვედრისას.

**6. თქვენი პარტნიორი ძველ სიყვარულზე გიყვებათ:**

ა) საშინლად ვბრაზობ და ვღიზიანდები;
ბ) არ მაინტერესებს, რა იყო წარსულში;
გ) რა პრობლემაა, მოყვეს;
დ) ერთი გაბედოს...

**7. რა პრეტენზია აქვს ყველაზე ხშირად თქვენ მიმართ მეუღლეს?**

ა) რომ სუსტი და უსუსური ვარ;
ბ) პრეტენზია?! სულ ჩემ ქებაშია;
გ) რომ კაპრიზული და ჯიუტი ვარ;
დ) რომ ზოგჯერ უხეში ვარ.

### ნახეთ შედეგები

*თუ პასუხებში ჭარბობს „ა“: მეუღლის მხურვალე თაყვანისმცემელი ხართ. მის ყველა გადაწყვეტილებას უსიტყვოდ ემორჩილებით. იქნებ გეშინიათ, მოიხსნათ ვარდისფერი სათვალე და შეაფასოთ რეალობა? რა გაეწყობა, ეს თქვენი არჩევანია. მთავარია, მეუღლემ დააფასოს ის, რასაც მისთვის აკეთებთ.*

*თუ პასუხებში ჭარბობს „ბ“: თქვენი კავშირი ჰარმონიულია. ოჯახში ორივე თანაბარი უფლებებით სარგებლობთ. ისე, სულ ცოტა ინტრიგა არ გაწყენდათ.*

*პასუხებში თუ ჭარბობს „გ“: ბოლომდე ჯერ ვერ გარკვეულხართ თქვენს ურთიერთობებში. მზად არ ხართ, ყველაფერში დაემორჩილოთ პარტნიორს. დათმობას არც ერთი არ აპირებთ. უცნაურია, რატომ საერთოდ არ ცდილობთ ერთმანეთთან დაახლოებას?*

*პასუხების უმრავლესობაა „დ“: პარტნიორი კი არა, ნამდვილი ბოსი ხართ, ლიდერის პოზიციას ჩაბღაუჭებული. პარტნიორს აქტიურობის საშუალებას არ აძლევთ. ის თქვენზე ბევრად სუსტია და ეს მოგწონთ. იყავით ცოტა ალერსიანი და თბილი მის მიმართ.*

## შეიკარი... დროა!



ღილი – დიახ, ჩვეულებრივი პლასტმასის, თუნდაც ხის ღილი, ძველად ადამიანებისთვის წმინდა თილისმად იყო მიჩნეული... სანამ ღილი გაჩნდებოდა, საქმე საკმაოდ რთულად იყო: ტანსაცმელს აბამდნენ დაგრეხილ თოკს და იმით კრავდნენ.

ვარაუდობენ, რომ ტანსაცმელზე პირველი ღილი მეცამეტე საუკუნეში, გერმანიაში გაჩნდა.

თუ ადრეული აღორძინების ეპოქის ნახატებზე, პორტრეტებზე, ტანსაცმელზე ღილები საერთოდ არ ჩანს, მეთექვსმეტე საუკუნეში დიდებულთა პორტრეტები გამოირჩევა საგანგებოდ მორთული ღილებით. ღილი სოციალური სტატუსის განმსაზღვრელიც კი იყო – ღილის სილამაზე და ტანსაცმელზე მისი რაოდენობა ადამიანის მატერიალურ მდგომარეობაზე მიგვანიშნებდა.

წარმოშობის მომენტიდან, ღილის აქტიური მომხმარებლები იყვნენ კაცები. ქალები ტანსაცმელს ძირითადად ინგლისური ქინძისთავებით იკრავდნენ, ან – ბროშებით და თასმებით. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში გაანებივრა მოდამ ქალბატონები ღილებით. სხვათა შორის, ქალის პერანგზე წინა მხრიდან ღილების დაკერების ტრადიცია მხოლოდ 100 წელიწადს ითვლის.

გამაოგნებელი ფაქტი: მეთექვსმეტე საუკუნეში საფრანგეთის მეფემ, ფრანცისკ პირველმა, თავისთვის ხავერდის კოსტიუმი შეუკვეთა, რომელიც 13 600 ღილით იკვრებოდა.

მეჩვიდმეტე საუკუნეში მეფეებისა და დიდებულების ტანსაცმელზე დასაკერებელ ღილებს საკმაოდ ცნობილი მხატვრებიც კი ქმნიდნენ. ფრანგებმა ისიც მოახერხეს, რომ ღილი ფაიფურისგან შეექმნათ. „მეფე მზეს” – ლუდოვიკოს ჰქონდა ღილები, რომლებშიც მინიატურული საათები იყო ჩამონტაჟებული...

ღილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას და, შეიძლება ითქვას, ღირსებასაც, მუნდირებზე იძენს...

## ახალი ფარაონი

ერთი შეხედვით, ეგვიპტის ისტორია ზედმიწევნით კარგად არის შესწავლილი, მაგრამ სულ ახლახან აღმოაჩინეს აქამდე უცნობი ფარაონის სამარხი, რომელიც ეგვიპტეს 3 700 წლის წინ მართავდა. დადგენილია ამ ფარაონის სახელიც, რომელიც სარკოფაგსა და სამარხის კედლებზე იყო ამოტვიფრული – სენებკეი! მუმია საკმაოდ კარგად არის შემონახული და შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მკვრივი აღნაგობის, დაახლოვებით 185 სანტიმეტრი სიმაღლის მამაკაცი.

კვლევებით დგინდება, რომ სენებკეი ქვეყანას ჰიკსოსების შემოსევების ეპოქაში მართავდა. თუმცა, ის ჰიკსოსებს არ გაუნადგურებიათ, თორემ სამარხი ასეთი ძვირფასი და კარგად შენახული არ იქნებოდა. თუმცა, სამარხს მაინც ეტყობა ძარცვის კვალი. ოქროს და ძვირფასი თვლების, ასევე ნატიფი ხელოვნების ნიმუშები უკვე გამქრალია.

არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ სამარხი და ფარაონის მუმია ადრევე გაძარცვეს ადგილობრივმა სამარხების მძარცველებმა...

ამ ახალი ფარაონის „გამოჩენამ“, შეიძლება, ეგვიპტის ისტორიის ერთი ნაწილის ხელახლა დაწერის აუცილებლობის საკითხიც დააყენოს.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

შეჯახება ძლიერი არ ყოფილა. სენტინმა მარტო ის დაინახა, რომ ცარიელ გზაზე მსუბუქი ავტომობილი პირდაპირ მისკენ მოქროდა. ფარების მჭახე შუქმა თვალი მოსჭრა და, რაც შეეძლო, მარცხნივ მიაბრუნა საჭე... არ უშველა – შემხვედრი ავტომობილი მისი მანქანის მარცხენა, უკანა ფრთაზე შეეხო და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სენტინს საჭე ველარ დაემორჩილებინა. მანქანა შემაღლებულ მიწაყრილზე შევარდა და ამოტრიალდა. ძლიერმა ბიძგმა სენტინი სალონიდან ამოაგდო და რამდენიმე მეტრზე გაისროლა... თავიდან ტკივილი თითქმის არ უგრძნია. დაცემა გაცილებით შოკის მომგვრელი იყო, თითქოს სადღაც უფსკრულში ჩაეშვა, სიბინძურესა და სულისშემხუთველ სიბნელეში. მერე უკვე გაუნძრევლად იწვა მიწიდან გვარიანად ამოზრდილ სარეველებში. მის თავს ზემოთ ვარსკვლავიანი ცა იყო. ვარსკვლავები თითქოს დაბლა ჩამოდიოდნენ და სიკვდილის მოახლოებას ამცნობდნენ. შიში, რომელიც კატასტროფამდე ჰქონდა, ახლა უკვალოდ გაქრა... მერე ხმები გაიგონა და გაახსენდა, რომ, ალბათ, იმ მანქანაშიც ისხდნენ ადამიანები... მათ მიმართ არც აგრესია უგრძნია და არც თანაგრძნობა.

– ის აქ არის! – გაიგონა გარკვევით და გაუკვირდა: ეძებენ? რატომ? ნუთუ მისი დახმარება უნდათ? ჯერ დაეჯახნენ, ასეთ მდგომარეობაში ჩააგდეს, ახლა კი გულმოწყალებას იჩენენ? იქნებ, სულაც არ იჩენენ გულმოწყალებას? დაყვირება გადაიფიქრა.

– არც ისეთი დარტყმა იყო, რომ ასე შორს გადაესროლა, – ეს ახალგაზრდა ქალის ხმა იყო.

– მეც ასე ვფიქრობ, – უპასუხა კაცის ხმამ. ისიც ასევე ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, – მოვძებნოთ. მანქანაში ფანარია, მომიტანე!

– საერთოდ, რატომ ვეძებთ? – შეყოყმანდა ქალი, – წავიდეთ აქედან, რაც შეიძლება ჩქარა.

– არა. ხომ უნდა გავიგოთ, რა დაემართა? – კაცი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული საკუთარი ნათქვამის სისწორეში, – მგონი, ასე უნდა მოვიქცეთ, მომეცი ფანარი...

სენტინმა ფეხის ხმა გაიგონა, რომელიც სულ უფრო მკვეთრი ხდებოდა და კანკალმა აიტანა. ოფლმა დაასხა და პირველად იგრძნო მუცლის ღრუში მწვავე ტკივილი, რომელმაც გონება დაუბინდა. თვალი რომ გაახილა, ვარსკვლავიანი ცის ფონზე სახეები დაინახა. არ შემცდარა – ორივენი ძალიან ახალგაზრდები იყვნენ, ზედმეტად ახალგაზრდებიც კი და კიდევ უფრო შეეშინდა. ქალმა ფანარი პირდაპირ სახეზე მიანათა და მერე მთელ სხეულზე აუტარ-ჩაუტარა.

– ცოცხალია... თვალები გახელილი აქვს, მაგრამ, მგონი, დაჭრილია. მოიცა, შეიძლება, ლაპარაკი არც შეუძლია.

– დაელაპარაკე... ჰკითხე, როგორ ხარ-თქო...

– ეი, თქვენ, – სენტინი მიხვდა, რომ ეს მიმართვა უკვე მას ეკუთვნოდა, – როგორ ხართ, გტკივათ რამე?

– კი. მგონი, მოვკვდები... ალბათ, მთელი შიგნეულობა დანგრეული მაქვს, – ნელა წარმოთქვა სენტინმა და უცებ იგრძნო, რომ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა: იმათ მზერაში, თავს რომ წამოდგომოდნენ, რაღაც შეიცვალა – ერთბაშად თითქოს სასტიკები და ულმობლები გახდნენ, თანაც, საეჭვოდ ჩაფიქრდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ერთმანეთში დაიწყეს ლაპარაკი, თითქოს სენტინი იქ საერთოდ არც ყოფილა. ჯერ ბიჭმა ჰკითხა გოგოს:

# სიკვდილის შემდეგ

## გილფორდი

– შენ როგორ გგონია, დროულად რომ მოვუყვანოთ მაშველი, გადარჩება?

– ანუ, შენ ამბობ, შევატყობინოთ პოლიციას, წავიყვანოთ საავადმყოფოში... იცი, რომ ამისთვის დაგიჭერენ?

– რისთვის? – განცვიფრებული ბიჭი გოგოს მიაჩერდა, – ეს ხომ უბედური შემთხვევა იყო და მე განზრახ არ დავჯახებივარ?

– ყველა უბედური შემთხვევა ვიღაცის მიზეზით ხდება, მაგრამ, ეს შენ არ გაგამართლებს. მით უმეტეს, თუ მოკვდა... ასე რომ, კი არ გაშინებ, რეალობას გეუბნები.

სენტინი უკვე აუტანელ ტკივილებს გრძნობდა, თან სახეებს აკვირდებოდა. ქალიშვილს გამომეტყველება ძალიან უცნაურად შეეცვალა. მან თანამგზავრს მხარზე მოკიდა ხელი და მსუბუქად შეანჯღრია.

– მომისმინე, ის მოკვდება, – თქვა ისეთი დარწმუნებით, თითქოს სენტინისგან ჰქონდა ასპროცენტიანი დასტური.

– ასეთ შემთხვევაში, ექიმის ძებნა საჭირო არ არის, ხომ მართალია? – ბიჭი მძიმედ სუნთქავდა და თვალებიც უჩვეულოდ უბზინავდა. სენტინს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ის მომხდარზე პასუხისმგებლობას იხსნიდა.

– მგონი, მართალია, – მხრები აიჩეჩა გოგომ და სენტინს დააშტერდა.

– ახლა როგორ მოვიქცეთ? – ბიჭი, გოგოსთან შედარებით, აშკარად ძალიან ნერვიულობდა. სანტინი ვერ აცნობიერებდა, რა განცდა დაეუფლა – შიში, ტკივილი და განურჩევლობა ერთმანეთში აირია, თუმცა, მაინც გაუჩნდა ფიქრი იმაზე, რომ, შეიძლება, ეს წყვილი მის მოკვლას აპირებდა. თუ მაინც უნდა მომკვდარიყო, მაშინ ამას მნიშვნელობა არ ექნებოდა, თუმცა იმის გაფიქრებაზე, რომ უმწეო მდგომარეობაში მყოფი იმას უნდა მოეკლა, ვინც ამ დღეში ჩააგდო, საშინელი აგრესია დაეუფლა.

– ალბათ, უნდა დაველოდოთ, რომ დავრწმუნდეთ, მოკვდა თუ არა.

– ექიმი რომ მოვიყვანოთ, პოლიციასთან პრობლემები მაინც გექნება. შენ ხომ ადამიანი მოკალი...

– ჯერ ცოცხალია. იცი, რა... მამაჩემს დავურეკავ... ციხიდანაც დამიხსნის, ჯარიმასაც გადაიხდის და ამასაც კარგ ექიმს მოუყვანს. ჰოდა, გადარჩება.

– შეიძლება, გადარჩეს კიდეც... მაგრამ, სამუდამოდ ინვალიდად დარჩეს. ამაზე არ გიფიქრია? – გამოსავალს არ უტოვებდა გოგო.

ბიჭმა ამოიოხრა:

– ეგ უკვე მეტისმეტია... არლენა, შენ ჩემ მხარეს ხარ?

– რა თქმა უნდა. ამაში ეჭვი გეპარება? იცი, რას გეტყვი? შეხედე, როგორ გდია. გარშემო სულ დიდი ქვებია და ის მანქანიდან გადმოვარდა... რა მოხდებოდა, პირდაპირ ერთ-ერთ დიდ ქვას რომ დანარცხებოდა? როდემდე უნდა ველოდოთ, საბოლოოდ როდის განუტევებს სულს? მიიღე გადაწყვეტილება და წავიდეთ აქედან...

ეს განაჩენი იყო. სენტინი მიხვდა, რომ უკვე ველარაფერი უშველიდა. ღირდა კი, ებრძოლა თავისი უბადრუკი სიცოცხლისთვის?

– რაღაც, არ ეტყობა, რომ სიკვდილს აპირებს, – თქვა ბიჭმა.

– ბოლოს და ბოლოს, რამე გააკეთე! – აღშფოთდა გოგო, – აი, ქვა, ჩვენ მხოლოდ მოვლენებს დავაჩქარებთ.

...უკვე პაწაწინა ნაპერწკალიც კი აღარ დარჩა იმედისა. საბოლოო წერტილი ბიჭის ხმამ დაუსვა:

– სხეული უნდა გადავაადგილოთ. მომეხმარე...

უკანასკნელი, რაც დაინახა, ის იყო, როგორ დაეშვა მის თავზე რაღაც გრძელი და უხეში საგანი და გაიფიქრა: „ეს ხომ მაინც მკვლელობაა... შეიძლება, მე ისედაც ვკვდებოდი, მაგრამ, ახლა მე ამათ მომკლეს..."

***

...სერჟანტი ვანეკი გულდასმით ათვალიერებდა გზატკეცილს და ცდილობდა ნაკვალევი გაერჩია, რაც შეუძლებელი იყო მაგარ ასფალტზე.

– ესე იგი, ეს უბედური თვითონ დაგეჯახათ...

– დიახ... ნახეთ, ჩემი მანქანა, თითქმის არ დაზიანებულა... გვერდი ველარ ავუარე და... საწყალი, ისე გადმოფრინდა მანქანიდან... ეტყობა, მაშინვე მოკვდა, თავი ქვისთვის დაურტყამს, – თქვა ბიჭმა.

– მდაა... სწორედ ეს ქვაა საინტერესო, – სერჟანტი დაიხარა, – თქვენ გვამი გადააადგილეთ?

– დიახ, ვიფიქრეთ, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა მისი შველა, – ბიჭს გოგომ დაასწრო, – რაშია საქმე, სერჟანტო?

– იმაში, რომ ქვას ორი მხარე აქვს – ზედაპირი და ქვედა. ზევიდან ის სუფთაა და წვიმისგან ბევრჯერ გადარეცხილი... ქვედა მხარე კი ყოველთვის მიწით არის დასვრილი. ახლა ორივემ ამიხსენით, როგორ მოახერხა ამ უბედურმა თავი ქვისთვის ქვედა მხრიდან დაერტყა?!

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# ქალური შურისძიება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №1-9(688)**

* * *

დიმიტრის დილამდე ეძინა. მართალია, ძილში შფოთავდა, მაგრამ, ღამემ მაინც მშვიდობიანად ჩაიარა. დილით ცოტათი დაღლილს გაეღვიძა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ფიზიკურად იმუშავა და ახლა დასვენება



უნდოდა. მზიამ სულ ძალით ჩაუტარა ყველა პროცედურა, მსუბუქად ასაუზმა და გადაწყვიტა, ცოტა გაემხიარულებინა – რაღაც სასაცილო ამბის მოყოლა დაიწყო, მაგრამ დიმიტრი არ უსმენდა, თვალები ჭერისთვის მიეშტერებინა და სახე ისე ჰქონდა შეჭმუხნილი, აშკარად რაღაც ძალიან მტკივნეულზე ფიქრობდა.

– ჰოდა, რომ შევედი, დავინახე, რომ... – განაგრძობდა მზია, მაგრამ დიმიტრიმ საკმაოდ უცერემონიოდ შეაწყვეტინა:

– მზია, საავადმყოფოში ყოფნის პერიოდში ვინმე მოდიოდა ჩემს სანახავად?

– კი, როგორ არა, – მცირეოდენი პაუზის შემდეგ უპასუხა მზიამ, – მაგრამ, რადგან რეანიმაციაში იწექი, შენთან არ ვუშვებდით, თანაც, თითქმის სულ გეძინა და რა აზრი ჰქონდა შემოშვებას?

– როცა ვიღვიძებდი, რატომ არ მეუბნებოდი, ვინ იყო მოსული?

– ქებაძემ ამიკრძალა, არ აღელდესო.

– ვინ მოდიოდა?

– რამდენჯერმე თანამშრომლები იყვნენ.

– ქალები თუ კაცები? არ უთქვამთ, ვინ ვართო?

– ქალებიც და კაცებიც. სახელები და გვარები კი არ უთქვამთ და არც მე მიკითხავს. უბრალოდ, ამბობდნენ, სამსახურიდან ვართო.

– მეტი არავინ ყოფილა?

– კიდევ ვიღაც ორი კაცი იყო ორჯერ, მეგობრები ვართო.

– არც იმათ უთქვამთ თავიანთი სახელი და გვარი?

– არა, მაგრამ, ერთმანეთში საუბრისას ერთმა მეორეს დათო დაუძახა.

– დათკა და კოტე ყოფილან. მერე, ახლა უნდა ვიგებდე ამას? – უცებ გაბრაზდა დიმიტრი.

– მართალი ხარ, ახლა არ უნდა იგებდე, ჩემი ბრალია ყველაფერი და ბოდიშს გიხდი... – ცრემლი მოადგა მზიას, – კიდევ რამე რომ არ დამბრალდეს, ბარემ იმასაც გეტყვი, რომ სხვებიც იყვნენ მოსულები.

– ვინ სხვები? – დაინტერესდა დიმიტრი.

– არ აღელდები, რომ გითხრა? – დაიძაბა ექთანი.

– არა. მითხარი, ყველაფერს გავუძლებ.

– შენი ცოლი იყო...

– ნანიტა?! როდის მოვიდა? – ისე იყვირა დიმიტრიმ, მზიას კინაღამ გული გაუსკდა შიშისგან.

– საავადმყოფოში რომ მოგიყვანეს, მეოთხე თუ მეხუთე დღეს.

– არაფერი უთქვამს შენთვის?

– არ ვუშვებდი, მაგრამ, რომ მითხრა, ცოლი ვარო, შემოვუშვი.

– ასე გითხრა, ცოლი ვარო?

– ჰო.

– იქნებ გითხრა, „ყოფილი ცოლი“ ვარო?

– არა, „ყოფილი“ არ უთქვამს.

– ნამდვილად გახსოვს?

– ასეთი რამ არ დამავიწყდებოდა, – წამოსცდა მზიას და გაწითლდა.

დიმიტრი ისე იყო აღელვებული, არც ექთნის შეცბუნება შეუმჩნევია და არც მისი გაწითლება.

– მერე? – ჰკითხა გოგოს და გამომცდელად შეხედა, – იცოდე, არაფერი დამიმალო. მე აუცილებლად მჭირდება სიმართლე, სრული სიმართლე, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, გესმის?

ბოლო ფრაზა დიმიტრის ძალიან მკაცრად და უხეშად ნათქვამი გამოუვიდა და მზიამ უცებ, ქალური ალღოთი იგრძნო, რომ, თავისი ამ მომენტში უმწეო და ყველასგან მიტოვებული პაციენტი, რომელიც პირველი დღეებიდანვე შეუყვარდა და რომელზეც ფიქრობდა, რომ მას ოჯახის წევრებიც და მეგობრებიც დაუმსახურებლად უსამართლოდ ექცეოდნენ, სინამდვილეში სულაც არ იყო ისეთი „ხავერდი” და „აბრეშუმი”, როგორც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ეგონა. დიმიტრის უხეშმა ტონმა გოგოს ინტუიცია გაუმახვილა და ისიც მაშინვე მიხვდა, რომ გრძნობები უნდა მოეთოკა და მხოლოდ პროფესიული მოვალეობებით შემოფარგლულიყო.

– რა – მერე? – ჰკითხა დამფრთხალი ხმით და თავისდაუნებურად ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

– მერე რა მოხდა? – იმავე ტონით ჰკითხა დიმიტრიმ, – დროზე ამოღერღე, რა თქვა, რა მოიმოქმედა?

მზიამ გადაწყვიტა, რომ აღარაფერი დაემალა. აზრიც აღარ ჰქონდა, რამის დამალვას, რადგან, ადრე თუ გვიან, მაინც მოუწევდა ყველაფრის თქმა და, ამ გადაწყვეტილებით ძალამიცემულმა, უკვე შედარებით თამამად უამბო ყველაფერი:

– რომ შემოვიდა, კონვერტი უჯრაში ჩაგიდოთ და მითხრა, აქ ასი დოლარია, ლარებში გადახურდავებული, წვრილმანი ხარჯებისთვის მაინც გამოადგებაო... – მზია, თავისდაუნებურად, ისევ „თქვენობთზე“ გადავიდა, – შემდეგ დაიხარა და შუბლზე გაკოცათ, მერე კი უხმოდ გავიდა.

დიმიტრის ძალიან ბუნდოვნად, მაგრამ, მაინც გაახსენდა ეს პატარა ეპიზოდი. იმით გაახსენდა, რომ ისევ იმ სუნამოს სურნელი იგრძნო, რაც მაშინ, ძილში წასულმა, ვერ გაიხსენა, საიდან ეცნობოდა ეს სურნელი.

– ის ფული სად წაიღე? – ცივად ჰკითხა მზიას და თვალებში შეხედა.

გოგომ საშინლად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. ცრემლმორეული გაიქცა თავისი ოთახისკენ და ორიოდე წუთის შემდეგ დიმიტრისთან კონვერტით დაბრუნდა.

– აი, თქვენი ფული. აქ წამოსვლამდე უჯრაში იდო, მერე კი თქვენს ნივთებთან ერთად წამოვიღე და ვინახავდი, სანამ ამ თანხის თქვენთვის მოცემის დრო დადგებოდა, – მზიამ



ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიშა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.................................
მარიკა 599 24 28 31

კონვერტი მკერდზე, საბნის ზემოდან დაუდო და ისევ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, მერე პატარა პაუზა გააკეთა, ღრმად ჩაისუნთქა და დიმიტრის ძალიან ნაწყენი, მაგრამ, საკმაოდ მტკიცე ხმით უთხრა: – თუ თქვენ ახლა ის იფიქრეთ, ბატონო დიმიტრი, რომ მე ამ ფულის მითვისება მინდოდა და ამიტომ დაგიმალეთ თქვენი ცოლის მოსვლის ამბავი, ესე იგი, კარგად ვერ გიცვნივართ. მე სხვისი ფული და ნივთი კი არა, ერთი ლუკმა პურიც კი არ ამიღია დაუკითხავად მაშინაც კი, შიმშილისგან გული რომ მიმდიოდა და თვალებში მიბნელდებოდა. აქამდე იმიტომ არ მოგეცით ეს ფული, რომ, მაშინ, თქვენი ცოლის მოსვლის შესახებაც უნდა მეთქვა. მაგრამ, რადგან ვიცოდი, რომ გაყრილები იყავით და, თანაც, ძალიან ცუდი ურთიერთობა გქონდათ, ვიფიქრე, ჯერ ცოტა გამოკეთდეს და მერე ვეტყვი ყველაფერს-მეთქი. ეტყობა, რაღაც ვერ გავთვალე სწორად. მოკლედ, ასეა თუ ისე, რადგან თქვენ ჩემს ელემენტარულ წესიერებაში შეგეპარათ ეჭვი, თქვენთან ვეღარ ვიმუშავებ. დღესვე ვეტყვი თქვენს ძმას, რომ სხვა მომვლელი იპოვოს, ერთ კვირაში კი მე აქედან წავალ. ეს საკითხი უკვე გადაწვეტილია და აღარ შეიცვლება. ფული კი, შეგიძლიათ, დაითვალოთ. კურსი ახლაც იგივეა, რაც მაშინ იყო და, წესით, მანდ ას სამოცდახუთი ლარი უნდა იყოს. წვრილი კუპიურებით, როგორც მაშინ თქვენმა ცოლმა თქვა.

დიმიტრი მზიას ასეთ რეაქციას ნამდვილად არ მოელოდა. მიხვდა, რომ ძალიან შეეშალა, უფრო სწორად, იმას მიხვდა, რომ, როგორც კი უკეთ იგრძნო თავი, მასში ისევ ძველმა დიმიტრიმ გაიღვიძა – უხეშმა და ძალაუფლების მოყვარულმა. ეს რომ გაიაზრა, ძალიან ინანა, რადგან, სინამდვილეში, ის კი არ იფიქრა, რომ მზიამ ფული მიითვისა, არამედ, იმაზე გაბრაზდა, რატომ დამიმალა ნანიტას მოსვლაო და ეს გაბრაზება უხეშად და უტაქტოდ გამოხატა. უყურებდა განაწყენებულ ექთანს და ფიქრობდა, ამანაც რომ მიმატოვოს, მთლად მარტო დავრჩებიო. თანაც, მზია ახლა უფრო სჭირდებოდა, ვიდრე მანამდე – ამ გულწრფელი, ერთგული და ჭკვიანი გოგოს დახმარებით აპირებდა რაღაცეების გარკვევას. ესეც რომ არ ყოფილიყო, ნამდვილად ვერ იგუებდა ვიღაც ახალ მომვლელს. ამიტომ, როგორმე უნდა მოეხერხებინა მზიას გულის მოგება, უფრო სწორად – გულის აჩვილება და გადაწყვიტა, ყველა ღონე ეხმარა მის შესარიგებლად.

– შენ რა, გეგონა, რომ შენში შემეპარა ეჭვი? გეგონა, რომ ფულს გამოვეკიდე? ეგ როგორ იფიქრე? ეგ როგორ მაკადრე?! მე შენ ჩემს სულიერ მეგობრად მიგიღე, ჩემი ყველაზე დიდი საიდუმლოს მოყოლას და დახმარების თხოვნას ვაპირებდი, შენ კი... – დიმიტრი გაჩუმდა და კედლისკენ გადაბრუნდა.

მზია კარგა ხანს ელოდა, როდის განაგრძობდა მისი პაციენტი ლაპარაკს, მაგრამ, რადგან თითქმის ათი წუთი ისე გავიდა, რომ მას ხმა აღარ ამოუღია, მზიამ გაბედა, ეთქვა, რასაც ფიქრობდა:

– მე არ ვიცი, გულში რას ფიქრობდით, ბატონო დიმიტრი, მაგრამ, ისეთი ტონით დამისვით კითხვები, მეგონა, ჩემი დედინაცვალი მელაპარაკებოდა მამაკაცის ხმით.

დიმიტრიმ მაინც არ ამოიღო ხმა, არც კი გადმობრუნებულა გოგოსკენ.

მზია მიხვდა, რომ დიმიტრის მართლა არ უნდოდა მისი წყენინება, თან, შეეშინდა, არ განერვიულდეს ან ისევ გაფიცვა არ გამომიცხადოსო და დათმობა ამჯობინა:

– კარგი, ბატონო დიმიტრი, შევრიგდეთ, დაივიწყეთ, რაც გითხარით.



– მართლა? – მაშინვე გადმობრუნდა გახარებული დიმიტრი, – თუ მირიგდები, ისევ თქვენობით რატომ მელაპარაკები?

– იმიტომ, რომ, როცა უხეშად მელაპარაკებიან, გაუცხოება მემართება ხოლმე, – არ დაუმალა მზიამ.

– რა ვქნა, ამის დედა ვატირე, ეგეთი დამპალი ხასიათი მაქვს! ისე, შენ რომ ადრე გცნობოდი, ახლა რომ უხეშობას ეძახი, ის ტონი და სიტყვები „იავნანად“ მოგეჩვენებოდა. შენ ხომ არ გგონია, რომ მართლა თაფლი და შაქარია შენი პაციენტი? ჩემი საშინელი ხასიათის გამო შემომეფანტნენ ოჯახის წევრებიც და მეგობრებიც...

– ტყუილია! – თავისდაუნებურად წამოსცდა მზიას.

– არ არის ტყუილი. ეს ავარიის შემდეგ შევიცვალე ასე, თორემ, იმდენი შეცდომა და იმდენი ცოდვა მაქვს ჩადენილი, რაც სიცოცხლე დამრჩენია, დილიდან საღამომდე მუხლებზე დაჩოქილმა რომ ვევედრო ღმერთს პატიება, მაინც არ მეყოფა. შენ რომ იცოდე, ვინ წევს ახლა შენ წინ, მართლა გაიქცეოდი აქედან. მაგრამ, ეს არ უნდა გააკეთო, რადგან, ძალიან მჭირდები, თუნდაც იმიტომ, რომ რაღაცეების გარკვევაში დამეხმარო, რომ ჩემი ცოდვების მონანიება შევძლო. თანახმა ხარ?

– თანახმა ვარ, – მაშინვე დაეთანხმა გულაჩუყებული მზია.

– არ გეშინია ჩემი?

– რატომ უნდა მეშინოდეს, ხომ არ შემჭამ?

– უფრო სწორად, არ გეშინია ჩემისთანა ცუდი კაცის დახმარება?

– თუ ჩემი დახმარებით ცუდი კაცი ცოტათი მაინც უფრო კარგი კაცი გახდება, რა არის აქ საშიში? – თბილად გაუღიმა მზიამ.

– მაშ, ისევ მეგობრები ვართ? ისევ „შენობით“ დამელაპარაკები?

– ჰო, ოღონდ, ისევ ყველაფერს დამიჯერებ.

– თანახმა ვარ. ახლა კი დაწყებული საუბარი განვაგრძოთ: შენ წეღან მითხარი, რომ თანამშრომლებისა და მეგობრების გარდა კიდევ რამდენიმე ადამიანი მოვიდა ჩემს სანახავად და ერთ-ერთი ნანიტა იყო, ჩემი ყოფილი ცოლი. დანარჩენები ვინ იყვნენ?

– ბატონო დიმიტრი, ხომ არ ჯობია, ცოტა დაისვენო და მერე განვაგრძოთ საუბარი?

– არა, ახლა მირჩევნია. მაშ, კიდევ ვინ მოვიდნენ?

– თქვენი შვილები და ვიღაც კაცი.

– ჩემი შვილები? ვიღაც კაცთან ერთად?! – გაოგნდა დიმიტრი.

– არა, სამივე ცალ-ცალკე და სხვადასხვა დღეს.

– შენ ელაპარაკე?

– მე მხოლოდ გოგოს ველაპარაკე, ნუცას.

– რა გითხრა?

– შენი ჯანმრთელობის მდგომარეობა აინტერესებდა. რეანიმაციაში არ ვუშვებდი, მაგრამ, პრაქტიკულად, შემოიჭრა – მამაჩემს უნდა დავხედო, ამას ვერავინ ამიკრძალავსო. მერე კი ირაკლი ექიმს დაეუძახა და იმან გაიყვანა თავის კაბინეტში, – რაღაცნაირი ამრეზით თქვა მზიამ.


თბილისის ონკოლოგიური ცენტრი

# შპს „თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი“

გთავაზობთ სიმსივნური და სხვა დაავადებების სრულფასოვან დიაგნოსტიკასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მკურნალობას მედიკამენტოზური, ოპერაციული და ნოვაციური მეთოდის – ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის გამოყენებით. ჩვენი კლინიკის ბაზაზე კიბოს სკრინინგის უფასო პროგრამის ფარგლებში ვახორციელებთ გარკვეული ნოზოლოგიების დიაგნოსტიკასა და ოპერაციულ მკურნალობას.

**ვემსახურებით „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ყოფილ ბენეფიციარებს – სტუდენტებსა და პენსიონერებს.**

**მოგვმართეთ- თბილისი, დიღომი, ლუბლიანას №5, მეოთხე სართული. კლინიკა „თბილისის ონკოლოგიური ცენტრი“ 2 364485, www.cancer.ge**



დიმიტრიმ შეამჩნია ექთნის არაკეთილგანწყობილი გამოხედვა და დასაზუსტებლად ჰკითხა:

– რით არ მოგეწონა, იუზრდელა?

– არა, მთლად მასეც არ იყო საქმე, უბრალოდ, ცოტა ზედმეტად თამამად მოიქცა, მაგრამ, ირაკლი ექიმი ელაპარაკა და მშვიდობიანად გაუშვა იქიდან.

– თორნიკე არ გინახავს?

– მე არა, ირაკლი ექიმმა ნახა, მაგრამ, რა ილაპარაკეს, არ ვიცი.

– ის კაცი ვილა იყო?

– ის ისე შემოგვეპარა, ყველა ადგილზე ვიყავით და მაინც ვერავინ დავინახეთ.

– შენ რა, პალატაში არ იყავი?

– არა, წამლების შემოსატანად თუ რაღაც ამდაგვარ საქმეზე გავედი და, ეტყობა, მაშინ იხელთა დრო.

– მერე, რაო, პროფესორმა, ვინ იყოო?

– ვილაც ნარკომანი ყოფილა. შეშინებულმა სანიტრებმა პატრული გამოიძახეს და იმათ წაიყვანეს.

– გუგა.. გუგა იყო, – ჩაილაპარაკა დიმიტრიმ, – მერე, რა ქნეს, დააპატიმრეს?

– ჰო, მკვლელობის მცდელობის მოტივით.

– ჩემი მოკვლა უნდოდა? – გაუკვირდა დიმიტრის.

– თავიდან ეგონათ ასე, მაგრამ, მერე დადგინდა, რომ ასეთი რამ აზრადაც არ ჰქონია.

– რითი დაადგინეს?

– დაკითხვებზე გაირკვა, რომლებსაც ქებაძეც ესწრებოდა თურმე.

– აბა, რატომ შემოიპარა?

მზიას მოერიდა თქმა და თავი ჩაღუნა.

– თქვი, ნუ გერიდება, – გაამხნევა დიმიტრიმ, – იმაზე უარესი რა უნდა გავიგო, რაც უკვე გავიგე.

– ილანძღებოდა...

– ვის ლანძღავდა?

– შენც და საკუთარ თავსაც, თან სულ იმეორებდა, ერთით ერთიაო.

– რას გულისხმობდა?

– ვერავინ მიხვდა. როგორც ვიცი, არც დაკითხვაზე უთქვამს ამის შესახებ არაფერი.

– ერთით ერთიაო? – გაიმეორა დიმიტრიმ და გაჩუმდა. მერე თვალები დახუჭა და კარგა ხანს იყო ასე. მზია მიხვდა, რომ მისი პაციენტი რაღაცის გახსენებას ცდილობდა და ხელი აღარ შეუშალა, ჩუმად ჩამოჯდა ფანჯარასთან მდგარ სკამზე და დაელოდა, სანამ დიმიტრი თვითონ დაელაპარაკებოდა.

სრულ სიჩუმეში დაახლოებით თხუთმეტი-ოცი წუთი გავიდა. ის იყო, მზიამ გაიფიქრა, ხომ არ ჩაეძინაო, რომ დიმიტრიმ რაღაცნაირი არანორმალური ხმით იყვირა:

– წერილი! ის წერილი მაგან მომწერა, რომ ჩემთვის გული გაეხეთქა! ამით გადამიხადა სამაგიერო და იმიტომ გაიძახოდა, ერთით ერთიაო! კი, ნამდვილად ასეა! სხვა ამას ვერ გამიბედავდა! – მერე დაცვარული შუბლი ხელით მოიწმინდა და მზიას ვედრებით მიმართა: – შენ უნდა დამეხმარო!

– მითხარი, ბატონო დიმიტრი, რა გავაკეთო, – თითქმის ტირილით უთხრა გოგომ, რადგან, შეძრული იყო თავისი პაციენტის მდგომარეობით, – ხომ იცი, შენ გამო მთებს გადავდგამ.

– ის წერილი უნდა მოძებნო და მომიტანო.

– სად უნდა ვეძებო?

– ჩემს კაბინეტში! ახლა გამახსენდა: წაკითხვისთანავე ისე ცუდად გავხდი, რომ დივანზე თუ მაგიდაზე მოვისროლე. თან ნამდვილად არ წამომიღია.

– კი მივალ, მაგრამ, მე იქ ვინ შემიშვებს?

– მე დავურეკავ ჩემს მდივანს და ის გაგიღებს კარს.

– მაგრამ, ბატონო დიმიტრი, იმ დღის მერე ორ თვეზე მეტი გავიდა. ვინ იცის, ის წერილი ვინმემ აიღო, ან, სულაც, დამლაგებელმა გადააგდო ოთახის დალაგების დროს...

– არა, დამლაგებელმა, შეიძლება, მხოლოდ წაიკითხა, გადაგდებით კი არ გადააგდებდა – გაფრთხილებული მყავს, რომ ქაღალდის ნახევსაც კი არ უნდა ახლოს ხელი, თუ სანაგვეში არ არის ჩაგდებული.

– სხვები? სხვები არ აიღებდნენ?

– ვინ სხვები?

– მაგალითად, შენი მოადგილეები ან კომპანიონები.

– არ მგონია. იმათ თავიანთი კაბინეტები აქვთ, თანაც, ჩვენ ერთმანეთის ოთახებში დაუკითხავად არ შევდივართ – ეს ყველასთვის წესია. მოკლედ, როგორმე ის ფურცელი უნდა იპოვო და მომიტანო, ისე ვერაფერს გავარკვევ.

– არ გამიბრაზდე, რომ გეკითხები, მაგრამ, ამისთანა რა ეწერა იმ ფურცელზე?

– იმ ფურცელზე ეწერა, რომ თორნიკე ჩემი შვილი არ არის... – ჩურჩულით თქვა დიმიტრიმ, – და რომ იმ წერილის ავტორი არ უნდა ვეძებო, ის თვითონ მომაკითხავს, როცა საჭირო იქნება...

– ვინ ვარო, მინიშნებითაც არ დაუწერია?

– კი, დაწერა, ქალებისთვის შურისმაძიებელიო, – დიმიტრის თვითონაც გაუკვირდა, რომ მთლიანად აღიდგინა იმ წერილის შინაარსი, რომელიც საერთოდ დავიწყებული და გონებიდან ამოვარდნილი ჰქონდა.

– მერე, ბატონო დიმიტრი, ასე ადვილად დაიჯერე ცოლზე ასეთი ცილისწამება?

– არ ვიცი, არ ვიცი... მაშინაც, ლოგიკურად რომ ვიფიქრე, გულში გადავწყვიტე, რომ ეს ყველაფერი არის ბოროტი ტყუილი, მაგრამ, ჩემი და თორნიკეს ურთიერთობა რომ მახსენდება... ერთი სიტყვით, გამორიცხული არაფერია – ქალი ისეთი ამოუცნობი არსებაა, წარმოდგენაც არ გაქვს, სად დაგიდებს ფეხს და როდის გადაგიხდის სამაგიეროს.

– ასე თქმა არ შეიძლება. რისი სამაგიერო უნდა გადაეხადა შენს ცოლს შენთვის?

– ძალიან ბევრი რამის. ადრეც ხომ მითქვამს შენთვის, სულაც არ ვარ ისეთი, შენ რომ გგონია-მეთქი. ნანიტასთან ძალიან ბევრი მაქვს მიქარული. გამწარებული მყავდა... მოკლედ, შენ ბევრი რამ არ იცი და, მინდა, ყველაფერი მოგიყვე.

– არ არის საჭირო, ბატონო დიმიტრი, ისედაც დაგეხმარები, რითაც შემიძლია. შენ რომ ახლა წარსული ცოდვების გახსენება დაიწყო, შეიძლება, ცუდად გახდე. უკეთ კი ხარ, მაგრამ შენს გულს ძალიან დიდი მოფრთხილება სჭირდება.

– არა, ყველაფერი უნდა გიამბო. თუ ყველაფერი არ გეცოდინება, ისე ვერ დამეხმარები. თანაც, ახლა სულ ამაზე მომიწევს ფიქრი და, ვინმეს თუ არ მოვუყევი, მართლა გამისკდება გული. ასე მგონია... მგონია კი არა, დარწმუნებული ვარ, როცა თავიდან ბოლომდე ყველაფერს მოგიყვები, უფრო მომეშვება.

– კარგი, მაგრამ, მაინც მგონია, რომ ირაკლი ექიმს უნდა დავეკითხო, შეიძლება თუ არა ამის გაკეთება... – მზიამ წინადადების დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა.

– ნეტავ ვინ უნდა იყოს? – გაუკვირდა დიმიტრის, – ძლივს მოვემზადე სალაპარაკოდ და მაინცდამაინც ახლა გავახსენდით ვილაცას. მიდი, გაუღე კარი... არა, მანამდე ჰკითხე, ვინ არის და რა უნდა. უცხო არავინ შემოუშვა, არავის ნერვები არ მაქვს.

მზია კარისკენ გაიქცა და ნახევარი წუთის შემდეგ ოთახში ირაკლი ქებაძეს შემოუძღვა გახარებული სახით.


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

– ბატონო ირაკლი, სულ რაღაცა ორიოდე წუთის წინ გახსენეთ. რა კარგია, რომ მობრძანდით, როგორ მინდოდა თქვენი ნახვა, – გაუხარდა დიმიტრის ექიმის დანახვა.

– ჰო, ეტყობა, გულმა მიგრძნო. თან, გადავწყვიტე, პირადად შემემოწმებინა თქვენი მდგომარეობა, – გაუღიმა პროფესორმა და მერე მზიას მიუბრუნდა: – აბა, როგორ არის საქმე, ხომ ყველაფერს გიჯერებს?

– თითქმის, ყველაფერს თქვენი მითითებების მიხედვით ვუკეთებ და ყველაფერს ვიწერ. აი, ინებეთ, – მზიამ ექიმს თაბახის ფურცელი გაუწოდა, რომელზეც შესაშური აკურატულობით იყო ჩამოწერილი რამდენიმე დღის განმავლობაში დაფიქსირებული ყველა მონაცემი. ქებაძემ თავიდან ბოლომდე ყურადღებით წაიკითხა ჩანაწერი და კმაყოფილმა დააქნია თავი, მერე კი დიმიტრის მიმართა:

– როგორც ჩანს, გამოჯანმრთელების პროცესი ნორმალურად მიდის, მაგრამ, რადგან მოვედი, ბარემ გაგსინჯავთ კიდეც.

– ბატონო ირაკლი, გეჩქარებათ? – ჰკითხა დიმიტრიმ და მკერდზე მაისური აიწია, რადგან ირაკლიმ ფონენდოსკოპი ამოიღო ჩანთიდან.

– დღეს დრო საკმაოზე მეტი მაქვს – დაახლოებით ორი-სამი საათი. რა მოხდა, ხომ მშვიდობაა?

– მეტ-ნაკლებად. მოკლედ, რაღაცის მოყოლა მინდოდა მზიასთვის და, რადგანაც მოხვედით, გადავწყვიტე, რომ ორივეს მოგიყვეთ.

– კი ბატონო, მაგრამ, ჯერ გაგსინჯავთ, მზიას ახალ მითითებებს ჩამოვუწერ და მერე რამდენ ხანსაც გინდათ, მოგისმენთ. თანახმა ხართ?

– თანახმა ვარ, – გაუხარდა დიმიტრის და ექიმს დამჯერი ბავშვივით დაემორჩილა.

– რაიმე მნიშვნელოვანი გადახრები არ გვაქვს, პრინციპში, ყველაფერი ნორმაშია, მაგრამ, პულსი გაქვთ აჩქარებული. რამეზე ხომ არ ინერვიულეთ?

დიმიტრიმ არ იცოდა, როგორ დაეწყო საუბარი და რაღაცნაირად უმწეოდ მიაჩერდა ექიმს, მერე კი მზიას შეხედა – მომეხმარეო. გოგო შინაგანად უკვე მზად იყო ამ საუბრისთვის, ამიტომ, არ გასჭირვებია თავისი პაციენტის თხოვნის შესრულება და თამამად მიმართა ქებაძეს:

– ირაკლი ექიმო, ბატონ დიმიტრის ძალიან სერიოზული პირადი პრობლემები აქვს და მათ გასარკვევად და მოსაგვარებლად ჩვენი დახმარება სჭირდება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ, ისე ვერ დავეხმარებით, თუ ყველაფერი არ გვეცოდინება. ამიტომ, გადაწყვიტა, მე და თქვენ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი გვიამბოს და მერე უნდა მოვიფიქროთ, როგორ დავეხმაროთ.

– ნამდვილი დედა ტერეზა ხარ, მზია, – გაეღიმა პროფესორს, – შენი სტიქიაა სხვების დახმარება.

– რა ვქნა, ეგეთი ვარ, – დაიმორცხვა მზიამ.

– ნუ გაწითლდი, კარგი გოგო ხარ, კარგი ექთანი და, რაც მთავარია, ძალიან კარგი ადამიანი, – გულწრფელად შეაქო ქებაძემ და პაციენტის გვერდით, სავარძელში მოკალათდა, – ასე უფრო კარგად მოვისმენ, როგორც ვხვდები, ძალიან სერიოზულ და საინტერესო ისტორიას.

– ბატონო ირაკლი, სანამ ჩემს ამბავს მოგიყვებით, ერთი რაღაც უნდა გკითხოთ.

– ყურადღებით გისმენთ.

– იმ ავარიის შემდეგ ამნეზია დამემართა?

– საიდან მოიტანეთ? – გაუკვირდა პროფესორს, – როგორც კი კომიდან გამოხვედით, იმ წუთიდან გახსოვდათ ყველაფერი, დაწყებული თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების სახელებითა და გვარებით, დამთავრებული თქვენი საქმიანობით. გარდა ამისა, აბსოლუტურად ადეკვატური იყავით. რატომ მეკითხებით ამას?



– შეიძლება, რომ ტრავმის შემდეგ ადამიანს ახსოვდეს ყველაფერი, გარდა ერთი, უფრო სწორად, ერთადერთი მომენტისა?

– მაგალითად?

– მაგალითად, ავარიის წინ სამსახურში მივიღე საშინელი წერილი, რომლის გამოც მომივიდა ავარია. მე კი ეს წერილი მხოლოდ გუშინ გამახსენდა, ისიც მაშინ, როცა მზია რაღაცას მიყვებოდა და სიტყვა „წერილი“ და ერთი პატარა ფრაზა ახსენა. ანუ, მზიას სიტყვებმა ასოციაციურად გამახსენა ის, რაც დავიწყებული მქონდა, თუმცა, მთელი ავადმყოფობის განმავლობაში სულ მაწვალებდა იმის შეგრძნება, რომ რაღაც უნდა გამეხსენებინა, მაგრამ, ვერ ვიხსენებდი, რა იყო ეს „რაღაც“.

– ანუ, თქვენ გაინტერესებთ, რადგან ყველაფერი გახსოვდათ ერთი ეპიზოდის გარდა, დაგემართათ თუ არა ნაწილობრივი ამნეზია?

– დიახ, სწორად მიმიხვდით.

– საერთოდ, ნაწილობრივი ამნეზიის შემთხვევები არსებობს, მაგრამ, თქვენს სიტუაციაში სხვა რამესთან გვაქვს საქმე. როგორც ვხვდები, წერილი მძიმე, მტკივნეული შინაარსის იყო.

– დიახ, საშინელი...

– სწორედ ამიტომ, ტრავმის შემდეგ თქვენმა ტვინმა, თქვენგან დაუკითხავად, გარკვეული ვადით „ამოაგდო“ მეხსიერებიდან ის წერილი და ამით დაგიცვათ კიდეც. ეს სუფთა ფსიქოლოგიური მომენტია, ასე ხშირად ხდება ხოლმე. ეს ელემენტარულად, თავდაცვის ინსტინქტია.

– ასე მარტივადაა ყველაფერი?

– მარტივად და მისახვედრად მე აგიხსენით, სინამდვილეში კი ყველაფერი გაცილებით სერიოზულადაა, – გაეღიმა პროფესორს, – ახლა კი დაიწყეთ თქვენი ამბის თხრობა, თორემ, დრო ცოტა დაგვრჩა და ველარ მოასწრებთ. ოღონდ, შემპირდით, რომ არ იღელვებთ და არ განერვიულდებით.

– გპირდებით. ყოველ შემთხვევაში, შევეცდები, – თქვა დიმიტრიმ, მერე მზიას სთხოვა, სასთუმალი წამოიწიეო და გულის გადასაშლელად მოემზადა.

დიმიტრიმ ყველაფერი შეულამაზებლად უამბო თავის ორკაციან აუდიტორიას: როგორ წაართვა ბავშვობის ძმაკაცს საცოლე; როგორ ღალატობდა და როგორ სცემდა ცოლს; როგორი ურთიერთობა ჰქონდა შვილებთან, განსაკუთრებით – თორნიკესთან; როგორ შეიძულა მამა ჯერ კიდევ სულ პატარა ბიჭმა; როგორ წაასწრო ცოლმა მეძავთან; როგორ გადაეკიდა თორნიკე მტრად; როგორ აიყვანა სამსახურში გუგა, მერე როგორ მოექცა და, თავისი ისტორია იმ საბედისწერო წერილის ამბით დაასრულა. ერთი სიტყვით, რაც ახსოვდა, არაფერი გამოუტოვებია. ყვებოდა სვენებ-სვენებით, მკაფიოდ, დინჯად. პროფესორი გაოგნებული უსმენდა ამ საოცარ აღსარებას და ლამის თვითონ გაუხდა გული ცუდად. იმისიც ეშინოდა, ზედმეტ მღელვარებას მისი პაციენტისთვის გამოუსწორებელი ზიანი არ მიეყენებინა, მაგრამ, მსგავსი არაფერი მომხდარა. დიმიტრის ისე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თავისი განვლილი ცხოვრების შესახებ მოეყოლა მათთვის, რომ, პრაქტიკულად, პულსიც კი არ ასჩქარებია. ერთადერთი, იმით გამოხატავდა მცირეოდენ ემოციას, რომ ყოველი თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ, რამდენიმე ყლუპ წყალს სვამდა, რომ გამშრალი ყელი გაესველებინა.

თხრობა თითქმის ორ საათს გაგრძელდა. დიმიტრიმ ბოლო ფრაზა წარმოთქვა, გაჩუმდა და თვალები დახუჭა – ძალიან უმძიმდა, რომელიმესთვის სახეში შეეხედა. რაღაც მომენტში, თითქოს ინანა კიდეც – ხომ არ შევცდი, ყველაფერი რომ მოვყევიო. მაგრამ, მაშინვე გაიფიქრა, რომ სწორად მოიქცა, რადგან აღარ შეეძლო თავის ცოდვებთან მარტოდ დარჩენა და, საერთოდ, მთელი დარჩენილი სიცოცხლე ასე ცხოვრება.

პროფესორი და მზია ჩუმად ისხდნენ და ხმას ვერ იღებდნენ. რომ არა ექიმის პროფესია, ყველაზე ცოტას, რასაც ირაკლი ქებაძე გააკეთებდა, ის იქნებოდა, რომ დიმიტრისკენ ცხოვრებაში აღარ გაიხედავდა, თუნდაც მისი ღვიძლი ძმა ყოფილიყო. მაგრამ, პროფესია არ აძლევდა ამის უფლებას – უნდოდა თუ არ უნდოდა, მოსწონდა, თუ არ მოსწონდა თავისი პაციენტი, იყო თუ არ იყო ის ამის ღირსი, უნდა ემკურნალა, შეძლებისდაგვარად, გამოეჯანსაღებინა და ფეხზე დაეყენებინა. თანაც ისე, რომ ოდნავი უხეშობაც კი არ გამოემჟღავნებინა მის მიმართ. ეს კი ძალიან ძნელი იყო. ამიტომ, ექიმი ქებაძე ებრძოდა ადამიან ქებაძეს და ეს ბრძოლა აუცილებლად ექიმ ქებაძის გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-9(688)

### სიტუაციიდან გამოსავალი

რისთვის სჭირდება ქალს მამაკაცი? – ყველაზე მარტივი პასუხი ამ შეკითხვაზე ფსიქოლოგის ფუნდამენტური პასუხი იქნებოდა. თავად შეკითხვაც ხომ ფუნდამენტურია. თუმცა, მას ხშირად ჩიხში შეჰყავს ქალებიც და მამაკაცებიც. იქნებ გადარჩენისთვის აუცილებელია წყვილში ცხოვრება... მაგრამ, უბრალოდ, ერთად ცხოვრება და სხვა არაფერი? ქალს ხომ ძალიან უნდა, ვიღაც ზრუნავდეს მასზე, ხელისგულზე ატარებდეს, უფრთხილდებოდეს და მისი ესმოდეს... იყოს ერთგული, თბილი, მომთმენი და... მთელი სამყარო თუ არა, ბედნიერება მაინც აჩუქოს.

ქეთიმ ცრემლები ხელისგულებით მოიწმინდა და ოთახში შემოსულ ქმარს გაუღიმა.

– კარგია, ადრე რომ მოხვედი. შენი საყვარელი კერძი მოვამზადე – სოკო ყველით და კარტოფილით.

– მართლა? რომ არ მშია? სამსახურში ვჭამე. თიკომ სენდვიჩები მომიმზადა.

– თიკომ? ჰო, თიკო კარგი გოგოა. ძალიან ზრუნავს თქვენზე.

ვახომ გაიცინა.

– შენ რა იცი, ჩვენზე ზრუნავს თუ არა... ან ვინ „თქვენს“ გულისხმობდი?

– ეგ ერთი გოგო გყავთ ამდენ კაცს და წარმოიდგენია, რა დღეშია. ყველა ცალ-ცალკე რომ სთხოვთ, ყავა მოგიდუღოთ. ამას ვგულისხმობდი, – ქეთის ეწყინა ქმრის ცოტა უხეშად ნათქვამი, მაგრამ არ შეიმჩნია, – თანაც, შენ ხომ ამბობ, კარგი გოგოაო.

– რა ვიცი. შეიძლება, მითქვამს კიდეც... – ვახომ მხრები აიჩეჩა, – ჰო, კარგი გოგოა. თუმცა, როგორც ყველა ქალს, მასაც ჰყავს თავისი ოფოფები. ახლა ცოტა ჩაწყნარდა, თორემ ეგ და გიგი სულ ჩხუბობდნენ და გაშვება მე მიწევდა. რას ერჩოდნენ ერთმანეთს, დღესაც არ ვიცი.

– იქნებ, გიგი უშლიდა ნერვებს? ყოველთვის ქალები რატომ ვართ დამნაშავეები? – წყენით ჩაილაპარაკა ქეთიმ, თუ ეს მამაკაცური ლოგიკაა?

– არ ვიცი. არ დავფიქრებულვარ მაგაზე. ბევრი საქმე მაქვს და ზოგადსაკაცობრიო თემებით ტვინს ვერ დავიღლი. ისე, არც დიდი გამოცდილება მაქვს სქესთა შორის საკითხებში. თუმცა, ვამჩნევ, რომ ქალების უმეტესობას კაცებთან ურთიერთობის სერიოზული პრობლემა აქვს. ვიღაც სულ შორდება ქმარს... ვიღაცას ვიღაც გაურბის... ვიღაც გაქცევის ზღვარზეა... მოკლედ, რთულია ეს ყველაფერი.

– ჰო... რთულია, – ამოიოხრა ქეთიმ, – ზოგადად, ადამიანების ურთიერთობაა რთული. შენ გიგისთან ცხოვრობდი, ხომ?

ვახო დაიძაბა და ცოლს ეჭვით შეხედა.

– რატომ მეკითხები? ეჭვიანობ?

– არა. უბრალოდ, მგონი, მითხარი, მთელი ეს პერიოდი, რაც სახლიდან ვიყავი წასული, გიგისთან ვცხოვრობდიო.

– შენთვის რა მნიშვნელობა აქვს... მოისვენე, ძალიან გთხოვ, ნუღარ მახსენებ ამ ყველაფერს, – შეიჭმუხნა ვახო, – მიდი, ბავშვს ჩააცვი და გავასეირნებ.

ქეთი მოიღუშა.

– მეც რომ წამოვიდე, შეიძლება?

– როგორც გინდა. მაგრამ ასეთი სახით რატომ მეკითხები, თითქოს რაღაც დავაშავე?

– ისე თქვი, წავიყვანო, ვიფიქრე, ჩემთან ერთად ყოფნა არ გინდოდა.

ვახომ ამოიოხრა.

– ქეთი, არ შეგიძლია, ყველაფერი ტრაგიზმის საბურველში არ გაახვიო? გინდა, ჩვენთან ერთად წამოსვლა? რა პრობლემაა?! – თქვი და წამოდი, რაში გჭირდება სიტუაციის ასეთი დრამატიზება.

ქეთი ლამის ატირდა.

– როგორ მეუბნები მაგას. მინდოდა, შენ გეთხოვა, სულ ეს არის.

– არა. სულ ეს არ არის. სულ ცდილობ, რაღაც ისეთი თქვა, რითაც მაგრძნობინებ, რომ შენ მიმართ უყურადღებო და ცივი ვარ. არ მინდა, ასეთი დაძაბული ურთიერთობა. თავისუფლად უნდა ვილაპარაკო და ვისუნთქო იმ ადამიანთან, რომელიც ყველაზე ახლობლად მიმაჩნია. ძნელია ამის გაგება, ქეთი? რატომ უნდა ვეწონიდე თითოეულ სიტყვას და რატომ უნდა ვიძაბებოდე? დისკომფორტი მექმნება.



– მოიცა, ამით რის თქმა გინდა? – წამწამები დაახამხამა ქეთიმ, – მე გძაბავ და გიქმნი დისკომფორტს?

– ჰო. შეიძლება, უნებლიეთ, მაგრამ ასე გამოგდის. ქეთი, საყვარელო, შეეცადე, ასე აღარ მოიქცე. თავისუფლად იყავი და მეც მომეცი თავისუფლება.

ქეთის უნდოდა ეთქვა, მეც არ ვარ თავისუფლად, რაც შენ ეჭვის თვალით დამიწყე ყურებაო, მაგრამ გაჩუმება ამჯობინა.

– ესე იგი, არ გშია.

– არა. ჩააცვი ბავშვს, ჩაიცვი შენც და წავიდეთ სადმე. ოღონდ გაიღიმე და ისე, თორემ თავს დამნაშავედ ვგრძნობ. მეჩვენება, რომ გეწყინა, რაც გითხარი.

– არა, არ მწყენია. რაც სათქმელია, აჯობებს, ითქვას. ყოველთვის ასე ჯობია, – მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ქეთიმ. ვახომ თავი გადააქნია.

– მგონი, ჩვენი გასეირნება ჩაიშალა. ლაპარაკი გინდა? კარგი, მოდი, ვილაპარაკოთ. თუმცა, წინასწარ გაფრთხილებ, მე ამისთვის მზად არ ვიყავი.

ქეთიმ ხელები გაასავსავა.

– არა, არა... წავიდეთ, მირჩევნია, გავისეირნოთ. მოდი, „მაკდონალდსში“ წავიდეთ. ხომ იცი, როგორ მიყვარს, ბავშვსაც უყვარს...

– ჩემთვის სულერთია, წავიდეთ, სადაც გინდა.

ქეთიმ ქმარს დატუქსული ლეკვივით ერთგულად და სიყვარულით შეხედა.

– მითხარი, არ ბრაზობ ჩემზე?

– საიდან მოიტანე. არა! – გალიზიანებულმა ვახომ ცოლს ზურგი შეაქცია და ბავშვთან მივიდა. პირდაღებული რომ შესცქეროდა ტელევიზორის ეკრანზე მულტფილმს. ქეთიმ ჩუმად ამოიოხრა და ბავშვის ტანსაცმლის გამოსატანად მეორე ოთახში გავიდა.

***

... ლიზამ ნიკაპი ხელისგულს ჩამოაყრდნო და თვალები მინაბა.

– მგონი, საფრთხე გაზვიადებულია... მე ასე ვფიქრობ. მოდი, დავივიწყოთ ეს ამბავი და საქმეს მივხედოთ... ჩვენს რეალურ საქმეს, რა თქმა უნდა.

გიგიმ მხრები აიჩეჩა.

– თქვენი ნებაა, ასე იფიქროთ, მაგრამ მე მეჩვენება, რომ ზედმეტად თავდაჯერებული ხართ. რას იზამთ, უცბად, მთელი სტუმრების თანდასწრებით რომ იფეთქოს და სიურპრიზი მოგიწყოთ? გამორიცხული ხომ არ არის, თეორიულად მაინც...

– თეორიულად, გეთანხმები, არ არის გამორიცხული. საერთოდ, არასოდეს არაფერი არ არის გამორიცხული – მაგრამ ვერ გაბედავს.

– ანუ, ჩემი დახმარება არ გჭირდებათ?

– არ ვიცი. შევხედავ... იცი, რა ვქნათ? შენ უთხარი ზუკას, რომ მნახე და მელაპარაკე. ნახე, როგორი რეაქცია ექნება და მომიყევი. მერე უფრო ჩამოვყალიბდებით და მივხვდებით, რას შეიძლება, მისგან ველოდოთ.

გიგიმ აღფრთოვანებული მზერა შეავლო ქალს.

– იცით, გიყურებთ და ვერაფრით მივმხვდარვარ, რაში დაგჭირდათ ზუკა?

ლიზას ჯერ გაუკვირდა. ლამაზი თვალები საყვარლად, ბავშვურად გაუფართოვდა და აკისკისდა.

– არაჩვეულებრივი შეკითხვაა. ნეტავი, რისთვის სჭირდებათ ქალებს მამაკაცები? მაგალითად, სახლში ლურსმნის მისაჭედებლად! არა. არ გამოგვადგება ეს ვერსია. ზოგჯერ მეც მიმიჭედებია ლურსმანი და კაცი ამისთვის აუცილებელი ნამდვილად არ არის. განვიხილოთ მეორე ვარიანტი, რომელიც დასაწყისშივე განწირულია – ქმრად ზუკა ნამდვილად არ მდომებია... გადავდივარ მესამე ვერსიაზე: ზოგიერთ ქალს მამაკაცი სჭირდება იმისთვის, რომ უყვარდეს, იზრუნოს მასზე, გაანებივროს, საჩუქრები უყიდოს, უცხოეთში დაასვენოს – ამისთვის მე ქმარი მყავს, ანუ ესეც გამოირიცხა... ძალიან ხომ არ დაიღალე ლაპარაკით?

– არა, პირიქით, ძალიან საინტერესო რამეს ამბობთ და საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას მაწვდით, – თვალი ჩაუკრა გიგიმ, – რაც მე ძალიან გამომადგება სამომავლოდ.

– ჰა, ჰა, ჰა... ძალიან საყვარელი ხარ. ფიქრობ, ეს ყველაფერი ქალების შესაბმელად გამოგადგება? შენ იცი. თუმცა, ახლა ზუკასთან ჩემს ურთიერთობას განვიხილავთ. გავაგრძელო?

– დიახ... ყურადღებით გისმენთ...

– მოკლედ, ვცდილობ, აგიხსნა, რისთვის მჭირდებოდა ზუკა, ანუ შენს შეკითხვას ვპასუხობ. თუმცა მეეჭვება, გაიგო. ჩემთვის აბსოლუტურად სხვა პრიორიტეტები არსებობს. ყველა ქალის მაგივრად ნამდვილად ვერ ვილაპარაკებ. მაგალითად, ზოგიერთი ქალი იმასაც აქცევს ყურადღებას, წრფელი გულით მიუძღვნა კაცმა საჩუქარი თუ გამოუვალი სიტუაციის, ან კიდევ სხვა რაღაცის კარნახით... მე არც იმის პრობლემა მქონდა, რომ შემშინებოდა, მარტო არ დავრჩეო... ისიც შეიძლება, გვერდით მამაკაცი გყავდეს, მაგრამ თავს მაინც მარტოსულად გრძნობდე. უამრავი გათხოვილი ქალია ჩვენ გვერდით ასეთი...

– თქვენ მარტოსულად გრძნობდით თავს? ან როდესმე გქონიათ ასეთი მომენტები?

– არა. არასოდეს. ჩემნაირი ქალები მარტონი არასოდეს რჩებიან. ჩემში ბევრი „მე“ ცხოვრობს და ისინი შესანიშნავად მივსებენ სიცარიელეს, როცა ის ჩნდება.

– მით უმეტეს, არ მესმის თქვენი... ზუკა ჩვეულებრივი ბიჭია... თუმცა, შესაძლოა, ისეთი ფარული ღირსებებიც ჰქონდეს, რომელთა შესახებაც მე არაფერი ვიცი... – მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა გიგიმ...

– ნუ ეშმაკობ, პირდაპირ თქვი, რომ გინდა, სექსზე ამალაპარაკო. მოდი, ასე ვთქვათ – ეგ თემა ჩემთვის მნიშვნელოვანია. თუმცა, არც იმდენად, რომ მთავარ ღირებულებებს ვუღალატო. იმედია, არ მკითხავ, რა არის ჩემი მთავარი ღირებულებები. ეს შენ საერთოდ არ გეხება.

– ანუ, პასუხი ჩემს შეკითხვაზე ვერ მივიღე?

– პირიქით, ძალიან ნათელი პასუხი მიიღე.

– რომელიც მხოლოდ ერთგვაროვნად მესმის – არაფერშიც არ გჭირდებოდათ.

– ზუსტად. ადამიანებს ზოგჯერ ურთიერთობა იმ შემთხვევაშიც აქვთ, როცა ერთმანეთი არაფერში სჭირდებათ.

– არ შემიძლია, არ დაგეთანხმოთ. ეს სრული სიმართლეა, თუმცა, ხშირად ცალმხრივად არ სჭირდებათ ხოლმე... ან ჯერ ერთი ფიქრობს, რომ მეორე არაფერში სჭირდება, მერე მეორე აღმოაჩენს ამ ჭეშმარიტებას. მგონი, ბევრი დრო წაგართვით, გადავიდეთ კონკრეტულ საქმეზე. ზუკას კი აუცილებლად დაველაპარაკები.



ლიზამ ალერსიანად გაუღიმა.

– მე ვფიქრობ, ერთმანეთს გავუგეთ და ვიმეგობრებთ კიდეც.

– მხოლოდ გამიხარდება თქვენნაირი მეგობრის შეძენა, – გიგიმ ფამილარულად დაუკრა თავი და ქალის თლილ, მოვლილ თითებს ტუჩებით შეეხო.

– როგორ არ ჰგავხარ შენს მეგობარს, – უთხრა ლიზიმ. გიგიმ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

– ეს კარგია თუ ცუდი?

– საშუალო და ერთმნიშვნელოვნად სტაბილური, – აკისკისდა ლიზა და მოახლოებულ ქმარს ხელი დაუქნია, – ლევან, მოდი ჩვენთან, საყვარელო, – დაუძახა ხმამაღლა. კაცი ღიმილით წამოვიდა მათკენ.

– აბა, ძალიან ხომ არ გაგაწვალათ ჩემმა მეუღლემ? განსაკუთრებული მოთხოვნები აქვს?

– სულაც არა. გავუგეთ ერთმანეთს. თქვენ არ იღელვოთ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ქალბატონ ლიზას უნდა.

– ძალიან კარგი. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

– მესმის თქვენი. ასეთი მეუღლე რომ მყავდეს, მეც ყველაფერს გადავაკეთებდი მისი სიამოვნებისთვის.

– ჰო, ლიზა ჩემი თილისმაა, ჩემი ცხოვრების მთავარი მონაპოვარი.

გიგიმ ღიმილი ძლივს შეიკავა... თუმცა გულის სიღრმეში ლევანის მიმართ პატივისცემის გრძნობაც გაუჩნდა.

***

მოულოდნელი დასკვნა: ქალს მამაკაცი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ სჭირდება, რომ უყვარდეს. აქვს სიყვარულის მოთხოვნილება და რა ქნას?! თან, საპასუხო გრძნობაც უნდა – ესეც ნორმალურია. თანაც, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მართებული წარმოდგენები მსოფლიოსა და სამყაროს მოწყობაზე ერთად აღებული...

***

ვახომ ცოლს კისერში აკოცა და უკმაყოფილოდ დაიჯღანა.

– ცუდია, რომ უნდა ავდგე და სამსახურში წავიდე.

– შენც ნუ წახვალ, – ნებივრად გაიზმორა ქეთი და ქმარს შიშველ მხარზე მიეხუტა, – მეც არსად წავალ და ვიყოთ ასე.

– არ გამოვა, – ამოიოხრა ვახომ, – ძალიან ბევრი საქმე მაქვს. კარგი შეკვეთები წამოვიდა და ვადებში უნდა ჩავეტიო. თანაც, მალე ნანაც მოვა ბავშვის დასატოვებლად, საწოლში ხომ არ დავხვდებით, სირცხვილია.

– დღეს ნანა არ მოვა, – თვალი ჩაუკრა ქეთიმ, – დამეთხოვა გუშინ. მეც კლინიკაში არ მივდივარ. ასე რომ, თუ დარჩები, კარგად გავერთობით.

– არ შემიძლია. მართლა, – ვახომ საყვედურით მომზირალ ცოლს ლოყაზე მოუსვა ხელი, – გადავაგორებ ამ საქმეებს და ერთი ორი დღით სადმე „გავძვრეთ“.

– რა კარგია, ისევ პარიზში წამიყვან?

– არა. აქვე ახლოს, სადმე. პარიზი მეტისმეტია... ვერ „გავქაჩავ“. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით... ჰო, მართლა, შენ იმ ლიზასთან გაქვს კიდევ კონტაქტი?

– არა. რატომ მეკითხები? – მხრები აიწურა ქეთიმ.

– მე ხომ არ გავხდი თქვენი მეგობრობის დასრულების მიზეზი?

– არა. უბრალოდ, აღარ სცალია. ფეხმძიმედ არის და ბოლოს როდის დამირეკა, აღარც კი მახსოვს. შენ რაღატომ გაგახსენდა, თანაც ახლა. ისევ გაქვს აგრესია მის მიმართ?

– რა აგრესიაზე ლაპარაკობ. არც არასოდეს მქონია. აღარც მახსოვს, გითხარი თუ არა, რომ ჩემი კლიენტის ცოლია და ივენთზე რომ მიმყავხარ, მგონი, სწორედ ლიზაა მაგის სულისჩამდგმელი... და კიდევ, ვიცოდი, ფეხმძიმედ რომ იყო.

ქეთი წამოჯდა და ქმარს განცვიფრებით მიაჩერდა.

– შეგხვდა? როდის? სად? ჩემზე ხომ არ ელაპარაკე?

– მოიცა, ნუ მომაყარე შეკითხვები... არ მინახავს, გეფიცები, – ვახო შეყოყმანდა, – არც ვიცი, გითხრა თუ არა...

– რა მოხდა? – ყურადღება დაძაბა ქეთიმ, – გთხოვ, მითხარი.

– კარგი გეტყვი, – ვახომ შუბლზე მოისვა ხელი, – ოღონდ პირობა უნდა მომცე, რომ ისე მოიქცევი, თითქოს არაფერი იცი. ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ ჩემი თანამშრომელი ზუკა მიიჩნევს, რომ ლიზას მომავალი შვილის მამა თვითონ არის.

– რა? – ქეთიმ პირზე აიფარა გაშლილი ხელისგული, – ვაიმე, ეს სერიოზული სკანდალია, არა?!

– გეხვეწები, გაჩუმდი. არავითარი სკანდალი... ქეთი, შენგან რომ გავრცელდეს ეს ამბავი, ვერ გადამირჩები.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ქურდული ცხოვრება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-9(688)**

ერთხელ ოქროსფრჩხილა მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში იმყოფებოდა. მან ერთ-ერთი სურათის წინ შეკრებილ ოციოდე დამთვალიერებელს ამ სურათის ისტორიის მოყოლა დაუწყო სანამ ისინი მას პირდაღებულები უსმენდნენ, ოქროსფრჩხილამ ოცი საფულე მოიპარა, პალტოს სხვადასხვა ჯიბეში ჩაილაგა და იქიდან აორთქლდა... ის მხოლოდ ერთხელ იჯდა ციხეში და არა ჯიბგირობისთვის, არამედ იმის გამო, რომ სასწავლო მანქანით რაიკომის მდივნის „ვოლგა“ დაამტვრია. ექვსი თვით ჩასვეს და სწორედ მაშინ გავიცანი ის ბუტირკის ციხეში. ასე თქვა: ღმერთმა დამსაჯა, რადგან ისეთ საქმეს მოვკიდე ხელი, რომელიც ჩემი საქმე არ იყოო...



შავი სამყაროს ისტორიაში ოქროსფრჩხილას მსგავსი შემოქმედი კრიმინალი არცთუ ბევრი ყოფილა. მათი უმრავლესობა აფერისტი და ჯიბგირი იყო, მარტო „კრასავჩიკის“ ისტორიები რად ღირს. მართლაც პროფესიონალი აფერისტი, ისეთ სპექტაკლებს დგამდა, სტანისლავსკისაც კი შეშურდებოდა. კრასავჩიკი მრავალმხრივ განათლებული, უნიჭიერესი ადამიანი გახლდათ, ცხრა ენას სრულყოფილად ფლობდა. შეეძლო, მთელი შექსპირი ზეპირად წაეკითხა ან კლასიკურ ფილოსოფიაზე ესაუბრა. ის ხატავდა, ძერწავდა და შეეძლო, ნებისმიერი საბუთი გაეყალბებინა. ერთი ფრანგი მაგნატი კი ისე დააბოლა, კრემლის კომპლექსი და ოსტანკინოს ტელეანძა მიჰყიდა... მისივე გაყიდულია მდინარე მოსკვას მარჯვენა სანაპირო, სადაც იაპონელებს რესტორნების ქსელი უნდა გაეშენებინათ. კრასავჩიკმა იმდენი ქნა, გერმანელი მილიონერის ქალიშვილი შეაბა, მასზე დაქორწინდა და უცხოეთში გაემგზავრა. დღესდღეობით საკმაოდ ასაკოვანია, მაგრამ მსხვილ ბიზნესს კურირებს... ერთი სიტყვით, კრიმინალურ სამყაროში ბევრი ნიჭიერი ადამიანი მოღვაწეობს და ჩემი ცხოვრების განმავლობაში ბევრ მათგანს პირადად ვიცნობდი. მარტო „ხურდას“ სახელი რად ღირს. ხურდა ყალბი ფულის მჭრელი იყო და მილიონ-ნახევარი მანეთი ჰქონდა დაბეჭდილი. ის სრულიად შემთხვევით, ცოლის დაბეზღებით, დაიჭირეს და დახვრეტა მიუსაჯეს. ექსპერტებმა კი მისი დაბეჭდილი ფული ნამდვილისგან ვერ გაარჩიეს. ბოლოს ხურდა „კაგებემ“ წაიყვანა და მათთან მუშაობდა.

ასე რომ, კრიმინალური სამყარო მხოლოდ მკვლელებისა და მოძალადეებისგან არ შედგება. ერთხელ, ვლადიმირის კრიტში ერთი კაცი გავიცანი, რომელიც პუშკინის შემოქმედებას აყალბებდა. შუახნის კაცი იყო, ყველა პატივს სცემდა და ძია სტიოპას ვეძახდით. ძია სტიოპას ათი წელი ჰქონდა მისჯილი პოლიტპატიმრის სტატუსით, რადგან პუშკინის შემოქმედების გაყალბება სახელმწიფოსა და მისი წეს-წყობილების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად ჩაითვალა. ძია სტიოპა პროფესიით ფილოლოგი იყო და ცნობილი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებას იკვლევდა. თავის საქციელს ის სულ სხვაგვარად ხსნიდა. ერთხელ, როცა ძალიან მორიდებულად ვკითხე, თუ რატომ აყალბებდა პუშკინს, მან მითხრა:

– მინდოდა, პუშკინის ტყავში მეგრძნო თავი და ის სიყვარული და დიდება გამომეცადა, რაც პუშკინის მიმართ არსებობს, – მიპასუხა ძია სტიოპამ, მე კი ვუთხარი:

– ძია სტიოპა, პუშკინის გაყალბების მაგივრად, რომ თქვენი ნაწარმოებები თქვენი სახელით გამოგექვეყნებინათ, მაშინაც ხომ პოპულარული და ცნობილი იქნებოდით?

– არა, კობრა, – ღიმილით თავი გააქნია ძია სტიოპამ, – ჯერ ერთი, არავინ გამომიქვეყნებდა და რომც გამოექვეყნებინათ, იტყოდნენ, პუშკინს ბაძავსო და საყოველთაო დაცინვის ობიექტი გავხდებოდი. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, გაყალბება და თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. ჩემ მიერ ვითომ პუშკინის აღმოჩენილ ლექსებზე ორი მონოგრაფია დავწერე და თხუთმეტი ლექსი პუშკინის პოეზიის რჩეულშიც შეიტანეს. შენ ვერ წარმოიდგენ, რა ბედნიერი ვიყავი, როცა ჩემი ლექსები პუშკინის ლექსები ეგონათ. ცენტრალურმა ტელევიზიამ ორი დიდი გადაცემა მიუძღვნა ჩემს აღმოჩენას და ფილოლოგიის დოქტორის ხარისხიც კი მივიღე პუშკინოლოგიაში.

– ძია სტიოპა, როგორ დააჯერეთ ისინი, რომ პუშკინის ლექსები აღმოაჩინეთ?

– ჩემი აღმოჩენა მეცნიერებათა აკადემიაში მივიტანე, – გაეცინა ძია სტიოპას.

– ჰო და, როგორ დააჯერეთ მათ, რომ პუშკინი აღმოაჩინეთ? დარწმუნებული ვარ, იქ არიფები არ იქნებიან.

– რის არიფები. იქაურობა მსოფლიო კორიფეებითაა სავსე.

– როგორ გააცურეთ ისინი?

– რადგან ასე ძალიან გაინტერესებს, მაშინ ყველაფერს თავიდან მოგიყვები. მომისმენ? თავს არ შეგაწყენ?

– რა თქმა უნდა, მოგისმენთ, ძია სტიოპა. რა თავს შემაწყენთ, რას ბრძანებთ, – ვუთხარი ძია სტიოპას.

– მოკლედ ასე, ჩემო კობრა. პუშკინს ბავშვობიდანვე ვაღმერთებდი, მის შემოქმედებას დეტალურად ვსწავლობდი და, რა თქმა უნდა, ვბაძავდი. თხუთმეტი წლის რომ ვიყავი, ექვსი ლექსი მქონდა დაწერილი. მაშინ გამიჩნდა იდეა, გამეკეთებინა ის, რაც შემდეგ გავაკეთე და რისთვისაც ახლა ციხეში ვზივარ. რუსულს ძალიან ცნობილი ფილოლოგი მარია ანტონოვნა ზორინა მასწავლიდა. ის ცნობილი პუშკინოლოგი იყო და მისი შემოქმედება საფუძვლიანად იცოდა. ჩემი გეგმა ძალიან უბრალო გახლდათ. მე მისთვის ჩემი ლექსი უნდა წამეკითხა, პუშკინის დაწერილად გამესაღებინა და შედეგს დაველოდებოდი – თუ ზორინა მიხვდებოდა, რომ ვატყუებდი, მაშინ ვეტყოდი ვიხუმრე, მაინტერესებდა, რა აზრის ხართ ჩემს ლექსზე-მეთქი. ერთხელ, მარია ანტონოვნამ კლასგარეშე საკითხავი პუშკინის ლექსების მოძიება და სწავლა დაგვავალა. შემდეგ გაკვეთილზე ზორინას ჩემი ორი ლექსი წავუკითხე და შედეგის მოლოდინში გავისუსე. მარია ანტონოვნამ თავი გააქნია და თქვა:

– მე მეგონა, რომ პუშკინი სრულად მქონდა შესწავლილი, მაგრამ გამოდის, რომ ვცდებოდი. ეს ორი ლექსი მე პირველად მოვისმინე დღეს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი პუშკინის გენიალობაში. ყოჩაღ, სტიოპა! ბავშვებო, ტაში დავუკრათ პუშკინსა და სტიოპას.

მთელმა კლასმა ტაში დასცხო. მარია ანტონოვნა ზორინას სიტყვები კი ჩემი შეფასების საუკეთესო კრიტერიუმი იყო. იმ მომენტში თავი პუშკინი მეგონა და მტკიცედ გადავწყვიტე, ჩემი გეგმა განმეხორციელებინა – პუშკინი გამეყალბებინა. ზორინას მხრიდან რომ ზედმეტი ეჭვები ამერიდებინა თავიდან, გაკვეთილის დასრულების შემდეგ, მასთან მივედი და ვუთხარი:

– მარია ანტონოვნა, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავვარდი. თქვენი რჩევა და დახმარება მჭირდება.

– რაშია საქმე, რა მოხტა სტიოპაჩკა? – შეწუხდა ზორინა.


**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

– მარია ანტონოვნა, მე რომ დღეს პუშკინის ლექსები წაგიკითხეთ, ის წიგნი ჩემი მეზობლისგან ვითხოვე. ძველი გამოცემა იყო, ალბათ, ასი წლის წინანდელი. ერთი სიტყვით, ეს წიგნი ჩემმა უმცროსმა ძმამ ბუხარში შეაგდო და სულ მთლად დაწვა. არ ვიცი, რა ვქნა. წიგნი ხომ უნდა დავუბრუნო პატრონს და სად ვიშოვო?

– ცუდი საქმე დაგმართნია, – სერიოზული სახით მითხრა ზორინამ, – მე პუშკინის ძალიან ბევრი გამოცემა მაქვს სახლში, მაგრამ გარწმუნებ, რაც შენ გჭირდება, არა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენ მიერ წაკითხული ლექსები არ მეუცხოებოდა, რადგან ყველა ჩემი წიგნი გადაღეჭილი მაქვს და ზეპირად ვიცი. ბუკინისტები თუ გვიშველიან. ამისთვის კი, წიგნის გამომცემლობის დასახელება და თარიღი უნდა ვიცოდე.

– არ ვიცი, მარია ანტონოვნა, – სინანულით გავაქნიე თავი, – წიგნს ჭრელი, მაგარი ყდა ჰქონდა და ლექსები მეცამეტე და მეთოთხმეტე გვერდებზე იყო დაბეჭდილი. მხოლოდ ეს დამამახსოვრდა. ისე, რომ ვნახო, ვიცნობ.

ზორინამ რამდენიმე მისამართი მომცა და მითხრა:

– ესენი ბუკინისტები არიან. ჩემი სახელით მიხვალ და შენს გასაჭირს მოუყვები. ისინი წიგნებს გიჩვენებენ და თუკი საჭირო გამოცემა ექნებათ, გამოგატანენ.

ზორინას დიდი მადლობა გადავუხადე და ბუკინისტების მისამართები გამოვართვი. ასე კი იმიტომ მოვიქეცი, რომ ზორინას თავად არ მოეთხოვა ის წიგნი, რომელშიც მისთვის უცნობი პუშკინის ლექსები იყო დაბეჭდილი. ეს ისტორია კი იმით დასრულდა, რომ ზორინას ვუთხარი:

– მარია ანტონოვნა, ბუკინისტებს საჭირო წიგნი არ აღმოაჩნდათ და იძულებული გავხდი, მეზობლისთვის სრული სიმართლე მეთქვა.

– იმან, რა გითხრა? – მკითხა ზორინამ.

– ნუ ინერვიულებ, შენი ჭირიც წაუღიაო, – ვუთხარი რუსულის მასწავლებელს.

ერთი სიტყვით, ჩემი გრანდიოზული გეგმის განხორციელების გზაზე პირველი გამოცდა წარმატებით ჩავაბარე. ამან კი, დიდი სტიმული მომცა და პუშკინის შესწავლას საფუძვლიანად მოვკიდე ხელი. ფილოლოგიის ფაკულტეტი რომ დავამთავრე, უკვე პუშკინის ოცი ლექსი მქონდა გაყალბებული და შესაფერის მომენტს ვეძებდი, რომ ჩემი გეგმა სისრულეში მომეყვანა. მუშაობა დავიწყე ლიტერატურის ინსტიტუტში და ხშირად დავდიოდი მივლინებებით იმ ადგილებში, სადაც პუშკინს უმოღვაწია. ერთ-ერთი ასეთი ვოიაჟის დროს, კავკასიაში, პუშკინის ეპოქის ცარიელი ფურცლები ვიპოვე ერთი ქოხის სხვენში. სწორედ ეს იყო, რაც მე მჭირდებოდა, ჩემ მიერ ფალსიფიცირებული ლექსები სწორედ იმ ფურცლებზე გადავიტანე, წინ კი ასეთი ტექსტი დავურთე: „იმის გამო, რომ ცხენით ჯირითის დროს ხელი დავიზიანე, მე, თავადი ალექსანდრე პუშკინი, ჩემს ლექსებს ვაწერინებ ჩემი კარნახით დიაკვან პეტრე ალექსეევს“. ასეთი შესავალი კი იმიტომ მჭირდებოდა, ხელნაწერისთვის რომ გრაფოლოგიური ექსპერტიზა ჩაეტარებინათ, დადგინდებოდა, ლექსები პუშკინის ხელით რომ არ იყო დაწერილი და სიყალბე გამოაშკარავდებოდა. მე მკვლევარი ვიყავი და ზუსტად ვიცოდი, რომ მსგავსი ხელნაწერების აღმოჩენისას მხოლოდ და მხოლოდ გრაფოლოგიურ ექსპერტიზას ატარებდნენ ხელწერის დასადგენად, აგრეთვე, ამოწმებდნენ ქაღალდსაც, რომ მისი სიძველე დაედგინათ. მელანს კი არ ამოწმებდნენ და უფრო ამიტომ, გადავწყვიტე ასე თამამად, ეს აფერა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას არ ვიზამდი, რადგან პუშკინისდროინდელ მელანს ვერსად ვიშოვიდი და არც ქიმიკოსი ვიყავი, რომ მელანი თავად დამემზადებინა. ერთი სიტყვით, გაყალბებული ნაწერები ისევ იმ ადგილზე დავდე, სადაც ფურცლები ვიპოვე და ზუსტად ხუთი წლის მერე „აღმოვაჩინე“ გენიალური პუშკინის აქამდე უცნობი ლექსები.



– როგორ დაიწვი, ძია სტიოპა?

– ისევ და ისევ მელნის გამო.

– როგორ?

– ექსპერტიზა ჩაუტარეს.

– თქვენ არ თქვით, ექსპერტიზას არ უტარებენო?

– სამწუხაროდ, ჩაუტარეს და ეს ყველაფერი ერთი ფეთხუმი, დაუდევარი ჩემი კოლეგის გამო მოხდა.

– ეგ როგორ?

– როგორ და, ჩემი აღმოჩენა ხომ პუშკინის ხელნაწერთა ინსტიტუტში იყო შენახული. ჰოდა, ვიღაც ბობოლა პარტიულის ცოლი საკანდიდატო დისერტაციას იცავდა პუშკინის შემოქმედებაზე. იმ ქალს, რა თქმა უნდა, ქმრის ბლატით, უფლება მისცეს, ჩემი აღმოჩენით ესარგებლა და ხელნაწერებთან მიუშვეს. იმ კრეტინს კი ხელნაწერზე ყავა გადაესხა. ეს ამბავი რომ არ გახმაურებულიყო, ხელნაწერი ვიღაც ქიმიკოსს მიუტანეს, რომ ყავის ლაქები მოეშორებინა. სწორედ ამ ქიმიკოსმა გამოიკვლია მელანი და დაადგინა, რომ 1955 წელს იყო დამზადებული მოსკოვის ქიმიურ ქარხანაში, ანუ 130 წლით გვიან, ვიდრე ეს ლექსები დაიწერა. ერთი სიტყვით, ყველაფერი გაირკვა. მე სხვა გზა არ მქონდა და დანაშაული ვაღიარე. იმის მაგივრად, რომ აფერისტობისთვის სამი წელი მოეცათ, სახელმწიფოს წესწყობილების წინააღმდეგ მიმართული ქმედებისთვის ათი წელი მომისაჯეს და აქ გამომამწყვდიეს.

– აბა, ესენი ხალხია? – აღვშფოთდი მე, როდესაც ძია სტიოპამ მოყოლა დაასრულა და დავამატე, – პირიქით, თქვენთვის ყველა პირობა უნდა შეექმნათ, რომ გელვაწათ და ახალი შედევრები შეგექმნათ.

– კარგი იქნებოდა, მთავრობაც რომ შენნაირად ფიქრობდეს, მაგრამ კანონი კანონია და ჩემისთანა ადამიანებს მთელი სიმკაცრით სჯის, – მითხრა ძია სტიოპამ და ღიმილით თავი გააქნია. მერე კი, მკითხა:

– გინდა, ლექსები წაგიკითხო?

– თქვენი თუ პუშკინის?

– ჩემი, რომლებსაც პუშკინისეულად ვასაღებდი.

– წაიკითხეთ.

ძია სტიოპამ ხუთი ლექსი წამიკითხა და მკითხა:

– როგორია?

– ძალიან მაგარი და რაც მთავარია, თავად პუშკინის დაწერილს ბევრად სჯობს.

– შეიძლება, მართალიც კი ხარ, მაგრამ პუშკინი მაინც პუშკინია და რაც არ უნდა მასზე კარგად წერდე, მაინც არავინ დაგიფასებს, – ნაღვლიანად მითხრა ძია სტიოპამ და ნარზე წამოწვა.

ძია სტიოპასა და პუშკინის არ იყოს, ადამიანები ძალიან ხშირად არც გენიოსებს აფასებენ და არც მათ მიერ მოტანილ სიკეთეს. ხშირად ასეთ ხალხს დევნიან და ცილს სწამებენ. ზოგჯერ კი თავიდანაც იშორებენ და ფიზიკურად უსწორდებიან. ერთხელ, ჩრდილოეთ ურალში ვიხდიდი სასჯელს. იქ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში იმ პერიოდში ერთადერთი ქურდი ვიყავი. შავი ზონა იყო და რა თქმა უნდა, ქურდული პალაჟენია ტრიალებდა. ერთ დღეს იქ ერთი ქართველი, ახალგაზრდა კაცი მოიყვანეს. ის დღესაც ცოცხალია, უცხოეთში ცხოვრობს და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სხვა სიტუაციაა, თავის სამშობლოს სათოფეზეც არ ეკარება. ამ კაცის ვინაობის გამხელა არ მინდა და პირობითად მას ვანოს ვუწოდებ... ერთი სიტყვით, ეს ვანო მაშინ მხოლოდ ოცდახუთი წლის იყო და აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან შეეშინდა. მისი მოქმედებიდან და ყველა მოძრაობიდან ჩანდა, რომ მოკვლის ეშინოდა. ერთი შეხედვით, ფსიქიურ ავადმყოფს ჰგავდა, თუმცა აშკარად არ იყო გიჟი. ხუთწლიანი პატიმრობა ექიმის უფლებამოსილების გადამეტებისა და არაკვალიფიციურობის გამო ჰქონდა მისჯილი. ერთ დღეს ვანო ჩემთან მოვიხმე და ვუთხარი:

– დაჯექი ძმაო, შენთან საქმე მაქვს.

ვანომ შეშინებული მზერა მომაპყრო და მართალია, დაჯდა, მაგრამ ხშირ-ხშირად უკან იყურებოდა. მე გამეცინა და ვკითხე:

– გეშინია, არავინ მოგეპაროს?

– თქვენ რა იცით? – მითხრა ვანომ. სკამიდან წამოხტა და ისე დადგა, რომ მეც დავენახე და ბარაკში შემოსასვლელი კარიც.

– ამას რა ცოდნა უნდა, ძმაო. აშკარად

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**



გეტყობა, შეშინებული ხარ. მითხარი, რა გჭირს, ვერაფრით დაგეხმარები?

ვანომ ეჭვით შემომხედა და მითხრა:

– აქ რატომ დამიბარეთ, რა გნებავთ ჩემგან?

– ყველაფერი კარგი, ძმაო. ჯერ ერთი, რომ ამ ზონაში ორი ქართველი ვართ და ერთმანეთს არ ვიცნობთ. თანაც, მე ამ ზონის მაყურებელი ვარ და უნდა ვიცოდე, რა ხალხი ზის აქ. მთავარი კი ისაა, რომ ძალიან შეშინებული ჩანხარ და მაინტერესებს, რა გჭირს. იქნებ რამეში დაგეხმარო.

ჩემმა სიტყვებმა ვანო ოდნავ დაამშვიდა და მკითხა:

– მაინც, რა გაინტერესებთ?

– უპირველესად, რატომ ხარ ასე შეშინებული?

– ჩემი მოკვლა უნდათ და იმიტომ.

– ვის უნდა შენი მოკვლა?

– დამპალ ექიმებს. უფრო სწორად კი, სამედიცინო მაფიას. იმ ხალხს, ვისაც მე ყელში გავეჩხირე. ვინც აქ გამომამწყვდია და ვინც მე ორი თავდასხმა მომიწყო.

– უფრო კონკრეტულად მითხარი.

ვანომ პაუზა გააკეთა და ჯერ კარისკენ გაიხედა, შემდეგ მწველი მზერა მესროლა და საცოდავად მკითხა:

– აქ მოსაკლავად ხომ არ შემომიტყუეთ?

ვანოს სიტყვების გამო, თანაც ქურდის მიმართ ნათქვამს, მის პატრონს კარგს არაფერს დააყრიდნენ, მაგრამ მე გამეღიმა და მივუგე:

– არა. ნუ გეშინია. მე მართლა შენი დახმარება მინდა და დამშვიდდი.

– ბოდიშს გიხდით. ისე ვარ შეშინებული, ყველასა და ყველაფერში ეჭვი მეპარება, – მითხრა ვანომ.

– რატომ, რა შეგემთხვა? – ვკითხე ვანოს. მან კი მიპასუხა:

– ექიმი-ალერგოლოგი ვარ. 23 წლის ასაკში უკვე სწავლების ათწლიანი პროგრამა მქონდა გავლილი, პლუს პრაქტიკა და ეს ყველაფერი ხუთ წელიწადში დავძლიე. ამასთან ერთად, ბალახებისგან ძალიან ეფექტური წამალი დავამზადე, რომელიც ალერგიის ერთ-ერთ უმწვავეს სახეობას არჩენს და ისე გავითქვი სახელი, ყველა ამ კატეგორიის ავადმყოფი მხოლოდ ჩემთან მოდიოდა სამკურნალოდ. ერთი სიტყვით, კოლეგები გადავიმტერე და დევნა დამიწყეს. თავიდან ანონიმურად მირეკავდნენ სახლში, საქართველოში სამედიცინო პრაქტიკის შეწყვეტისა და სხვა რესპუბლიკაში წათრევისკენ მომიწოდებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მარწმუნებდნენ, რომ შარშანდელი თოვლივით უკვალოდ გამაქრობდნენ. მე ამ ყველაფრის არ შემშინებია, პირიქით, ისეთ აზარტში ჩავვარდი, მათი გაღიზიანება უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა და მიხაროდა, რომ ყველა ჩემს კოლეგას ვჯობდი. ასე გაგრძელდა ერთი წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში ათასობით ავადმყოფი განვკურნე. იმდენი ფული ვიშოვე, ორი ბინა, ორი აგარაკი და ფეშენებელური ავტომობილი შევიძინე. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ფულს არავის ვთხოვდი და წამალსაც უფასოდ ვატანდი ყველას. მით უმეტეს, რომ მისი დამზადება არაფერი მიჯდებოდა. ამან კიდევ უფრო მეტად გადარია ფულისტი ექიმები და პირველი თავდასხმა მომიწყვეს. ერთ საღამოს სამსახურიდან სახლში დავბრუნდი. გარაჟი გავაღე და მანქანა შევიყვანე. უცებ გარაჟის კარი დაიხურა. სამმა, რკინის ჯოხებით შეიარაღებულმა ნიღბიანმა ისე სასტიკად მცემა, ორ ადგილზე ძვალი მქონდა მოტეხილი. შემდეგ მანქანის ქვეშ შემაგდეს, მანქანას ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი მოუკიდეს. სიკვდილისგან იმან მიხსნა, რომ გარაჟის „იამაში“ ჩავვარდი და ცეცხლი არ მომეკიდა. ამ დროს სრულიად შემთხვევით, სახანძრო დახმარების მანქანამ გამოიარა. მათ ჩემი გარაჟიდან გამომავალი სქელი კვამლი დაინახეს და ჩემი ბედი, რომ შიგნით შუქი ენთო. „იამაში“ უგონოდ მყოფი შემნიშნეს და სიკვდილს გადამარჩინეს. სამი თვე თაბაშირში მქონდა მარცხენა ხელ-ფეხი, მაგრამ პაციენტები არც მაშინ მომკლებია. მეც ჩვეულ რიტმში განვაგრძობდი მუშაობას. მილიციაში არ მიჩივლია და ეს ყველაფერი უბედურ შემთხვევად მოინათლა – სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. თუმცა, არაოფიციალურად დაცვა დავიქირავე და ოთხი ადამიანი დღე-ღამის განმავლობაში მიცავდა. პირველად მაშინ შემომეპარა შიში, მაგრამ დავძლიე, თუმცა დაცვა კვლავ მყავდა. როდესაც გამოვჯანმრთელდი და ფეხზე წამოვდექი, ისევ განვაახლე სამსახურში სიარული. თუმცა, მანქანას უკვე ჩემი ერთ-ერთი მცველი მართავდა და დანარჩენი მცველებიც ჩემს სიახლოვეს იყვნენ. ერთ მშვენიერ დღეს, ოთხივე ჩემი მცველი მილიციამ დააპატიმრა და მიუხედავად იმისა, რომ უიარაღონი იყვნენ, ოთხი პისტოლეტი ჩაუდეს და საქმეები შეუკერეს. მათი მილიციიდან გამოხსნა სოლიდური თანხა დამიჯდა, მაგრამ ოთხივემ დიდი ბოდიში მომიხადა და ჩემს დაცვაზე უარი განაცხადეს. კონფიდენციალურად მითხრეს, რომ თუკი კვლავ ჩემთან დაბრუნდებოდნენ, მილიცია დააპატიმრებდათ. მაშინ კი, უკვე ვერანაირი ფულით ვერ დააღწევდნენ თავს პატიმრობას. აშკარა იყო, რომ ჩემმა კოლეგებმა დიდი ფული გადაუხადეს მილიციას, ჩემი დაცვა რომ გაეუქმებინათ. აქედან ისიც აშკარა იყო, რომ ჩემს წინააღმდეგ ახალი თავდასხმა მზადდებოდა და ამჯერად უკვე ველარ გადავურჩებოდი სიკვდილს. პირველი სერიოზული წიკებიც მაშინ დამეწყო და თავდაცვის მიზნით, არალეგალურად პისტოლეტი შევიძინე, ერთ-ერთმა ჩემმა პაციენტმა მაყიდინა. პისტოლეტი მუდამ თან მქონდა და ამან დამამშვიდა. გავიდა სამი თვე. თანდათან შიში გამიქრა და ყურადღებაც მოვადუნე, მაგრამ პისტოლეტს მაინც არ ვიშორებდი. ერთ საღამოს წყნეთში ავედი ჩემს აგარაკზე. მანქანა რომ გარაჟში შევაყენე და სახლის მეორე სართულზე ავედი, კეფაში მძიმე საგანი მომხვდა და გავითიშე. გონზე რომ მოვედი, იატაკზე ხელებგაბაწრული ვეგდე. ჩემ წინ კი ოცდაათ წელს გადაცილებული მამაკაცი იდგა. ერთ ხელში ჩემი პისტოლეტი ეჭირა, მეორეში კი – თავისი და თვალი რომ გავახილე, ირონიულად

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პ | | ა | | კ |  | | | | | ტ | ი | რ | ა | ნ | ი |
| რ | ა | დ | ი | ო | | | | | | | ბ | | ი | | ნ |
| ე | | ი | ა | ნ | | | | | | ლ | ე | ქ | ც | ი | ა |
| მ | ა | მ | ბ | ა | | | | | | | რ | ა | ფ | | ტ |
| ი | | ა | | | | ჰ | ო | ნ | ო | ლ | უ | ლ | უ | | ი |
| ა | ი | რ | ე | ტ | ს | ი | | ე | | ა | ს | ა | რ | | პ |
| | | ი | ფ | | ი | მ | ო | ტ | | დ | | მ | ო | ნ | ა |
| მ | ა | მ | ა | ი | ლ | ა | | ა | ლ | ო | კ | ა | კ | ო | კ |
| ი | ს | ე | კ | ს | ა | ლ | ე | ვ | | გ | | ნ | | ნ | |
| ლ | ო | ს | | ო | მ | ა | რ | ი | | ა | ნ | ი | ბ | ა | კ |
| ი | რ | | | | ა | ი | ა | | მ | | ო | | ა | | |
| ა | ტ | ო | გ | ი | ზ | | ყ | | ა | ი | რ | ო | ნ | ი | ჯ |
| რ | ი | კ | ო | | ე | მ | ი | ა | რ | | ჩ | | დ | | ა |
| დ | | ა | რ | ა | | წ | | | ი | ნ | ი | ტ | ე | რ | კ |
| ი | გ | ნ | ი | ს | ნ | ა | დ | | ლ | ე | | | რ | | ა |
| | | ო | | ი | | რ | | ც | ი | ლ | ა | | ო | ი | რ |
| ი | პ | მ | ა | ტ | ს | ე | | ა | | ა | რ | ი | ლ | | ტ |
| ც | ო | | ს | | პ | | | ნ | | | ხ | | ი | ბ | ა |
| ო | ლ | ა | პ | | ი | რ | ე | გ | რ | უ | ი | ბ | | ა | |
| | ო | კ | ი | რ | ნ | ე | | ა | | მ | | ა | უ | ლ | ი |
| ა | ნ | ო | რ | | ი | ნ | ი | ლ | ო | ი | რ | ბ | | ტ | |
| | ე | | ი | ჯ | ნ | ი | რ | ა | ნ | | კ | ე | რ | ი | ა |
| ი | ლ | ა | ნ | | გ | | დ | | ი | ლ | ო | ტ | | კ | ბ |
| ბ | ი | კ | ი | ნ | ი | | ო | ი | ნ | ი | | ა | მ | ა | ო |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 9 | 2 | 7 | 5 | 4 | 8 | 1 |
| 4 | 2 | 8 | 9 | 1 | 6 | 3 | 7 | 5 |
| 7 | 5 | 1 | 8 | 3 | 4 | 2 | 6 | 9 |
| 5 | 8 | 3 | 7 | 4 | 2 | 1 | 9 | 6 |
| 1 | 9 | 4 | 6 | 5 | 3 | 7 | 2 | 8 |
| 2 | 7 | 6 | 1 | 9 | 8 | 5 | 3 | 4 |
| 9 | 4 | 7 | 3 | 8 | 1 | 6 | 5 | 2 |
| 8 | 1 | 2 | 5 | 6 | 7 | 9 | 4 | 3 |
| 3 | 6 | 5 | 4 | 2 | 9 | 8 | 1 | 7 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 8 | 9 | 4 | 3 | 5 | 2 | 7 |
| 4 | 5 | 7 | 2 | 8 | 1 | 6 | 3 | 9 |
| 9 | 3 | 2 | 7 | 5 | 6 | 8 | 4 | 1 |
| 2 | 7 | 3 | 5 | 1 | 8 | 9 | 6 | 4 |
| 6 | 4 | 5 | 3 | 9 | 7 | 1 | 8 | 2 |
| 8 | 1 | 9 | 4 | 6 | 2 | 7 | 5 | 3 |
| 7 | 9 | 4 | 8 | 3 | 5 | 2 | 1 | 6 |
| 5 | 2 | 1 | 6 | 7 | 4 | 3 | 9 | 8 |
| 3 | 8 | 6 | 1 | 2 | 9 | 4 | 7 | 5 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. ნადირ-შაჰი. 2. კასიუს კლეი – მუჰამედ ალი. 3. ტერორისტი. ტერა – ლათინურად მიწა. 4. „ვეფხისტყაოსანი“ – ტანკს „ვეფხვი“ ერქვა. 5. ჰავანურ სიგარას ეწეოდა. 6. გედის სიმღერას. 7. მეთევზეებს გაფიცვა ჰქონდათ გამოცხადებული. მეორე დღეს კი ბაქო ახალდაჭერილი თევზით აივსო. 8. ნავთობს. 9. დაადნეს და აჯანყებულებს ყელში ჩაასხეს. 10. არაბული ციფრები.**

მითხრა:

– გონზე მოხვედი? სულ მალე სამუდამოდ დაკარგავ გონებას.

მივხვდი, რომ პისტოლეტებიანი მამაკაცი დაქირავებული მკვლელი იყო და ვუთხარი:

– რას მერჩით, რა დაგიშავეთ?

– პირადად მე – არაფერი.

– მაშინ, რა გნებავთ ჩემგან?

– მე ჩემს სამუშაოს ვასრულებ, – მითხრა დაქირავებულმა მკვლელმა და იარაღი დამიმიზნა. იმ მომენტში ნამდვილად არ შემშინებია. უბრალოდ, რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა და ვუთხარი:

– ერთი წუთი გაჩერდით და მომისმინეთ!

მკვლელს იარაღი არ დაუშვია და მითხრა:

– თქვი, გისმენ.

– ჩემი მოკვლით დიდ ბოროტებას ჩაიდენ. ძალიან ბევრ ადამიანს გადაიკიდებ, გააუბედურებ და ღმერთი ამას არ გაპატიებს.

– ღმერთი არ არსებობს, – მითხრა მკვლელმა და სასხლეტში თითი გაუყარა.

მე კი ვუთხარი:

– საპირისპიროს რომ დაგიმტკიცო, დამანებებ თავს?

დაქირავებული მკვლელი აბსოლუტურად დარწმუნებული იყო თავის სიტყვებში, ამიტომ გაეცინა და მითხრა:

– თუ ამას დამიმტკიცებ, მაშინ, შვილს გეფიცები, არ მოგკლავ და თავს დაგანებებ.

– მაშინ ყურადღებით მომისმინე და ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებ.

– გისმენ.

– ღმერთი არსებობს, რადგან შენ მე შემხვდი, – შენობით ლაპარაკზე გადავედი. მკვლელი კი ჯერ დაიბნა, შემდეგ ირონია გამოეხატა სახეზე და მითხრა:

– რას ბოდავ, ეგ რა დამტკიცებაა.

– იარაღი დაუშვი. ჩემს მოკვლას ყოველთვის მოასწრებ. ხომ გითხარი, ნუ იჩქარებმეთქი. ერთი თხოვნა შემისრულე.

– რა თხოვნაა?

– რა და ბუფეტში ატამი მიდევს, მიდი და მომიტანე.

– ატამი? – გაიმეორა დაქირავებულმა მკვლელმა. შემდეგ მთელ ტანში დაბურძგლა. ხელებსა და სახეზე კი ისე მსხვილად დაფოთლა, იფიქრებდით, ცხელი ზეთი შეასხესო. ამ ყველაფერს კი საშინელი ხველება დაერთო და თხუთმეტიოდე წამის შემდეგ დაქირავებულ მკვლელს ყელში სპაზმი მოაწვა, იხრჩობოდა... ორივე პისტოლეტი ხელიდან გაუვარდა.

– ჩქარა, მაცივარი გამოღე და საყინულეში რომ მწვანე აბებია, ერთი ცალი გადაყლაპე, – ვუთხარი დაქირავებულ მკვლელს. მან სასწრაფოდ შეასრულა ჩემი მითითება და ნახევარ წუთში სპაზმი და ხველება შეუჩერდა, დაფოთვლამაც გაუარა და კანი გაუკრიალდა. მან შვებით ამოისუნთქა და თქვა:

– ეს რა იყო?

– ეს ის იყო, რაც მე გითხარი და ღმერთი ნამდვილად არსებობს, – მშვიდად მივუგე დაქირავებულ მკვლელს, რადგან დარწმუნებული ვიყავი, სიკვდილს გადავურჩი.

– მაინც, რა მოხდა?

– მოხდა ის, რომ ალერგიის უმძიმესი ფორმით ხარ დაავადებული, რაც შენი კანის დათვალიერებითა და სუნით გავიგე. იგივე სჭირს, ალბათ, შენს შვილს, თუ რამდენიმე გყავს – შვილებს და მხოლოდ მე შემიძლია თქვენი ხსნა. ახლა კიდევ იტყვი, რომ ღმერთი არ არსებობსო?

– მართალს ამბობ?

– დაფიქრდი და მიხვდები.

– რაც მითხარი, სწორია. მე და ჩემს შვილს რაღაც გვჭირს და უკვე ათი წელია, ამ კრეტინმა ექიმებმა ვერაფერი გაგვიგეს. უამრავი ფული გადავიხადე, მაგრამ არაფერი გვშველის.

– სწორედ იმ კრეტინი ექიმების დაქირავებული ხარ. მე გიშველით შენ და შენს შვილს, თანაც უფასოდ.

– მართლა?

– რა თქმა უნდა, – ვუთხარი დაქირავებულ მკვლელს და დავამატე, – აი, ხომ ხედავ, ღმერთი არსებობს. სწორედ მან შეგახვედრა ჩემთან. ახლა კი პირობა შეასრულე და აღარ მომკლა. მე კი მკურნალობას დაგინიშნავთ, წამალს მოგცემთ და ერთ თვეში მორჩებით.

დაქირავებულმა მკვლელმა ხელები ამიხსნა და ფეხზე წამომაყენა. შემდეგ მომიბოდიშა. საკუთარი პისტოლეტი ქამარში ჩაიდო, ჩემსას მჭიდი გამოაცალა, გამომიწოდა და მითხრა:

– აი, თქვენი იარაღი, გამომართვით.

– გეშინიათ, რომ არ გესროლოთ? – ღიმილით ვუთხარი დაქირავებულ მკვლელს, – ეგ მე არ მჭირდება. აქედან რომ წახვალთ, გადააგდეთ. ახლა კი დანიშნულებას დაგიწერთ და წამალს გაგატანთ.

დაქირავებულ მკვლელს ქაღალდზე დავუწერე, თუ როგორ უნდა მიეღოთ მას და მის შვილს ჩემი წამლები და გავისტუმრე. წასვლის წინ მან ისევ მადლობა გადამიხადა და მითხრა:

– ბოდიშს გიხდით, ექიმო, რომ თქვენი მოკვლა მინდოდა. მადლობა ღმერთს, რომ თვალები ამიხილა. რაც შეიძლება, მალე გავყიდი მთელ ჩემს ქონებას და აქედან გავუჩინარდებით, რომ უკვე ჩემზე არ დაიწყონ ნადირობა. თქვენ კი საკუთარ თავს გაუფრთხილდით. ჩემი დამქირავებლები საშინელი ხალხია და არ მოგეშვებიან.

– მშვიდობით. გავითვალისწინებ თქვენს რჩევას.

ჩემს კოლეგებს ახალი მკვლელი არ დაუქირავებიათ და ჩემს გასანადგურებლად სხვა გზა აირჩიეს. მათ სამი კიბოთი დაავადებული ადამიანი მოისყიდეს, რომლებიც თვალით არასდროს მინახავს. მათ სასამართლოში მიჩივლეს, თითქოსდა, ჩემმა არასწორმა მკურნალობამ დააავადა ისინი კიბოთი. სასამართლომ ექიმობის უფლება ჩამომართვა და ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯა. ციხეში გამომწყვდევამდე კი, ექვსი თვე ფსიქიატრიული კლინიკის განსაკუთრებულ ბლოკში დამაწვინეს. სადისტ-ჯალათმა ექიმებმა ჩემი ფსიქიკურად შერყევის ეპოპეა დაიწყეს. ჩემს მშობლებსა და ნათესავებს ათასობით ჩემ მიერ მორჩენილი ხალხი რომ არ დაერაზმათ, ჩემი სიცოცხლე საგიჟეთში დასრულდებოდა. მაგრამ, მთავრობა დიდმა სკანდალმა შეაშინა და ციხეში გადამიყვანეს. იქიდან კი აქ, რუსეთში გამომიშვეს და როგორც ვხვდები, ჩემი მოკვლა საქართველოდან შორს უნდათ. აი, რატომ ვარ ასე შეშინებული და რა შეგიძლიათ თქვენ, როცა ჩემი განადგურება ასეთ მონსტრს სურს.



ვანოს სიტყვები მაინცდამაინც სასიამოვნო არ იყო და სხვა ჩემს ადგილზე მას ბევრად უხეშად მოექცეოდა. მე კი ის შემეცოდა, თან მის ნიჭსა და კვალიფიკაციას პატივს ვცემდი და ვუთხარი:

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## იოსებ შიშინაშვილის ხსოვნას

*იქნება მართლაც იქა სჯობს,*
*ამ ქვეყანასა წყეულსა,*
*თორემ ვნახავდით ერთს მაინც,*
*იქედან გამოქცეულსა.*
*გ. ჩოხელი*



დრომ რა სწრაფად გაირბინა, 2 წელი და 8 თვეა, ჩვენთან აღარ ხარ. 33-ე დაბადების დღეს გილოცავ, დედიკო, მარადიულ სასუფეველში. ორი წელი და რვა თვე გელოდე, მაგრამ, ამაოდ. ვერც შენთან მოვედი.

გვენატრება შენი ლამაზი ღიმილი, მოხდენილი სიარული, შენგან გაცემული სითბო, რომელსაც ყველას უნაწილებდი, რომელიც ძალიან გვაკლია და მხოლოდ ერთეულების ხვედრია.

ჩემო გენიოსო, ჩემო სოსო, ჩემო შვილო, დაგვიტოვე მხოლოდ მონატრება და ცრემლი...

ორი პატარა დისშვილი გყავს: საბა და ლიზი. საბა ხშირად გახსენებს. თუ ხელში რამე უჭირავს ჭიქით, სოსო ძიას გაუმარჯოსო. შენს სურათს რომ დაინახავს, სოსო ძიაო და პირჯვარს იწერს. მაქედან ილოცე მათთვის და შენი ოჯახის დამფასებელი ხალხისთვის. თითოეული ჩვენგანის ლოცვა და ანთებული სანთელი გზას გაგინათებს ზეციურ სასუფეველში. ღმერთს ებარებოდე, ჩემო მონატრებავ, ჩემო დიდო ტკივილო. შენი წილი გული მუდამ მკვდარია.

მანდ შეხვდებოდი შენს დაიკო თამუნას, რომელმაც 30 წლის წინ დაგვტოვა, 8 თვისამ – შენს დაბადების დღეზე.

13 ივლისს – სვეტიცხოვლობას დაიხურა შენი ცხოვრების ბოლო ფურცელი.

17 სექტემბერს – დეიდაშვილის, მარიამ ქართველიშვილის.

14 ოქტომბერს – მეორე სვეტიცხოვლობას ბიძაშვილის, რუსუდან (მაია) ქართველიშვილის.

მე არ ვიცი, რა ღვთის რისხვა დაგვატყდა თავს, რა ჭექა-ქუხილში მოვყევით, რა მეხივით გავარდა ხმა.

ჯერ სოსოსი, მარის და შემდეგ მაიას გარდაცვალებისა.

ჩვენ გვჯერა ერთის: ეს რწმენაა უკვდავებისა და არსებობისა, ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სულები მარადიულ სასუფეველში. ღმერთს ებარებოდეთ, ჩვენო ტკივილებო, მუდამ ჩვენს გულებში დარჩებით!..

**მანანა ქართველიშვილი**

**ქართულ კულტურაში ბევრი საინტერესო საკითხია ეთნოგრაფიული საიდუმლოებების ასახსნელად. ჩვენი რესპონდენტი, ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი გოცირიძე დღევანდელ ინტერვიუში გვიამბობს, როდის დაიწყო მარცვლეული კულტურების მოყვანა და დამუშავება, რამდენი ქართული პურის ჯიში არსებობს და საქართველოს კუთხეებიდან რომელი კუთხე იყო ამ მხრივ ყველაზე მდიდარი.**

# რატომ მოაწყვეს რუსმა ჯარისკაცებმა ამბოხება, როცა ქართველები მახობლიანი პურით გაუმასაპინძლდნენ და როგორ დასრულდა ეს ამბოხი

**გიორგი გოცირიძე:** ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის საკითხები ძირითადად სამი ნაწილისგან შედგება: მატერიალური კულტურა, ანუ, იგივე ნივთიერი მატერიალური ძეგლები; სულიერი კულტურა, ანუ, ქართველი ხალხის სულიერი მემკვიდრეობის საგანძური და, მესამე – სოციალური ურთიერთობების სფერო, ანუ, საზოგადოებრივი ყოფა.

დავიწყოთ პირველით, მატერიალური კულტურით, რომელიც უშუალოდ ეფუძნება ქართველი ხალხის დიდ სამეურნეო გამოცდილებას, ყოფითი პროცესების განვითარებას და ამ მხრივ იმ ფასეულობების შექმნას, რომლებიც დღემდე სიცოცხლისუნარიანია და, მიუხედავად საყოველთაო გლობალიზაციისა, სანამ ქართველი ხალხი იარსებებს, ეს მემკვიდრეობაც შენარჩუნებული იქნება. აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ ეროვნული მემკვიდრეობა ეროვნული იდენტობისა და მენტალობის გამოხატულებაა. მასში ჩანს ქართველი ხალხის ხასიათი, ეთნოფსიქიკა, გონიერება, მიზანსწრაფვა და აზრი იმისა, რომ შექმნას ის, რაც მისია და ის, რაც მხოლოდ მას შეუძლია. მატერიალურ კულტურაში ეს პარადიგმა ძალიან ნათლად ჩანს სამეურნეო იარაღების, საცხოვრებელი ნაგებობების, საკულტო ღვთისმსახურებითი ძეგლების, საყოფაცხოვრებო პრაქტიკული დანიშნულების საგნების, სამოსელისა და სხვათა მაგალითზე. ყოველი ნიმუში მატერიალური კულტურისა ფენომენალურია თავისი არსითა და დანიშნულებით. მას, შეიძლება, რაღაც ზოგადი, მსგავსი სხვა კულტურული მემკვიდრეობისა ჰქონდეს, მაგრამ, მის ფორმაში, ფუნქციასა და დანიშნულებაში ეროვნული თავისებურება იკვეთება. მაგალითად, ქართული საცხოვრებელი უნიკალურია საქართველოს გეოგრაფიული ზონალობის, ადგილობრივი სამეურნეო პირობებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ასეთივე უნიკალურია სამეურნეო იარაღები – მარტივი, კავწერადან დაწყებული, რთული სახნისის ფორმებით, დიდი გუთნით, მისინაირსახეობებით დამთავრებული. მათი კლასიფიკაცია ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა გიორგი ჩიტაიამ შეიმუშავა და დღეს ამ კლასიფიკაციას ანალოგი არ მოეძებნება.



ძველი ეგვიპტელები, როცა დიდი რაოდენობით მონებს ამუშავებდნენ, მათ საკვებად ფაფას ურიგებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ქვაზე დატოვა ეს ფაფა და, მცხუნვარე მზის გამო ის გამოცხვა

მას შემდეგ, რაც ადამიანმა მარტივი სამეურნეო იარაღები შექმნა, დაიწყო საცხოვრისში ცხოვრება, ის ადგილობრივი გარემო აითვისა, სადაც ბინადრობდა და ხელი მიჰყო ინტენსიურ მეურნეობას: შემგროვებლობას, მონადირეობას, ხოლო მოგვიანებით – მესაქონლეობასა (რადგანაც, მოიშინაურა ცხოველი) და მიწათმოქმედებას, რომელიც მისთვის უპირველესი სასიცოცხლო პირობა გახდა. ტრადიციულმა მიწათმოქმედებამ, ვიდრე ის რთულ სისტემად ჩამოყალიბდებოდა, განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა. არავინ იცის, ზუსტად როდის დაიწყო მან მარცვლეული კულტურების მოყვანა და დამუშავება, მაგრამ, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ეს პერიოდი ნეოლითური რევოლუციის ხანას უკავშირდება. ნეოლითი არის ის საფეხური, როცა ადამიანი თავისი კვების რაციონში ზრდის სახამებლისა და მცენარეული ცილების მოხმარების რაოდენობას და, ამავე დროს, აქტიურად იწყებს მცენარეული კულტურების სელექციას. საქართველოშიც დაახლოებით ამ პერიოდიდან უნდა გაჩენილიყო პირველი პურეული კულტურები. პური გახდა ადამიანისთვის ძირითადი საკვები და, ამავე დროს, წმინდა საკულტო საგანი, რომელსაც დღემდე პატივს სცემს და დღემდე გააზრებული აქვს როგორც არსებობის წყარო.

**– პურეული ჯიშებიდან რამდენია ქართული?**

– მეცნიერები ფიქრობენ, რომ, ზოგადად კავკასია და კონკრეტულად საქართველო, ხორბლეული კულტურების წარმოშობის ერთ-ერთი დამოუკიდებელი კერაა. აქ დასტურდება 14-მდე ადგილობრივი ჯიში, რომლის ანალოგები სხვაგან თითქმის არ არსებობს. ამ მრავალი ჯიშიდან წლების განმავლობაში მოხდა მათი უნიფიცირება და ყოფამ თითქმის მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე შემოინახა რამდენიმე, მათ შორის: დოლი, თავთუხი, დიკა, ყანა, პოშოლა, ზანდური, მახა, ხოზო და სხვა; აქედან, მახა და ზანდური ითვლება ველურიდან კულტურულზე გარდამავალ უძველეს სახეობებად. ისინი კოლხური ხორბლის ჯიშების რელუქტური ფორმებია. მაგალითად: დოლის პური იყო წითელიც და თეთრიც; თავთუხსაც ჰქონდა ლოკალური სახეობები, დიკა ძირითადად მთისა და მთისწინეთის კულტურაა. ამ ხორბლეულთან ერთად, დიდი ადგილი ეჭირა შვრიას, ქერსა და ჭვავს. ეს საკითხები ქართველი აგრობიოლოგების, ბოტანიკოსების მიერ კარგადაა შესწავლილი და, ასევე, კარგადაა შესწავლილი ის ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც – გამოვლენილია ეთნოგრაფიული სპეციფიკა ცალკეული კუთხეებისა.

**– მაგალითად?**

– მაგალითად, პურის სამშობლოდ ითვლება ქართლი, განსაკუთრებით – მესხეთი. საინტერესო ჯიშები იყო განვითარებული რაჭაში, სვანეთში, აღმოსავლეთ საქართველოს ბარსა და მთაში და ასე შემდეგ. მესხეთში არსებობს ასეთი გამოთქმა: „მე ჯავახეთს რა მიშავდა, პური მქონდა ბზესავითა...”

**საქართველოში დოლის პური ყველაზე საუკეთესო კვებითი ღირებულებებით გამოირჩეოდა, მაგრამ მას ხალხი მომჭირნეობით ხმარობდა და, ყოველდღიურად არა გამტკიცულს ჭამდა, არამედ, უხეშად დაფქულს**

**– პურის ცხობა როდის დიწყეს?**

– ხორბლეული კულტურების ასეთმა სიმრავლემ განაპირობა პურის ცხობის მდიდარი ტრადიციებიც. პურს აცხობდნენ მთაშიც და ბარშიც, მაგრამ, იმ განსხვავებით, რომ ბარში საფუვრიანმა ტექნოლოგიამ უფრო ადრე მოიკიდა ფეხი და გაჩნდა შესაბამისი საცხობი საშუალებებიც, მაგალითად – თონე, ხოლო მთაში უფრო ხმიად, ანუ უსაფუვრო პურებს აცხობდნენ და, ასევე, ამ რეგიონში გავრცელდა საცხობი ღუმელი – ფურნე, რომელშიც უფრო დიდი რაოდენობით პური ცხვებოდა. არსებობს გადმოცემა, რომ პურის ცხობა, ანუ, გამომცხვარი პური, უფრო გვიანდელია, ვიდრე ხორბლისაგან დამზადებული ფაფისებრი საკვები, რომელიც ჩვენში კორკოტისა და წანდილის სახით შემორჩა რიტუალურ კვებას. ძველი ეგვიპტელები, როცა დიდი რაოდენობით მონებს ამუშავებდნენ, მათ საკვებად ფაფას ურიგებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ქვაზე დატოვა ეს ფაფა და, მცხუნვარე მზის გამო ის გამოცხვა. ასეთი ლეგენდა, შეიძლება, რეალურიც იყოს.

**– საქართველოში როდიდან აცხობენ პურს?**

– საქართველოში დოლის პური ყველაზე საუკეთესო კვებითი ღირებულებებით გამოირჩეოდა, მაგრამ მას ხალხი, მომჭირნეობით ხმარობდა და ყოველდღიურად არა განმტკიცულს ჭამდნენ, არამედ, უხეშად დაფქულს. დოლის ყანას ხშირად სარეველაც შეერეოდა. ერთ-ერთი ასეთი სარეველა იყო მახობელი (მახაობელი), რომელიც უფრო ქართლში ჭარბობდა და ის ისე შეერეოდა პურს, რომ მისგან გამომცხვარი პური მოლურჯო ფერის გამოდიოდა, მაგრამ, ძალიან რბილი, სურნელოვანი და გემრიელი. ამიტომ უყვარდათ მახობლიანი პური და ქართლის მოსახლეობას ეს დღესაც ახსოვს.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წლებში, როცა ქართლში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრში საიმპერატორო ჯარის ნაწილები ჩაუყენებიათ, მათთვის მახობლიანი პური მიუტანიათ. ჯარისკაცები ამბოხებულად, – ჭუჭყიან, ტალახიან პურს გვაჭმევენო. ისინი მიჩვეულები იყვნენ რუსული თეთრი, ქათქათა „გედის ჯიშისაგან” გამომცხვარ პურს და ქართულ მოლურჯო მახობლიან პურს პროტესტი გამოუცხადეს. გამოიწვიეს კომისია, საიმპერატორო ხაზინიდან, რომელმაც ლაბორატორიულად შეამოწმა მახობლიანი პური და ვერავითარი მავნებლური მასში ვერ აღმოაჩინა. ასეთია ეს პატარა ისტორია მახობლიან პურთან დაკავშირებით.

მახობლიანი პური ქართლში თავისებური ფორმისა იყო – მას თონეში აკრავდნენ და ხელის მტევანს წააგავდა. ამ პურს „დედას პურს” უწოდებდნენ – სახელს, რომელიც შემდეგ ქართულ თონის პურზე გავრცელდა.

დღეს პურის ფორმები და სახელწოდებები იმ რაოდენობით, როგორც ეს თუნდაც მეოცე საუკუნის დასაწყისში იყო, აღარ გვხვდება. მაგრამ, იმათგან რამდენიმეა შემონახული, მათ შორის: შოთი, რომელსაც სადღესასწაულოდ აცხობდნენ; ლავაში, რომელიც შეიძლება იყოს მრგვალიც და ოვალურიც; „გურგვალი”, ანუ მრგვალი პური; მესხური და ასე შემდეგ. ქართული პური დღესაც ერთ-ერთი გამოკვეთილი მარკერია ქართული ეროვნული კულტურისა და ის ძალიან უყვართ არა მარტო საქართველოსა და კავკასიაში, არამედ, დიდი პოპულარობით სარგებლობს უცხოელებშიც და ეს ფაქტი თავისთავად ძალიან ბევრზე მეტყველებს.

ქართულ კულტურაში კიდევ ძალიან ბევრი საინტერესო საკითხია ეთნოგრაფიული საიდუმლოებების ასახსნელად, მაგრამ ამაზე შეიძლება შემდეგ ვისაუბროთ.

**ეკა სალაღაია**

**ამბობენ, როცა ადამიანი იბადება, მას შვიდი წინაპრის გენები დაჰყვება და ამის შეცვლა შეუძლებელიაო. ანუ, რაც „გვიწერია," იმას ვერ ავცდებით და ეს ჩვენი გენეტიკის ბრალია. თუმცა, როგორც ასტროლოგი, ბატონი დავით ბუტიკაშვილი ამბობს, ადამიანში, გარდა მემკვიდრეობით მიღებული გენეტიკისა, არსებობს ეგრეთ წოდებული მიძინებული, ჩვენეული, მდუმარე გენებიც, რომლებიც ექსტრემალურ სიტუაციებში იღვიძებენ და, არ არის გამორიცხული, ამ მოვლენამ მთელი ჩვენი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალოს.**

# რა ცვლილებებს იწვევს ადამიანში მდუმარე გენების გაღვიძება და როგორ ვმართოთ საკუთარი გენეტიკა

**დავით ბუტიკაშვილი**: რაც უფრო მეტ სიახლეს აღმოაჩენენ მეცნიერები ადამიანის გენეტიკის სფეროში, მით მეტი კითხვა ჩნდება. ადამიანის გენომი ბოლომდე შესწავლილი არ არის. ერთ-ერთი კვლევისას აღმოჩნდა, რომ ადამიანში არის ეგრეთ წოდებული მდუმარე გენებიც. თუმცა, ამერიკელი მეცნიერები ამას „გენეტიკურ ნაგავს" უწოდებენ, რადგან, შთამომავლობით არ გადადის და, უბრალოდ, ადამიანში ბუდობს. თუმცა, განსხვავებული აზრი აქვთ ამასთან დაკავშირებით ასტროლოგებსა და ეზოთერიკოსებს. ანუ, არ შეიძლება, ამ მდუმარე გენებს ნაგავი ვუწოდოთ, რადგან მათ გააჩნიათ კონკრეტული დანიშნულება. წინაპრების მხრიდან, რასაკვირველია, ჩვენ ვიღებთ როგორც ხასიათის, ნიჭისა და გარეგნობის გენეტიკას, ისე მათ კარმასაც.

**– ეზოთერიკოსები ამბობენ, თუ გოგონა წინაპრებიდან, მამრობითი სქესის რომელიმე წარმომადგენელს ჰგავს გარეგნობით, მის ბედისწერას შთამომავალი გენეტიკურად იღებსო. ეს თუ შეესაბამება სიმართლეს?**

– გეტყვით, რომ ბედისწერა არ მეორდება, გარეგნული მსგავსება წინაპართან კი, რასაკვირველია, გენეტიკის ბრალია. თუმცა, აბსოლუტური მსგავსება გამორიცხულია, რადგან, შთამომავალი წინაპრის გენეტიკას ვერ გაიმეორებს. ყოველი ახალი თაობა ქმნის თავის გენეტიკას. კი ბატონო, ასტროლოგიურად არსებობს ფაქტი, როცა მსგავსება წინაპართან პრობლემას უქმნის შთამომავალს და ეს მის პირად ჰოროსკოპში ჩანს.

**– ეს როგორ გავარკვიოთ?**

– როგორც გითხარით, პირადი ჰოროსკოპის შედგენით. ეს, ასევე, იძლევა საშუალებას, ის თვისებები, რაც თანდაყოლილი აქვს ადამიანს და რასაც ვერ შეცვლის, ისე მოარგოს თავის ამჟამინდელ ცხოვრებას, რომ ამ თვისებებმა დისკომფორტი არ შეუქმნას.

**– ბატონო დავით, შესაძლებელია თუ არა ადამიანის გენეტიკური კოდის შეცვლა?**

– თანამედროვე მეცნიერები მივიდნენ იმ აზრამდე, რომ გენეტიკური კოდის შეცვლა შესაძლებელია მასში გარკვეული ცვლილებების შეტანით. მაგალითად, მდუმარე გენები მემკვიდრეობით არ გადადის, მაგრამ, ერთ დღესაც, მათ შეუძლიათ გაღვიძება. წარსულში ცნობილმა ფიზიოლოგმა, გვარად ანუხინმა, გამოთქვა მოსაზრება, რომ, ეგრეთ წოდებული მდუმარე გენები, რომლებიც ყველა ადამიანს გვაქვს გენეტიკურ კოდში, არ მონაწილეობენ ინფორმაციის გადაცემაში, თუმცა, ტყუილად არ არსებობენ ჩვენში. მისი აზრით, ამ გენებით ხდება მცირე ინფორმაციის კოდირება, რომელიც ადამიანს ხვდება თავისი ცხოვრების გზაზე. როცა ადამიანი გარკვეულ სიტუაციაში ხვდება, მაგალითად, ექსტრემალურ სიტუაციაში, დიდი შანსია, მდუმარე გენებმა გაიღვიძოს. მიჩიგანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კი დაადგინეს, რომ, შესაძლოა, ფიზიკურმა ვარჯიშმაც შეუწყოს ხელი ამ მდუმარე გენების გაღვიძებას ორგანიზმში. ასევე, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, დიდი რაოდენობით ყავის სმაც აღვიძებს მდუმარე გენებს და ისინი აქტიურად იწყებენ მუშაობას.



დიდი რაოდენობით ყავის სმა აღვიძებს მდუმარე გენებს და ისინი აქტიურად იწყებენ მუშაობას

**– ამ, ეგრეთ წოდებული მდუმარე გენების გაღვიძებას ადამიანის ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებები მოაქვს თუ ნეგატიური?**

– მდუმარე გენების გაღვიძება ყოველთვის არ არის დადებითი შედეგების მომტანი. შესაძლოა, ისეთმა გენმა გაიღვიძოს ადამიანში, რომ ის გახდეს აგრესიული. თავადაც ხომ დაკვირვებიხართ, როგორ იცვლება ადამიანის ხასიათი და ეს როგორი შესამჩნევია? სწორედ ამის მიზეზი და შედეგია მდუმარე გენების გაღვიძება. ჩვენ ყოველ წამს ვიცვლებით, ვართ ყოველწამიერ დინამიკაში და, ჩემი აზრით, ჩვენს გენეტიკაში სულ მიმდინარეობს დიდი მუშაობა, ახალი გენების გაღვიძება, ზოგიერთის დაბლოკვა და ასე შემდეგ. ამის გამო, ხშირად, არა მარტო ადამიანის ხასიათი, არამედ გარეგნობაც იცვლება, ეს პროცესი კი გააზრებულად უნდა მართოთ.

## მეუღლეებშიც ხდება გენეტიკის გაცვლა-გამოცვლა, რასაც, თავისთავად, გენეტიკური ცვლილება მოჰყვება

**– გენეტიკური კოდის გააქტიურება-მიძინების პროცესი როგორ ვმართოთ გააზრებულად, ეს შესაძლებელია?**

– რასაკვირველია, შესაძლებელია. მთავარია, ადამიანმა იცოდეს თავისი ასტროლოგიური ცხოვრებისეული პერსპექტივები. უნდა იცოდეთ, რომელი თვისებები წამოწიოთ წინა პლანზე და როგორ მართოთ ამით საკუთარი გენეტიკური კოდი. ასევე, არსებობს ეგრეთ წოდებული, ტალღისებური გენეტიკა, რომელზეც მეცნიერი გალაევი მუშაობდა და მან დაადგინა, რომ, გარდა ფიზიკური გენებისა, რომლებიც არსებობს ჩვენს ორგანიზმში, ასევე, არსებობს ამ გენების ენერგეტიკული ორეული სამყაროში. გალაევის მტკიცებით, როცა მშობლებს უნდათ, შვილის გენეტიკაში შეიტანონ ცლილებები, თავად უნდა იმუშაონ საკუთარ ფსიქიკაზე. ეს, რეალურად მოქმედებს და, თუ მის მიერ დადებულ ფაქტებს გადავხედავთ, მივხვდებით, რომ გალაევის თეორია ჭეშმარიტი და სწორია. აი, როცა აყვანილი შვილი ემსგავსება ამყვან მშობლებს, ამ დროს ხდება ტალღოვანი გენეტიკის ამუშავება, ანუ, გენეტიკური ინფორმაციის გაცვლა და, სხვისი შვილი თავის გამზრდელ მშობლებს როგორც ხასიათით, ისე ფიზიკურად ემსგავსება. ასევე, როცა ყიდულობთ სახლს, სადაც ადრე სხვები ცხოვრობდნენ, იქ აუცილებლად იქნება მათი ენერგეტიკა შემორჩენილი, რაც თქვენზეც იმოქმედებს. ამიტომ არის, როცა ბინას იცვლის ადამიანი, მას ხასიათიც ეცვლება. აგრეთვე, გენეტიკა იცვლება და გენეტიკურ კოდზე გავლენას ახდენს, უცხო ქვეყანაში ცხოვრებაც. მეუღლეებს შორისაც კი, როცა ერთად ცხოვრებას იწყებენ, ხდება გენეტიკის გაცვლა-გამოცვლა, რასაც, თავისთავად, გენეტიკური ცვლილება მოჰყვება.

**– გამიგია, რომ ლოცვა მოქმედებს გენეტიკაზე. ამაზე რას გვეტყვით?**

– რასაკვირველია, ლოცვა მოქმედებს გენეტიკაზე. როცა ადამიანი ლოცულობს, ის კონტაქტში შედის ღვთიურ ძალებთან, ეს კი გენეტიკაზე დადებითად მოქმედებს. დიდი ალბათობაა იმისა, რომ, თუ ადამიანს გენეტიკურად რომელიმე დაავადების მიმართ აქვს მიდრეკილება, ეს საფრთხე ლოცვით მოიხსნას. ლოცვის დროს ხდება ახალი გენების გაღვიძება, რომელიც ხელს უწობს განკურნებაში. თუ ადამიანს უნდა, თავის გენეტიკაში დადებითი ცვლილებები შეიტანოს, ან, თუნდაც, მდუმარე გენები გააღვიძოს და ამით შცვალოს ცხოვრება უკეთესობისკენ, ამისთვის მთავარია, აირჩიოს თავისი კარმის რეალიზაციის სწორი გზა, რაშიც თავისი პირადი ასტროლოგიური ჰოროსკოპი დაეხმარება. როცა ადამიანის ცხოვრებაში ჩნდება პრობლემები, თუნდაც დაავადების სახით, ეს პირადი გენეტიკური კარმის დარღვევის ბრალია. არ არის გამორიცხული, ვიღაცას ჰბაძავდეთ და ამით არღვევდეთ თქვენს კარმას. ყოველი ადამიანი ინდივიდუალურია და თავისი კარმული გზა აქვს.

**– გენეტიკაში თუ არის ჩადებული სიცოცხლის ხანგრძლივობის კოდი?**

– ყველა ადამიანის ორგანიზმი ადაპტირებულია 120 წლამდე სიცოცხლეზე. სიცოცხლის ასეთ ხანგრძლივობას, შესაძლოა, ნებისმიერმა ჩვენგანმა მიაღწიოს, მაგრამ, ამისთვის უნდა მოხდეს ჩვენში ისეთი გენების გააქტიურება, რომლებიც ენერგიით ავსებს ორგანიზმის უჯრედებს, ანუ, თქვენი ცხოვრების წესის არჩევნით იხანგრძლივებთ ცხოვრებას. ასევე, მდუმარე გენებს აღვიძებს ექსტრემალური სიტუაცია, რაც გენეტიკური კოდის შეცვლასა და სიცოცხლის გახანგრძლივებას იწვევს.

**ნონა დათეშიძე**

**ელენე გედევანიშვილის სახელი უკვე წლებია, საქართველოს ფარგლებს გასცდა. მისი ცხოვრება ადრეული ბავშვობიდან ყინულს და ფიგურულ სრიალს უკავშირდება. მას არაერთხელ უსახელებია საქართველო. ზამთრის 2014 წლის ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენი ოცეულში მოხვდა და მე-19 ადგილი დაიკავა. ოლიმპიადის დასრულების შემდეგ ელენე 2 კვირით თბილისს ესტუმრა და მორიგი სპორტული ეტაპისთვის ამერიკაში ენერგიით სავსე მიემგზავრება. ჩვენი რესპონდენტი ელენესთან ერთად, ფიგურული სრიალის ფედერაციის პრეზიდენტი მაკა გიორგობიანია. ის ელენეს ყოველთვის გვერდში უდგას და როგორც თავად ამბობენ, ერთი გუნდი არიან.**

# რატომ გულშემატკივრობენ საერთაშორისო ჩემპიონატებზე ელენე გედევანიშვილს იაპონელები ქართული დროშით ხელში და რატომ არის ქართველი სპორტსმენისთვის მაკა გიორგობიანი მეორე დედა

**– როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით ზამთრის ოლიმპიადიდან, რომელსაც თავისთავად, თან ახლდა ნერვიულობა და დაძაბული ფონი.**

**მაკა გიორგობიანი:** ძალიან რთული იყო ჩვენი იქ ყოფნა, ორმაგად ვნერვიულობდით. გარდა იმისა, რომ ოლიმპიური თამაშები უმაღლესი სპორტული ფორუმი და ძალიან საპასუხისმგებლოა, ჩვენთვის პასუხისმგებლობა ორმაგი იყო, რადგან სოჭში ტარდებოდა.

**ელენე გედევანიშვილი:** მე რომ ვნერვიულობ, მაკაზეც გადადის.

**მაკა:** ამიტომ, მე ორივეს მაგივრად ვნერვიულობ, ელენეს ხელი რომ არ შეუშალოს უშუალოდ შეჯიბრების დროს.

**– მიუხედავად ყველაფრისა, ალბათ, როცა ყინულზე გადიხარ, ნერვიულობა მაშინვე ქრება – გამოცდილება მაინც თავისას შვრება.**

**ელენე:** ყოველთვის არა, ხან ვუმკლავდები, ხან – ვერა. ყინული ისეთი სრიალაა, არ იცი, ფეხი როდის დაგიცდება.

**მაკა:** სხვათა შორის, სპორტსმენებს რომ ვაკვირდები, ვხვდები, ასაკი ხშირად არ ქრის. ალბათ, რაც უფრო პატარა სპორტსმენი, მით უფრო ვერ აცნობიერებს პასუხისმგებლობას. ელენე კი იმდენად შეგნებული ადამიანია, რომ ზედმეტადაც კი გრძნობს დაკისრებულ პასუხისმგებლობას. ამიტომ, რთულია ასპარეზობის წინ.



**მაკა: „ენეიჩქეის" სპეციალური გადამღები ჯგუფი ჩამოვიდა ოლიმპიადაზე იმისთვის, რომ ელენეზე გადაცემა მოემზადებინათ. მასთან ერთად იყვნენ აბსოლუტურად ყველგან, იღებდნენ ყველაფერს. ძალიან კარგი გადაცემა გამოუვიდათ, რისთვისაც დიდი მადლობა მათ"**

**– როგორც გავიგე, ოლიმპიადაზე იაპონიიდან სპეციალურად ელენე გედევანიშვილისთვის, გადასაღებად ჩამოვიდა ჯგუფი, რომელმაც ამ მასალით საკმაოდ დიდი გადაცემა გააკეთა. ეს ყველაფერი კი იმას მოწმობს, რომ იაპონიაში ძალიან პოპულარული ხარ.**

**ელენე:** იაპონიაში მართლა ძალიან პოპულარული ვარ. მათ სიყვარულს და ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობ, როცა იაპონიაში ჩავდივარ. ძალიან მგულშემატკივრობენ, ჩემთან ერთად ფოტოებს იღებენ, მართმევენ ავტოგრაფებს და ასე შემდეგ. ისედაც, სულ მწერენ, ყველაფერი აინტერესებთ ჩემ შესახებ. ფიგურული სრიალი იაპონიაში პირველი სპორტია. ძალიან დიდ პატივს სცემენ მოციგურავეებს და შრომას უფასებენ.

**მაკა:** თვითონ იაპონელებს, ძალიან ნიჭიერი და წამყვანი მოციგურავეები ჰყავთ. სასიხარულოა, რომ მიუხედავად ამისა, ძალიან დიდ პატივს სცემენ ელენეს.

**– ხომ არ ყოფილა გადაბირების ფაქტი, მათი სახელით რომ გეასპარეზა?**

**ელენე:** არა, ნამდვილად არ ყოფილა.

**მაკა:** „ენეიჩქეის" სპეციალური გადამღები ჯგუფი ჩამოვიდა იმისთვის, რომ ელენეზე გადაცემა მოემზადებინათ. მასთან ერთად იყვნენ აბსოლუტურად ყველგან, იღებდნენ ყველაფერს. ძალიან კარგი გადაცემა გამოუვიდათ, რისთვისაც დიდი მადლობა მათ. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვართ ქართველი გულშემატკივრებით განებივრებული უცხოეთში ასპარეზობისას. ამ დანაკლისს კი იაპონელები გვივსებენ. საერთაშორისო ჩემპიონატებზე, ძალიან ხშირად ფრიალებს ტრიბუნაზე საქართველოს დროშა. რომ ვინტერესდებით, თუ ვის უჭირავს საქართველოს დროშა, ყოველთვის იაპონელები აღმოჩნდებიან ხოლმე.

**– ელენე, ხარ ქართველი სპორტსმენი, რომელმაც 3 ოლიმპიადაზე მიიღე მონაწილეობა. 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე შენი შედეგით თუ ხარ კმაყოფილი?**

**ელენე:** სიმართლე გითხრათ, იმაზე, თუ რომელი ადგილი დამეკავებინა, წინასწარ ნამდვილად არ ვფიქრობდი. ჩემი ფიქრი და გონება მთლიანად შეჯიბრებაზე იყო გადართული და იმ ელემენტებზე, რაც ცეკვის დროს უნდა გამეკეთებინა. პრინციპში, რაც მინდოდა, მისი 90 პროცენტი გავაკეთე.

**– ამ ეტაპზე რისთვის ემზადები?**

– ამ ეტაპზე მინდა, დავისვენო და მერე შევუდგები ვარჯიშს. მართლა ძალიან გადავიღალე. 10 წელია, არც ერთი შეჯიბრება არ ჩამიგდია, რამაც ფსიქოლოგიურად ძალიან გადამღალა.

**– რამდენ ხანს აპირებ საქართველოში დარჩენას?**

– რამდენიმე დღეში უკვე მივდივარ. საქართველოში რომ ჩამოვდივარ, წასვლა აღარ მინდა, რადგან აქაურობა ძალიან მიყვარს.

**– მაკა, ელენეს უკეთ გაცნობაში დაგვეხმარე და მოკლედ დაგვიხასიათე?**

**მაკა:** უპირველესად, ელენე ძალიან თბილი ადამიანია. არის განსაკუთრებულად ემოციური და ამავე დროს, ძალიან მეგობრულია. ტურნირებზე ვაკვირდები და ვხედავ, რომ მას სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი, უამრავი მეგობარი ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში, ისინი ელენეს მეტოქეები არიან, მაინც ძალიან მეგობრობენ მასთან. მოკლედ, ძალიან საყვარელი გოგოა ჩვენი ელენე.

**ელენე:** მე და მაკას განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს, ჩემთვის მეორე დედასავით არის. ის თავისი საქმის პროფესიონალი, კეთილი, თბილი, მოსიყვარულე, თავდაჯერებული და ძალიან ლამაზია.

**მაკა:** მე და ელენე ერთი გუნდი ვართ – ერთ ტალღაზე ვართ და ერთად ვიბრძვით საერთო მიზნისთვის. ეს მიზანი კი წარმატებაა, უპირველესად, საქართველოს სახელით ასპარეზობისას.

**– ოლიმპიადის მსვლელობის დროს, ინტერნეტში არაერთი უცნაური ფოტო გავრცელდა. ეს რეალობა იყო თუ ფოტოშოპის შედეგი?**

– სიმართლე გითხრათ, ჩვენ ასეთი რამ იქ მართლა არ გვინახავს. როგორც ყველამ, ჩვენც ინტერნეტში ვნახეთ.

**ელენე:** ორმაგი ტუალეტები ნამდვილად არ ყოფილა და არც სხვა უცნაური რამ მინახავს. ყოველ შემთხვევაში, სადაც გვიხდებოდა ყოფნა, იქ ასეთი რამ მართლა არ იყო.

**მაკა:** სპორტსმენებისთვის მართლა ძალიან კარგი პირობები იყო. კომფორტულად ცხოვრების, მომზადებისა და შემდეგ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის.

**– ელენე, რამდენი წლის იყავი, ვარჯიში რომ დაიწყე?**

**ელენე:** საქართველოში ყინულზე რომ დავდექი, 2 წლის და 8 თვის ვიყავი. დედას უნდოდა, მოთხილამურე გამოვსულიყავი და უთხრეს ბალანსისთვის კარგია სრიალი, მერე კარგად რომ დადგეს თხილამურებზეო. ამიტომ, მეც და ჩემი ძმაც ყინულზე მიგვიყვანეს. დროთა განმავლობაში კი, სრიალი ისე შემიყვარდა, თხილამური ციგურებმა შეცვალა და აღარც მიფიქრია, სპორტის სახეობის გამოცვლა.

**– უკვე წლებია, ყინულზე დგახარ. ამ წლების განმავლობაში, თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, ფიგურული სრიალისთვის თავის დანებება რომ მოგდომებია?**

– ასეთი მომენტები ბევრჯერ მქონია, მით უმეტეს, 2012 წელს, მაშინ ძალიან ბევრი პრობლემა მქონდა ჯანმრთელობის მხრივ. თან, გადაღლილი ვიყავი და ყოველი ვარჯიშის წინ ვამბობდი, აღარ შემიძლია-მეთქი. ესეც გადავლახე. ისიც ვთქვი, ოლიმპიადის მერე აღარ ვისრიალებ-მეთქი, მაგრამ... ორი კვირაა ყინულზე არ ვმდგარვარ და უკვე ძალიან მომენატრა. თავის დანებებას მართლა ვერ შევძლებ. უბრალოდ, ძალიან გადავიღალე და სერიოზული დასვენება მჭირდება.

**– რამდენიმე დღეში მიემგზავრები საქართველოდან. საით მიდიხარ?**

– ჯერ ამერიკაში მივდივარ მშობლებთან. მერე კი, მე და მაკა ერთად გადავწყვეტთ სამომავლო გეგმებს.

**მაკა:** ელენე ძალიან ძლიერი ადამიანია. 2012 წელს რომ თქვა, ვარჯიშის გაგრძელებას ველარ შევძლებო, სწორედ მაშინ მოიკრიბა ძალები და ერთად გავუმკლავდით ყველაფერს. შედეგად, მეორე ბრინჯაოს მედალი მოუტანა საქართველოს ევროპის ჩემპიონატზე. ასე რომ, ის ძალიან ძლიერია და ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი.

**მარიკა ხიდურელი**

## ვნახავთ თუ არა „იმედის" არხზე „ცეკვავენ ვარსკვლავების" ახალ სეზონს

10 მარტს ტელეკომპანია „იმედი" ახალ მეგა-პროექტს იწყებს. „ორი ვარსკვლავი" ბრიტანული პროექტის ქართული ანალოგია, სადაც მომღერლები „წყვილდებიან" სხვა სფეროში მოღვაწე ცნობილ ადამიანებთან ერთად. პროექტის საკმაოდ შთამბეჭდავი პრომო უკვე გამოჩნდა ეთერში, სადაც განსაკუთრებით ეფექტურია სალომე ღვინიაშვილი ჯენეთ ჯექსონის ამპლუაში. დარწმუნებული ვარ, გენერალური პროდიუსერის, ნოე სულაბერიძისა და მისი სუპერპროფესიონალი გუნდის დახმარებით, შოუ წარმოუდგენლად მაგარი გამოვა.




ახალი პროექტის დაწყებამ საზოგადოებაში უამრავი კითხვა გამოიწვია, რომლებიც „ცეკვავენ ვარსკვლავების" გარშემო ტრიალებს – მაყურებელს აინტერესებს, ხომ არ დაესვა წერტილი ამ რეიტინგულ შოუს, რომელსაც მთელი საქართველო უყურებდა. ამ კითხვაზე პასუხისთვის ნოე სულაბერიძეს მივმართეთ. მან დაადასტურა, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავები" ამ სეზონზე ისევ გავა „იმედის" არხზე, თუმცა, დეტალების დაზუსტებისგან თავი შეიკავა. რომელი ვარსკვლავი იცეკვებს ან ვინ იქნება ახალ სეზონზე ჟიურის წევრი, ამას სულ ცოტა ხანში გავიგებთ.

## ქალების შეჯიბრება საერთაშორისო რუსთავის ავტოდრომზე

რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომმა და კომპანია „ვისოლ ჯორჯიამ" 8 მარტს ქალებს ნამდვილი დღესასწაული მოუწყო. ცნობილი და არაცნობილი ქალები შეიკრიბნენ იმისთვის, რომ მონაწილეობა მიეღოთ საავტომობილო შეჯიბრებაში, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე მამაკაცურ სპორტის სახეობად ითვლება და კიდევ ერთხელ დაემტკიცებინათ მათთვის, რომ ავტომობილის მართვა და კიდევ ბევრი სხვა „მამაკაცური" საქმე არანაკლებ კარგად და ზოგჯერ უკეთესადაც გამოსდით. ავტოდრომზე თავი მოიყარეს ულამაზესმა ქალბატონებმა: მანიკა ასათიანმა, ირინა ონაშვილმა, ლალი ტოტიკაშვილმა, ეკო ფანგანმა, ნინო ხაჟომიამ, ლიზა ვადაჭკორიამ, ეკა სამხარაძემ და სხვებმა. როგორც შეჯიბრების ორგანიზატორებმა გვითხრეს, ქალები ხშირად არიან „შემჩნეულები" ავტომობილის მართვისას მაკიაჟის კეთებაში. სწორედ ამიტომ, ერთ-ერთი ფიგურის გავლისას, მონაწილეებს მოუწიათ ავტომობილის ექსტრემალურ სიტუაციაში მართვა და თან პომადის წასმა. ამან დიდი აჟიოტაჟი და მხიარულება გამოიწვია.



**მევლუდ მელაძე:** საჭესთან მაკიაჟის გაკეთება კანონით არ ისჯება, მაგრამ, გვინდოდა, ქალებისთვის გვეჩვენებინა თუ რამდენად ზღუდავს და უშლის ეს ხელს ავტომობილის მართვას; მით უფრო, თუ სრულიად მოულოდნელად საავარიო სიტუაცია შეიქმნა, ავტომობილზე მობილიზება ძალიან ძვირფას და საჭირო დროს წაგართმევთ. თუმცა, აქვე ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ქალები არაჩვეულებრივი მძღოლები არიან.

მონაწილეებს „ვისოლ ჯორჯიასა" და ავტოდრომის ხელმძღვანელობისგან უამრავი პრიზი გადაეცათ.

## სიახლე ტურიზმის აკადემიაში

დღიდან დაარსებისა, თბილისის ტურიზმის აკადემიაში უამრავი საინტერესო ღონისძიება იმართება, რაც, თავის მხრივ, უდიდესი ხელშემწყობი ფაქტორია სწავლების დონის ამაღლებისა და მრავალფეროვანი გარემოს შექმნისათვის.

ამ დღეებში თბილისის ტურიზმის აკადემიაში გაიხსნა მესხეთის საამაყო წარმომადგენელთა და მექვაბიშვილთა საგვარეულოს კაბინეტი, სადაც წარმოდგენილია ფოტოილუსტრაციები სხვადასხვა დროის მოღვაწე მესხეთის კუთხის სახელოვანი ადამიანების ბიოგრაფიიდან და მექვაბიშვილთა საგვარეულოს თვალსაჩინო პიროვნებების შესახებ.




დაწესებულებას მჭიდრო კავშირები აქვს მესხეთის რაიონებთან, იქაურ საზოგადო მოღვაწეებთან. ამ მხრივ დიდ სამუშაოებს აწარმოებს ასოციაცია „მესხეთი – 2001", რომლის პრეზიდენტიც გახლავთ პროფესორი ამირან მექვაბიშვილი. ხშირად იმართება სამუშაო შეხვედრები აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად და მომავალი მიზნების დასასახავად.

თბილისის ტურიზმის აკადემია კვლავ მზადყოფნაშია, მიიღოს სწავლას მოწყურებული ახალგაზრდები სხვადასხვა კონკურენტუნარიან სპეციალობაზე. სწავლა ახალი ნაკადისთვის დაიწყება 17 მარტს. მიღებისას სწავლის ღირებულების გადასახადში გათვალისწინებულია 30-პროცენტიანი შეღავათი მესხეთის კუთხის მკვიდრთათვის. ასოციაციისა და მესხეთის პრობლემებით დაინტერესებულ ნებისმიერ გულშემატკივარს შეუძლია, აღნიშნული კაბინეტით ისარგებლოს ამ კუთხისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

## „გვირილას" და ანკას „ლუქ ლაიქ იუ", ანუ „დაგემსგავსო შენ!"



6 მარტს, შარდენზე, „ტერასა უნიკში" ჩატარდა საქველმოქმედო ღონისძიება „ლუქ ლაიქ იუ", ანუ „დაგემსგავსო შენ." დიზაინერმა მანანა მანიამ სრულიად უსასყიდლოდ შემოსა ქალბატონ ნინელი ჭანკვეტაძის პატრონაჟის ქვეშ მყოფი ფონდ „ჩემი სახლის" პატარები.

საჩუქრებმა ბავშვები განსაკუთრებით აღაფრთოვანა. საქველმოქმედო პროექტში მონაწილეობდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები: კრისტი ყიფშიძე, ლიზა ვადაჭკორია, ია ფარულავა, სალომე ჭაჭუა, ივანა მელაი, ქეთი ხატიაშვილი, სოფო ბედია, ნუკი კოშკელიშვილი, გუგა კუზანოვი, გივი სიხარულიძე, დავით ივანიშვილი, ტოლი ბოისა, ზურა ცინცქილაძე, გიორგი თავხელიძე, ზურა მანგაძე, მარკუს მეტრეველი...

საღამოს უძღვებოდნენ პროექტის ავტორი ნინო ჩიხლაძე, ჟურნალისტი ბესო ჩუბინიძე და მსახიობი გიგი გამთენაძე. საღამოზე ფონდ „ჩემი სახლისა" და „გვირილას" პატარებს უამრავი სიურპრიზი და საჩუქარი ხვდათ წილად. კომპანია „საფილოსგან" არაჩვეულებრივი მზის სათვალეები გადაეცათ. უგემრიელესი ლიმონათით ბავშვებს „ჰელოუ კიწი" გაუმასპინძლდა და თან, საჩუქრებიც დაარიგა. უფროსებზე კომპანია „ორიფლეიმმა" იზრუნა. საქველმოქმედო საღამოს სპონსორი „კუზანოვ კლინიკი" გახლდათ. ბატონი ივა კუზანოვი საკმაოდ ხშირად იღებს მონაწილეობას საქველმოქმედო პროექტებში. ის ჭეშმარიტად ქველმოქმედი და მეცენატია. „უნიკში" ბავშვებისთვის, ქალბატონებისა და ბატონებისთვის უამრავი ტკბილეული „ბარამბომ" დაარიგა. საგანგებოდ ქალბატონებისთვის კომპანია „ფიორიმ" ულამაზესი თაიგულები დააწესა. საკონდიტრო ნაწარმით კი საღამო კომპანია „ნარცისმა" გაალამაზა. ღონისძიების მხარდამჭერი იყო გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.

პროექტის ავტორი ანსამბლ „გვირილას" ხელმძღვანელი, ქალბატონი ერნა წიფურია გახლდათ.

**ქალბატონი ერნა წიფურია:** დიდი მადლობა კლუბ „უნიკას" ადმინისტრაციას და ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ამ სასიკეთო საქმეში თანადგომა გამოგვიცხადა და ჩვენ გვერდით დადგა.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

# როგორ იძიეს შური ქართველებმა მუსლიმანური კოალიციის წინააღმდეგ ჯერ ბრძოლაში, გამარჯვების შემდეგ კი – ქეიფში

ბრძნული და ღვთისნიერი ქმედებებით თამარ მეფემ შიდაქართული დაპირისპირებები ჩააცხრო და ერთ მუშტად შეკრა ქართველობა. ამან მთელი ქართული სამხედრო რესურსი საქართველოს იმპერიის გავლენის გავრცელებისკენ მიმართა. ქართველებმა შეუტიეს მეზობელ სახელმწიფოებს და ყველგან იცავდნენ ქრისტიანთა უფლებებს. ალაფით აივსო ქართველთა მხედრობა, ხოლო საქართველოს მტრები მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ.

მუსლიმანთა ხელმძღვანელები შეიკრიბნენ, ტანსაცმელი და პირი შავად შეიღებეს, მივიდნენ მუსლიმანთა სულიერ ლიდერთან – ხალიფასთან და დახმარება სთხოვეს. მან გახსნა თავისი საგანძური, იდუმალად გაგზავნა შიკრიკები ყველა მუსლიმანურ სამფლობელოში და ბრძანება გასცა, ვინც არ წამოვიდოდა საქართველოს წინააღმდეგ საომრად, თავად მისი ქვეყანა აეოხრებინათ.



ამ დროისთვის, ირანის აზერბაიჯანის (ძველი აზერბაიჯანის) ადარბადაგანის გასულთნებული ათაბაგი ყიზილ-არსლანი უძეოდ იყო გარდაცვლილი. მემკვიდრეობით მისი სამფლობელო ერგოთ მისი ძმის, ფეჰლევანდის (ფალავანდის) შვილებს. უფროსმა, ხუტლუინანჩიმ, საკუთრებად მიიღო ტერიტორია ერაყიდან ხორასნამდე; აბუბექრმა (ამირ-ბუბაქარმა) ადარბადაგანი სომხეთამდე; ამირ-მირმანმა – ერანი კასპიის ზღვიდან გელაქუნის (სევანის) ზღვამდე, მაგრამ, ძმებს შორის ომი გაჩაღდა პირველობისთვის. აბუბექრმა დაამარცხა უფროსი ძმა – ხუტლუინანჩი, გააქცია და თვითონ დაჯდა ათაბაგად. ამირ-მირმანი კი საქართველოს ვასალის – შარვან-შაჰის სიძე გახდა. აბუბექრი „ბელაქნის კარს“ სიძე-სიმამარს თავს დაესხა და ისინიც გააქცია. შირვან-შაჰს სტიქიური უბედურებაც დაატყდა თავს. მიწისძვრამ დაანგრია შირვანის დედაქალაქი – შამახია, რის შდეგადაც შირვანშას ცოლი და შვილები დაიღუპნენ.

გაუბედურებულ შირვანშას, აღსართანს (ახსითან პირველი), როგორც ქვეყნაზე პასუხისმგებელს, აბუბექრისგან ქვეყნის აოხრების საშიშროება მაინც ადარდებდა. მან წერილი მისწერა თავის სუზერენებს – თამარსა და დავითს და შველა სთხოვა.

საქართველო ვალდებული იყო დახმარებოდა ყმადნაფიცს. თამარ მეფემ ბრძანება გასცა ლაშქრის შეკრებისა. ოქროჭედილ ტახტზე დასხდნენ თამარი, დავითი და ძე მათი – გიორგი-ლაშა. ტფილისში დიდის პატივით მიიღეს აღსართანი, ამირ-მირმანი და მათი თანმხლებნი. მერე გამოვიდნენ ტფილისიდან აღლუმზე და მეფესა და დიდებულებს მიეგებნენ საქართველოს სამსახურში მყოფი ოსები და ყივჩაღები. მაშინ ყივჩაღთა მეფის, სევინჯის ძმა – სავალათი საქართველოს სამხედრო სამსახურში იყო. საქართველო ქირაობდა ხოლმე ყივჩაღებს, ოსებს და სხვებს „როქის სპად“. სტუმრებს მიეგება ქართული არმიაც: მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯტაოელნი, აფხაზები, სვანები, მეგრელები, გურულები, რაჭველები, თაკვერელნი და მარგველნი, იქვე იყო სომეხთა რაზმებიც.

სტუმრებისთვის ჯერ პურობა გაიმართა, შემდეგ – ნადიმი. თამარ მეფის ნატიფმა, დახვეწილმა ქცევამ და სილამაზემ, ასევე, ქართული სამხედრო ძალის დემონსტრირებამ, აღაფრთოვანა დახმარების სათხოვნელად მოსულნი და გამარჯვების იმედი მისცა.

სტუმრების პატივსაცემად მთელი კვირის განმავლობაში ნადირობდნენ, პოეტები გამოთქვამდნენ ლექსებს, მუშაითები აწყობდნენ სანახაობებს, იმართებოდა ბურთაობა.

ამირ-მირმანი და მისი ამალა ერაყში, ერანსა და ადარბადაგანში საუკეთესო მობურთალეებად ითვლებოდნენ. დავით სოსლანი თავისი მოყმეებით გაეჯიბრა მათ. თამარ მეფეც დაესწრო თამაშს. ქართველებმა მსწრაფლ სძლიეს ბურთაობაში სტუმრებს.

ამასობაში საქართველოს სამეფო კარი საომრად ემზადებოდა. ათ დღეში შეიკრიბა ქართული არმია.

წმიდა მეფემ საქართველოს ყველა მონასტერსა და ეკლესიას შეუთვალა, დღედაღამ შეუწყვეტლად ელოცათ; გასცა უამრავი მოწყალება გლახაკთათვის.

შეკრებილ ლაშქარს მეფეთმეფემ მიმართა: „ძმანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისა მათისათვის და სიმცირისა თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენ თანა არს...“

წმიდა დედოფალმა დალოცა ჯარი და შეავედრა ღმერთს და წარუძღვანა ძელი ცხოვრებისა, თვითონ კი ფეხშიშველი ავიდა მეტეხის ტაძარში, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაუცხრომლად ლოცულობდა და ცრემლით ევედრებოდა ღმერთს ქრისტიანთა გამარჯვებას.

დავით სოსლანმა წაიმძღვარა ძელი ცხოვრებისა და სვიანი დროშა „გორგასლიან-ბაგრატოანური“.

ქართული ჯარი, რომელსაც თავი მოეყარა მტკვრის, ალგეთის, ქციისა და ქურდვაჭრის (ქციის შენაკადი, მდინარე დებედა) ხეობებში, დაიძრა შამქორისკენ.

**თამარ მეფის ნატიფმა, დახვეწილმა ქცევამ და სილამაზემ, ქართველი სამხედრო ძალის დემონსტრირებამ აღაფრთოვანა დახმარების სათხოვნელად მოსულნი**

ამასობაში აბუბექრი თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრით ქალაქ შამქორსა და მის მიდამოებში გამაგრდა. მზვერავებმა დავით სოსლანს ამბავი მიუტანეს მტრის ჯარის მრავალრიცხოვნობის შესახებ.

მეფე დავითი მტრის რიცხვმრავლობას არ შეუშინდა, პირიქით, მსწრაფლ მოქმედებაზე გადავიდა: ჯარი ორად გაყო. ერთ, უფრო მრავალრიცხოვან ნაწილს თავად უთავა, მარჯვნივ შემოუარა შამქორს, გადალახა შამქორ-ჩაის მდინარე, რათა შამქორისთვის ზურგიდან დაერტყა, ჩაეკეტა შამქორისა და განძის გზები.

ასეთი მანევრი დააბნევდა მტერს, რომელიც მინდობილი იყო თავის მრავალრიცხოვნობას, შამქორის ციხესიმაგრის სიძლიერესა და მასთან მისასვლელი ხევის გაუვალობას და, აიძულებდა, დაეტოვებინა განძისა და არანის გამაგრებული ადგილები. შამქორ-ჩაის გარდა, მოწინააღმდეგე გამაგრებული იყო მტკვარში ჩამავალი მდინარეების – კოშკა-ჩაისა და განჯა-ჩაის ხეობებში.

ქართველთა მეწინავე რაზმის მებრძოლები ჩამოხტნენ ცხენებიდან, თაყვანი სცეს ღმერთს და მტერს ეკვეთნენ.

მეწინავე, მარჯვენა ფრთის სამოქმედო არეალი ვიწრო იყო, მხოლოდ წინა რიგები თუ ებრძოდნენ ერთმანეთს. დავით სოსლანის რაზმს, ცუდი გზის გამო, მანევრი შეუყოვნდა. მეწინავე ქართველებს ცხენები გამოუკლეს და, ის იყო, გაუჭირდათ ქართველებს, რომ გამოჩნდა დროშა გორგასლიანი, რაც მეფის მოახლოებას ნიშნავდა.

მეფის მოსვლამდე უძლებდა ათაბაგის ჯარი, მაგრამ, რა იხილეს სოსლანი, თავზარი დაეცათ მუსლიმანებს.

ქართველთა ჯარმა არ მისცა მტერს მანევრირების საშუალება. მდევარმა ერთი მხრივ განძის მხარისკენ, მეორე მხრივ კი გელაქუნისკენ მოუჭრა გზა მაჰმადიანებს.

მემატიანის თქმით, ქართველები ქათმებივით იპყრობდნენ დამარცხებულ მტრებს – დიდ ამირებსა და დიდებულებს ბაღდადიდან, მოსულიდან, ერაყიდან, ადარბადაგანიდან და წვერებით მიათრევდნენ დავით მეფის წინაშე. თავად აბუბექრ ათაბაგი შეშინებული გაიქცა.

სწორუპოვარმა გმირმა შალვა ახალციხელმა ხალიფას დროშა წაართვა მუსლიმანებს. მტრის დევნის შემდეგ მობრუნებულ მეფე დავითს შეეგება ანტონ მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, რომელმაც, მართალია, ბრძოლაში ხმალი არ ამოიღო, რადგან ბერი იყო, მაგრამ, სამი მსახურის მეშვეობით, ხელთ ჩაიგდო სამასი ჯორი და აქლემი.

დავით მეფესთან გამოცხადდნენ შირვანშა და ამირმირმან, ასევე, ქართველი სარდლები, ჩამოხტნენ ცხენებიდან და თაყვანი სცეს მას, აღმართეს სამლოცველოები და ადიდებდნენ უფალს.

ეს მოხდა 1195 წლის 1 ივნისს. მეორე დღეს, დილით, შამქორელებმა მეფეს მიართვეს ქალაქის კლიტენი. დავით სოსლანმა შამქორი ამირმირმანს უბოძა, თვითონ კი განძას გაემართა. იქ გამოეგებნენ დიდებულები, დიდვაჭარნი, ყადი და მოლები, დაეცნენ მიწაზე და ცრემლით შეავედრეს თავი და ცოლ-შვილი. გაუღეს ქალაქის კარი, დაუფინეს სტავრა და დიდი პატივით გაუძღვნენ სულთნის სასახლემდე, შეიყვანეს სასახლეში და სულთნის ტახტზე დასვეს. შეიქნა დარბაზობა. იჯდა დავით მეფე-სულთანი ტახტზე, ათაბაგის ძე, შირვან-შაჰი და სხვა ყმები, ძველი და ახალი ქვეშევრდომები კი ეთაყვანებოდნენ.

დავით სოსლანს სულთნის შესაბამისი საზეიმო თაყვანისცემა გაუმართეს დოლებისა და ლიტავრების დაკვრით, ქართველებმა კი, მუსლიმანების წესის საწინააღმდეგოდ, ღორის ხორცითა და ღვინით კარგად იქეიფეს.

ტფილისში დაბრუნების შემდეგ, თამარ მეფისა და მოქალაქეებისთვის საჩვენებლად, ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა ტყვეები და ალაფი ქალაქგარეთ გამოფინეს. დიდუბის ველზე ავჭალამდე და გლდანის ხევამდე დააყენეს ტყვე ამირები საკუთარი დროშებით, პირველ რიგში იყო ხალიფას დროშა, რომელიც შალვა ახალციხელმა თამარს მიუძღვნა; მერე – ათაბაგის დროშა, მერე ტყვეები – თორმეტი ათასი კაცი; ასევე, ორმოცი ავაზა, ოცი ათასი ცხენი, შვიდი ათასი ჯორი, თხუთმეტი ათასი აქლემი, ხოლო ოქრო, ვერცხლი, ჭურჭელი, ლარი და სხვა ალაფი იმდენი იყო, დაიღლებოდა კაცი დათვალიერებით.

**გიორგი მახობეშვილი**

**79 წლის ოფელია ზახაროვა-კალაძე ყოფილი სანიტარია და ქალაქ ყაზანის ცნობილ ფსიქიატრიულ კლინიკაში 43 წელი იმუშავა. როგორც თავად აცხადებს, ეს საყოველთაოდ ცნობილი დაწესებულება ნამდვილი ცოდვის ბუდე იყო და მისი მედპერსონალის 90 პროცენტი სადისტი-მანიაკებისგან შედგებოდა. მისივე თქმით, კლინიკის, ეგრეთ წოდებულ, ელიტურ კორპუსში, სადაც საგანგებოდ იზოლირებული, საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები ჰყავდათ გამომწყვდეული, განსაკუთრებული განუკითხაობა სუფევდა. ყაზანის კლინიკის ფსიქიატრები გაუგონარ სისასტიკეს იჩენდნენ მათ მიმართ.**

# როგორ აღმოაჩინა სანიტარმა სამი წლის წინ დაღუპული იური გაგარინი ფსიქიატრიულ კლინიკაში

**– როგორ მოხვდით ყაზანის ამ ცნობილ დაწესებულებაში სამუშაოდ?**

– სრულიად შემთხვევით. ბავშვობიდან ბირთვის კვრაში ვვარჯიშობდი. 18 წლის ასაკში მხარის ტრავმა მივიღე და ჩემს სპორტულ კარიერას წერტილი დაესვა. სწავლისადმი მიდრეკილება მაინცდამაინც არ მქონია და შიმშილისგან რომ არ მოვმკვდარიყავი, სამუშაოს ძებნა დავიწყე. ერთხელ უპატრონო ბავშვთა სკოლის დირექტორი შემხვდა ქუჩაში. მე იმ დაწესებულების აღზრდილი ვიყავი და სავა ისმაილოვმა ჩემი გასაჭირი რომ გაიგო, მითხრა: ოფელია, ჯანღონით სავსე გოგონა ხარ, საგიჟეთში სანიტრები სჭირდებათ, ხელფასი ნორმალურია და თუ იმუშავებო. მე წარმოდგენაც კი არ მქონდა, რას მთავაზობდნენ და დავთანხმდი. იქ მხოლოდ ფიზიკურად ძლიერ სანიტრებს იღებდნენ სამუშაოდ. ყაზანის ფსიქიატრიულ კლინიკაში სულ ნარჩევ-ნარჩევი სანიტრები ვმუშაობდით და უმეტესობა პიროვნული სიბრიყვით და სადიზმით გამოირჩეოდა. სტაციონარში რომ შევდიოდით, ავადმყოფები ისე გაისუსებოდნენ, ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით.

**– თქვენ თუ გამოგიყენებიათ ფიზიკური ძალა პაციენტების მიმართ?**

– რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევაც ყოფილა, მაგრამ ვცდილობდი, არ გადამეჭარბებინა. სხვებისგან განსხვავებით, მე ავადმყოფები ცხოვრებაში არ დამიმცირებია და შეძლებისდაგვარად, დახმარების ხელსაც კი ვუწვდიდი. თუმცა, ასეთი რამ უმკაცრესად ისჯებოდა ადმინისტრაციის მხრიდან.

**– რაში გამოიხატებოდა ავადმყოფების დამცირება მედპერსონალის მხრიდან?**

– აბსოლუტურად ყველაფერში. სანიტრები მათ დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი სანიტარი, მეტსახელად „კამეჩი“, მათ დერეფანში დაამწკრივებდა და აიძულებდა, სხვადასხვა ცხოველისთვის მიებაძათ. კამეჩი მათ აშიშვლებდა და თითოეულ მათგანს საგანგებო ბრძანებას აძლევდა. ავადმყოფები იმ სადისტის ბრძანების შესრულებას რომ იწყებდნენ, კამეჩი გულიანად ხარხარებდა. ის განსაკუთრებულ სისასტიკეს ახალმოსულების მიმართ იჩენდა. ამას კი მორჯულების პროცესს უწოდებდა. ერთხელ, სტაციონარში ყოფილი მოჭიდავე, სპორტის ოსტატი მოიყვანეს, რომელიც ზედმეტი ვარჯიშის შედეგად შეიშალა. კამეჩმა თავიდანვე დაადგა თვალი და მისი მორჯულებაც გადაწყვიტა. თუმცა, ყოფილი მოჭიდავე ზედმეტად მშვიდი იყო და არავის არაფერს ვნებდა. დერეფანში დამწკრივებული ავადმყოფები კამეჩმაააყეფა, ააყმუვლა, ააბღავლა და თვითონ ხარხარი დაიწყო. ერთი წყება რომ გაისტუმრა, მეორეს უხმო, რომელთა შორის ყოფილი მოჭიდავეც იყო. „გაშიშვლდი, წარმოიდგინე, რომ თაგვი ხარ და ხაფანგიდან ყველის ნაჭერის მოპარვა გინდა“, – უბრძანა კამეჩმა ყოფილ მოჭიდავეს, რომელიც უხმოდ, თავჩაღუნული იდგა. კამეჩმა ორჯერ გაუმეორა მას ბრძანება და რომ ვერაფერი გააგებინა, რკინის ხელკეტი გადააწნა ზურგზე. ყოფილმა მოჭიდავემ თავი ასწია და მოულოდნელად კისერში სწვდა კამეჩს. ჰაერში ასწია და იატაკზე ისე დაანარცხა, კამეჩს ფილტვები გაუსკდა და პირიდან სისხლი წამოუვიდა. სისხლმა ყოფილი მოჭიდავე ისე გაახელა, კამეჩის რკინის ხელკეტს დასწვდა, მომაკვდავ სანიტარს ორივე თვალის კაკალი ამოუგდო და გადაყლაპა. შემდეგ მთელი ძალით დაუწყო ცემა ხელკეტით და გველივით გაუჭეჭყა თავი. დანარჩენი სანიტრები და ავადმყოფები გაშეშებულები ვუყურებდით ამ სცენას და მიახლოებასაც ვერ ვბედავდით. როდესაც ყოფილმა მოჭიდავემ კამეჩს თავი დაანება, მან რკინის ხელკეტი გულზე მიიდო და გაიყარა... მაშველი ძალა რომ მოვიდა, ყველაფერი უკვე დამთავრებული იყო.



**– როგორ რეაგირებდა ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებზე კლინიკის ადმინისტრაცია?**

– ასეთი შემთხვევები სულაც არ ითვლებოდა იქ განსაკუთრებულად. მსგავსი რამ იქ თითქმის ყოველკვირეულად ხდებოდა. კლინიკის ტერიტორიაზე ეგრეთ წოდებული ელიტური კორპუსის უკან, სასაფლაო იყო და ჩამოწერილ ხალხს იქ ვმარხავდით.

## ყაზანის ფსიქიატრიულ კლინიკაში ისეთებიც იწვნენ, ვინც დიდი ხნის დაღუპულად იყვნენ გამოცხადებული

**– რას ნიშნავს ჩამოწერილი ხალხი?**

– მკვდარ ავადმყოფსა და სანიტარს იქ ერთი ფასი ჰქონდა. კლინიკის მთავარი ექიმი მათ, უბრალოდ, ჩამოწერდა ხოლმე.

**– პაციენტებს რომ თავი დავანებოთ, სანიტრებს ხომ ჰყავდათ პატრონი და მათი ჩამოწერა როგორღა ხდებოდა?**

– პატრონი არც სანიტრებს ჰყავდათ. ასეთ ხალხს იქ საგანგებოდ არჩევდნენ. ყაზანის კლინიკაში რომ დაგეწყო მუშაობა, ფიზიკურად ძლიერი და უპატრონო უნდა ყოფილიყავი.

**– რას წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული ელიტური კორპუსი?**

– ეს სულ სხვა სამყარო იყო. იქ განსაკუთრებული პაციენტები იყვნენ. ერთ-ერთი მთავარი თავისებურება კი ის იყო, რომ უკლებლივ ყველა პაციენტი ნიღბით დადიოდა. როგორც მათ, აგრეთვე, იქ მომუშავე სანიტრებსაც ურთიერთკონტაქტი სასტიკად ჰქონდათ აკრძალული. პაციენტებთან ლაპარაკი მხოლოდ განყოფილების უფროსსა და მთავარ ექიმს შეეძლოთ. ვინც ამ ბრძანებას დაარღვევდა, უკვალოდ აქრობდნენ...

**– რატომ დადიოდნენ ელიტური კორპუსის პაციენტები ნიღბებით და ვინ იყვნენ ისინი?**

– ელიტური კორპუსის პაციენტების 90 პროცენტი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები იყვნენ, რომლებიც მთავრობამ ამა თუ იმ მიზეზის გამო, იზოლაციაში მოამწყვდია. მათ შორის იყვნენ მეცნიერები, ხელოვანები, ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკები და სხვა. ნიღბით კი იმიტომ დადიოდნენ, რომ მათი პიროვნება არ გამჟღავნებულიყო. ამავე მიზეზით ეკრძალებოდათ ჩვენთან კონტაქტი. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვახერხებდით მათთან საუბარს. უფრო სწორად კი, ისინი გვესაუბრებოდნენ და თავიანთ ვინაობას გვატყობინებდნენ. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ყაზანის ფსიქიატრიულ კლინიკაში რამდენიმე ისეთი პაციენტიც იყო მოთავსებული, რომლებიც ხალხს დიდი ხნის გარდაცვლილი ეგონა.

**– თქვენ თუ შეხვედრიხართ ასეთ პაციენტს და ვინ იყო ის?**

– 1971 წლის მარტში მე ერთ-ერთი ნიღბიანი პაციენტი გამომელაპარაკა და მითხრა, რომ ის მსოფლიოში პირველი კოსმონავტი – იური გაგარინი იყო. ეს იმდენად წარმოუდგენლად მომეჩვენა, რომ გამეცინა. „ტყუილად გეცინებათ, – მითხრა ნიღბიანმა, – მე უკვე სამი წელია, ხალხს მკვდარი ვგონივარ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ცოცხალი ვარ“. შემდეგ მან დაწვრილებით მომიყვა, როგორ დასვა თავისი „მიგ 19“ ჩკალოვსკის სათადარიგო აეროდრომზე და როგორ გაიტაცეს ის უცნობებმა. მისი მეწყვილე სერიოგინი მაგნიტური ნაღმით ააფეთქეს ჰაერში, გაგარინი კი ყაზანის ფსიქიატრიულ სპეცსაგიჟეთში გაამწესეს.

**– როგორ ხსნიდა თავად გაგარინი მთავრობის ასეთ საქციელს?**

– ის ამბობდა, რომ კოსმოსში მოგზაურობისას მან ღმერთი იხილა და ამის შესახებ ლეონიდ ბრეჟნევს მოუყვა. მისი აზრით, სწორედ ბრეჟნევის საიდუმლო ბრძანების საფუძველზე მოათავსეს ის საგიჟეთში. გაგარინი ამბობდა: სასიკვდილოდ ვერ გამიმეტეს, მაგრამ არც ცოცხალი დამტოვესო.

**– გაგარინთან ხშირი კონტაქტი გქონდათ?**

– მე სულ ოთხჯერ ვესაუბრე მას და 1971 წელს, კლინიკაში მომხდარი ცნობილი სკანდალის მერე, ის აღარ მინახავს.

**– რა სკანდალი მოხდა კლინიკაში?**

– იმ წელს ერთ-ერთ აუქციონზე ცნობილი მხატვრის, ემანუილ ზორინის ნახატი იყო გასაყიდად გამოტანილი. ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ ნახატი მართლაც ზორინის იყო. მაგრამ ისიც გაირკვა, რომ ის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში იყო შექმნილი. ზორინი კი სამოციანების დასაწყისში ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ზორინის ოჯახმა ბრიტანეთის სპეცსამსახურებს სთხოვა დახმარება. მათ ეს საქმე ფარულად გამოიძიეს და ჩვენს კლინიკას მოადგნენ. გაირკვა, რომ კლინიკის მთავარი ექიმი ზორინს ნახატებს ახატვინებდა და შემდეგ მათ გაყიდვას ცდილობდა... კლინიკას ზორინიც მოაშორეს და სხვა ცნობილი სახეებიც, გაგარინი კი უკვალოდ გაქრა...

**ნიკა ლაშაური**

**მიხარია, როცა სულ პატარა გოგოები ასე თამამად და პირდაპირ ცდილობენ საკუთარი თავის გამოხატვას, ინდივიდუალიზმის ჩვენებას და საუბარს იმაზე, რასაც ფიქრობენ და რისი თქმისაც ბევრს ეშინია. მერსი სულხანიშვილი პირველად მოდის კვირეულზე შევამჩნიე – ის ყოველთვის გამოირჩეოდა გამოპრანჭული ხალხის მასისგან. მერე, რამდენჯერმე, მოდის შესახებ მისი ბლოგიც წავიკითხე – ბავშვური გულწრფელობით დაწერილი პოსტები, რაც, ასევე, ძალიან სასიამოვნო იყო. ახლა „მიუზიქ ბოქსზე“ მოდასთან დაკავშირებით მიჰყავს გადაცემა, სადაც ხშირად ჩნდება მისი თამამი ჩაცმულობა, რამაც უკვე საკმაოდ დიდი ხმაური გამოიწვია.**

# რის დანახვაზე ცოცხლდება მერსი სულხანიშვილი და რასთან ათენებს და აღამებს ის

**მერსი სულხანიშვილი**: როდესაც ჩემზე ამბობენ, სკანდალური და თამამიაო, მიკვირს – ნამდვილად არ გამომიგონებია ახალი ველოსიპედი და არაფერი ახალი არ გამიკეთებია. წლევანდელ სამოსში სექსუალურობა და გამჭვირვალობა ძალიან მოდურია – ნახეთ რუსული „ვოგის“ ყდა, სადაც ძალიან ცნობილ მოდელს ერთი მკერდი სრულიად შიშველი უჩანს. თავს ინოვატორს ვერ ვუწოდებ, უბრალოდ, მოდის ეს ტრენდი მივაწოდე და გავაცანი საზოგადოებას. ასევე, ვირგებ სხვა ტრენდებსაც და არჩევანს ადამიანი თვითონ აკეთებს. მინიმალისტური „პროენცა შოლერიც“ კი, წლევანდელ კოლექციებში იყენებს გამჭვირვალე ქსოვილებს, ღრმა დეკოლტეებს. ჩემი მიზანი ის კი არ იყო, რომ მკერდი გამომეჩინა, არამედ, მეჩვენებინა ის, რაც მოდაშია...

**– თან, მკერდის სილამაზეც ხელს გიწყობს.**

– სხვათა შორის, არასდროს მიმაჩნდა, რომ ლამაზი მკერდი მქონდა, უბრალოდ, საზოგადოებამ შეაფასა, რომ კარგი მკერდი მაქვს და, ესე იგი, კარგია ***(იცინის).***

**– გაილანძღე ამის გამო თუ არა?**

– სიმართლე გითხრათ, მიყვარს ინტერნეტში რაღაცეების კითხვა, თუმცა, ამ ლანძღვას საკუთარ თავზე დიდად არ ვიღებ და არ ვნერვიულობ. უფრო საშინელი კომენტარები იყო, როდესაც მელიის ბეწვი მქონდა მოხურული სხეულზე. წლევანდელ შემოდგომა-ზამთრის სეზონზე ძალიან ბევრმა გამოიყენა ნატურალური ბეწვი – მარკ ჯაკობსმა, ლუი ვიტონმა... ამ შემთხვევაშიც არ ვყოფილვარ ინოვატორი. ოცდაათიათასევროიან ქურქში ხელოვნურ ბეწვს არავინ იყენებს, ხომ?! მაგრამ, ეს ქართული სნობიზმის თემა იყო: თუ „ფენდის” მოდელს ეცვა, ძალიან კარგი და ლამაზია, მაგრამ, თუ ვინმე ქართველი გოგო ჩაიცვამს, ის ქვებით უნდა ჩაქოლო. გემოვნების კი არა, ბრენდებზე ორიენტირებულობის პრობლემაა. როდესაც აღმოვაჩინე, რომ მოდაშია სექსუალური დეტალები, ჩავიცვი ქართველი დიზაინერის, ნინო ბაბუხადიას კოლექციის პიჯაკი, რომელიც არის ძალიან ღრმად დეკოლტირებული. აუცილებლად „კავალი“ უნდა მეცვას, რომ მოწონება დაიმსახუროს?! კოკო შანელმა თქვა, მოდა, რომელიც ქუჩამდე არ აღწევს, ის მოდა არ არისო. არ ვავალდებულებ ვინმეს, რომ მანაც ჩაიცვას. მე ჩავიცვი და, არიქა მომბაძე-მეთქი, არ ვამბობ, ყველამ თავისი ინდივიდუალური სტილი უნდა მოირგოს.

**– აქამდე როგორ მოხვედი?**

– ვარ 22 წლის, ვამთავრებ ალასანიას უნივერსიტეტს. სკოლის დამთავრების შემდეგ, ოჯახს უნდოდა, რომ უცხოეთში წავსულიყავი სასწავლებლად. გამიმართლა და ძალიან გემოვნებიანი ადამიანების ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. ხარისხის გარჩევის საფუძველი თავიდანვე მომცეს. მოდა თავიდანვე მაინტერესებდა, მაგრამ, მაინც მინდოდა, სხვა განათლება მიმეღო და უცხოეთში დიპლომატიის შესასწავლად წავსულიყავი, მაგრამ, მივხვდი, რომ ეს ჩემი არ იყო. სულ მომწონდა ჟურნალისტობა: დაშლილი მქონდა სახლში „ნაუშნიკები“, დავიმაგრებდი ერთს პერანგზე, როგორც „პეტლიჩკას“, ერთს ყურზე და მიმყავდა გადაცემები ***(იცინის),*** თან, პარალელურად, სულ იყო მოდა. პირველ კლასში თეთრი პერანგიც კი არ მცმია, სულ მინდოდა, განსხვავებული ვყოფილიყავი. სამოსში უფრო ხელოვნებას ვხედავდი, თვითგამოხატვის საშუალებას. გავიზარდე და მივხვდი, რომ ჟურნალისტობა ისე არ მომწონს, როგორც წამყვანობა – ეს არის ჩემი. კამერის დანახვაზე ვცოცხლდები. სულ რომ მკვდარი ვიყო, ვდგები. ჩემთვის კამერა, ვიდეო იქნება ეს, ფოტო თუ სხვა, ნარკოტიკივითაა. ახლა რასაც ვაკეთებ, ისაა, რაც ბავშვობიდან მინდა – მოდა და წამყვანობა. ჟურნალისტობაც ძალიან საინტერესოა, ორივე პროფესიას ვაფასებ, მაგრამ, მგონია, რომ კამერის უკან ვერ დავდგები. თუ დავდგები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაცემის კრეატიულ ნაწილზე ვიზრუნებ, სტაილინგზე და სხვა. მოდის სფეროს შერწყმული სატელევიზიო პროექტები – ეს არის ჩემი.

**– ტელევიზიამდე მოდაზე წერით მოხვედი?**

– ტელევიზიამდე მქონდა ჩემი ბლოგი. ჩემი ბლოგის ისტორიაში საინტერესო მომენტებიც ყოფილა, რისი გადამოწმებაც მარტივად არის შესაძლებელი. მაგალითად, შარშან მოდის კვირეულებზე დამსწრე ქალბატონების ძალიან დიდ ნაწილს ქურთუკი არა ჩაცმული, არამედ, უბრალოდ, მხრებზე ჰქონდა მოგდებული. ამას მივუძღვენი პოსტი. ორი კვირის შემდეგ გამოვიდა იტალიური „ვოგი,“ სადაც ზუსტად იმავე თემაზე წერდნენ. ეს ჩემგან კი არ წაიღეს, უბრალოდ, დაემთხვა და ორივემ ერთსა და იმავეზე გავამახვილეთ ყურადღება.



**მე რომ მკითხო, ეგაა ბოზობა და არა გახდა; ან, ის – საქალწულე აპკს რომ უფრთხილდებიან და სხვას ყველაფერს აკეთებენ**

**– კრიტიკის ელემენტები გქონდა თუ ქართულად, მაინც ერიდებოდი?**

– ზოგადად, კრიტიკაზე ვიტყვი. გული მწყდება, რომ ქართველებმა კრიტიკა არ ვიცით. ჩვენებიდან გამოდის ბევრი ცნობილი სახე, რომელიც ეკრანზე ძალიან კარგს ამბობს, მაგრამ, კამერა მიტრიალდება თუ არა, ცუდის ლაპარაკს იწყებს. თან, ეს ცუდიც ძალიან სუბიექტურია. თუ ვინმეს ვაკრიტიკებ, ყოველთვის აღვნიშნავ, ამას რატომ ვამბობ – მაქვს საფუძველი და მიზეზები, რომლებსაც ვხედავ. თუ ამის დასაბუთება არ შეგიძლია, მაშინ, გაჩუმდი. ჯანი ფონტანა თუ მეტყვის, რომ „ლუქი“ არასწორად გაქვს აწყობილი, არვარგაო, მაშინ დავიჯერებ. სხვათა შორის, „პროფილში“ როგორც მეცვა, ისე მეცვა შარშან მოდის კვირეულზე – გამჭვირვალე ზედა. „ვოგის” ფოტოგრაფი მოვიდა და კომპლიმენტი მითხრა – ამ „ლუქის“ არჩევისთვის შემაქო და ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ჩემთვის კრიტიკა პროფესიონალისგან არის მისაღები, ვინც მოდის სფეროში მოღვაწეობს. „უბრალოდ არ მომწონს” – კიდევ სხვა საკითხია, მაგრამ, ლანძღვა – ეს ცალკე ფენომენია.

**– რატომ ვილანძღებით?**

– უპირველეს ყოვლისა, განათლების პრობლემა გვაქვს. ილანძღებიან ძირითადად გოგოები, სოლიდარობის ნაცვლად ისინი ისვრიან ქვებს. მაგრამ, არის კიდევ დაუკმაყოფილებელი ბიჭების ჯგუფი, რომლებიც, როგორც კი გახდილ გოგოს დაინახავენ ეკრანზე ან ჟურნალში აუცილებლად ჰგონიათ, რომ ღამით ის მის საწოლში უნდა აღმოჩნდეს. ეს საშინელებაა. ეს არის ეკრანული იმიჯი, სამსახურია იმ ადამიანის, ვინც ამას აკეთებს და, სრულიად წარმოუდგენელია, ამის მიხედვით იმსჯელო ადამიანზე. აქ ახალი არაფერია. მხატვრები ყოველთვის ხატავდნენ შიშველ სხეულს, ახლა კი გაჩნდა შიშველი ფოტო. მთავარია, ის ვულგარულად და უხარისხოდ არ იყოს გაკეთებული. ესთეტიკა ყველაფერში მთავარია. საშინელებაა, როდესაც ამას აიგივებენ „ნაშობასთან,“ ან, საკუთარი თავის უცებ „გაპიარებასა“ და იოლ პოპულარობასთან. და კიდევ ერთი საშინელი კითხვა, რომელიც ჟურნალისტებისგანაც მოდის და კომენტარებშიც ხშირად მხვდება: მშობელმა რა გითხრა? დედას რა რეაქცია ჰქონდა? არანაირი! სახლიდან გამოვდივარ მაშინ, როცა ან გადაცემაში მივდივარ ან ფოტოსესია მაქვს. დედაჩემი შენიშვნას იმ შემთხვევაში მომცემს, როდესაც რაღაც ცუდს გავაკეთებ. მაგრამ, როდესაც დედაჩემი განათლებული ადამიანია და ზუსტად იცის, რომ ჩემს საქციელში ცუდი არაფერია, რა უნდა მითხრას?! დედაჩემს მადლობა, რომ დღეს ასეთი ვარ. მთავარია, მე ვინ ვარ – ეს ზუსტად მაქვს გაცნობიერებული და თავს კომფორტულად ვგრძნობ. სკოლაშიც კი ვხედავდი, რა დღეში იყვნენ სექსს მოწყურებული ბავშვები, როდესაც კიბის უჯრედიდან ბიჭებს უჭვრიტინებდნენ და ყოველდღე სხვადასხვა ტიპი მოსწონდათ. მე რომ მკითხო, ეგაა ბოზობა და არა გახდა. ან, ის, საქალწულე აპკს რომ უფრთხილდებიან და სხვას ყველაფერს აკეთებენ. ჩემთვის ეს არის საშინელება, აღვირახსნილობა. მშობლების მხრიდან საშინელი შეზღუდვის გამო უარესებს აკეთებენ. მშობლებს ჰგონიათ, რომ მათ შვილებს შეყვარებულები ჰყავთ და „ნეკი-ნეკისათი“ დადიან. ასე რომ, ყველაზე ნაკლები პრობლემა გახდაშია.

**– შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

– ამ ეტაპზე თავისუფალი ვარ. კამერასთან ვათენებ და ვაღამებ. თუ პირად ცხოვრებაში ბოიფრენდს გულისხმობ, მაშინ, ასეთი არ არსებობს. არ მჭირდება არაფრის მოგონება, ზოგს ერთი რომ ჰყავს და ათს ამბობს, ზოგს კი – პირიქით. ეს არის ნიღბები, რომლებიც ადამიანების დიდ ნაწილს მორგებული აქვს. ჩემთვის მარაზმი სწორედ ნიღბის ტარებაა. მოკლედ, პირად ცხოვრებაში თავისუფალი ვარ. როდესაც ჩემს ცხოვრებაში ვინმე გამოჩნდება, ეს ურთიერთობა ურთიერთპატივისცემაზე უნდა იყოს აგებული. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახი და მეგობრები არიან, მაგრამ, მათგანაც მხოლოდ რჩევას ვიღებ, რამის აკრძალვას ან დაშლას ვერ ავიტან. „ასე არ ჩაიცვა, ვინმე შემოგხედავს” – ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. სანამ შეყვარებულს გაიჩენენ, ყირაზე გადადიან და, შეყვარებული რომ ჰყავთ, მერე თავსაც აღარ უვლიან. რა მნიშვნელობა აქვს, რა მეცმევა?! რეალურად, ჩადრის ქვეშ ხდება ყველაფერი და ყველაზე სექსუალური; მუცლის ცეკვაც და მკერდის გამოჩენაც იმ აღმოსავლეთიდან მოდის. ასე რომ, დღეს თუ გიპიურის ბლუზას ჩავიცვამ, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ გამჭვირვალე ზედა მაცვია და სხვას არაფერს.

**სალომე გველესიანი**

**საზოგადოება ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს იმ ცნობილი ადამიანების მიმართ, რომელთა შესახებაც ბევრი არაფერი იცის. სალომე არშბა, მრავალწლიანი ტელეკარიერის განმავლობაში, საზოგადოების ამ ინტერესს ყოველთვის დაუკმაყოფილებელს ტოვებდა და მის ამ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. მისი ცხოვრების არცთუ ღია წესი არა გაპრანჭული ქედმაღლობაა, რომელიც ერთი ფრაზით გამოიხატება – „ინტერვიუებს არ ვიძლევი", არამედ, გულწრფელი თავმდაბლობა, როდესაც ჩრდილში ყოფნას არჩევ და, არ გინდა, ზედმეტად ალაპარაკო ვინმე საკუთარ ცხოვრებაზე. სალომე არშბამ „თბილისელებისთვის" გამონაკლისი დაუშვა.**

# ვინ ჰყავს მიწებებული სალომე არშბას და როდის აღმოჩნდა ის საჭირო დროს საჭირო ადგილას

**სალომე არშბა**: არ მიყვარს ჩემს ცხოვრებაზე ბევრი ლაპარაკი, რადგან, ვფიქრობ, რომ ეს მკითხველისთვის საინტერესო არ იქნება. პირადი – პირადია და ამაზე რატომ უნდა დაიწეროს? – ეს ჩემია. რაც შეეხება კარიერას, ვფიქრობ, არ მაქვს ისეთი საინტერესო კარიერული გზა ან ცხოვრება, რომ ამაზე ყოველ მეორე ნომერში წერონ. მიზეზი იმისა, რომ ინტერვიუები არ მიყვარს, მხოლოდ და მხოლოდ ეს არის, და არა ის, რომ ვინმემ რამე ცუდი დამიწერა, გამაბრაზა ან რამე მსგავსი.

**– საკმაოდ დიდი გამოცდილება გაქვს, თუმცა, „ჯიდიესში" მცირეხნიანი პაუზის შემდეგ მოხვედი.**

– სტუდენტი ვიყავი, როდესაც „იმედის" არხზე „დუბლიორი" დაიწყო და ეს იყო გადამწყვეტი მომენტი ჩემს ცხოვრებაში, როდესაც საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდი. ამის შემდეგ ყველაფერი ძალიან სპონტანურად წავიდა: გავხდი ჟიურის სიმპათია, შემდეგ წავედი მოსკოვში და იქიდან დაბრუნებულმა მუშაობა განვაგრძე „იმედში". რვა წლის განმავლობაში ვმუშაობდი ამ არხზე. ჯერ იყო „იმედის დილა", შემდეგ „ქრონიკაში" მიმყავდა კულტურის ბლოკი, ბოლო ერთი წლის განმავლობაში კი ნათიკა ბერძულთან ერთად მიმყავდა „ქრონიკა პლუსი". შემდეგ უკვე ისე მოხდა, რომ „იმედიდან" წამოვედი. მუშაობა დავიწყე „ჯიემჯიზე", სადაც ორი გადაცემა მიმყავდა: „შუადღე" და კულინარიული გადაცემა. არ ვარ კულინარი და მაყურებელთან ერთად ვსწავლობდი რაღაცეების კეთებას. ვფიქრობ, მაყურებლისთვის სწორედ ამიტომაც იყო საინტერესო, რადგან, დილეტანტურ შეკითხვებს ვსვამდი და ზოგჯერ რაღაც-რაღაცეები არც გამომდიოდა. სამწუხაროდ, ეს გადაცემა „ჯიემჯიზე" გარკვეული მიზეზების გამო დაიხურა. სწორედ ამ დროს მქონდა მცირეხნიანი სატელევიზიო პაუზა, მაგრამ, ეს იყო ყველაზე სასიამოვნო პაუზა, რადგან, მთელი ეს პერიოდი შვილთან ერთად ვიყავი. ჩემი შვილი წლისა და რვა თვისაა და ამ ხნის განმავლობაში მქონდა სხვადასხვა შემოთავაზება, მაგრამ, უარს ვამბობდი რეჟიმის გამო. ძალიან რთულია, მთელი დღის განმავლობაში დატოვო პატარა შვილი და მხოლოდ საღამოს გქონდეს მისთვის დრო. სულ ცოტა ხნის წინ გამოჩნდა „ჯიდიესი", გავიარეთ შესარჩევი ტური, პილოტები და ბოლოს ჩვენ, სამი წამყვანი დაგვამტკიცეს.

**– წინამორბედი გადაცემა დაიხურა?**

– შუადღის გადაცემა „ჯიდიესზე" არსებობდა, მაგრამ, სხვა წამყვანები ჰყავდა. შემდეგ ახალი სეზონისთვის დაიწყეს ახალი წამყვანების ძებნა და არჩევანი ჩვენზე შეაჩერეს. წამყვანები და სტრუქტურა შეიცვალა, თუმცა, შუადღის გადაცემა ყველა არხზე დაახლოებით მაინც ერთი და იმავე სტილისაა.

**– რა არის ის, რისი მოსმენაც ადამიანს შუადღისას სჭირდება?**

– ჩვენი მთავარი სამიზნე აუდიტორია მაინც დიასახლისები არიან – ქალი, რომელმაც დილით ქმარი სამსახურში გაუშვა, შვილი – სკოლაში, თან სახლის საქმეებს აკეთებს და თან ტელევიზორს უყურებს. ჩვენს გუნდს სწორი სტრატეგია აქვს აღებული და ვაჩვენებთ იმას, რაც ძალიან პრაქტიკული და ყოფითია, რაც ნებისმიერი ადამიანის ყოველდღიურობაშია, რაზეც ფიქრობს, ღელავს. კონკრეტული და სასარგებლო რჩევებია, რაც, ვფიქრობ, სწორი მიმართულებაა.

**– ხვალ 8 მარტია (ინტერვიუ ჩაწერილია 7 მარტს), ქალთა დღესასწაული, რომელიც პირადად მე ცოტა სევდიან განწყობაზე მაყენებს ხოლმე, რადგან, ქალთა უფლებებს ეძლვნება, ეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ, მთელ მსოფლიოში, ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად რჩება.**

– სწორედ დღეს გვაქვს გადაცემა მაგ თემაზე. ქალთა დღესასწაულები არსებობს, მაგრამ, რეალურად, ამ საუკუნეშიც კი, ქალების მდგომარეობა ძალზე მძიმეა. სტატისტიკას გადავხედე და გავიგე, რომ მდგომარეობა ძალიან ბევრ ქვეყანაში საგანგაშოა. დღემდე არის სტერეოტიპი, რომ ქალი სამზარეულოში უნდა იყოს, რომ ოჯახში ფული კაცმა უნდა შემოიტანოს და ბავშვი დედამ გაზარდოს.

**– ყველაზე ცუდი ის არის, რომ ქალების დიდი ნაწილი ამაში პრობლემას ვერ ხედავს, ეს მათთვის ნორმაა.**

– დიახ და ესეც კვლევებით არის დადასტურებული. ისინი ამას ძალადობად არ აღიქვამენ. როდესაც ქვეყანაში ასეთი მდგომარეობაა, შეიძლება, ერთ გადაცემაში საუბრით ეს ვერ შეცვალო, მაგრამ, რაც უფრო ხშირად ვისაუბრებთ ამაზე, მით სწრაფად გამოსწორდება მდგომარეობა. ხანდახან ჩვენ გვერდითაც კი ხდება ეს ყველაფერი, თუნდაც, ჩვენს სამეგობროში, სანაცნობოში, როდესაც ფსიქოლოგიური ტერორი ხდება ქალზე და ის ამას ვერც გრძნობს. მაგალითად, ქმარი საზოგადოებაში ცოლს ერთი-ორჯერ ეტყვის – შენ რა იცი, რა სისულელეს ამბობო და, მორჩა, ის უკვე დაკომპლექსებულია და ფიქრობს, რომ მისი აზრი ამა თუ იმ თემაზე გარშემო მყოფებისთვის სასაცილო და სულელურია. ამ დროს, შეიძლება, ცოლი მუშაობს და რეალიზებულიც არის. აქ უკვე ძალადობის სხვა დონესთან გვაქვს საქმე. არის კიდევ ერთი მომენტი, როცა მამაკაცი დისკომფორტს განიცდის, თუ ცოლი მასზე წარმატებულია. ეს ყოველთვის ასე არ ხდება, მაგრამ, ასეთი ფაქტები მინახავს და, ხშირად ეს დისკომფორტი ხდება კონფლიქტის მიზეზი. თვითონ ქალის უფლებაა, აირჩიოს, როგორი ცხოვრება სურს. თუ ქალი სახლში გრძნობს თავს ბედნიერად და ასე რეალიზდება, თუ ეს არის მისთვის „მინდა", მაშინ, ყველაფერი კარგადაა და ეს მისი გადაწყვეტილებაა. ანუ, არ უნდა იყოს ვალდებულების მომენტი.

**– ვინ შეიძლება იყოს ის, ვინც რამეს დაგავალდებულებს? რამდენად დამოუკიდებელი და თავისუფალი იყავი შენი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე?**

– ყველაფერი ბავშვის აღზრდიდან იწყება. არა გაზრდიდან, არამედ – აღზრდიდან. არ მქონია ცხოვრებაში მომენტი, რომ მშობლების წინააღმდეგ წავსულიყავი. მეამბოხე თინეიჯერი უამრავი პროტესტითა და მშობლებთან მუდმივი კონფლიქტით არასდროს ვყოფილვარ. ალბათ, ეს ჩემი მშობლების დამსახურებაა, ისინი არ მაძალებდნენ არაფერს. ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე შვილთან. უკვე შვილი მყავს და ძალიან ბევრს ვფიქრობ ამაზე. ბავშვის სწორად აღზრდის ფორმულა არ არსებობს, ყველა ინდივიდუალურია. ალბათ, მთავარი მაინც დედის ინტუიციაა; მთავარია, მიხვდე, როდის უნდა აუკრძალო, როდის ჩაერიო, როდის მისცე თავისუფლება. ჩემ შემთხვევაში, ალბათ, მშობლები სწორად მოქმედებდნენ.

**– მოკლედ, ბევრი მისია გვაქვს: ბავშვები, სამსახური...**

– სიმართლე გითხრა, სამსახური არ არის ის, რის გარეშეც ვიფიქრებდი, რომ რეალიზებული არ ვარ. სამსახური ყველას სჭირდება, მათ შორის – მეც. ამის საჭიროება რომ არ მქონდეს, დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი სახლში და მთელ დღეს ბავშვთან გავატარებდი. მთელ დროს მას დავუთმობდი, როგორც მინიმუმ სამ წლამდე. ეს ის წლებია, როდესაც შვილი თავიდან ბოლომდე მიწებებულია დედაზე. ჩემი შვილი ისე განიცდის ჩემს სახლიდან გასვლას, რომ ამის გამო სამსახურს დავთმობდი. უფრო სწორად, ეს დათმობაც არ არის, პირიქით, ბევრად უფრო კარგად ვიქნებოდი, თუ სულ ჩემ გვერდით იქნებოდა. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ, ვფიქრობ, ქალი სახლში უნდა იჯდეს და არ ჰქონდეს თავისი საქმე, – არავითარ შემთხვევაში! საქმიანი დედა შვილისთვისაც მაგალითია, მით უმეტეს, რომ, გინდა, შვილს ყველაფერი მისცე, არაფერი მოაკლო. თან, ჩვენ ოთხმოცდაათიანების თაობა ვართ, ვისაც ბევრი რამ არ გვქონდა, ამიტომ, ერთგვარ კომპენსირებას ვახდენთ ჩვენს შვილებთან – გვინდა, ისეთი სირთულეები არ ნახონ და ყველაფერი ცუდი რაღაცნაირად ავარიდოთ.



**დღემდე არის სტერეოტიპი, რომ ქალი სამზარეულოში უნდა იყოს; რომ ოჯახში ფული კაცმა უნდა შემოიტანოს და ბავშვი დედამ გაზარდოს**

**– როგორი გოგოა შენი შვილი?**

– არაჩვეულებრივი ***(იცინის).*** ცელქია და საკმაოდ აქტიური. მალევე დაიწყო ლაპარაკი და, შესაბამისად, სულ ლაპარაკობს ან მღერის. ძალიან კარგი ხასიათი აქვს, სულ იცინის. დაბადებიდანვე, გაიღვიძებდა თუ არა, უკვე ღიმილი ჰქონდა სახეზე. სულ ერთად ვართ, ერთად ვერთობით. „შუადღეში" იმიტომ ვარ კომფორტულად, რომ, შემიძლია, დიდი დრო დავუთმო ბავშვს. იმიტომ არ ვამბობ, რომ აქ ვმუშაობ, მაგრამ, ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, ვისთან ერთად მუშაობ, რა დამოკიდებულება აქვთ თანამშრომლებს შენ მიმართ. ვინც ამ ეტაპზე ჩემ გვერდით მუშაობს, არის ხალხი, ვისთან ყოფნაც მსიამოვნებს, ვისაც ერთნაირი ფასეულობები და პრინციპები გვაქვს, ერთი გუნდი ვართ და, შესაბამისად, რასაც ვაკეთებთ, ის გაცილებით კარგი გამოდის. სამ გოგოს მიგვყავს გადაცემა, მე, ნუკა ორჯონიკიძესა და ქეთი ჯაოშვილს, სამივე ერთმანეთისგან რადიკალურად განვსხვავდებით, მაგრამ, ერთმანეთის აზრს პატივს ვცემთ, ერთმანეთს ვავსებთ. ჩვენი განსხვავებულობა არ გადადის დაპირისპირებაში და, მაყურებლისთვისაც, სხვადასხვა ჭრილიდან დანახული ესა თუ ის საკითხი ბევრად უფრო საინტერესოა.

**სალომე გველესიანი**

# ბრძნული აზრები

**ჩერნიშევსკი**: ძლიერი გონების ადამიანთა შეცდომები სწორედ იმითაა სახიფათო, რომ ისინი მრავალ ადამიანთა აზრებად ხდებიან.

**კრისტი**: ყველა ვალდებულია, ცხოვრებაში საკუთარი შეცდომები ჩაიდინოს.

**ტვენი**: ლოცვისას არავინ იტყუება.

**დემოკრიტე**: ქება ძალიან ვნებს ბრიყვებს.

**ებნერ-ეშენბახი**: ვინც არაფერი იცის, მას ყველაფერი უნდა სწამდეს.

**დოდრიჯი**: თუ არავის უყვარხარ, დარწმუნებული იყავი, ეს შენი ბრალია.

**ბლოკი**: მხოლოდ შეყვარებულებს აქვთ ადამიანის სახელის ტარების უფლება.

**ვოლტერი**: რაც უფრო მეტს ვაზროვნებთ, მით უფრო შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ არაფერი არ ვიცით.

**ლაბრიუერი**: თუ გულმოდგინედ დაუკვირდებით ადამიანებს, რომლებსაც არავის ქება არ შეუძლიათ, ყველას ძარცვავენ და უკმაყოფილონი არიან, მიხვდებით, რომ ესენი სწორედ ის ადამიანები არიან, ვინც ყველას უკმაყოფილებას იმსახურებენ.

**მენანდრე**: სამართლიანი ადამიანის თვისებები სავსებით გამოდგება კანონებად.

**მორგენშტეინი**: ადამიანი იმის ნიმუშია, თუ რაოდენ უმაგალითოა ბუნების მოთმინება.

**როინი**: რაც გინდა ნაკლებად სულელი იყოს ადამიანი, იმდენი ჭკუა კიდევ ექნება, რომ სხვას ავნოს.

**რაგანი**: ბედნიერი ადამიანი ხშირად უნამუსოა.

**ტოლსტოი**: ადამიანს იმიტომ აქვს გონება, რომ თავი დააღწიოს იმას, რაც აწუხებს.

**ტორო**: ის, რაც ახალგაზრდა კაცში ენთუზიაზმი იყო, მოწიფულ ადამიანში ნებისყოფად გადაიქცევა.

**ურიხტი**: სალი, პრაქტიკული აზრის მქონე ადამიანი უფრო სწრაფად იპოვის გამოსავალს არსებობისთვის ბრძოლაში, ვიდრე ის, ვისი თავიც უამრავი მოუნელებელი ენციკლოპედიური ცოდნითაა გაჭედილი.

**ფრანკლინი**: ამაყ ადამიანებს სხვათა სიამაყე სძულთ.

**ფრიში**: ადამიანის ღირსება მის არჩევანშია.

**ჩესტერფილდი**: არავინ ენდობა ადამიანს, რომელიც თავის თავზე არაფერს ამბობს, ანდა ამბობს ყველაფერს.

**ბოკაჩო**: ავადმყოფებს სმენა უმახვილდებათ ხოლმე.

**ანდრიჩი**: გულცივი და მედიდური ადამიანები გვიან ბერდებიან.

**ბალზაკი**: ორ ადამიანს შეუძლია ერთმანეთის გადარჩენა იქ, სადაც ერთი იღუპება.

**ბეკონი**: ადამიანები, რომელთაც მეტად ბევრი ხინჯი აქვთ, უწინარეს ყოვლისა, მათ სხვებში ამჩნევენ.

**ბრეხტი**: ადამიანის ბედი არის ადამიანი.

**სილეზიუსი**: ადამიანი ამქვეყნად ყველაზე საოცარია: მასში ღმერთი და ეშმაკი მარად მეზობლად არიან.

**პიგო-ლებრენი**: ის, ვინც ქალებს აქებს, მათ კარგად არ იცნობს, ხოლო ის, ვინც ლანძღავს, მათ საერთოდ არ იცნობს.

**ტუხოლსკი**: როცა ქალის მშვენიერ თვალებში ცრემლი აკიაფდება, მამაკაცი ვერაფერს ხედავს.

# თუ გამოიცნობთ

1. მეთვრამეტე საუკუნის 30-იან წლებში ამ მმართველმა დაიპყრო ავღანეთი და დელიც კი. მიაღწია ოსმანთა იმპერიისა და რუსეთისგან ტერიტორიულ დათმობებს და დიდების ზენიტს მიაღწია. თუმცა, მალე, სამხედრო მარცხმა, დაპყრობილი ქვეყნებისა და გადასახადების გამო შეჭირვებული ხალხის აჯანყებებმა, სახელმწიფო კრახამდე მიიყვანა, თავად მმართველი კი – სიკვდილამდე. **ვინ იყო ის?**

2. ჰოლივუდის „დიდების ხეივანში“, როგორც ცნობილია, ვარსკვლავებს შოუ-ბიზნესის თვალსაჩინო წარმომადგენლების პატივსაცემად ხსნიან. მაგრამ, ამ ადამიანისთვის ორი გამონაკლისი დაუშვეს: 1. მისი პროფესია თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთ ფორმად ჩათვალეს; 2. გაითვალისწინეს მისი სურვილი და ვარსკვლავი კედელზე მიამაგრეს, რათა ადამიანებს ფეხი არ დაედგათ და არ შეურაცხეყოთ წმიდანის სახელი, რომელიც მან თავად დაირქვა. **დაასახელეთ ის.**

3. ბრიტანეთში არის აპოლონის უცნაური ქანდაკება – დედამიწის ზევით მხოლოდ თავი ჩანს. აპოლონის შუბლზე ლათინურად წერია სიტყვა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ის მიწას ეკუთვნის. დღეს ამ სიტყვის გაგონება სულ სხვა ასოციაციას გვიქმნის და შიშს გვინერგავს. **დაასახელეთ სიტყვა.**

4. 1943 წლის ზაფხულში კურსკის ბრძოლის შემდეგ, საბჭოთა კარიკატურისტები ჰიტლერს გამოსახავდნენ იმ ტანკის ნაფლეთებში, რომელიც ფაშისტებმა პირველად ამ ბრძოლაში გამოიყენეს. **რა ერქვა ამ კარიკატურებს?**

5. ამერიკის შეერთებულ შტატებს, ცნობილი მოვლენების გამო, კუბის მიერ წარმოებულ საქონელზე ემბარგო ჰქონდა დადებული, თუმცა, ერთ-ერთი მათგანის აკრძალვაზე კონტროლი ხშირად ვერ ხერხდებოდა. სწორედ ამის გამო მისცა შენიშვნა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა ამერიკის სახელმწიფო მდივანს, ალექსანდრ ჰეიგს, რაზეც მან თავი იმართლა – მტრის მოსავალს ვანადგურებო. **რას აკეთებდა ჰეიგი?**

6. ამ პოეტურ პასაჟს „სიკვდილისწინა ალსარებას” უწოდებენ. **რას?**

7. ბაქოელი მილიარდერი გაჯი ზეინალაბდინ ტაგიევი, რომლის ძირითადი ბიზნესი თევზი იყო, მეთევზეთა სოფელში მივიდა და მოითხოვა, მისთვის ახალდაჭერილი თევზი მიეტანათ. მან მეთევზეთა თვალწინ თევზს მსხვილი ბრილიანტი გადააყლაპა და ისევ წყალში გაუშვა. **რატომ მოიქცა ასე?**

8. 1942 წელს, როდესაც რაიხის არმია მთიანი კავკასიის უღელტეხილებზე გაჩერდა, შეუძლებელი გახდა სამხედრო ტექნიკის გადაადგილება. სახმელეთო ჯარების გენშტაბის უფროსი ჰელდერი წერდა: „ირონია ისაა, რომ, რაც უფრო ვუახლოვდებით, მით მეტად ვგრძნობთ მის დეფიციტს“. **რას გულისხმობდა ჰელდერი?**

9. უნიტების აჯანყების ჩახშობის შემდეგ, არაგონის მეფემ, პედრო მეოთხემ, სასტიკად იძია შური მათზე, ვინც მის წინააღმდეგ მისცა ხმა – მან აჯანყებული თავადები დაიბარა და საშინელი სიკვდილით ამოხადა სული. ზარი, რომელმაც, ასევე, მის წინააღმდეგ გამოსცა ხმა ამ დასჯისას, არანაკლებად დაზარალდა. **როგორ?**

10. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, თავდაპირველად ყველა კუთხოვანი იყო. დიზაინს კი საფუძვლად დაედო სწორედ კუთხეთა რაოდენობა, რაც მათ ნომინალს შეესაბამებოდა. **რა?**

***პასუხები იხილეთ 66-ე გვერდზე***

# გამოჩენილი ადამიანების წარწერები საგნებზე

***სალვადორ დალი*** – თავის ნახატების უკანა მხარეს სვამდა ბეჭედს ასეთი წარწერით: „ეროტიკა საზიზღრობაა, ხელოვნება ღვთიურობა, სიკვდილი მშვენიერება.”

***ირაკლი ანდრონიკაშვილი*** – წიგნებზე სვამდა ბეჭედს, რომელზეც იყო მისი ცხოვრების დევიზი: „ბედნიერება იმ უბედურებათა ჯამია, რომლითაც ჩვენ გვერდი აგვიქციეს.”

***ბალზაკი*** – თავის სამუშაო ოთახში ედგა ნაპოლეონის ბიუსტი, რომელზეც ამოეკვეთა თავისი საოცნებო მიზანი: „კალმით უნდა დავიპყრო მსოფლიო და არ დავამთავრო სიცოცხლე წმინდა ელენეს კუნძულზე.”

***ნეტარი ავგუსტინე*** – ხელნაწერი ლოცვანის წიგნის თავფურცელზე გაუკეთებია წარწერა: „რასაც ველოდებით ჩაივლის იმის გავლით, რასაც ვჭვრეტდით და მიდის იქ, რასაც ვიხსენებთ.”

ამერიკაში თავისუფლების ქანდაკებას ასეთი წარწერა ამშვენებს: „მომეცით მე თქვენი დამარცხებულნი, თქვენი ლატაკნი, თქვენი უსახლკარონი, თავისუფლებას მოწყურებულნი.”

***სოლომონი*** ატარებდა ბეჭედს, რომელზეც ეწერა შემდეგი სიტყვები: „ყველაფერი გაივლის.” ერთ-ერთი აღელვების ჟამს ნერვებმა უმტყუნა, ბეჭედი მოიძრო და მოისროლა. ბეჭედმა იგორა და ისევ მასთან მივიდა, რომელზეც შეამჩნია სხვა წარწერა შიდა მხრიდან, ბეჭედი აიღო და წაიკითხა შემდეგი სიტყვები: „ესეც გაივლის.”

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1. ლc8:e6!**

**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




– სარა, დროა გავეყაროთ...
– რატომ, რა მოხდა, გადამიყვარე?
– არა... გვიან, მაგრამ მივხვდი, ასე უნდა მოვიქცე: ვალენტინობა... 3 მარტი, მერე 8 მარტი... აქ კიდევ აპრილი დაამატეს... ამდენი ხარჯი სულ არ მჭირდება...

***

ორი მეგობარი:
– ჰა, როგორი დრო გაატარე ვალენტინობას?
– სუპერ! დავთვერი და ღამე შენს ცოლთან გავათიე...
– ბედნიერო, შენს ცოლთან კი ორი საათი მომიწია რიგში დგომა...

***




სოჭის ოლიმპიადაზე პირველი რეკორდი დიმიტრი მედვედევმა დაამყარა – მას გახსნის ცერემონიის დაწყებიდან ზუსტად მეოთხე წუთზე ჩაეძინა.

***

– როდესმე ცოლისთვის გითქვამს სიმართლე, რასაც მასზე ფიქრობ?
– კი... გაჩვენო შრამი?

***

– არ ვიცი, როგორ მოვიქცე... ფსიქოლოგთან ვიყავი, მირჩია, ყველა პრობლემა კართან დამეტოვებინა. ჩემს ქმარს კი არაფრით არ უნდა გარეთ დარჩენა...

***

– ჩემი ცოლი ალკოჰოლიზმით იტანჯება...
– ბევრს სვამს? რას?
– ის არა, მე ვსვამ და ის იტანჯება.

***

– ყველაზე მდიდარი ადამიანები მწეველები, ალკოჰოლისტები და ავტომანქანის მძღოლები არიან...
– ეგ როგორ?
– რაც არ უნდა მოიმატოს სიგარეტის, სასმლისა და ბენზინის ფასმა, მაინც ეწევიან, სვამენ და დადიან მანქანით.

***

ძუნწი ორმაგად იხდის?! წავალ, ძუნწთან ვიმუშავებ...

***

მამა, რომელმაც სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, ინსტიტუტი – წითელ დიპლომზე, გაიარა მაგისტრატურა, დაიცვა დისერტაცია, გადაიკითხა ყველა წიგნი, ყველა ნაცნობი ცოცხალ ენციკლოპედიას უწოდებს და ორ ადგილას მუშაობს: ერთგან 250-ლარიან, მეორეგან 180-ლარიან ხელფასზე, ვერაფრით ბედავს, შვილს უთხრას: „კარგად ისწავლე, შვილო“...

***

ქალბატონებო, თუ მოკლე კაბა გაცვიათ, 10-დან 9 მამაკაცი ვერ შეამჩნევს – მიდის თუ არა თქვენი ხელჩანთა ფეხსაცმელზე... რა საჭიროა ფულისა და დროის ხარჯვა ამ ერთ ცისფერზე?!

***

მამაკაცური ლოგიკა:
– ქუდი, კაშნე, კურტკა... სამაგიეროდ, თბილად ვარ...
ქალის ლოგიკა:
– დიდი საქმე, ტვინი და უკანალი გამეყინოს... სამაგიეროდ, ლამაზია...

***

საფოსტო განყოფილებაში მამაკაცი გულმოდგინედ აწებებს გულებიან ვარდისფერ კონვერტებს. შემდეგ ამოიღო სუნამო და ყველას მიაპკურა...
– უკაცრავად, ამდენი შეყვარებული გყავთ? ორმოცამდე კონვერტია...
– არა, ადვოკატი ვარ განქორწინების საქმეებზე...

***

– შენ კიდევ არ გათხოვილხარ?
– თუ ქალს დიდხანს არ ეხსნება ბედი, ესე იგი, ღმერთი ვიღაც განსაკუთრებულისთვის ინახავს.
– მთავარია, შენახვის ვადა არ გაუვიდეს.

***

ქმარი საძინებლიდან გასავათებული გამოდის:
– ჯობდა, ასე საჭმლის მომზადება ესწავლა...




***

ბავშვობაში ვფიქრობდი „30 წლისას კარგი სამსახური მექნება, მაგარი მანქანა და შესანიშნავი მეუღლე მეყოლება“. გეგმა შესრულებულია 25 პროცენტით – 30 წლის ვარ...

## ცნობილი ადამიანთა იუმორისტული გამონათქვამები

ერთხელ მეფე ერეკლე მეორეს ბარძაყზე რაღაც მუწუკი აწუხებდა, ვერ ენახა და მხლებელნი დაიბარა: ერთი ნახეთ, ეს რა მაქვსო.

ერთმა თქვა – ძირდიდაო, მეორემ – არა, თვალიაო; მესამემ – თაგვ-კბილასა ჰგავსო.

– აბა, რა გითხრათ, – ბარძაყზე დაიდო ხელი და შემდეგ ყურთან მიიტანა მეფემ, – აქედამ აქამდის რომ სწორე ამბავი ვერ მოგიტანიათ, ქვეყნის ამბავი როგორ უნდა შემატყობინოთო.

***

ერთ სადილზე აკაკის ღვინო დააძალეს და, როდესაც ამან უარი უთხრა, არა ვსვამ ღვინოსო, მაშინ ერთმა მოქეიფეთაგანმა აიღო თასით ღვინო, კისერში ჩაასხა და უთხრა:
– მაშ, თუ ღვინის სმა არ იცოდი, ჩვენს სუფრაზე რათა ჯდებოდიო.

პოეტმა, რასაკვირველია, ხუმრობად მიიღო და სიცილი დაიწყო...

გაიარა რამდენიმე ხანმა მას შემდეგ. ერთხელ აკაკი მაგიდას უჯდა და წერდა. მივიდა ის ახირებული მოქეიფე და გვერდით მიუჯდა. პოეტმა მაშინვე ქაღალდი მიაწოდა, კალამი გადასცა და სთხოვა:




– ერთი რამ დამიწერეო.
მოქეიფემ გაკვირვებით უთხრა:
– მე წერისა რა ვიციო?!
– მაშ თუ არ იცი, ამ ჩემ სტოლთან რა გინდაო? მიუგო პოეტმა და ერთი საწერელი მელანი ჩაასხა კისერში.

***

მ... ერისთავი და აკაკი რაღაცაზე წაღაპარაკდნენ. ერისთავმა უთხრა პოეტს რიხით: ნუ დაივიწყებ, აკაკი, რომ მე, რაც უნდა იყოს, მაინც ერისთავი მქვიანო!
– ბატონო, ერი კი აღარა გყავს, ჩამოგართვეს და ცარიელა თავი გინდ იყოს და გინდ არაო.

***

ნიაზი და ქართლოს კასრაძე წაკინკლავდნენ. უცებ ქართლოსმა ხელი ჰკრა და ნიაზი წაიქცა. მიხვდა, ქართლოსს ვერ მოერეოდა, ამიტომ წამოდგომას არ ჩქარობდა. ბოლოს ღიმილით უთხრა:
– ქართლოს, რა ლამაზი ყოფილხარ, შე ოხერო, ქვემოდან!..

# პაემნები საფლავებზე

ძალიან მხიარული და საყვარელი და მყავს. ყველაფერთან ერთად, საოცარი გულჩვილი და რომანტიკული გოგოა, მაგრამ, რატომღაც, პირად ცხოვრებაში არ უმართლებს: გაიცნობს ბიჭს, შეხვდებიან ერთმანეთს რამდენჯერმე და რომ მგონია, იპოვა თავისი ოცნების მამაკაციმეთქი, სწორედ მაშინ ხდება, რაღაც უცნაური და გაუთვალისწინებელი და... ჩემი დაიკო ისევ რაინდის მოლოდინის რეჟიმში გადადის.

წინა ისტორიებით თავს არ შეგაწყენთ, მარტო ბოლო შემთხვევას გიამბობთ:

ნანიმ თავისი მეგობრის დაბადების დღეზე გაიცნო ახალგაზრდა კაცი, რომელიც გარეგნობით მართლაც ნორმალური იყო. ჩემი დაც არ არის დასაწუნი გოგო და, მოკლედ, მოეწონათ ერთმანეთი. შოთამ მეორე დღესვე დაურეკა და პაემანზე დაიბარა. ნანიც წავიდა. პირველი პაემანი თბილისის ქუჩებში ორსაათიანი სეირნობითა და რომელიღაც სკვერში ნახევარსაათიანი შეჩერებით დასრულდა. ულაპარაკიათ ქართულ პოეზიაზე, ხელოვნებაზე და მეტზე არაფერზე. ნანის უთქვამს, გალაკტიონის „მესაფლავეზე“ მოსწავლეობის პერიოდში ათასჯერ მიტირია და მისი წაკითხვისას, ახლაც ცრემლი მადგება ხოლმე თვალზეო.

მეორე პაემანი შოთამ ჭონქაძის ქუჩაზე, ფუნიკულიორის ასასვლელთან დაუთქვა. ნანის ეგონა, პლატოზე ავალთ და ახალ რესტორანში დამპატიჟებსო, მაგრამ, შოთას უთქვამს, პანთეონში ავიდეთო. ეს არაფერი. პანთეონის ფეხით შემოვლა და ჩვენი გენიოსების საფლავების კიდევ ერთხელ ნახვა ჩემს დას კიდეც ესიამოვნა, თან, გულში გაუხარდა, რა არაორდინარული თაყვანისმცემელი მყავსო. პანთეონიდან რომ ბრუნდებოდნენ, საუბარში გაარკვიეს, რომ დედა ორივეს გარდაცვლილი ჰყავდა. როგორც




ჩანს, ამის გათვალისწინებით, მესამე პაემანზე ნანის შოთა აშკარად საფლავზე მისატანი საშუალო ზომის გვირგვინით დახვდა და, სანამ ჩემი და ჰკითხავდა, რა ხდებაო, იმან დაასწრო და უთხრა – ახლა ტაქსის გავაჩერებ და დედაშენის საფლავზე მივდივართ, ოღონდ, რომელ სასაფლაოზეა დაკრძალული, მითხარიო. ნანი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, მაგრამ, იფიქრა, ალბათ, უნდა, რომ მასიამოვნოსო და მათი მესამე პაემანი დედის საფლავის მონახულებით ამოიწურა. ორი დღის მერე შოთა ისევ ურეკავს ნანის და ეუბნება, ვაკის პარკის ზედა შესასვლელთან მოდი, ჭავჭავაძის პროსპექტზეო. არ ვიცი, გული ცუდს უგრძნობდა თუ რა იყო მიზეზი, მაგრამ, ნანის აღარ უნდოდა პაემანზე წასვლა, თუმცა, ცნობისმოყვარეობამ დასძლია და მაინც წავიდა. ამჯერად შოთა ტაქსით ელოდა, ხელში კი იების თაიგული ეჭირა. ნანი გიჟდება იებზე და გახარებულმა უთხრა – დიდი მადლობაო, თან ხელი გაიწოდა თაიგულის გამოსართმევად, მაგრამ შოთამ იქიდან მხოლოდ ერთი პატარა კონა მისცა – ეს შენი იყოს, რადგან იები გყვარებია, დანარჩენი კი დედაჩემის საფლავზე უნდა მივიტანო, ახლა იქ მივდივართო. ჩემი და კარგად აღზრდილი გოგოა და, რადგანაც წინა პაემანზე დედაჩვენის საფლავი მოინახულეს, ეუხერხულა, ეთქვა, დედაშენის საფლავზე არ წამოგყვებიო. მოკლედ, წავიდნენ, მაგრამ, ნანის მთელი გზა ხმა არ ამოუღია, შოთა კი ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებაზე აფრქვევდა სიბრძნეებს. უკან რომ ბრუნდებოდნენ, „რომეოს” უთქვამს, ხვალ ჩემი ბავშვობის მეგობრის საფლავზე უნდა აგიყვანო, გაუხარდებაო. აი, მაშინ კი იფეთქა ნანიმ: კი მაგრამ, თავის მოწონება თუ გინდა, ეს ქალაქი რესტორნებითაა სავსე, რაღა სასაფლაოებზე დამაწწიალებ; მეტი ფანტაზია თვითონ თუ არ გყოფნის, შენი ძმაკაცებისთვის მაინც გეკითხა, ახალგაცნობილი გოგოს წაყვანა სად ჯობდაო.

– შენ თვითონ არ მითხარი, გალაკტიონის „მესაფლავეზე“, მომწონსო? ჰოდა, მეგონა... – ამოიღუღლუღა თურმე შოთამ.

– „მესაფლავე“ მომწონს, თორემ, მესაფლავეობის კურსების გავლაზე კი არ ვოცნებობდი, – მიახალა ნანიმ, იქვე გააჩერა ტაქსი და სახლში ჭკუიდან გადასული დაბრუნდა. ახლა ის გვაინტერესებს, ღმერთმა აცხონოს, მაგრამ იმ თავისი მეგობრის საფლავზე ვინ წაიყვანა.

არა, ისე, ბედი არ უნდა ყველაფერს?!

**თამრიკო ზამთარაძე**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

# როგორ პოზირებდა მიხეილ კალმახელიძის ობიექტივის წინ ადრიანა ლიმა და როგორ გაყიდა მან პიერ კარდენის ჩვენების ფოტოები

*მიხეილ კალმახელიძე წლების განმავლობაში ესპანეთში, კერძოდ კი ბარსელონაში ცხოვრობდა. ის პროფესიით ფოტოგრაფია და უკვე რამდენიმე წელია, ყოველ სეზონზე ძირითადად ბარსელონის მოდის კვირეულებს იღებს. თუმცა, ცოტა ხნის წინ მიხეილი თბილისში ჩამოვიდა და ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე საკუთარი ფოტოსტუდია გახსნა.*

**მიხეილ კალმახელიძე**: დაახლოებით 7-8 წლის წინ მამასთან წავედი ესპანეთში და იქ გადავწყვიტე ფოტოგრაფიის შესწავლა. ეს სფერო ყოველთვის მაინტერესებდა და ბარსელონაში ამის საშუალება მომეცა. დავამთავრე „არტ სკოლა", ერთი-ორჯერ მომიწია მოდის სფეროში მუშაობა, ძალიან დამაინტერესა. ამიტომ, ამ სფეროს გავყევი, დღეს ძირითადად მოდას ვიღებ. მახსოვს „დიზელისთვის" ვმუშაობდი. ერთ-ერთი წვეულება გადავიღე. ძალიან ბევრი მოდელი იყო მოწვეული, ასევე, მაღაზიიდან სტუმრები – საკმაოდ კარგი და საინტერესო სიტუაცია იყო. ზოგადად „დიზელის" ორგანიზებული ივენთები ძალიან საინტერესოა. ბევრ რამეზე საუბრობ იქ. თან, რაც მთავარია ფოტოგრაფს ყველანაირად უწყობენ ხელს. ასევე, ესპანეთში ძალიან აინტერესებდათ, ჩემი როგორც კავკასიელის ხედვა.

**– მოდი, მომიყევი როგორ დაიწყო შენი, როგორც ფოტოგრაფის საქმიანობა მოდის სფეროში.**

– თავიდან ვმუშაობდი „ვაის მედია გრუპში", რომელიც ხშირად აწყობს ივენთებს – ჩამოყავთ ცნობილი მომღერლები, პრეზენტაციებს მართავენ. რაც შეეხება მოდის კვირეულს, „ჰეინეკენი" ატარებდა წლების წინ და „ვაის მედია გრუპი" იყო მათი წარმომადგენელი. ასე მოვხვდი „ფეშენ-ვიქზე." შემდეგ გამოჩნდა ერთ-ერთი ფოტოგრაფი, რომელსაც მანუელი ჰქვია და დიდი, წარმატებული სააგენტო აქვს. ეს სააგენტო მუშაობს ასევე პარიზში, მილანში – ერთ-ერთი ძლიერი სააგენტოა და მანუელი ბარსელონაში ამ სააგენტოს წარმომადგენელია. მან ჩემი ფოტოები ნახა, მოვიდა ჩემთან, დაათვალიერა, ძალიან მოეწონა და შემომთავაზა, მისი მარჯვენა ხელი გავმხდარიყავი. საბოლოოდ, იმდენს მივაღწიე, მისი მეწილე გავხდი. წლების განმავლობაში ვმუშაობდი ბარსელონას „ფეშენ-ვიქზე", თუმცა ყველაზე კარგად პირველი ემოციები მახსოვს. როგორც წესი, მოდის კვირეულებს ძალიან ბევრი ფოტოგრაფი ესწრება. რომ შეხვალ, ფოტოგრაფების ადგილას შენი სახელი უნდა დააკრა, რომ მერე იქ სხვა არავინ დადგეს. მე ადრე მივედი, რომ სიტუაციას კარგად გავცნობოდი. რომ დავინახე, სხვები აწებებდნენ სახელებს, მეც დავაწებე. წასვლამდე ბევრი რამის სწავლა დამჭირდა, ყველაფერს ვეცნობოდი, ვკითხულობდი. პირველ დღეს ძალიან ბევრი ფოტო გადავიღე, რომ არაფერი გამომპარვოდა. თან, ამ გადაღებაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. თან, ჩვენ ექსკლუზივებზე ვმუშაობდით, მთლიანად ვყიდდით და მარკებთან, ჟურნალებთან პირდაპირ გავდიოდით კონტაქტზე. ასე რომ, წარმატებული იყო პირველი გადაღება, თუმცა ცოტა დაბნეული ვიყავი: ყველაფრის მოსწრება მინდოდა, რაც საჭირო არ იყო, იმასაც ვიღებდი. ბოლოს უკვე თითი მტკიოდა.



საბოლოოდ, მოეწონათ ჩემი ფოტოები, მაგრამ მერე იყო მათი დათვალიერება, დამუშავება – ეს, რომ მახსენდება, ახლაც ცუდად ვხდები. შერჩევაში მანუელის დახმარებაც დამჭირდა. გამაცნო ის დეტალები, რომელიც ასეთ დროს უნდა გამეთვალისწინებინა. ბექსტეიჯში გადაღება განსაკუთრებულად მომწონს – ბევრი ლამაზი გოგონაა და კარგი საქმელებიც. თუმცა, მოდის კვირეულზე მოდელებს რომ უღებ ფოტოებს, ამ დროს ყველაზე დიდ ყურადღებას დეტალებს აქცევ – სწორი და კარგი ფოტო უნდა გადაიღო. როცა სხვა ტიპის გადაღება გაქვს, დაკვეთაზე მუშაობ, პირდაპირ გეუბნებიან: რა უნდა გადაიღო. მაგალითად „მანგომ" დაიქირავა სხვადასხვა ფოტოგრაფები. მე უნდა გადამეღო ჩანთები, სამკაულები და ასე შემდეგ, სხვას – რადგან ერთ ფოტოგრაფს ამ ყველაფრის გადაღება გაუჭირდებოდა. როდესაც ასეთ ბრენდებთან მუშაობ, „ფეშენ-ვიქს" იღებ, მერე უკვე გამოცდილ, ძველ ფოტოგრაფად ითვლები. ძალიან საინტერესო იყო პიერ კარდენის ჩვენების გადაღება. თავისი წიგნიც მაჩუქა. რომ გადავიღეთ, შემდეგ ვთხოვე, კოლექციის ფოტოების გამოფენა გამეკეთებინა. მის წარმომადგენლებს მივმართე და მომცეს უფლება სააგენტოს სახელით გამეკეთებინა გამოფენა. დავპატიჟეთ დიდი კომპანიები, მაღაზიები, რადგან ძირითადად მაღაზიებიდან ვიღებთ დიდ დაკვეთებს. გამოფენა-გაყიდვა იყო, გავყიდე ფოტოები.








**– როგორც ვიცი, შენს ობიექტივში „ვიქტორიას სეკრეტის" მოდელებიც მოხვედრილან.**

– კი, ადრიანა ლიმაც მყავს გადაღებული. ჩვეულებრივი გოგონაა, საშუალო სიმაღლის. ერთ-ერთ „ფეშენ-ვიქზე" გამოდიოდა. ერთი ფოტოც მაქვს გადაღებული, სადაც თითქოს აჭარულს ცეკვავს. „ვიქტორიას სეკრეტის" ესპანელი მოდელია ლაურა, კიდევ რებეკა, მათთანაც ვიმუშავე. ასევე, ვმუშაობდი მოდელ ბიჭთან, რომელიც „112-ის" სახეა. მასზე ფილმიც კი გადაიღეს. რაც მთავარია, ისინი როგორც თავის, ასევე შენს საქმეს პროფესიონალურად უდგებიან. ამიტომ, ბოლომდე იხარჯებიან და შენც თავისუფლად აკეთებ შენს საქმეს. ასევე, გადავიღე ცნობილი ბლოგერი, რომელიც „შანელისთვის" წერს, ესპანელი გოგონაა. ბევრ ესპანელ დიზაინერთან მაქვს ნამუშევარი და ასევე, ყველასთან, ვინც „ფეშენ-ვიქში" მონაწილეობისთვის ჩამოდიოდა. ვთანამშრომლობდი „რეი ბანთან", ასევე სხვადასხვა ჟურნალისთვის მიწევდა გადაღებები. დავდიოდი ივენთებზე, საკმაოდ საინტერესო სამუშაო მქონდა.

**– რატომ ჩამოხვედი საქართველოში?**

– მინდა, საქართველოში დავრჩე. ამიტომაც გავაკეთე ფოტოსტუდია. ამით მინდა, თავი „დავიბა". სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ თბილისში აღარ ტარდება მოდის კვირეულები, რაც ძალიან მეწყინა. იქაც აინტერესებდათ თბილისისა და ვილნიუსის მოდის კვირეულები. მეც ვრეკავდი, რომ გამეგო, რა ხდებოდა. მინდოდა, ჩამოვსულიყავი, გადამეღო, მაგრამ ყოველ დარეკვაზე, ხან სად გადამამისამართებდნენ, ხან კიდევ სად. ეს იმათ რომ აუხსნა, ცოტა უხერხული გამოვა. თბილისში რომ ჩამოვედი, ესპანეთიდან დამირეკეს და მითხრეს: თბილისის „ფეშენ-ვიქი" აღარ იქნებაო. ახლა მინდა, ჩემს სტუდიაში ვიმუშავო. მაინტერესებს, ხალხი როგორ გაიგებს სხვა სტილს, თუ მოეწონებათ. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ დამიკავშირდნენ ვილნიუსიდან და მკითხეს: თუ გადავიღებდი ვილნისუსის მოდის კვირეულს. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და ვუთხარი, რომ ექსკლუზივი მინდოდა. არ უთქვამთ უარი, ყველანაირ ხარჯებს ისინი მინაზღაურებენ და მე მერე მივცემ გარკვეულ მასალას. რაც მთავარია, საქართველოს სახელით მივდივარ.

**ნათია უტიაშვილი**

გვ. 70



რატომ გულშემატკივრობენ საერთაშორისო ჩემპიონატებზე ელენე გედევანიშვილს იაპონელები ქართული დროშით ხელში და რატომ არის ქართველი სპორტსმენისთვის მაკა გიორგობიანი მეორე დედა



გვ. 79

როგორ პოზირებდა მიხეილ კალმახელიძის ობიექტივის წინ ადრიანა ლიმა და როგორ გაყიდა მან პიერ კარდენის ჩვენების ფოტოები



გვ. 74

# რის დანახვაზე ცოცხლდება მერსი სულხანიშვილი და რასთან ათენებს და აღამებს ის


ISSN 1987-569X
9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო – შიგ ჩასმული ბადახში

თბილის ები®

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №10 (689) 10–16 მარტი * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge